გუბაზ სანიკიძე: **ლიდერი მე ვარ და ჩემზე უკეთ ლევანმა არ იცის, რა უნდა გავაკეთო** 16-17

**რუსეთის ეკლესია ცნობს საქართველოს ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციას კონფლიქტურ რეგიონებში** 17


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

8 — 14 ივლისი, 2009 №20

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net


**საქართველოს საგარეო ვალმა 8 მილიარდ დოლარს მიუკაკუნა** 2




# მიგვაRESTARTეს

გამოკითხვა //

**რამდენი წლის უნდა იყოს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი?** 3

მიშა მაგარია //

**ძველი თბილისის მოსახლეობას სახლებიდან გამოყრა ემუქრება!** 8

**ბიზნესმენის გაყვლეფაში „საქართველოს ბანკის“ გარიეს**

შორია ბურჯისტანამდე //

**თურქი უფროსი მიზეზს ეძებდა, სახლიდან ანაზღაურების გარეშე გამვებდე** 15

SOS! //

**ვაჭაბიტები პანკისში** 19

ტრეფიკინგი //

**ქალი ავტობუსისკენ არაადამიანური ღრიალით გაიქცა: ქართველებო, მიშველეთ!** 30

**გივი თარგამაძეს ეზიზღება ქვეყანა, რომელშიც ცხოვრობს, სძულს ხალხი, ვისი მოდგმისაც არის** 9



**ფილმ „კონფლიქტის ზონის“ შემქმნელები მოსკოვური რეაქციით გაოგნებულნი არიან** 3









**ნინო ბურჯანაძე ერთ ლარად შეძენილ ქონებას რამდენიმე ათეულ მილიონად ყიდის** 15

# მიშას კიკიმაროები 11

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## უნდა წავიდნენ თუ არა ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში საომრად?

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მსოფლიოს მასშტაბით საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში დღემდე დაახლოებით ათი ათასი ქართველი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა, 2010 წელს კი ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი იქნება წარგზავნილი. მანამდე კი, 2009 წლის შემოდგომაზე, ერთი ქართული ასეული ამ ოპერაციაში საფრანგეთის კონტინგენტის შემადგენლობაში მიიღებს მონაწილეობას. „საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევს ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას საზოგადოება:



**გია თორთლაძე:** ეს მარტო ხელისუფლების გადაწყვეტილება არ არის, არამედ იმ ჯარისკაცებისაც, რომლებიც კონტრაქტს დებენ და ცხელ წერტილებში მიდიან. ისინი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი ნება-სურვილით აფორმებენ კონტრაქტს და ერთვებიან ასეთ ოპერაციებში. ამაში მიუღებელი არაფერია. ვიცი, რაც ხდებოდა ერაყში წასვლისას და რა ხდება ახლა. მსურველი ბევრია და ყველა ვერ ხვდება ამ ოპერაციაში.



**კახა კაციტაძე:** ხელისუფლებამ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხის ირგვლივ არანაირი დისკუსია და საჯარო განხილვა არ ყოფილა. როდესაც ხელისუფლება იღებს ამგვარ გადაწყვეტილებას, ვალდებულია, აუხსნას საზოგადოებას, რომ ამ კონტინგენტის გაგზავნა საქართველოს ეროვნული ინტერესების ჩარჩოებს არ სცილდება. ასეთი რამ არ ყოფილა და მე ეს უფრო მაშფოთებს. ეს იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლება საზოგადოებას პატივს არ სცემს, ჯარისკაცების სიცოცხლე რომ არაფრად უღირს, ეს აგვისტოს მოვლენებმაც დაადასტურა. ასეთი გადაწყვეტილება არგუმენტირებული უნდა იყოს და არა ვილაცის ხუშტურზე აგებული.



**ნიკა ლალიაშვილი:** ვფიქრობ, მისასალმებელი ფაქტია, რადგან ნატოს წევრ ქვეყნებთან ერთად საქართველო ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიოში არსებული კონფლიქტების სტაბილიზაციაში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ქართველი ჯარისკაცების გაგზავნა. ამით კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ საქართველო გვერდში უდგას ამერიკის შეერთებულ შტატებს. ასეთ მისიებში მონაწილეობა ჩვენი ჯარისთვის პრესტიჟულია.

## გარდაცვლილი მიწას კუბოს გარეშე მიაბარეს

**დედოფლისწყაროში მეუღლის მიერ მოკლული 40 წლის სერგეი თევდორაშვილი მეზობლებმა მიწაში კუბოს გარეშე ჩაფლეს. გარდაცვლილის დედის განცხადებით, უკიდურესი გაჭირვების გამო, დახმარებისათვის დედოფლისწყაროს გამგეობას არაერთხელ მიმართა, მაგრამ — უშედეგოდ. გამგეობამ გარდაცვლილის დედას კუბოს შესაძენად 100 ლარიც კი არ მისცა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაადასტურეს, რომ გარდაცვლილის დედამ მიცვალებულის დაკრძალვისთვის დახმარების გასაწევად ადგილობრივ ხელისუფლებას ნამდვილად მიმართა. კითხვაზე, თუ რატომ არ გაუწიეს გაჭირვებულ ოჯახს დახმარება, მაშინ, როცა ბიუჯეტით ამგვარი ხარჯები გათვალისწინებულია, გამგეობის სოციალური დახმარების სამსახურში კომენტარი არ გააკეთეს.**

# მიგვაRESTARTეს

**აშშ პრეზიდენტის ბარაკ ჰუსეინ ობამას მოსკოვში საჯარო გამოსვლების საქართველოს პროსახელისუფლებო ტელევიზიებით ტრანსლირებისას მისი სიტყვების ქართული სინქრონული თარგმანი იმდენად აბდაუბდა და აბსოლუტურად გაუგებარი იყო, რომ ურწმუნო თომაც დარწმუნდა — შეგნებულად ბლუკუნებდა ან შეგნებულად დასვეს სინქრონული თარგმანის არმცოდნე კაცი მიკროფონთან, საქართველოს მოსახლეობას ობამას ნათქვამი გოკა გაბაშვილის ინტერპრეტაციით რომ გაეგო მხოლოდ.**



პირველად აკეთებენ თუ რა?!

სინამდვილეში მოსკოვის ვიზიტის უმნიშვნელოვანესი მომენტი ბარაკ ობამას საპროგრამო სიტყვა იყო, რომელიც მან რუსეთის ეკონომიკური სკოლის კურსდამთავრებულთა წინაშე წარმოთქვა. **ნიშანდობლივია, რომ ეს გამოსვლა ვაშინგტონში წინასწარვე კაიროში წარმოთქმული მისი უმნიშვნელოვანესი სიტყვის გვერდით დააყენეს. მსოფლიო ელოდა ამ გამოსვლას. მოლოდინი გამართლდა.**

გამართლდა, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ გამოიკვეთა ორი დაპირისპირებული სამყაროს დაახლოების თუ არა, თანაარსებობის პერსპექტივა. **ერთპოლარული მსოფლიოს კონცეფცია, როგორც ჩანს, მრავალპოლარული მსოფლიოს პრინციპს უთმობს ასპარეზს: აშშ პრეზიდენტმა თავის თეზისებში განავითარა მრავალპოლარული მსოფლიოს ის კონცეფცია, რომელსაც რუსეთი ერთგულებს.**

ბარაკ ობამას მოსკოვში დემოკრატიით არ უკეკლუცია. მით უფრო, არ მომხდარა დემოკრატიის პარადული დემონსტრირება, როგორც ამერიკასთან თანამშრომლობის პირობა. **ეს, ბუშის პოლიტიკისთვის დამახასიათებელი პრინციპი, როგორც ცნობილია, შობდა „დემოკრატიის ისეთ შუქურას“, რომელიც საქართველოში 2003 წლიდან გვინათებს გზას.**

ეს გზავნილი, — მიიჩნევენ პოლიტოლოგები, — შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მნიშვნელობა აქვს შედეგს. აქედან გამომდინარე, **„რუსეთი უნდა იყოს წარმატებული თავისთავად და არა აშშ-ს მითითებებით იმაზე, თუ როგორია სასურველი გადაწყვეტილებებისკენ მიმავალი გზა“.**

არა მიზანი ამართლებს საშუალებას, არამედ ყველას თავისი გზა აქვს შედეგის მისაღწევად, თავისი ინტერესი.

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რუსეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ გაითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, უკრაინაშიც და საქართველოშიც, რადგან ეს ქვეყნები მნიშვნელოვანია რუსეთისთვის. **„პრეზიდენტი ობამა დაჰპირდა, რომ გაითვალისწინებს ამ ქვეყნებთან ჩვენი მეზობლობის თავისებურებებს“,** — უთხრა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილემ იური უშაკოვმა, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა.

**ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ინფორმაციიდანაც კი ჩანს, რომ არც ისე უსაფუძვლოა ვარაუდი, რომ მოსკოვში საქართველოს მომავალზეც შეთანხმდნენ, პრინციპულად მაინც, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე.**

ამიტომ ხომ არ ეძებდნენ ჩვენი ოპოზიციის ლიდერები შეხების წერტილებს მოსკოვთან, ოღონდ ძალიან შორიდან და ძალიან მეორეხარისხოვანი პოზიციებიდან? ფულის საშოვნელად ბერლინსა და კიევში ჩასვლა მაინცდამაინც დამაჯერებელი არ ჩანს. მიხეილ სააკაშვილი კი ამ დროს ლიტვაშია, 1000 წლის იუბილეზე. ზეიმობს. ვილნიუსში ზის და, იმედი ვიქონიოთ, ნერვიულად არ ღეჭავს ქსოვილის წითელ ნაჭერს, სახელად ჰალსტუხი. სანერვიულო ნამდვილად აქვს, თანაც, გაცილებით მეტი, ვიდრე „ბი-ბი-სის“ ეთერში ყოფნისას, რადგან შარშანდელი აგვისტოს ომისწინა მოვლენებზე საუბრისას, პუტინის აზრით, მთავარი პრობლემა იყო ის, რომ **„საქართველოს პრეზიდენტმა სწორად ვერ შეაფასა აშშ პოზიცია და აღიქვა იგი როგორც თავისი გეგმების მხარდაჭერა“,** — ასე გადასცეს ჟურნალისტებს პუტინისა და ობამას საუბრის ერთი მომენტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ტრაგიკულ მოვლენას ეხებოდა.

პირის მოწმენდასავითაა.

რა უპასუხა ობამამ?

სავარაუდოა, **„მიიღო მხედველობაში, რათა გაითვალისწინოს“,** რადგან ინფორმაციის არც ერთი წყარო არ იტყობინება, რომ შეეწინააღმდეგა ან რამე უპასუხა რუსეთის პრემიერს.

ჯოხი, როგორც ჩანს, სააკაშვილზე გადატყდა. ამას ხომ არ ელოდა ტალიავინის კომისია, რომელმაც აგვისტოს ომის შესახებ თავისი დასკვნის გამოქვეყნება სექტემბრისთვის გადადო? როგორც ჩანს, დროა, სააკაშვილმა მოიმარაგოს წითელი ნაჭერი, სახელად ჰალსტუხი, ვინძლო კიდევ არაერთხელ „შემოეღეჭოს“.

მაშ ასე, აშშ პრეზიდენტის ვიზიტი მოსკოვში დასრულდა. მოლოდინი, რომ ეს იქნებოდა ისტორიული მიჯნა თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში, გამართლდა.

**დამთავრდა და საფიქრალიც დაგვიტოვა: მიგვაrestartეს?**

**არმაზ სანებლიძე**

# საქართველოს საგარეო ვალმა 8 მილიარდ დოლარს მიუკააკუნა




**2 ივლისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 31 მარტის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალმა 7 მილიარდ 703,6 მილიონი დოლარი შეადგინა. 2008 წლის მონაცემებით, იგივე მაჩვენებელი 7 მილიარდ 302,3 მილიონ დოლარს შეადგენდა.**

ახლანდელი ვალის 29,1% (2 მილიარდ 242,9 მილიონი დოლარი) სახელისუფლო სექტორის ვალია, 8,1% (625 მილიონი დოლარი) — ეროვნული ბანკის, 22,6% (მილიარდ 737,3 მილიონი დოლარი) — საბანკო სექტორის, 14% (მილიარდ 79,2 მილიონი დოლარი) — სხვა სექტორების, 26,2% (2 მილიარდ 19,3 მილიონი დოლარი) კი კომპანიებს შორის ვალია. საქართველოს საერთო საგარეო ვალის 95,1% დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, სახელისუფლო სექტორის ვალი პირველ კვარტალში 18,1 მილიონი დოლარით შემცირდა (2008 წლის მონაცემებით, ამ სექტორის საგარეო ვალი 2 მილიარდ 260,7 მილიონ დოლარს შეადგენდა), საბანკო სექტორის ვალი 137 მილიონი დოლარით შემცირდა (2008 წლის მონაცემებით, ამ სექტორის საგარეო ვალი მილიარდ 874,3 მილიონ დოლარს შეადგენდა), სხვა სექტორების ვალი შარშანდელი 778 მილიონი დოლარიდან 43,8 მილიონი დოლარით შემცირდა. სამაგიეროდ, გაიზარდა ეროვნული ბანკისა და კომპანიებს შორის ვალები, შესაბამისად, 164,1 და 27,7 მილიონი დოლარით (2008 წლის მონაცემებით, ამ სექტორებში საგარეო ვალი, შესაბამისად, 460,2 მილიონ დოლარსა და მილიარდ 928,2 მილიონ დოლარს შეადგენდა).

ეროვნული ბანკის განმარტებით, მისი საგარეო ვალის არსებითი ზრდა გამოწვეულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული ახალი 190,9 მილიონი დოლარით, რომელიც შემცირდა ძველი ვალის (11 მილიონი დოლარი) დაფარვითა და ეროვნული ვალუტის გადაცვლის კურსის ცვლილების გამო.

2009 წლის პირველ კვარტალში მოკლევადიანი საბანკო კრედიტები 162 მილიონი დოლარით შემცირდა, გრძელვადიანი კი 25 მილიონი დოლარით გაიზარდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საერთო საგარეო ვალი საოპერაციო ცვლილებების შედეგად 90,6 მილიონი დოლარით გაიზარდა, ვალუტათა კურსის ცვლილების შედეგად კი (რაც ეროვნული ბანკის მონაცემებით, ძირითადად, გამოიწვია დოლარის მიმართ ევროს კურსის შემცირებამ) 97,6 მილიონი დოლარით შემცირდა.

**იანვარ-მაისში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 37,3 პროცენტით შემცირდა.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის 2 ივლისის განცხადებით, 2008 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 37,3 პროცენტით — 2 მილიარდ 9 მილიონ დოლარამდე შემცირდა (არაორგანიზებული ვაჭრობის გაუთვალისწინებლად). ექსპორტი 32,9 პროცენტით შემცირდა და 408,3 მილიონი დოლარი შეადგინა. იმპორტი კი 28,3 პროცენტით შემცირდა და მილიარდ 600,9 მილიონ დოლარს გაუტოლდა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა მილიარდ 192,6 დოლარს მიაღწია, რაც 2008 წლის იანვარ-მარტის მონაცემებზე 40%-ით ნაკლებია.

საანგარიშო პერიოდის მიხედვით, საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა შორის პირველ ადგილს კვლავაც თურქეთი ინარჩუნებს. მასთან სავაჭრო ბრუნვამ 394,7 მილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა ეს, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10,2 პროცენტით ნაკლებია. თურქეთთან საქონელბრუნვამ საქართველოს საერთო საგარეო ბრუნვის 19,6 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე აზერბაიჯანია, მასთან საქონელბრუნვის მაჩვენებელი საერთო ბრუნვის 10,1 პროცენტს გაუტოლდა. ვალუტაში ეს 202 მილიონი დოლარია და შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლის მხოლოდ 61,8 პროცენტს შეადგენს. მესამე ადგილზე უკრაინაა, მასთან სასაქონლო ბრუნვამ 185,2 მილიონი დოლარი შეადგინა.

რუსეთი საქართველოს საგარეო ვაჭრობის პარტნიორთა შორის მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. მასთან სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი 123 მილიონ 568,3 ათასი დოლარია და საქართველოს მთელი საგარეო ბრუნვის 6,2%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებითაც რუსეთი იმავე მეხუთე ადგილზე იყო, მაგრამ მასთან სავაჭრო ბრუნვა 195 მილიონ 932,8 ათას დოლარს შეადგენდა.

2006 წლამდე რუსეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2006 წელს რუსეთმა საქართველოდან ღვინისა და ღვინის მასალის, მინერალური წყლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეტანა აკრძალა, პირველობა თურქეთს დარჩა. თითქმის მთელი 2007 წლის განმავლობაში რუსეთი მეორე ადგილს ინარჩუნებდა, 2008-ში კი უკვე მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

საქართველოდან ექსპორტირებად პროდუქტთა პირველ ათეულში, წლევანდელი 5 თვის მონაცემებით, პირველი ადგილი ფეროშენადნობებმა დაიკავა — საანგარიშო პერიოდის მანძილზე 47 მილიონი დოლარის ღირებულების აღნიშნული პროდუქტი გაიტანეს (შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში 101,9 მილიონი დოლარის), რამაც მთელი ექსპორტის 11,5% შეადგინა. მეორე ადგილზე 42,3 მილიონი დოლარის ღირებულების დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული ოქროა (მთელი ექსპორტის 10,4%).

უმსხვილესი საიმპორტო ჯგუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია — 163,3 მილიონი დოლარი და მთელი იმპორტის 10,2%. მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა 116,9 მილიონი დოლარი და მთელი იმპორტის 7,3% შეადგინა, ნავთობაირებმა და აიროვანმა ნავთობწყალბადებმა კი — 79,7 მილიონი დოლარი და მთელი იმპორტის 5%.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სააკაშვილი და მერაბიშვილი თეთრმა სახლმა მკაცრად გააფრთხილა

## საზოგადოების ნაწილი უზურპატორად მიჩნეულ ხელისუფლებასთან შეგუებას არ აპირებს

**საპროტესტო აქციებით შეშფოთებულმა და თავგაბეზრებულმა ხელისუფლებამ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე პარლამენტს კანონპროექტი წარუდგინა. დოკუმენტი ერთობ შემზარავი აღმოჩნდა საპროტესტო ქარცეცხლში მყოფი საზოგადოებისთვის. ამის მიუხედავად, ხელისუფლების ჯიბის პარლამენტი ცეცხლზე ნავთის დასხმას არ მოერიდა და საკომიტეტო მოსმენები მაინც დაიწყო. სავარაუდოდ, თვის ბოლომდე მოხერხდება კიდეც კოდექსში ცვლილებების შეტანა.**



**კანონპროექტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოთა შენობების ფასადებზე, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე და, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე წარწერების, ნახატებისა თუ სხვადასხვა სიმბოლოს თვითნებური შესრულება ხუთასი ლარით დაჯარიმდება. იგივე „დანაშაულის“ განმეორებით ჩადენისას საჯარიმო თანხა ორმაგდება, ხოლო მესამე შემთხვევა თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილებები მზადდება „შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების წესის შესახებ კანონში“. პარლამენტში განსახილველად წარდგენილ დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მანიფესტაციის ორგანიზატორის მიერ წესის დარღვევის შემთხვევაში, მას ხუთიათასლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს (დღეს მოქმედი კოდექსით კი, ეს დანაშაული შრომის ანაზღაურების ათიდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე ჯარიმას ითვალისწინებს).

საზოგადოებისა და ოპოზიციური სპექტრის ყველაზე მძაფრი რეაქცია მაინც ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის სამ თვემდე გაზრდის საკითხმა გამოიწვია, ვინაიდან საკანონპროექტში ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულად სწორედ ეს საკითხია წარმოდგენილი.

ამასთან, ოპოზიციის ლიდერებს, შეიძლება ითქვას, ყურადღების მიღმა რჩებათ დოკუმენტში მოცემული სხვა უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო პუნქტები, მაგალითად, როგორიცაა მანიფესტანტებისთვის გზის გადაკეტვის უფლების მინიჭება. ამ კანონპროექტის თანახმად, დემონსტრანტებს გზის სავალ ნაწილზე გადასვლის „კანონიერი“ უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემათ, თუ მიტინგზე „სათანადო“ რაოდენობის ხალხი მოგროვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი კოდექსი ხელისუფლებას უფლებას აძლევს, დემონსტრანტები (ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე) ძალის გამოყენებით დაშალოს და მიტინგის ადგილზე „წესრიგის დასამყარებლად“ ძალოვნები განალაგოს.

რაც ყველაზე საგანგაშო და შემაშფოთებელია, კანონპროექტი აკანონებს მომიტინგეთა დასაშლელად დღეს მოქმედი კანონით აკრძალული იარაღის — ე.წ. პლასტმასის ტყვიებისა და სხვა საშუალებების გამოყენებას.

მოკლედ, ხელისუფლება თავს უფლებას აძლევს, კანონიერების ჩარჩოში მოაქციოს ის არაკანონიერი ქმედებები, რასაც მომიტინგეების წინააღმდეგ აქამდეც იყენებდა. იგი საზოგადოებას მარტივ არჩევანს სთავაზობს — ან სისხლი და თავისუფლება, ან უსიტყვო მორჩილება რეჟიმის წინაშე...

საზოგადოების ნაწილი უზურპატორად მიჩნეულ ხელისუფლებასთან შეგუებას არ აპირებს, ამდენად, ეს კანონპროექტი ცეცხლზე ნავთის დასხმას უფრო ჰგავს, ვიდრე ვითარების განმუხტვის სურვილსა და მცდელობას.

გთავაზობთ ინტერვიუს ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ **ლაშა ჩხარტიშვილთან,** რომელიც იმედოვნებს, რომ პარლამენტი კანონპროექტის დამტკიცებას ვერ შეძლებს.

**— ბატონო ლაშა, პარლამენტმა უკვე დაიწყო „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე საკომიტეტო მოსმენები... გაქვთ თუ არა რამე საპირისპირო სტრატეგია და რას დაუპირისპირებს ოპოზიცია ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს?**

— ჩვენი უმთავრესი სტრატეგია ამ კანონპროექტის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა და მაქსიმალურად მწვავე რეაგირებაა. ვაპირებთ, აქციები მოვაწყოთ სპეციალურად ამ საკითხთან დაკავშირებით და ვიდრე პარლამენტში საკომიტეტო მოსმენები იწარმოებს, შენობის ირგვლივ სხვადასხვა სანახაობრივი დემონსტრაცია გავმართოთ. ვამზადებთ საკონსტიტუციო სარჩელსაც და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობას სრული ინფორმაცია მივაწოდოთ ამ თემასთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, დასავლეთის პოზიცია ერთმნიშვნელოვნად კრიტიკული იქნება და პარლამენტი ვერ მოახერხებს ამ ანტიდემოკრატიული და ანტისაზოგადოებრივი კანონპროექტის დამტკიცებას.

**— თქვენ დასავლეთის ზემოქმედება ახსენეთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს კანონპროექტი ხელისუფლების სამზადისია აშშ ვიცე-პრეზიდენტის ჩამოსვლის წინ?**

— არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ არ მგონია, ამ კურდღელივით მშიშარა ხელისუფლებამ კანონიერი დემონსტრაციის წინააღმდეგ ბაიდენის ჩამოსვლის წინ ამ კანონპროექტის გამოყენება გაბედოს. თუ ეს მოხდება, ამას ისევ ხელისუფლებისთვის მოჰყვება სავალალო შედეგი... რაც უფრო მეტ ძალას გამოიყენებს სააკაშვილი და მისი გუნდი ხალხის წინააღმდეგ, მით უფრო მძიმე შედეგს მიიღებს. ამასთან, მაქვს ინფორმაცია, რომ სააკაშვილს, მერაბიშვილსა და „ნაცმოძრაობის“ კიდევ რამდენიმე თავკაცს სერიოზული გაფრთხილებები მიეცათ „თეთრი სახლის“ ადმინისტრაციისგან.

**— რა გაფრთხილებებს გულისხმობთ?**

— ამის შესახებ საჯარო განცხადებები ჯერ არ გაგვიკეთებია, მაგრამ ერთი რამის თქმა დაბეჯითებით შემიძლია — ბაიდენის ჩამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მიმდინარე საპროტესტო აქციები და ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკაა, სულ ტყუილად გვარწმუნებენ „ნაცმოძრაობის“ ბელადები, რომ ვიცე-პრეზიდენტი რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირების საკითხზე სასაუბროდ გვეწვევა. ჩემი ინფორმაციით, შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება ქვეყანაში არსებულ პოლიციურ რეჟიმსა და ბოლო დროს გახშირებულ ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე გამახვილდება.

**— ცოტა არ იყოს, უცნაურია, თუ ბაიდენის ჩამოსვლის მიზანი ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზრუნვა და სააკაშვილის რეპრესიული პოლიტიკის დემოკრატიულ რელსებზე გადაყვანაა, რატომ ხდება, რომ ვიზიტამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე ხელისუფლება ახალ კანონპროექტს განიხილავს და უკანონობის ოფიციალურად დაკანონებას გეგმავს?**

— იმ პოლიტიკურ ტერორს, რომელიც დღეს საქართველოში მძვინვარებს, ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციისკენ მიჰყავს და თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე საქართველო სრულ იზოლაციაში აღმოჩნდება და ამ მხრივ სააკაშვილის რეჟიმი ენვერ ხოჯას ტოტალიტარულ მმართველობას დაემსგავსება... თუმცა დიდი განსხვავება არც ახლაა...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

## რამდენი წლის უნდა იყოს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი?

**საკონსტიტუციო კომისიამ პირველი სამუშაო სხდომა უკვე გამართა. რამდენიმე ფუნდამენტურ საკითხთან ერთად კომისიის წევრებს მსჯელობა მოუწევთ საპრეზიდენტო კანდიდატის მინიმალური ასაკის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მოქმედ პრეზიდენტს ახალგაზრდობას ერთ-ერთ ნაკლად უთვლიან, თუმცა არც ექს-პრეზიდენტის ხანდაზმულობას მოუტანია დიდი წარმატება საქართველოსთვის. „საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, რა ასაკის პრეზიდენტი იქნება მისაღები საზოგადოებისთვის:**



**ხათუნა ოჩიაური:** ამ საკითხზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისია მუშაობს. ვფიქრობ, მათი მსჯელობის საფუძველზე მიღწეული იქნება ოპტიმალური ზღვარი, თუმცა მინდა, გითხრათ, რომ პირადად მე ამ საკითხს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ და 36 წელიც მისაღები იყო ჩემთვის, რადგან ამ ასაკში პიროვნება უკვე ჩამოყალიბებულია და აქვს შესაძლებლობა და უნარი, მართოს ქვეყანა.



**გია ცაგარეიშვილი:** საერთოდ, ასაკი ქართულ პოლიტიკაში პრობლემაა და სამართლებრივ სივრცეში ბევრი თანამდებობა გაახალგაზრდავდა. რაც შეეხება საპრეზიდენტო ასაკს, „ნაციონალურ მოძრაობას“ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ირაკლი ალასანიასა და ირაკლი ოქრუაშვილის კონკურენციის ეშინია და ცდილობს, ასაკობრივი ზღვარის აწევა ბერკეტად გამოიყენოს. ვფიქრობ, საპრეზიდენტო კანდიდატის ასაკობრივი ზღვარი იყოს 40-45 წელი.



**ზაქარია ქუცნაშვილი:** პრეზიდენტობისთვის კი არა, გამოცდილების თვალსაზრისით, ასაკი ნებისმიერი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია. გამოცდილება არა ნიჭიერებასთან, არამედ ასაკთან დაკავშირებული მოვლენაა. თუ ჩვენ საპრეზიდენტო რესპუბლიკა გვექნება და პრეზიდენტი დიდი ძალაუფლებით აღიჭურვება, სასურველია, ასაკობრივი ცენზი კიდევ უფრო მაღალი იყოს, თუნდაც 40-45 წელი, რათა გვყავდეს ისეთი გამოცდილების მმართველი, როგორიც აუცილებელია საპრეზიდენტო რესპუბლიკის შემთხვევაში, თუმცა მარტო ასაკიც არ არის ნიჭიერებისა და პატიოსნების საზომი.

მოამზადა
**ნანა ლაღაძიშვილმა**

# ფილმ „კონფლიქტის ზონის“ შემქმნელები მოსკოვური რეაქციით გაოგნებულნი არიან

**მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალ „პერსპექტივის“ საკონკურსო პროგრამის საუკეთესო ფილმად აღიარებული „კონფლიქტის ზონის“ („გასეირნება ყარაბაღში“) გადამღები ჯგუფი და მსახიობები რუსი მაყურებლის რეაქციით გაოგნებულნი არიან. „ფილმის ჩვენების შემდეგ უამრავი კაცი მირეკავდა და მილოცავდა, ჩვენებაზე დამსწრე ჩემი მეგობრები მიყვებოდნენ, რომ როცა ფილმის ბოლოს ჩემი გმირი კვდება, დარბაზში უამრავი მაყურებელი ტიროდა“, — განაცხადა ფილმის ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა ზურაბ ინგოროყვამ. ფილმის რეჟისორის ვანო ბურდულის თქმით, ის გაოცებულია რუსი მაყურებლის საქართველოსადმი დამოკიდებულებით. „გვაჩვენეს, როგორ უყვართ და აფასებენ ქართულ კინოს რუსეთში“, — აღნიშნა მან.**

ფილმის სიუჟეტს საფუძვლად საქართველოში მეოცე საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე რეალური მოვლენები უდევს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში იწყება სამოქალაქო და ეთნიკური ომი, რომელიც აყვავებულ მიწა-წყალს ეროვნებათაშორისი კონფლიქტი ბინძურ ზონად აქცევს. მთავარი გმირები — ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი გოგლიკო და სოხუმელი სნაიპერი სპარტაკი მთიანი ყარაბაღისაკენ ერთმანეთს შემთხვევით დაემგზავრნენ. ერთს ბანქოში წაგებული ფულის დაბრუნების სურვილი ამოძრავებს, მეორეს — თავის გადასარჩენად მეთაურის ბრძანების შესრულებისა, მაგრამ იძულებულნი არიან, ერთად იმოქმედონ. ორი სავსებით განსხვავებული პიროვნების ცხოვრების გზა სწორედ „კონფლიქტის ზონაში“ იკვეთება და სწორედ აქ იცვლება მათი ბედისწერა სამუდამოდ.




მოსკოვის 31-ე საერთაშორისო კინოფესტივალ „პერსპექტივის“ მეორე საკონკურსო პროგრამა 14 ფილმს მოიცავდა. კონკურსს, ტრადიციისამებრ, სამი პიროვნება აფასებდა. წელს ამ სამეულს ავსტრიელი რეჟისორი რობერტ დორნჰელმი, ბრიტანელი რეჟისორი მაიკლ კეიტონ-ჯონსი და რუსი მსახიობი ალიონა ბაბენკო წარმოადგენდნენ.

ფესტივალის „გრან პრი“ მიიღო ნიკოლაი დოსტალის ფილმმა სახელწოდებით „პეტია საიქიოსკენ მიმავალ გზაზე“. საუკეთესო რეჟისურისათვის დაჯილდოვდა მარიანა ჩენიიოს მექსიკური ფილმი „ხუთი დღე ნორას გარეშე“. სპეცჯილდო მიიღო ალექსანდრე პროშკინის ფილმმა „სასწაული“. მსოფლიო კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისათვის რეჟისორი რეზო ჩხეიძე დაჯილდოვდა.

მოსკოვის 31-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართული კინოსათვის განკუთვნილ სპეციალურ პროგრამაში რუსმა მაყურებელმა 1946-1984 წლებში საქართველოში გადაღებული 14 ფილმი ნახა. მათ შორის იყო რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“, გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი“, ოთარ იოსელიანის „პასტორალი“, თენგიზ აბულაძის „მონანიება“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# „საცა ვნახე ფუნთუშიო, იქ შევჭამენი კუნტრუშიო“

## სომხეთში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის გამო

„...ვისაც თავისი თავი რაიმე ჰგონია და არაფერიც არ არის, ის თავის თავს იტყუებს“
(გალ. 6,3)

**მოიტყუა თავისი თავი და წავიდა სომხეთში ოფიციალურ ვიზიტად. თავის ქვეყანაში მოსმენაც არ სურთ მისი, ის კი ჭკუის დასარიგებლად ესტუმრა ერევანს: რუსეთს თავი დაანებეთ და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ერთად შევიკრათო, — ჩაუტარა აგიტსაუბრები პატივცემულმა მიხეილ სააკაშვილმა.**


თავიც დაუხარა და...


...მადლობაც გადაუხადა

რაღაც სხვა დიპლომატიის მიმდევრები არიან ეს ჩვენი ხელისუფალნი!

უადგილო შეთავაზება უადგილო ხუმრობასავითაა — არც ვინმეს ეცინება, არც სერიოზულად აღიქვამს ვინმე.

ასე გივი თარგამაძესაც არ გაუტევია, როცა ბელარუსის ვერშემდგარ „რევოლუციონერებს“ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ლიკვიდაციის დაფინანსებას სთავაზობდა.

რა კოჭები არ უგორა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსვლისას, ჯავახეთში მცხოვრებ სომხებზე რომ ელაპარაკებოდა, როგორი ნიუ-ვასიუკების მშენებლობას არ დაჰპირდა...

სომეხი ჟურნალისტი მარინა გრიგორიანი წერს: სააკაშვილმა „მიანიშნა, რომ თბილისი ჯავახეთის განვითარებისთვის უზომოდ ბევრს აკეთებს, ხოლო ამ ქმედებების მიზანი გზების განახლება და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის მოდერნიზაციაა. **„ამ ბოლო წლებში საქართველოს არც ერთ რეგიონს არ მიუღია იმდენი ინვესტიცია, რამდენიც — ჯავახეთს“,** — ამტკიცებდა სააკაშვილი“.

ეს „ამტკიცებდა“ არდაჯერების ირონიითაა მსუყედ გაჯერებული.

არც დაუჯერეს.

არც — ოფიციოზმა, არც — ოპოზიციამ. მათ შორის, მაგალითად, — სურენ სურენიანცმა, ოპოზიციურად განწყობილმა პოლიტოლოგმა. ხოლო ერევნის კვლევითი ცენტრის ანალიტიკოსმა ედუარდ აბრაჰამიანმა პირდაპირ თქვა: **„ჩვენ ჯავახეთში სერიოზული პრობლემები გვაქვს...** ისინი უფრო გაღრმავდება“.

**ჩვენ გვაქვსო!** ჩვენ — სომხებსო, — ამბობს სომხეთის მოქალაქე. საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის მოსახლეობის პრობლემები იმათი ყოფილა, ერევნელი სომხების.

უკვე მიიერთეს ჯავახეთი?!

სააკაშვილის შეთავაზებაზე სომხეთში ჯერ გაოცდნენ, რადგან საქვეყნოდ ცნობილია, რომ ეს ჩვენი მეზობელი რუსეთის ერთ-ერთი სანდო მეგობარი და პარტნიორია.

ჯერ გაიოცეს-მეთქი, შემდეგ შეუბრუნეს სიტყვაც და იდეაც: პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა ურჩია, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაზე იზრუნო, უკეთესია, რადგან ეს **ჩვენს** ეროვნულ ინტერესებშიაო: „ჩვენ რუსეთსა და საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავება გვსურს და ამის გაკეთება საჯაროდ და ღიად გვინდა, ყოყმანისა და იდუმალების საბურველის გარეშე“, — ჩაუშალა „საიდუმლო მისია“ სარქისიანმა სააკაშვილს, რომელსაც სამხრეთ კავკასიაში ყავარჯნები ერთდროულად გამოეცალა და სამეზობლოში ორივე ფეხით კოჭლობს.

არც სომხეთის ამერიკანიზაცია გამოუვიდა მიხეილ სააკაშვილს, არც ჩეგევარობა.

თვითონ თუ სჯეროდა?!

სამაგიეროდ, სომხეთს გამოუვიდა საქმე: ჯავახეთზე, გოდერძის უღელტეხილით, მთიანი აჭარის გავლით შავი ზღვისკენ გზის გაყვანის უფლება მიიღო საქართველოს პრეზიდენტისგან.

— ანტრე, ცავატანემ!

ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნასაც დაჰპირდა ბატონი მიხეილი. ისე მტკიცედ დაჰპირდა, თითქოს საზღვრის მეორე მხარეს რუსეთი კი არა, ქუთაისის „ტორპედოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა მატჩის მსაჯი მდგარიყო.

აგებს ქუთაისი.

— ჭიჭიკია, დაარტყი პენალტი! პენალტი დაარტყი, ჭიჭიკია!

— „სუდია“ არ გვაძლევს...

— ვინ ეკითხება „სუდიას?!“

ტრაგიკომიკური ანეკდოტია.

**„ეს უბრალო ვიზიტი იყო, სერიოზული პერსპექტივის გარეშე“,** — ასკვნის სომხური პრესა. უპერსპექტივო უხერხულობის გასაფანტავად, ოღონდ მალე წავიდესო, სომხებმა ორდენით დააჯილდოვეს მიხეილი.

ჩამოჰკიდეს. წავიდა.

ეგებ ჩვენმა ოპოზიციამაც, რომელიც ორ თვეზე მეტია, უშედეგოდ სკანდირებს: „მიშა, წადი! მიშა, წადი!“, გამოიყენოს ეს სომხური მულამი?

მე თქვენ გეტყვით, თავი არ დაუხარა და მადლობაც არ გადაუხადა?

**ალა გეურქოვი,**
**კურტნის მუშა**

**P.S. ეს ვიზიტი რომ მოიფუნთუშა, ბათუმში, მშენებარე სასტუმროს გადაუხურავი სართულის ხარიხებს შორის ცოტნედადიანობა გამართა — მცხუნვარე მზის გულზე მთავრობის სხდომა მოაწყო. ისხდნენ პატრიოტიზმცხებული მინისტრები ალაპარაკებული წვერგაუპარსავი „პრარაბის“ წინაშე და მამულიშვილური შემართების ცეცხლი სწვავდათ.**

**ხვალ მყინვარწვერზე, მეტეოსადგურის სახურავზე შეკრებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, — მუშტების ქნევა იქიდან კარგად გამოჩნდება, მაღალი ადგილია. ზეგ კიდევ ზეგისა იქნება.**

**ლოგიკა? სათაურში იხილეთ!**

**ა.გ.**

# პარადოქსებიდან ნონსენსამდე, ანუ «ნაბუშარი» საქართველო!

**ჯერ კიდევ გამსახურდიას ეროვნული მთავრობის დროს სრულიად საფუძვლიანად და ყველასთვის მისაღებად გადაარქვეს სახელები ლენინის, ორჯონიკიძის, კამოს და სხვა ქუჩებს.**
**სააკაშვილის ხელისუფლებაში კი ისეთი „ცხელი თავებიც“ აღმოჩნდნენ, რომლებიც მიაკოვსკის თუ გრიბოედოვის ძეგლების აღებასაც ითხოვდნენ.**
**ნაცები ხელისუფლებაში ხეირიანად მოსულებიც არც იყვნენ, რომ ლამის პირველივე „დეკრეტით“ სასტუმრო „ივერიის“ წინ არსებულ მოედანს „ვარდების მოედანი“ დაარქვეს, ხოლო ამ მოედანზე არსებულ ე.წ. ანდროპოვის ყურებს თვით პრეზიდენტმა პირადად დასცხო „კუვალდა“, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელი იყო.**




ყოვლად გაუგებარი იყო აწ უკვე ვარდების მოედნიდან საქართველოს უდიდესი მეფის, დავით აღმაშენებლის მონუმენტის აღება, რასაც ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ქართულმა საზოგადოებამ და გიგი უგულავას კანტორამ ისეთი ჭიტლაყი ამოსცხო ქუჯაის (ქუჯაი, კონსტანტინე გამსახურდიას რომანის მიხედვით, აღმაშენებლის ცხენის სახელია), რომ დიღმის ტრასაზე მოადინა ზღართანი, სადაც წესიერად ვერც ფეხით მიუდგები და ვერც მანქანით, რომ დატკბე მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნებით.

ამ აშკარად პარადოქსულ ფაქტს მეტი სიმძაფრე, გნებავთ, უსამართლობის, ქართველი ერის შეურაცხყოფის განცდა შესძინა სულ მოკლე ხანში ქალაქის ცენტრში, ვერა-ვაკის საზღვარზე, ტარას შევჩენკოს მონუმენტის დადგმამ მისივე სახელობის სკვერში.

თავი დავანებოთ იმას, რომ ეს აშკარად პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე გაკეთდა. არავინაა უკრაინასთან მეგობრობის წინააღმდეგი, მაგრამ... მაპატიონ უკრაინელებმა და შოთა რუსთაველი ტარასზე მეტი თუ არა, ნაკლები არ მგონია. შევჩენკოს ძეგლის ვარაზისხევში დადგმა ხომ იგივეა, რაც კიევში, ხრეშატიკზე — რუსთაველის?

ჰოდა, ზის ახლა ტარას შევჩენკო ვარაზისხევში და ვერ გაუგია, როგორ მოხვდა „ამ გაუგებრობაში“, რადგანაც იქ გამვლელ თბილისელებს, განსაკუთრებით ახალგზარდებს, რომ ჰკითხო ვისი ძეგლიაო, ათიდან ცხრა ვერ გიპასუხებს. ის კი არა, როცა ერთს ჩაეკითხნენ — შევჩენკო არ გაგიგიაო? — ააა, როგორ არა, ფეხბურთელიაო!..

მერე იყო და, სანაპიროს ჰეიდარ ალიევის სახელი უწოდეს და მისი ძეგლიც წამოჭიმეს მისივე სახელობის სკვერში. ალბათ, როგორც ერთ-ერთ დიდ დემოკრატს მიაგეს პატივი, რომელმაც ალიევების სამეფო დინასტიას ჩაუყარა საფუძველი მოძმე აზერბაიჯანში. აბა, თუ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის საფუძვლის ჩაყრის გამო ქნეს ეს, ამ „ტრუბის“ სხვა გამყვანებმა რა დააშავეს? ამ ლოგიკით ნაცებს ძეგლი ედუარდ შევარდნაძისთვისაც უნდა დაედგათ. ახლა არ მითხრათ აგული ერისთავივით ბატონ ბონაზე რომ თქვა, „ცოცხალი კაცის ძეგლი ვის გაუგიაო“, თორემ პიპინიასავით გიპასუხებთ — „ხო მოკვდება, როცა იქნება?!“

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ ცოცხალი კაცის ძეგლი რა, არ გვაქვს თბილისში? — როგორ არა!.. ქუჩაც იგივე ძეგლი არ არის? ჰოდა, მეც მანდა ვარ, ანუ, ბუნებრივად მივადექით წერილის სათაურის მეორე და მთავარ შინაარსს.

**ნონსენსი — უაზრობა, სისულელე**

**ასე განმარტავს უცხო სიტყვათა ლექსიკონი ამ ინგლისურ სიტყვას. სწორედაც რომ სრული უაზრობა და სისულელეა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, როგორც ჩანს, მიშასთვის და მისი ნაცებისთვის მუდმივი სალოცავი ხატის, ჯორჯ დაბლიუ ბუშის სახელობის ქუჩის არსებობა თბილისში; აშშ პრეზიდენტი, რომელიც თვით ამერიკაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ყველაზე უარეს პრეზიდენტად აღიარეს, ანუ, ჩვენებურად, გურულად თუ ვიტყვით, „დაბლიუ“ კი არა, აბდალა ჯორჯ ბუში.**

მაამებლობა — კი, ბატონო, მაგრამ ასეთი? ბრეჟნევის ვიზიტიც გვახსოვს, რომელიც იგივე მარშრუტით შემობრძანდა თბილისში, მაგრამ მისი სახელობის ქუჩის გახსნა თვით შევარდნაძესაც არ მოსვლია აზრად.

ამათ კი საკუთარი სახელობის პროსპექტით შემოაგრიალეს ტეხასელი კოვბოი. თუ ვინმეს ჰგონია, რომ კოვბოი იგივეა, რაც კეთილშობილი რაინდები ამერიკული ვესტერნიდან „შესანიშნავი შვიდეული“, არა, ბატონებო! ჩვენებურად კოვბოი იგივეა, რაც მწყემსი. თუმცა ჩვენებური მწყემსის ინტელექტის პატრონი რომ ყოფილიყო ამერიკის პრეზიდენტი, სულ ცოტა, უხერხულობას იგრძნობდა საკუთარ ქუჩაზე გავლისას და შესაბამის შენიშვნასაც მისცემდა მიშას, რაც, როგორც ჩანს, არ გააკეთა.

თავი დავანებოთ იმასაც, რომ მელაანის ქუჩას შეუცვალეს სახელი, რის გამოც იქ მცხოვრები თბილისელები ბუშის ქუჩელებად იქცნენ და იმის გათვალისწინებით, რომ „ბუში“ ნაბიჭვარს ნიშნავს ქართულად, საეჭვოა, ეს მეტამორფოზა ეამაყებოდეთ.

დემოკრატიის ბაირაღით რაც ამ კაცმა სისხლი ღვარა შუაგულ ევროპაში, მიწასთან გაასწორა და მარტივ მამრავლებად დაშალა იუგოსლავია, რის შედეგადაც მართლმადიდებელ სერბეთს ისეთივე განუყოფელი ნაწილი „აახიეს“ კოსოვოს სახით, როგორიც ჩვენთვის აფხაზეთია და რომელიც, ასევე, სწორედაც რომ ბუშის მდუმარე დასტურით დავკარგეთ.

თუმცა რატომ მდუმარე? ხომ ჩაუშვა სარკოზიმ, — ბუში წარა-მარა მირეკავდა — ქართველების დედაც... რას დაფრინავ თბილისსა და მოსკოვს შორის, გაუშვი, შეეშვი რუსებს, თუ უნდათ, თბილისიც აიღონო!!!

ისიც კარგად ვნახეთ, თუ როგორ ყვავის დემოკრატია ერაყში, სადაც ვითომ ქიმიურ იარაღს ეძებდნენ და სინამდვილეში თავად ამერიკელების მიერვე შექმნილი მონსტრი, სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩვეს, რის გამოც ზღვა სისხლი და ცრემლი დაღვარეს უბრალო ერაყელი ხალხისა, რომლის ერთმა ღირსეულმა შვილმა „ბატინკი“ ესროლა ერაყელების ჯალათს და ასე გააცილა პოლიტიკური სცენიდან.

აქედან გამომდინარე, რას ვერჩოდით ლენინ-სტალინის ქუჩებსა თუ ძეგლებს? მათაც ხომ ბუშის მსგავსად არანაკლები სისხლი დაღვარეს, ოღონდ არა დემოკრატიის, არამედ სოციალიზმის დროშით. მითუმეტეს, რომ სტალინმა, ბუშისგან განსხვავებით, დასახულ მიზანს მიაღწია — ევროპა ფაშიზმისაგან გაწმინდა.

**„რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება“, ანუ „ოდეს ტურფა გაიაფდეს“**

აი, დიდი შექსპირისა და შოთას ენით მიზეზი იმ ტრაგიკომედიისა, რომელშიც უკანასკნელი, განსაკუთრებით ბოლო, ნაცების პერიოდში გვიწევს ცხოვრება.

ჰოდა, ვიყოთ ბოლომდე ერთგულნი აბსურდის თეატრის სცენარისა — სადაცაა ბაიდენი უნდა ჩამოვიდეს და, თუ მოვინდომებთ, ბუშის ქუჩაზე იმ „ბათინკის“ ძეგლიც დავდგათ, რომელიც მას ესროლეს.

სერიოზულად თუ ვიტყვით, უხერხული არ იქნება, რომ დემოკრატი ვიცეპრეზიდენტი, რესპუბლიკელი ბუშის პროსპექტით შემოვიდეს თბილისში?

მაგრამ ვნახოთ, რა იქნება (ტალიავინის დასკვნის არ იყოს), არ არის გამორიცხული, რომ ბაიდენის ვიზიტიც გადაიდოს. გააჩნია, რას და როგორ გადაწყვეტენ მედვედევი და ობამა საქართველოსთან დაკავშირებით.

სულ მალე აგვისტოს ომის წლისთავი იქნება. მანამდე, ალბათ, საკნების ქალაქსაც „აყრიან“ და გავაგრძელოთ ტრაგიკომედია — ღირსეულად აღვნიშნოთ რუსთაველზე „ნაბუშარი“ საქართველოს ომში გამარჯვების წლისთავი..

**დავით მხეიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქართული უოტერგეიტი: სახიფათო კავშირები

**ქართულ პოლიტიკაში ძალზე საშიში თამაშების ხანა იწყება. როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ ფართო კოალიცია იქმნება, რომელშიც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, შეიძლება, ფარულად თვითონ მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობდეს. ოპოზიციური პარტიების ოფისებში აღმოჩენილი მოსასმენი აპარატურის გარშემო ატეხილი სკანდალი და სხვა ნაკლებად გახმაურებული ფაქტები, შეიძლება, შორსგამიზნული გეგმის ნაწილი აღმოჩნდეს.**





„საქართველო და მსოფლიო“ წინა ნომერში წერდა იმის შესახებ, რომ მერაბიშვილის ვიზიტმა შეერთებულ შტატებში სააკაშვილს შეიძლება სერიოზული ეჭვები აღუძრას. იმის ალბათობა, რომ შტატებში გამართულ ხანგრძლივ მოლაპარაკებებზე მერაბიშვილს, ისევე, როგორც გიგა ბოკერიას და ირაკლი ალასანიას, რომლებიც ოკეანის გაღმა ერთდროულად იმყოფებოდნენ, სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართული გეგმა გააცნეს, მართლაც არსებობს. კიდევ უფრო მაღალია ალბათობა სააკაშვილის წარმოსახვაში სამი გავლენიანი პირის ფარული ალიანსის დაბადებისა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას რეალობასთან საერთო არაფერი ექნებოდა, სააკაშვილის მხრიდან შესაძლოა, მერაბიშვილის წინააღმდეგ განხორციელებული შეტევის საფუძველი მაინც გამხდარიყო. ასეა თუ ისე, თბილისში დაბრუნებულ მერაბიშვილს მეტად უსიამოვნო სიურპრიზი დახვდა.

მოსასმენი აპარატურა ჯერ „საქართველოს გზის“, შემდეგ „კონსერვატორების“ მთავარ ოფისებში, ბოლოს კი „ალიანსი საქართველოსთვის“ ისნის ოფისში აღმოაჩინეს. და ყველაფერი ეს ელვისებური სისწრაფით, 24 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში, განვითარდა. ერთი ან რამდენიმე შესამოწმებელი ხელსაწყოს არსებობის პირობებში ეს, მართლაც, რომ რეკორდული მაჩვენებელია, ყველა ოფისის შემოვლა დროის ასე მცირე მონაკვეთში ძნელი წარმოსადგენია. მაგალითად, „ალიანსი საქართველოსთვის“ ორ პარტიას და ალასანიას გუნდს აერთიანებს, პარტიებს განვითარებული ინფრასტრუქტურა აქვს და ოფისების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან. ამგვარად, არსებობის უფლება სხვა ვერსიებსაც უჩნდება: **1) ადგილი ფანტასტიკურ გამართლებას ჰქონდა; 2) სალომე ზურაბიშვილის შტაბბინაში მომხდარის შემდეგ პარტიების მრავალრიცხოვან ოფისებში ერთდროულად დაიწყო ელექტროხელსაწყოების დემონტაჟი და უშუალო დათვალიერება; 3) აპარატურა სათანადო ადგილებში თავად ოპოზიციონერებმა მოათავსეს; 4) ვიღაცამ სისტემის შიგნიდან წინასწარ მიაწოდა ოპოზიციონერებს ინფორმაცია, თუ რა ადგილები უნდა დაეთვალიერებინათ.**

თუმცა მთავარი ამ შემთხვევაში ის ეფექტია, რომელიც ყოველივე ამას მოჰყვა. მერაბიშვილი და მისი უწყება კონცენტრირებული იერიშის ქვეშ მოექცა, „კონსერვატორების“ ოფისში უსაზღვროდ აღშფოთებული ომბუდსმენის და უცხოელი დამკვირვებლების თანდასწრებით ხმაურიანი პრესკონფერენცია ჩატარდა, სადაც მერაბიშვილის გადადგომა მოითხოვეს. მომდევნო კომენტარებში უმრავლესობა საყვარელ მინისტრს, ერთი შეხედვით, არცთუ დიდი თავგამოდებით იცავდა. არასაპარლამენტო (გარეული) ოპოზიცია მერაბიშვილის ჩვეული ოპონენტია. ამგვარად, უფრო საინტერესო იყო, თუ რას იტყოდნენ საპარლამენტო (შინაური) ოპოზიციის წარმომადგენლები, რადგან ხშირად ისინი, ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, იმ ინიციატივებს ახმიანებენ, რომლის წამოყენება სააკაშვილს გარემოებების გამო არ შეუძლია.

**„ქრისტიან-დემოკრატებმა“ მოითხოვეს მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელიც, ნიკა ლალიაშვილის თქმით, „კონტროლს გაუწევს შსს-ს სპეციფიურ საპოლიციო მოქმედებებს, რომელიც პოლიტიკურ პროცესს ეხება, ძირითადად, კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას“. გიორგი თარგამაძემ კი კონტროლის სფეროს არეალი უფრო ფართოდ გაშალა: „უნდა ჩამოყალიბდეს მონიტორინგის მექანიზმი, რაც შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას შსს-ს მიერ წარმოებულ საქმიანობაზე“.**

მიუხედავად იმისა, ვინ რას ფიქრობს ქრისტიან-დემოკრატებზე და მათ უკან მდგომ ძალებზე, წინადადება დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით აშკარად პროგრესულ ხასიათს ატარებდა. ვინ წავიდა მის წინააღმდეგ? შეიძლება გაგვიკვირდეს, მაგრამ ეს ირაკლი ალასანიას თანამებრძოლი დავით უსუფაშვილი იყო: **„პარლამენტში უკვე არსებობს აღმასრულებელ ორგანოებზე მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურა და, საინტერესოა, ის რატომ არ ფუნქციონირებს? კარგი იქნებოდა, „ქრისტიან-დემოკრატებმა პარლამენტში შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაიბარონ და პირადად ჰკითხონ, რატომ გახდა ამ სტრუქტურის ამოქმედება პრობლემა? ჯერ მერაბიშვილისგან მოისმინონ შესაბამისი განმარტება და მხოლოდ შემდეგ შესაძლებელი იქნება საუბარი ახალი მონიტორინგის ჯგუფის შექმნაზე“(GHN).**

უცნაური სურვილია, შს სამინისტროზე და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტზე, რომელთანაც ოპოზიციურ პარტიებს ყველაზე მეტი პრეტენზია დაუგროვდათ, კონტროლის საჭირბოროტო საკითხი დროებით გადაამისამართო საპარლამენტო ჭაობში, სადაც იგი, იმ დეპუტატების მონადინებით, რომელზეც მერაბიშვილს გავლენის ბერკეტები აქვს, დროებით მაინც ჩაიძირება. ალბათ, ამ განცხადებაში საკვანძო სიტყვებია „ჯერ“ და „მხოლოდ შემდეგ“, როგორც ჩანს, უსუფაშვილს და „ალიანსს საქართველოსთვის“, რომელიც, ერთი შეხედვით, ფარული მოსმენების ისეთივე მსხვერპლი გახდა, როგორც სხვა ოპოზიციური პარტიები, რაღაცისთვის სჭირდება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შსს-ს გაუმჭვირვალობას არანაირი, თუნდაც, მცირედი, საფრთხე დაემუქროს და მის მუშაობაში შეფერხება არ მოხდეს; მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მინისტრის მოადგილე სალომე ზურაბიშვილი გახდებოდა. საგულისხმოა, რომ მისთვის პოსტის შეთავაზების ინიციატივა სააკაშვილისგან მოდიოდა. უსუფაშვილის ქცევას კი ისევ ვაშინგტონის მიერ „ნაკურთხი“ საიდუმლო კავშირის იდეასთან მივყავართ, რომელზეც ზემოთ და გაზეთის წინა ნომერში ვისაუბრეთ.

თუ ქრისტიან-დემოკრატების წამოწყება სააკაშვილთან შეთანხმებული იყო, სავარაუდოდ, მას სჭირდება მერაბიშვილზე კონტროლის დამატებითი მექანიზმი; ამდენად, იზრუნებს იმაზე, რომ მონიტორინგის ჯგუფს ფართო უფლებები ექნეს. ასეთ ვითარებაში საჭიროების შემთხვევაში მერაბიშვილის მიყვანა გადადგომამდე, რომელიც მთელი საზოგადოების, მმართველი ჯგუფის და უცხოელი კურატორების თვალში ლოგიკური და ლეგიტიმური იქნება, გაცილებით იოლად მოხერხდება. დღეს კი დაუფიქრებელი იერიში მასზე სააკაშვილისთვისაც კი შეიძლება ცუდად დასრულდეს.

**საგულისხმოა, კიდევ ერთი „შინაური“ ოპოზიციონერის — ჯონდი ბაღათურიას განცხადება, რომელმაც საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით შსს-ს ფუნდამენტური რეფორმის აუცილებლობაზე ისაუბრა. თუ ასეთი მასშტაბის რეფორმა განხორციელდება, მერაბიშვილი ვერც ქვეყანაში, ვერც უწყებაში რეალურად ველარაფერს გააკონტროლებს. ჯამში, სახეზე გვაქვს სწრაფად აგორებული შეტევა ფართო ფრონტით, სადაც თითქმის თითოეულ ქართველ პოლიტიკოსს თავისი მისია აკისრია. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ხედავენ თუ არა ისინი მთელ სურათს — მთავარი შედეგია.**

ამასთან, კახა თარგამაძემ ისედაც დამძიმებულ ვითარებას პოლიტიკოსებზე მოსალოდნელი თავდასხმების თემა შემატა. ნებისმიერ ტერორისტულ აქტს საქართველოში ვითარების კარდინალური შეცვლა შეუძლია: ოპოზიციონერი ლიდერის წინააღმდეგ მიმართულმა აქციამ შეიძლება მართვადი ან სულაც უმართავი სახალხო ამბოხი გამოიწვიოს; შს მინისტრის წინააღმდეგ მიმართულ აქციას შეიძლება მოჰყვეს საგანგებო მდგომარეობის შემოღება და სამინისტროს ხელისუფლების სხვა ფავორიტის ხელში გადასვლა; პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულს კი — ხელისუფლების ძირფესვიანი გადაფორმატება და განაწილება შეთქმულებაში მონაწილე ძალებს შორის. საქართველოს ამ გზით სიარული კარგს არაფერს მოუტანს. ღმერთმა ყველა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ, სასურველია, — მაღალი პოსტებიდან შორს. შესაძლოა, კახა თარგამაძე რაიმე საიდუმლო ინფორმაციას ფლობს ან ვინმეს მესიჯს ახმიანებს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ იგი, უბრალოდ, კარგად „კითხულობს“ სიტუაციას და ხედავს, რომ ჩვეულებრივი პოლიტიკური მეთოდების გამოყენება საქართველოში აღარ მუშაობს. ამ შემთხვევაში კი ბრძოლა ხელისუფლებისათვის ყველგან და ყოველთვის ფატალურ, საზოგადოებისათვის მიუღებელ ფორმებს იღებს.

ვითარების ანალიზის დროს ის გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შესაძლოა, ადგილი აქვს, ზოგი გამოცდილი პენსიონერი რომ იტყვის — „ფიქტიური ოპერატიული კონტექსტის შექმნას“ და ყოველივე ეს ხელისუფლების შიგნით გაჩაღებული ბრძოლა კი არა, მისი იმიტაციაა, რომლის მიზანია, ოპოზიცია და მის უკან მდგომი საპროტესტო ელექტორატი მისთვის უნაყოფო თამაშებსა და ილუზიებში ჩაითრიოს, დრო და ენერგია დაახარჯვინოს და, ბოლოს, მშრალზე დატოვოს.

გიორგი გიგიბერია

## ჯო ბაიდენის გამოსვლამ აიათოლა ჰამენეი განარისხა



**ირანის უმაღლესმა ხელმძღვანელმა აიათოლა ალი ჰამენეიმ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა და ამგვარად გასცა პასუხი ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის გამოსვლას, როცა ამ უკანასკნელმა, ფაქტობრივად, გაამართლა ისრაელის ირანზე თავდასხმა. ჰამენეის თქმით, ირანი ინტერვენციის ნებისმიერ მცდელობას გადამწყვეტ პასუხს გასცემს.**

„ვაფრთხილებთ იმ ქვეყნების ლიდერებს, რომლებიც შექმნილი სიტუაციის გამოყენებას აპირებენ, — განაცხადა ჰამენეიმ, რომელიც შექმნილ სიტუაციაში ირანის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს გულისხმობდა, — ქედმაღალი ქვეყნების ლიდერებმა, რომლებიც მომაბეზრებლად ერევიან ისლამური რესპუბლიკის საქმეებში, უნდა გაიგონ: თუნდაც ირანელ ხალხში განხეთქილება იყოს, თქვენი ბოროტი ჩარევის წინააღმდეგ ხალხი გაერთიანდება და წინ აღგიდგებათ“. „ისრაელი სუვერენული ქვეყანაა და დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვიტოს, ირანისა თუ სხვა რომელიმე ქვეყნის მიმართ როგორი ქმედება შეესაბამება ყველაზე მეტად მის ინტერესებს, — განაცხადა ბაიდენმა 5 ივლისის სატელევიზიო გამოსვლისას, — მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა ჩვენ, მათ უფლება აქვთ, ეს გააკეთონ. ჩვენ არ შეგვიძლია, სხვა სუვერენულ სახელმწიფოს ვუკარნახოთ, როგორ მოიქცეს, როდესაც თავად თვლის, რომ მისი არსებობა საფრთხის ქვეშაა“. 6 ივლისს ირანის პარლამენტის სპიკერმა ალი ლარიჯანიმ განაცხადა, რომ, თუ ისრაელი მათ თავს დაესხმება, ირანის ხელისუფლება ამ ფაქტზე პასუხისმგებლობას შეერთებულ შტატებს დააკისრებს. იმავე დღეს ვაშინგტონის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ვიცე-პრეზიდენტის სიტყვები განემარტა. სხვათა შორის, ბაიდენმა უკვე არა ერთხელ მოხერხა სახიფათო ტექსტებით გამოსვლა, ამჯერად აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი იენ კელი ირწმუნებოდა, რომ ბაიდენის სიტყვები ისრაელისათვის „მწვანე შუქის“ ანთებას არ ნიშნავდა. თავად ისრაელში კი ეს სწორედ ამგვარად გაიგეს.

The Times

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# პოლონური პრომეთეიზმი და ქართული მსუბუქი ყოფაქცევა

**თბილისის ცირკის მიმდებარე ტერიტორიიდან პრომეთეს ქანდაკება აიღეს. ამ ძეგლის დადგმის, ისევე, როგორც მისი დემონტაჟის, მიღმა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სერიოზული პოლიტიკური გათვლა გაკეთდა, რომლის შესახებ საზოგადოება ინფორმირებული ნაკლებად იყო. როგორ მოხვდა მითოლოგიური გმირი ამ გაუგებრობის შუაგულში?**



2007 წლის ნოემბერში თბილისელი მეძავების თავშეყრის ადგილს პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და მიხეილ სააკაშვილი ეწვივნენ. როგორც საარქივო ვიდეოჩანაწერებიდან ჩანს, გოგონებმა მაშინ გარიდება ამჯობინეს. გაკვირვებული მათი მუდმივი კლიენტებიც იყვნენ, როდესაც შორიდანვე, ძველი ნაცნობების ნაცვლად, ორი მამაკაცი დაინახეს, ერთი — ჩასუქებული და მეორე — მაღალი, ოდესღაც სიმპათიური, იქვე კარგ კოსტუმებში გამოწყობილი კუნთმაგარი ბიჭებიც ირეოდნენ. ალბათ, ზოგმა სიმწრით გაიფიქრა, რომ ქალაქში ტრადიციული სექსის კიდევ ერთი კერა მოიშალა და ამ ადგილსაც ,,ისინი" დაეპატრონნენ. შორიდან კი დინამიკებით გაძლიერებული, იმ, შედარებით მაღალი, მამაკაცის სიტყვები ესმოდათ:

**„პრომეთე არის სიმბოლო დიდი ტანჯვისა და წამების",** — შესაძლოა, ამ მომენტში ცირკის მიდამოების მუდმივი სტუმრები პანიკამ მოიცვა, რადგან მიხვდნენ, რომ ესენი ,,ისინი" არ არიან და მათ „საძოვრებს" გაცილებით უარესი შემადგენლობა უპირებს დაპატრონებას. ბევრმა მათგანმა დააფიქსირა, რომ შეკრებილთა ნაწილს ქამარზე ხელბორკილები და ხელკეტები ეკიდა და უნიფორმაც ეცვა. ჩასუქებული კაცი მრავალმნიშვნელოვნად ილიმოდა, ვერც გაიგებდი ბოლომდე — სადისტურად თუ მაზოხისტურად, მაგრამ აშკარად — ცუდად. **„მაგრამ, ამავე დროს, სიმბოლოა გამარჯვებისა და გაძლიერების",** — განაგრძობდა მეორე, ოდესღაც სიმპათიური.

ვისაც ძლიერი ნერვები აღმოაჩნდა და შეძრწუნებისგან თამარ მეფის ხიდიდან მაშინვე მტკვარში არ გადახტა, ვითარებაში გარკვევას ცდილობდა. ოპტიმისტები იმედოვნებდნენ, რომ ეს, უბრალოდ, ცირკის თანამშრომელთა მიტინგი იყო, რომელიც ორ კლოუნს მიჰყავდა, მით უმეტეს, რომ ერთი დაბალი და მსუქანი, ხოლო მეორე მაღალი, მაგრამ ახლა ტანწერწეტა თუ არა, ოდესღაც გამხდარი ნამდვილად იქნებოდა, ჯამბაზების წყვილად კი სწორედ რომ გამოდგებოდნენ.

მაგრამ აქვე პესიმისტებიც იყვნენ. ისინი არ ეთანხმებოდნენ და სავსებით სამართლიანადაც. ქანდაკება, რომელიც ამ ორმა, ე. წ. კლოუნმა, როგორც ჩანს, თან მოიტანა, ერთი შეხედვით, მიმდინარე შეკრების როგორც სექსუალურ, ისე გარკვეული კუთხით გადახრილ ხასიათს, ხაზს ერთმნიშვნელოვნად უსვამდა.

საუნაში შუქი რომ ჩაქრება და ზეწრებში გახვეული კლიენტები სანთლებით და იმპროვიზებული ჩირაღდნებით ხელში გარეთ რომ გამორბიან, — ქანდაკება, როგორც ჩანს, მამაკაცური ცხოვრების სწორედ ამ დაუვიწყარ მომენტზე მიანიშნებდა. მაგრამ ძეგლის პირველი დამთვალიერებლები ვერ ხვდებოდნენ, სად არის ქალი, რომელიც, ლოგიკით, ზეწარში გახვეული არ უნდა ყოფილიყო, რადგან ერთადერთი ზეწარი ნომერში სწორედ ამ მამაკაცმა წაართვა. ძლიერ მოწადინებულები მიმდებარე კლდეზეც კი აძვრნენ და ქალის ძებნაში გვარიანად იხეტიალეს, მაგრამ ამაოდ.

შფოთვამ პიკს მიაღწია და საღამოსკენ სათანადო სამსახურებმა საგანგებოდ გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ ეს არ იყო მამაკაცი საუნიდან, არამედ — პრომეთე, რომლის ძეგლი, არც მეტი, არც ნაკლები, ლეხ კაჩინსკიმ და მიხეილ სააკაშვილმა გახსნეს. დრო გავიდა და ცირკის მიმდებარე საზოგადოება პრომეთეს მიეჩვია. გადმოცემით, გოგონები მას მოფერებით ,,ოქრო-ბიჭს" ეძახდნენ და ცეცხლოვან სიზმრებში ხედავდნენ, სუტენიორები კი ძღვენს სწირავდნენ და წყალობას სთხოვდნენ. ძველი თბილისელების აზრი კი, რომელთაც ცხვირწინ ეს განსახიერებული კოშმარი დაუდგეს, როგორც ყოველთვის, არავის აინტერესებდა.

და მაინც, რატომ პრომეთე და არა ტრადიციული ამირანი? რა კავშირი აქვს ამ ძეგლთან პოლონეთს და მის პრეზიდენტს? რა პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა ძეგლის გახსნას?

ციტატა „ვიკიპედიიდან": **„პრომეთეიზმი — პოლიტიკური პროექტი, რომელიც პოლონელმა ნაციონალისტმა, რევოლუციონერმა, პოლონეთის მომავალმა დიქტატორმა იუზეფ პილსუდსკიმ წარმოადგინა. პროექტი მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიის, შემდგომში კი საბჭოთა კავშირის დასუსტებას და დანაწევრებას მათ ფარგლებში მცხოვრები არარუსი ხალხების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მხარდაჭერის გზით. 1926 წელს პარიზში დაფუძნდა ორგანიზაცია „პრომეთე", რომელშიც შევიდნენ აზერბაიჯანის, დონის კაზაკების, საქართველოს, იდელ-ურალის, ინგრიის, კარელიის, კომის, ყირიმის, ყუბანის, ჩრდილოეთ კავკასიის, თურქესტანის და უკრაინის წარმომადგენლები. ამ მოძრაობაზე მუშაობდა ვარშავის „აღმოსავლეთის ინსტიტუტი" და აღმოსავლეთ ევროპის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ვილნაში. პოლონური პრომეთეიზმის მოკლე ისტორია 1940 წლის თებერვალში გამოაქვეყნა ედმუნდ ხოროშკევიჩმა, პოლონეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცერმა, რომელიც ამ პროგრამას მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე კურირებდა. ხოროშკევიჩი წერდა, რომ კონცეფციის შემქმნელი და სულისჩამდგმელი იყო მარშალი პილსუდსკი, რომელიც 1904 წელს (რუსეთ-იაპონიის ომის დროს) იაპონიის მთავრობისადმი გაგზავნილ მემორანდუმში რუსეთთან ბრძოლაში მრავალრიცხოვანი არარუსი ერების გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებდა და ყურადღებას პოლონელებზე ამახვილებდა, რომლებიც საკუთარი ისტორიიდან თავისუფლებისადმი სიყვარულიდან და უკომპრომისობიდან გამომდინარე უეჭველად დაიკავებენ წამყვან პოზიციებს და რუსეთის მიერ დაპყრობილ სხვა ერებს გათავისუფლებაში დაეხმარებოდნენ".**

დღევანდელი პოლონეთის პოლიტიკური სპექტრის ნაწილი, მათ შორის, ლეხ კაჩინსკი, ამ იდეებიდან, პრინციპში, არც ისე შორს დგას; უბრალოდ, მემორანდუმები ამჟამად ტოკიოს ნაცვლად ვაშინგტონში იგზავნება, ხოლო ბრძოლას უფრო დახვეწილი ფორმები აქვს. მიხეილ სააკაშვილის მიერ 2005-ში პრომეთეს ძეგლის გახსნა პოლონეთის პრეზიდენტთან ერთად, სავარაუდოდ, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა იმაზე, რომ საქართველო იზიარებს პრომეთეიზმის განახლებულ კონცეფციას და ბრძოლაში პოლონეთთან ერთად ებმება. ეს გაცილებით სერიოზული გამოწვევა იყო მოსკოვისათვის, ვიდრე საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის გახსნა, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც წარსულს და მის ერთ დიდ ეპიზოდს უკავშირდება. პრომეთეს ძეგლი პრომეთეიზმის კონცეფციის შესაბამისად განასახიერებდა მუდმივ ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მისი დაშლისკენ იქნებოდა მიმართული. სავარაუდოდ, კრემლში ეს გზავნილი ძალიან კარგად გაიგეს და სათანადო დასკვნებიც გამოიტანეს.

სააკაშვილს, როგორც ჩანს, სიყმაწვილეში ქუჩაში არ უჩხუბია და, შესაბამისად, ერთი მარტივი რამ ვერ გაუგია, თუ დარტყმას აპირებ, პირველად (სასურველია, მეორედაც) ხელის დემონსტრაციული მოქნევის გარეშე, სწრაფად და ზუსტად უნდა დაარტყა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე შენზე გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან გაქვს. ინიციატივის ხელში ჩაგდებისა და გამარჯვების შანსი მხოლოდ ამ შემთხვევაში გექნება. პრომეთეს ძეგლის გახსნა და სხვა მსგავსი ეპიზოდები კი სწორედ ხელების დემონსტრაციულ ქნევას ჰგავდა, რომელსაც მოწინააღმდეგის მხრიდან უძლიერესი დარტყმების სერია, ნოკაუტი და მიწაზე ცნობილი ხოხვა მოჰყვა.

როდესაც, თუნდაც სიმბოლიკის დონეზე, იზიარებ კონცეფციას, რომელიც მეზობელი სახელმწიფოს დაშლის ხელშეწყობას გულისხმობს, არ უნდა გაგიკვირდეს, როდესაც ის სახელმწიფო იგივეს დაგიპირებს, ოღონდ არა სიმბოლურ, არამედ რეალურ სივრცეში.

ძეგლის აღება კი, სავარაუდოდ, ჯდება იმ „უტყვი კაპიტულაციის" ლოგიკაში, რომელზეც ხშირად საუბრობენ ადგილობრივი დამკვირვებლები და რომელიც რუსეთისთვის სტრატეგიული ობიექტის ფარულ გადაცემას, საკვანძო პოზიციებიდან (მამისონი) უკანდახევას და სხვა დათმობებს გულისხმობს, ამის სანაცვლოდ რეჟიმი თბილისში თითქოს და ხელუხლებელი უნდა დარჩეს. რა თქმა უნდა, პრომეთეს ძეგლი მხოლოდ სიმბოლოა, მაგრამ მისი დემონტაჟი გარკვეული კუთხით შეიძლება განვიხილოთ, როგორც უარი მოქმედებაზე ,,პრომეთეიზმის" განახლებული კონცეფციის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, ეს უგემოვნო ქანდაკება საკმაოდ მნიშვნელოვანი გზავნილის დატვირთვას იძენს.

საგულისხმოა, რომ, როდესაც „ინტერპრესნიუსი" ძეგლის აღებასთან დაკავშირებით კომენტარზე თბილისის მერიას დაუკავშირდა, იქ განუცხადეს, რომ **„ძეგლი თავის დროზე საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაიდგა და ამიტომ მის დემონტაჟთან მერიას კავშირი არ აქვს".** ძალზე უსუსური პასუხი ჩანს, რადგან, წესით და რიგით, მერიას ქალაქში ყველა მნიშვნელოვანი ობიექტის, მითუმეტეს, მის ცენტრში მდებარე ძეგლის დადგმა-აღებასთან პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს. ნუთუ ხვალ ,,საქართველოს მთავრობის ინიციატივით"



**მიჯაჭვული ამირანი, უკაცრავად, აღვირახსნილი პრომეთე ახლა უკვე ბორჯომელებს შეაძრწუნებს**

## მერიის შენობასთან გაურკვეველმა პირებმა თაბაშირის თვრამეტმეტრიანი ფალოსი რომ დადგან, შემდეგ დაშალონ და ოცდასამმეტრიანი ბრინჯაოს ფალოსი აღმართონ

**(ზომებში შეიძლება ვცდებოდე, მთავარია, დაფაროს ხედი უგულავას კაბინეტის ფანჯრებიდან)**

## მერიას ამასთან არანაირი კავშირი არ ექნება?

შემდეგ ვითარება უფრო მხიარული გახდა: **„ინტერპრესნიუსი შეეცადა, გაერკვია, ვისი ბრძანებით აიღეს საკმაოდ დიდი ზომის სკულპტურა ქალაქის ცენტრიდან, თუმცა მთავრობის კანცელარიის, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და კულტურის სამინისტროს პრესსამსახურებში ამის შესახებ ინფორმაციას არ გააჩნიათ".** ეს გარემოება ბადებს ეჭვს, რომ გადაწყვეტილება ვიწრო წრეში მიიღეს და ჩვეულებრივი პროცედურების გვერდის ავლით სწრაფად განახორციელეს. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი? საქმე ისაა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მრავლად არიან პირები, რომლებიც თვლიან, რომ ქვეყანამ ნებისმიერ ფასად უნდა შეინარჩუნოს რუსეთთან მწვავე დაპირისპირებაზე მიმართული კურსი, რომელსაც პრომეთეიზმის მოდერნიზებული კონცეფცია ითვალისწინებს. თუ ძეგლის დემონტაჟი ჩვეულებრივი პროცედურების დაცვით განხორციელდებოდა და, შესაბამისად, გარკვეულ დროს დაიკავებდა, ისინი პროცესის დაბლოკვას შეეცდებოდნენ.

ძეგლი, სავარაუდოდ, ბორჯომის პარკში გადაინაცვლებს და მიჯაჭვული ამირანი, უკაცრავად, აღვირახსნილი პრომეთე ახლა უკვე ბორჯომელებს შეაძრწუნებს. ბორჯომის პარკი თბილისის ცენტრი არ არის და ძეგლს იქ (ღამე, მოწმეების გარეშე) უცებ რამე რომ შეემთხვეს, ალბათ, არც არავის გაუკვირდება. რას იზამ, ეს შეიძლება პოლიტიკურმა კონიუნქტურამ მოითხოვოს. სულ რამდენიმე წელიწადში კი პრომეთე მხოლოდ ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსეირნე გოგონებს თუ გაახსენდებათ, ისიც მხოლოდ ძალიან თამამ სიზმრებში.

**ლაშა გიორგიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ოღონდ ქვეყანამ, ერმა ჩემმა არ მიღალატოს...

**ეს ტაეპი „უცნობის“ ერთ-ერთი ლექსიდანაა, რომელიც ღამის რეფრენად იქცა 26 მაისის გრანდიოზული აქციის წინ. ზოგადად გია გაჩეჩილაძის პოეზიის და კონკრეტულად ამ ლექსის მხატვრული ღირებულების შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. აი, წერილის სათაურში გაჟღერებული ამბიციის გამო კი... აკაკის უფრო მეტიც გაუბედავს: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!“ ანდა ილიას: „ჩვენისთანა ბედნიერი...“, მაგრამ ერთი — საქართველოს ბულბულად, მეორე უგვირგვინო მეფედ შერაცხა ერმა. აქედან, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულად ჟღერს „უცნობის“ ამბიცია, რომ მას არ უღალატოს საკუთარმა ხალხმა. „უცნობის“ სიდიდის და მნიშვნელობის მოღვაწეებს უფრო ის შეჰფერით, რომ საკუთარ თავს დაავალონ სამშობლოს ერთგულება და არა პირიქით.**



26 მაისს გადავსებულ სტადიონზე იქნებ ისეთებიც იყვნენ, ვინც პირადად „უცნობის“ მიმართ ერთგულების დასამტკიცებლად მივიდა იქ, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ათიათასობით ქართველის უმეტესობამ საკუთარ ერს და სამშობლოს დაუმტკიცა ერთგულება.

საყოველთაო ამაღლებული განწყობის ფონზე, იმ დღეს სტადიონზე რომ სუფევდა, რბილად რომ ვთქვათ, შეუსაბამო, ბევრისთვის შეურაცხმყოფელიც იყო „გრეჩიხას“ ხელში ატაცებული შემოყვანა, თითქოს ქართველი ერის მხსნელი მესია ყოფილიყო და არა ერთი, უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი შოუმენი; დიახ, შოუმენი და არა მომღერალი. მომღერლობამდე, ისევე, როგორც პოეტობამდე, ბევრი უკლია, რადგან საქართველო პოეზიისა და სიმღერის ქვეყანაა, რომლის ბუმბერაზ წარმომადგენელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

შოუს ბუნებრივ გაგრძელებად გამოჩნდა ისიც, თუ როგორ დაიჩოქა ეროვნულ დროშაზე. იმედს ვიტოვებ, რომ „უცნობის“ ხელში ატაცებული შემოყვანა მის უნებურად მოხდა, ხოლო დროშაზე დაჩოქება როლში შესული შოუმენის იმპულსური იმპროვიზაცია იყო. მიკროფონთან მისულმა „უცნობმა“ სააკაშვილი დამთავრებულად გამოაცხადა, ხოლო რა უნდა გვეკეთებინა შემდეგ, მიტინგის ბოლოს გეტყვითო, დაგვპირდა!..

### 26 მაისი – გამარჯვება თუ მარცხი?

ალბათ, — ერთიც და მეორეც. გამარჯვება ქართველი ხალხისა, რომელმაც იმ დღეს მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ უკეთეს აწმყოსა და მომავალს იმსახურებს და მარცხი ოპოზიციის, რადგანაც გამოჩნდა, რომ ხელისუფლებასთან ერთად უკეთეს ოპოზიციასაც ვიმსახურებთ.

პატრიარქი დააშანტაჟეს! — აცხადებდნენ იმ საღამოს ოპოზიციის ლიდერები. 28 მაისს კი გამოჩნდა, რომ თუ პატრიარქის დაშანტაჟების მცდელობას ხელისუფლების მხრიდან ჰქონდა ადგილი, იგივეს თქმა ოპოზიციაზეც შეიძლება. აბა, სხვა რა იყო, თუ არა შანტაჟი ათასობით კაცის სამებაში მიყვანა?

ნუთუ ოპოზიციას იმედი ჰქონდა, რომ პატრიარქი გამოვიდოდა და სააკაშვილის დამხობისკენ მოუწოდებდა მრევლს? ოპოზიციის მიერ სამებაში ხალხის მიყვანა სხვისი ხელით ნარის გლეჯის მცდელობას ჰგავდა, ანუ შესაძლო სისხლისღვრაზე პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ასეთი ქცევით ოპოზიციამ ხალხს იმედები უკვე მერამდენედ გაუცრუა.

**„კბილებს გაცდენილ სიტყვას, ქამანდითაც ვერ დაიბრუნებ“.**

**სად არის ახლა გია გაჩეჩილაძე და მისი დანაქადნი: „სანამ მიშა იქნება, საკანში ვიჯდები?!“ როგორც ამბობენ, გერმანიაში — ჰაიდელბერგის ათიოდე კლინიკიდან ერთ-ერთში.**

**ერთ რამეში დარწმუნებული ვარ — სადაც უნდა იყოს „უცნობი“, ალბათ, საკუთარ თავს საყვედურობს: ეს რა „ვჭამე“, რამ მათქმევინა ის, რაც ვთქვიო!.. მიშა რომ არსად წასვლას არ აპირებს, ეს „უცნობმა“ კი არა, პატარა ბავშვმაც იცის.**

ზაფხულში, როცა საკანში ჯდომას კაი კურორტზე „ლივლივი“ და „სექსი პლაჟზე“ რომ სჯობია, ცხადია. ასევე, ცხადია, რომ, როცა კაცი ისეთ რამეს შეეჭიდები, რაც „უცნობმა“ ითავა, როცა ამის გამო ამდენი ხალხის სიყვარულს მიიღებ, საკუთარ სიტყვას მეტი ფასი უნდა დაადო და ან უნდა შეასრულო, ან მოკვდე. მართალია, ბევრი დადებითი იმპულსი მოდიოდა საკანი №5-დან, ის ნაბიჯიც გვახსოვს, როცა პოლიციის ეზოში ისკუპა, მაგრამ სწორედ ამიტომ არანაირი გამართლება და ახსნა არ აქვს საკნის, თუნდაც, სამკურნალოდ მიტოვებას, თუნდაც, იმიტომ, რომ ახლა სრული მორალური უფლება მიეცა გივი თარგამაძეს, სამაგიერო მიუზღოს „უცნობს“ და პირმოკუმულად იყვიროს:

გიააააა! გიააააა! გიააააა!

**დავით მხეიძე**

**P.S. ეს წერილი თვეზე მეტია, რაც უჯრაში მედო, რადგან მავანთა რჩევით ადრე არ გამოვაქვეყნე — „საერთო მდგომარეობას“ გააფუჭებ, ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასაო“. ჰოდა, მკითხველმა განმსაჯოს, თქმა სჯობდა თუ დუმილი, ისიც მკითხველმა განსაჯოს, თუ ვინ გააფუჭა „საერთო მდგომარეობა“. ღმერთია მოწამე, მე „მოყვარეს პირში უძრახე“ მაქვს მხოლოდ მიზნად.**

**ისიც გაუგებარია, თუ რატომ არის გასაიდუმლოებული „უცნობის“ ადგილსამყოფელი. რა ვქნათ ახლა მისმა „ფანებმა“, ვიმღეროთ — პატარა ბიჭი დაგვეკარგა თუ ველოდოთ, სანამ სპეცსამსახურები სადმე „დაასტუკებენ“ და შესაბამისი კომენტარებით გვიჩვენებენ „უცნობის“ მკურნალობის ამსახველ ვიდეოკადრებს?**

**არ ვიცი, არ ვიცი, კითხვები საკმარისზე მეტია. ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება — რაღაც უნდა შეიცვალოს ან ოპოზიციის ტაქტიკაში, ან თავად ოპოზიციაც ისევე შესაცვლელი გვყავს, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება.**

# პოლიციური „ნოუ-ჰაუ“ ხობში

**პოლიციელთა აპრობირებული მეთოდია იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ჩადება მათთვის „საინტერესო“ ადამიანების ავტომანქანებსა თუ ჯიბეში. ამჯერად მათ დაკავების ახალ მეთოდს მიმართეს.**




ხობის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს „ალიანსი საქართველოსათვის“ და „ახალი მემარჯვენეების“ ხობის შტაბისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხობის საკრებულოს წევრი, ყულევის ტერმინალის ოპერატორი ედიშერ ჯობავა. დაკავების შემდეგ იგი სახალხო დამცველის რწმუნებულმა ბაგრატ ქირიამ მოინახულა და ახსნა-განმარტებაც ჩამოართვა. „ვარ „ალიანსი საქართველოსათვის“ შტაბის უფროსი და „ახალი მემარჯვენეების“ ხელმძღვანელი ხობში, ასევე ხობის საკრებულოს ერთადერთი ოპოზიციონერი დეპუტატი. აქტიურად ვმონაწილეობ საპროტესტო აქციებში და ხობის საკრებულოს მუშაობაში. ვაპირებდი საკრებულოში ფრაქციის შექმნას, რამაც ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია. გარდა იმისა, რომ ვეწევი პოლიტიკურ საქმიანობას, ვმუშაობ ყულევის ნავთობტერმინალში.

მაშინ, როდესაც ვბრუნდებოდი, სოფელ შუა ხორგასთან სამსახურის მიკროავტობუსს წინ გადაუდგნენ პოლიციელები. მათ ხელმძღვანელობდა პოლიციის უფროსი კობა ხუბულავა. გადმომიყვანეს ავტობუსიდან და გამჩხრიკეს. იარაღს ეძებდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერაფერი აღმომიჩინეს. ამაზე გაბრაზდნენ პოლიციელები, მაგრამ მაინც წამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. იქ ყოფნის პერიოდში მომწყურდა და წყალი მოვითხოვე. დავლიე პოლიციელების მიერ მოტანილი წყალი. ამის შემდეგ წამიყვანეს შემოწმებაზე და დადგინდა, რომ აღმომიჩნდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერება. არადა, ნარკოტიკული ნივთიერება არასოდეს მიმიღია. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული ნივთიერება ჩემს ორგანიზმში მოხვდა პოლიციის შენობაში მიღებული წყლის საშუალებით. ჩემთვის უცნობია, რა წერია დაკავების ოქმში, ვინაიდან ხელი მომაწერინეს ცარიელ ფურცლებზე, რადგან ვიმყოფებოდი ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ“, — აცხადებს ედიშერ ჯობავა.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა ბაგრატ ქირიამ მასალები სოზარ სუბარს — სახალხო დამცველს გადაუგზავნა.

# ზუგდიდელი პროფესორების მეორე წრე სასამართლოებში

**განათლების რეფორმის შედეგად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი ჯერ ზუგდიდის საგანმანათლებლო დაწესებულებად, ხოლო შემდეგ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტად გადაკეთდა. ამ რეფორმების პროცესში აღნიშნულ სასწავლებლებს ხელმძღვანელობდა თეონა ხუფენია. იგი ამჟამადაც შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელია. ორ წელზე მეტია, მიმდინარეობს დავა და დაპირისპირება ქალბატონ თეონასა და მის მიერ სამსახურიდან დათხოვნილ 25 პროფესორს შორის, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპეტენტურმა კომისიამ სამი წლის ვადით — 2009 წლის 16 ოქტომბრამდე აირჩია.**

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს პროფესორებმა ვაჟა ფაფიამ, მედიკო ჯიქიამ და მალხაზ გოგუამ, მოითხოვეს იმ ხელფასის ანაზღაურება, რომელიც მათ არ მიუღიათ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ ხელშეკრულებების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო.

მოსარჩელეთა განმარტებით — ვაჟა ფაფია და მედიკო ჯიქია 2006 წლის 16 ოქტომბრიდან სამწლიანი ხელშეკრულებების საფუძველზე მუშაობდნენ ასოცირებული პროფესორის, ხოლო მალხაზ გოგუა — ორწლიანი ვადით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობებზე. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თეონა ხუფენიას ბრძანებით 2007 წლის 20 ოქტომბერს პროფესორებთან ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყდა შრომითი ხელშეკრულებები და ისინი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. დაირღვა მათი შრომითი უფლებები, მიადგათ მატერიალური ზიანი. ამიტომაც მოითხოვეს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. ვაჟა ფაფიამ — 10635 ლარის, მედიკო ჯიქიამ — 9461 ლარის და მალხაზ გოგუამ — 3548 ლარის ოდენობით. ვაჟა ფაფიამ ასევე მოითხოვა მის მიერ დეკანის მოადგილის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. მოპასუხემ — შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ვაჟა ფაფიას, მედიკო ჯიქიასა და მალხაზ გოგუას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მათ შეუმცირდათ მოთხოვნილი თანხის რაოდენობა — ინსტიტუტს ვაჟა ფაფიასა და მედიკო ჯიქიას სასარგებლოდ დააკისრა 8008 ლარი — თითოეულს, ხოლო მალხაზ გოგუას სასარგებლოდ კი 1982 ლარის გადახდა. ვაჟა ფაფიას უარი ეთქვა დეკანის მოადგილის შემსრულებლისთვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებაზე.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ამ სასამართლომ გააუქმა ზუგდიდის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მოსარჩელე პროფესორებს კიდევ უფრო შეუმცირა მისაღები თანხის რაოდენობა. სასამართლომ ინსტიტუტს ვაჟა ფაფიასა და მედიკო ჯიქიას სასარგებლოდ — თითოეულისთვის 7664 ლარის, ხოლო მალხაზ გოგუას სასარგებლოდ 1730 ლარის გადახდა დააკისრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. რომელმაც ახლახან გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად ისევ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა. ასე რომ, პროფესორებს უკვე მეორე წრეზე მოუწევთ თავიანთი შელახული უფლებების აღდგენა, თუმცა არც პროფესორებს და არც მათ ადვოკატ გოჩა ფიფიას არ აქვთ სარჩელის დაკმაყოფილების იმედი. „თუ სააპელაციო სასამართლოში არ არის საქმე არსებითად სწორად განხილული, ამ შემთხვევაში უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს, საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნოს სააპელაციო სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს არაფერი დაურღვევია. ამიტომაც უზენაეს სასამართლოს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების გადაწყვეტილება მიეღო. უზენაესი სასამართლო იყო მიკერძოებული. მან ამოცანად დაისახა საქმის ინსტიტუტის სასარგებლოდ გადაწყვეტა, მაგრამ ის ინსტიტუტის სასარგებლო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, რადგან ამ შემთხვევაში შეიქმნებოდა არასწორი სასამართლოს პრეცედენტი. ამიტომ უზენაესმა სააპელაციოს გადაულოცა ინსტიტუტის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება, იმ გაანგარიშებით, რომ სააპელაციო სასამართლო პროფესორების საჩივარს დაუშვებლად ცნობდა. დაუშვებლად ცნობის მეთოდი უზენაეს სასამართლოს გამოყენებული აქვს თეონა ხუფენიას სასარგებლოდ ამავე ინსტიტუტის 12 პროფესორის მიმართ. ამიტომ ეს მეთოდი უკვე აპრობირებულია“, — აღნიშნა ადვოკატმა გოჩა ფიფიამ.

ესეც კიდევ ერთი დადასტურებაა, თუ როგორი „დამოუკიდებელი“ სასამართლო და შერჩევითი მართლმსაჯულებაა ჩვენს ქვეყანაში.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ძველი თბილისის მოსახლეობას სახლებიდან გამოყრა ემუქრება!

**სამშენებლო ბიზნესის სტიმულირების, ისტორიული უბნების რეაბილიტაციისა და თბილისის ძველი უბნების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქალაქის მერმა გიგი უგულავამ ახალი პროექტი წარმოადგინა. აღნიშნული პროექტით სამშენებლო კომპანიებს საშუალება ექნებათ, ავარიული სახლების მობინადრეები დააინტერესონ და შესთავაზონ საცხოვრებელი ფართები მათ მიერ მშენებარე კორპუსებში, რომელთა დასრულებამდე მობინადრეები ძველ ადგილას იცხოვრებენ. ახალ ბინაში გადასვლის შემდეგ კი ძველი საცხოვრებელი სახლები სახელმწიფოს კუთვნილება გახდება. მობინადრეებისა და სამშენებლო კომპანიების შეთანხმების შემთხვევაში შედგება პროექტი, რომლისთვისაც თანხების გამოყოფას სპეციალური კომისია გადაწყვეტს. კომპანიებს მშენებარე სახლების დასრულების დაფინანსებისთვის კი ბანკებთან მერია უშუამდგომლებს.**



**„იმ კომპანიებს, რომლებიც მობინადრეებს ფართით დააკმაყოფილებენ, უპირატესობა ექნებათ, სამშენებლო პროექტები ძველ უბნებში განახორციელონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აუქციონის წესით გაიყიდება“,** — აღნიშნა უგულავამ.

ცალკეულმა სამშენებლო ფირმებმა პროექტის პრეზენტაციამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს ავარიულ უბნებში მცხოვრებლებთან მოლაპარაკება. მაგალითად, „აქსისის“ წარმომადგენელი შეხვდა ვერცხლის ქუჩისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების მობინადრეებს და მათ კომპანიის პირობები გააცნო: **„საკმაოდ პრესტიჟულ უბნებში — ქავთარაძის, დოლაბაურისა და ქეთევან წამებულის ქუჩებზე, ასევე, „ორთაჭალის ტურფაში“ შეგვიძლია, შემოგთავაზოთ ბინები, ფართი — ფართში. ამაზე მეტს არავინ მოგცემთ და თქვენთვისაც უმჯობესია, დათანხმდეთ, რადგან ხვალ-ზეგ, როცა მერიაში თქვენი პრობლემებით მიხვალთ, გეტყვიან, რომ შანსი ხელიდან გაუშვით. ბინებს აღარავინ გაგიმაგრებთ. ამ პროექტის ფარგლებში კი მშენებლობის დასრულებამდე, ორი წლის მანძილზე, ძველ სახლებში იცხოვრებთ. მერე მერია რას უზამს ამ ტერიტორიებს, ეს უკვე თქვენი საქმე აღარ იქნება“.**

მოსახლეობის მხრიდან დიდი ინტერესის მიუხედავად, სამშენებლო კომპანიასთან შეთანხმება ვერ მოხერხდა.

ძველი თბილისის მოსახლეობა ამ ინიციატივამ შეაშფოთა, რადგანაც მათ მოჭრილად სთავაზობენ შეთავაზებულ პირობებზე დათანხმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქუჩაში გაყრით ემუქრებიან.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად თბილისის საკრებულოს წევრს, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ბატონ პაატა ჯიბლაძეს ვესტუმრეთ და გიგი უგულავას ახალი პროექტის ავ-კარგზე ვესაუბრეთ.

**პაატა ჯიბლაძე:** გიგი უგულავას ინიციატივით სამშენებლო ფირმებისთვის სახელმწიფო გარანტიის ქვეშ კრედიტის გამოყოფა მოხდება (სხვადასხვა რაოდენობის თანხაზეა საუბარი). თუ დააკვირდით, პრეზენტაციაზე ხელისუფლებასთან „ჩახუტებული“ სამშენებლო კომპანიების ხელმძღვანელები იმყოფებოდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მერია ისევ საკუთარ ფირმებზე გასცემს თანხებს. ამასთან, ზოგიერთი კომპანია რამდენიმე მშენებლობას აწარმოებს, რომელთა საერთო ღირებულება 15-20 მილიონს შეადგენს. საინტერესოა, ეყოფა თუ არა 5 მილიონი ამ სახლების დამთავრებას? ეს ფულის გაკეთების ძალიან ადვილი ხერხია და დღევანდელი ხელისუფლება ამას შესანიშნავად გამოიყენებს. რაც შეეხება ავარიული სახლების პრობლემას, გეტყვით, რომ, როდესაც მე და ბატონი მიხეილ სააკაშვილი საკრებულოს წევრები ვიყავით, მიშა თამამ განცხადებებს აკეთებდა, რომ შევარდნაძის კლანები, საკუთარი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, არ იყვნენ დაინტერესებულნი ავარიული ბინების პრობლემების მოგვარებით. მან საკუთარი თავის პიარისთვის ტრადიციული სცენაც კი გაითამაშა — მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ავთო ჯორბენაძე საკრებულოში დაიბარა და ახსნა-განმარტებები მოსთხოვა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი მან ეს პროექტი თაროზე შემოდო და უკვე ექვსი წელია, ამ კუთხით არანაირი ძვრა არ ყოფილა. მაშინ, როცა ქვეყანაში სამშენებლო ბუმი იყო, ჩვენი ხელისუფლება მხოლოდ სასწრაფო, ლოკალური ღონისძიებებით შემოიფარგლებოდა. დღეს, როცა უკვე მთავრობა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაშია, ავარიული სახლების პრობლემატიკა მას მორიგი პიარისთვის სჭირდება.

**— სამშენებლო კომპანიები მოსახლეობას ფართს ფართში სთავაზობენ და ეუბნებიან, რომ, თუ უარს იტყვიან შემოთავაზებაზე, მათ ბინებს აღარავინ ჩაუტარებს გასამყარებელ სამუშაოებს. ეს ხომ არ არის ერთგვარად მოსახლეობის კუთხეში მიმწყვდევა?**

— ეს ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული და მის ინტერესებზე მორგებული სქემაა. თუმცა ხელისუფლებას ისეთი კანონიც აქვს მიღებული, რომ, მისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია საკუთარი სახლებიდან გამოყაროს ხალხი, დაუნგრიოს სახლები და პასუხი არ აგოს.

**— ისტორიული უბნების მოსახლეობა თბილისის მერის ბიზნესინტერესებზე საუბრობს. მოქალაქეები აცხადებენ, რომ მათი გასახლება ახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობისთვის სჭირდებათ...**

— მეტსაც გეტყვით, გიგი უგულავას ინიციატივა ძველი თბილისის რაიონის ჩამოყალიბება-ამოქმედებასთან (ის უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს) დაკავშირებით, იმ დროს, როცა ხელისფლება ზედმეტი ჩინოვნიკური აპარატის შემცირებაზე საუბრობს, იმაზე მიუთითებს, რომ მათი მიზანია, მთლიანად გააკონტროლონ პრესტიჟულ უბნებში საცხოვრებელი სახლები და ნაკვეთები. ამ მხრივ მიზანს მიაღწიეს კიდეც. დღეს ხელისუფლებაში მყოფი ათი კაცისგან შემდგარი ჯგუფი მართავს მთელ ბიზნესს. მათ შორისაა დანაწილებული სფეროები. სააკაშვილი ბეჟუაშვილის მეშვეობით მართავს თავის ბიზნესს, მერაბიშვილი ერთ სფეროს კურირებს, ადეიშვილი — მეორეს, ბოკერია — მესამეს, უგულავა — მეოთხეს და ა.შ. საქართველოს მოსახლეობამ კარგად იცის, რომ ხელისუფლება არც ერთ პრობლემას არ მოაგვარებს ისე, თუ საკუთარი ან მისი კლანის რომელიმე წევრის ინტერესები არაა გათვალისწინებული. სწორედ ამიტომ არ სჯერა ხალხს მთავრობის მოგდებული დაპირებებისა.

**P.S. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ძველი თბილისის კოლორიტული უბნები თანდათან ინგრევა და ნანგრევებში იმარხება ბანიანი სახლების ეშხი და სილამაზე. სამწუხაროა, რომ ცალკეული შემთხვევები ფატალურად მთავრდება, თუმცა ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი ის ფაქტია, რომ უგულავას ახალი ინიციატივა სერიოზულ ეჭვს ბადებს იმის თაობაზე, რომ ამ გზით ხელისუფლებას სურს, უარი თქვას ძველი თბილისის მოვლა-პატრონობაზე, „კედელთან მიაყენოს“ საკუთარი მოსახლეობა, უარი ათქმევინოს საკუთრებაზე და ბანიანი სახლების ნაცვლად ბოთლებივით შემინული უგემოვნო შენობები წამოჭიმოს.**

**ნათია ქადაგიშვილი**

# ბიზნესმენის გაყვლეფაში „საქართველოს ბანკიც“ გარიეს

**დღეს მსოფლიოში მძვინვარე ეკონომიკური კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიას და საბანკო სექტორს შეეხო, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოში მოქმედ საბანკო სექტორზე, რადგან მის დასახმარებლად მსოფლიო ბანკმა, დონორმა ორგანიზაციებმა და ჩვენი ქვეყნისადმი კეთილად განწყობილმა სახელმწიფოებმა ათობით მილიონი დოლარი შეაშველეს აქაურ მსხვილ თუ წვრილ ბანკებს და ფიქრობენ, რომ უკიდურეს სიღატაკეში ჩავარდნილ საქართველოს ამით დიდი საქმე გაუკეთეს!**

არახალია, რომ ნახევარ საქართველოს ამა თუ იმ ბანკიდან სესხის სახით ფულადი კრედიტები აქვს გამოტანილი, რომელსაც, ძირითადად, წვრილი ბიზნესისათვის იყენებს. არის შემთხვევები, როცა კერძო პირებს სასწრაფო და გადაუდებელი საქმეებისთვის უცებ სჭირდებათ დიდი თანხა და ბანკიდან ფულის უპრობლემოდ გამოტანის მიზნით საჭირო თანხის საფასურად გარკვეულ ქონებას „დებენ“ გარანტიად!

მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ ბანკისათვის ვალის დაბრუნების შემთხვევაში „ჩადებული“ ქონების პატრონს ქონება ბანკმა უპრობლემოდ უნდა დაუბრუნოს, მაგრამ, როგორც ეტყობა, საქართველოში ასე არ ხდება და მოგახსენებთ, რატომაც...

როგორც „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში თბილისში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე თეიმურაზ თომაძე ყვება, 2004 წლის 29 ივნისს მან „საქართველოს ბანკთან“ ხელშეკრულების საფუძველზე 60 ათასი დოლარი გამოიტანა სესხის სახით, რის უზრუნველსაყოფად ორი ავტომობილი — 2004 წელს გამოშვებული „ლინკოლნ ნავიგატორი“ და ასევე 2004 წელს გამოშვებული „ტოიოტა ფორრანერი“, ბანკის საწყობში გარანტიის სახით „ჩადო“. ორივე ავტომობილის ღირებულება ბანკის აუდიტმა მინიმალურ ფასად შეაფასა და ამ თანხის ოდენობა 80 ათას დოლარად განსაზღვრა!

**„მე, თეიმურაზ თომაძემ, ბანკის სესხის დიდი ნაწილი — 57 000 აშშ დოლარი თვენახევრის დაგვიანებით დავფარე, გადავიხადე, აგრეთვე, ბანკის მიერ მის ხელშეკრულებაში არსებული ჩადებული სანქციები. ეს თანხა დაიწყო შემდეგნაირად: 54 340 აშშ დოლარი, 2005 აშშ დოლარი პროცენტი და 644 აშშ დოლარი ჯარიმა დაგვიანებისათვის, ანუ ერთი ავტომანქანა „ლინკოლნ ნავიგატორის“ საფასური გადავიხადე, ხოლო მეორე მანქანა „ტოიოტა ფორ-რანერი“ დარჩენილი 5649 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად ბანკის საწყობში დარჩა! დარჩენილი სესხის დაფარვა 2008 წლის 6 მაისს შევძელი, როცა ანგარიშზე „საქართველოს ბანკში“ გარკვეული თანხა „დაჯდა“ და, შესაბამისად, ბანკმაც ამ ანგარიშიდან 5649 აშშ დოლარი, 3198 აშშ დოლარი და პროცენტი — 5768 აშშ დოლარი „მოჭრა“, რაც ხელშეკრულების პირობების განუყოფელ ნაწილს შეადგენდა!**

**თითქოს „საქართველოს ბანკსა“ და ჩემ შორის ყველაფერი ვალის ბოლომდე დაფარვის შემდეგ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ავტომობილი „ტოიოტა ფორრანერი“, რომლის მინიმალური ფასი ბანკისავე აუდიტით 40 000 აშშ დოლარს შეადგენდა, ბანკის საწყობიდან გაქრა და დღემდე მის ადგილსამყოფელს ვერც ავტოსადგომის ხელმძღვანელი პირები აკონტროლებენ და ვერც „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი ნ. ენუქიძე“.**

წარსულში ბანკის მოვალე თეიმურაზ თომაძე ჩვენთან საუბარში იმასაც აცხადებს, რომ იგი აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ბანკის დაქვემდებარებაში მყოფ ავტოსადგომზე არაერთგზის მივიდა, ითხოვა, მისთვის ეჩვენებინათ მისსავე საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა „ტოიოტა“, მაგრამ ავტოსადგომის მეთვალყურეებმა უარის მიზეზად ის გარემოება დაასახელეს, თითქოსდა, ბანკის ხელმძღვანელების გარეშე ისინი აღნიშნულ ავტომობილს პატრონს ვერ აჩვენებდნენ!

თეიმურაზ თომაძემ „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელებს საკუთარი ავტომობილის დაბრუნების შესახებ არაერთგზის მიმართა განცხადებით, მაგრამ გენერალური დირექტორიდან — ნ. ენუქიძიდან დაწყებული, სესხების განყოფილებით დამთავრებული, ყველას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და ავტომობილის რეალურ ადგილსამყოფელს დღემდე ვერ ასახელებს.

გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ თომაძის საკუთრებაში მყოფი ავტომობილი „ტოიოტა ფორ-რანერი“ „საქართველოს ბანკმა“ ან ვილაცას აჩუქა, ანდა, სულაც, მინიმალურ ფასად ბანკის რომელიღაც „დიდ მოხელეს“ მიჰყიდა! აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ძმაა და საინტერესოა, „საქართველო და მსოფლიოს“ მეშვეობით გაჟღერებულ ამ ინფორმაციაზე ბატონ ნიკა გილაურს რა რეაქციები ექნება მას შემდეგ, როცა შეიტყობს, რომ მისი ძმის ბანკში ასეთი აფერები ხდება?

„საქართველო და მსოფლიომ“ გადაწყვიტა, თეიმურაზ თომაძის ავტომანქანის ბედის შესახებ უშუალოდ „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორისგან, ბატონი ნიკა ენუქიძისგან მოესმინა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ენუქიძე ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა და კომენტარისთვის ერთადერთი სიტყვა გადმოგვიგდო: „გავერკვევით“. ჩვენს შეკითხვაზე, — „როდის გაერკვევით?“, — ისევ გვიპასუხა: „გავერკვევით, გავარკვევთო“, — და ყურმილი დაკიდა. ტელეფონის საშუალებით (444134) „საქართველო და მსოფლიო“ უშედეგოდ ცდილობდა „საქართველოს ბანკის“ სესხების განყოფილებისგანაც მიეღო კომენტარი, მაგრამ...

მოკლედ, ისღა დაგვრჩენოდა, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ბანკის ავტოსადგომში თავად წავსულიყავით და იმ პიროვნებისგან მიგვეღო პასუხი, რომელმაც 2004 წლის 29 ივნისს შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე თეიმურაზ თომაძის ავტომობილი პირადად ჩაიბარა შესაბამისი აქტის საფუძველზე, რომლის შემდეგაც საკუთარი ხელმოწერაც დააფიქსირა და „TOIOTA-SR-5 სარეგისტრაციო ნომრით საწყობში გააჩერა!

ეს პიროვნება დაცვის პოლიციის თანამშრომელი მიშიკო პირტახიაა, მაგრამ იგი „ბანკის ავტოსადგომში“ აღარ მუშაობს, რადგან დაწინაურების საფუძვლით, ამჟამად უფრო „ღირსეულ“ ადგილზეა გადაყვანილი. მანქანის მეპატრონე თომაძის თქმით, მიშიკო პირტახიამ მასთან საუბარში აღნიშნა: „არაფერი არ ვიცი, მე რა შუაში ვარ?..“

**საინტერესოა, ამ შემთხვევის გამო, მაშ, ვინ არის პასუხისმგებელი? ისიც საინტერესოა, მანქანის სხვაზე გადაფორმება რა გზით მოხერხდა? და, ალბათ, ყველაზე საინტერესო კი ის არის, მანქანის რეალურ მფლობელს, თუნდაც, მინიმალურ საფასურს, 40 ათას აშშ დოლარს ვინ გადაუხდის — „საქართველოს ბანკი“ თუ ის პიროვნება, რომლის ვინაობაც რატომღაც გასაიდუმლოებულია?**

**ირინა გოგოსაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# გივი თარგამაძეს ეზიზღება ქვეყანა, რომელშიც ცხოვრობს, სძულს ხალხი, ვისი მოდგმისაც არის



**დიდი ილია ბრძანებდა: „ქვეყანა მაშინ არის ღარიბი, როდესაც მას არ ჰყავს მცოდნე, გონებაგახსნილი და გულანთებულნი კაცნი“. ვაი, რომ ეს შეფასება საქვეყნო კაცებისა დღესაც უაღრესად თანადროულად ჟღერს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში აშკარად იგრძნობა გონიერი და ქვეყნის ჭირ-ვარამზე მზრუნველი კაცის დეფიციტი.**
**ფსიქოლოგია გვასწავლის: „ადამიანი სინთეზია, ერთდროულად ძლიერიცაა და სუსტიც, ჭკვიანიც და სულელიც, მოწყალეც და ტირანიც, არ არსებობს ბუნებაში ადამიანზე კეთილი და მასზე ბოროტი. ამ თვისებების გამოა ბუნების გვირგვინი“. იმასაც გვეუბნება, რომ, მრავალი ფაქტორის გავლენით, ის ან კეთილისკენაა მიდრეკილი, ან ბოროტებისკენ. როგორნი არიან ქვეყნის საჭესთან მდგომნი? პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის ფსიქოპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**

**— ბატონო ზურაბ, სულიერება ქმნის პიროვნებას, რას გვეტყვით თარგამაძის სულიერ არქიტექტონიკაზე?**

— საზოგადოებისთვის დღესაც გაუგებარია, რა კრიტერიუმებით გახდა გივი თარგამაძე პოლიტიკოსი, როცა ძალზე არაპოპულარული იყო. უცებ აღმოჩნდა „ნაციონალთა“ სიით პოლიტიკურ ავანსცენაზე ხალხის რჩეულ, ნდობის მანდატით აღჭურვილ, თბილისის ერთ-ერთი უძლიერესი რაიონის ვაკე-საბურთალოს დეპუტატად.



გივი თარგამაძის მიერ განვლილ გზას თუ გადავხედავთ, მისი ტრამპლინი სოროსელებთან თანამშრომლობაა და პასუხიც ნათელია. თავისი ფსიქოსტრუქტურით ლოგიკურად ემთხვევა და სრულიად შეესაბამება საქართველოს გადაგვარების მოსურნეთა მოთხოვნებს. ახასიათებს საზოგადოებრივი აზრის არაფრად ჩაგდება, უხეშობა, შეუძლია საკუთარი ამბიციებისთვის მოკლას „აბელი“, გზა სისხლით გაიკვალოს და რელიგიური შემწყნარებლობა და ორთოდოქსალურობაც უარყოს. გივი თარგამაძეს ეზიზღება ქვეყანა, რომელშიც ცხოვრობს, სძულს ის ხალხი, ვისი მოდგმისაც არის. ეს კაცი პოლიტიკაში საკუთარი კეთილდღეობისთვისაა მოსული. ყოველივე ამის თქმის უფლებას მაძლევს 2007 წლის 6 ნოემბერს მისი გესლიანი მუქარა, რომლის თქმა ხმამაღლა არავის გაუბედავს: „სულს ამოგხდით, თქვე ნაძირალებო!“ მისი ამგვარი არადიპლომატიურობა გვარწმუნებს, რომ გივი თარგამაძე პოლიტიკოსი-კატასტროფაა, ამგვარი კაცის პოლიტიკაში ყოფნა კი — სახიფათო.

ხომ გაგიგიათ, „მითხარი, რას ამბობენ შენზე და გეტყვი, ვინა ხარო“. გავრცელებული ჭორით, მას კაცის მკვლელობას აბრალებენ და იმასაც ამბობენ, დეპუტატის მანდატი იმუნიტეტისთვის სჭირდებოდაო. არ მგონია, მართალი იყოს, ვფიქრობ, ეს იმ სიძულვილის პასუხია, რასაც ხალხი მისი მხრიდან გრძნობს და განიცდის.

მას ერთადერთი სურვილი აქვს — იყოს გამორჩეული. იგი პოლიტიკოსთა იმ კასტას ეკუთვნის, რომელსაც ხელში მათრახი უნდა ეჭიროს და ტირანულ ბრძანებებს იძლეოდეს: — ეს მოკალით! — ეს ჩამოახრჩეთ! **ბუნებით მტარვალია, რადგან უმწიფარი პიროვნებაა, სულიერი დამდაბლებით უხეშობა განუვითარდა, თანაც გამძაფრებული ამპარტავნობა, ეგოიზმი და პირველობის ჭია ღრღნის.** მისი წარმმართველი და სასიცოცხლო ძალა სუბიექტივიზმია. არ შეუძლია, მხარს იქით გადაიხედოს. მისი მთავარი ფსიქოშტრიხი კი მაინც მტრული, განურჩეველი აგრესიულობაა.

**— რაში გამოიხატება მისი უზომო პატივმოყვარეობა, რა გაძლევთ ასეთი მკაცრი მსჯელობის საფუძველს?**

— მასში ხშირად ისადგურებს აზარტი, მთლიანად ეძლევა ვნებებსა და მისწრაფებებს. განა მის უკიდეგანო პატივმოყვარეობას არ ადასტურებს მისი მცდელობა, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოეწყო ფერადი რევოლუციები და ამით ბელადობაზე არ ოცნებობდა?! მის ამ ნაბიჯს ოპოზიციამ დაცინვით უპასუხა და რევოლუციის ვირზე შემჯდარი ექსპორტიორიც კი უწოდა. სოროსიზმის ბუდიდან ამოფრენილთა ეს დონკიხოტობა ემსახურება ქვეყნების დანგრევას, სასიცოცხლო სისტემების — განათლების, ჯანდაცვის, სამართლის განადგურებას. თავიანთი უვიცობითა და ქვეყნის ღალატით, კოსმოპოლიტიზმით მოწამლულნი ცდილობენ, ყველაფერი ეროვნული და ნაციონალური ხასიათის მქონე მოსპონ. ამას ჯანმრთელი ფსიქიკის შემდგარი პიროვნება არ გააკეთებს. ამას ჩაიდენს პირქუში, ავადმყოფურად ამაყი, სულმოკლე, ჟინიანი, სულიერებადათრგუნული, დაკომპლექსებული ადამიანი, რომელსაც კარიერასა და მატერიალურში სურს ამაღლებული მდგომარეობა. მას ძლიერებისთვის სხვა რესურსი არ აქვს, არც ნიჭი, არც შრომისმოყვარეობა, არც სულიერი საბადებელი და არც მოქნილობა, კეთილგონიერებაზეც მწყრალად არის. თარგამაძე იმპულსურია, ატარებს წინდაუხედავ, ბრიყვულ ხასიათს და საოცარ გულქვაობას. გაიხსენეთ, მისმა გასროლილმა კალამმა ლამის იმსხვერპლა „ვარდების რევოლუციის“ ქართველი მამობილიეროსი კიწმარიშვილი. ეს იყო გივი თარგამაძის ფსიქოპათიური შეტევა, როცა მთელი სისრულით გამოვლინდა მისი ფსიქოლოგიური სტრუქტურა.

მის „ფსიქეს“ ორი უკიდურესობა ახასიათებს — ან ძლიერ აღგზნებულია და გესლს ანთხევს, ან სრულიად პარალიზებულია. რთული ფსიქოტიპია, მიდრეკილია ნგრევისკენ. ეგოცენტრიზმით დაავადებული თავის გარშემო არეალს წამლავს. ადვილად ღიზიანდება და კვალი დიდხანს მიჰყვება გულბოროტობის გამო. მასთან ურთიერთობაში დიდი ტაქტი და მოთმინებაა საჭირო.

**— უამრავი ნაკლის მქონე ასეთი რთული ფსიქოტიპი როგორ ახერხებს, იქცეს პოლიტიკურ ფიგურად და გახდეს საჭირო კაცი მთავრობაში?**

**— გივი თარგამაძე ვირეშმაკა ფარისეველია, ავისა და კარგის გარჩევა უჭირს და უტაქტობით გამოწვეული გამოხდომებიც ახასიათებს. მის სახეზე ემოციურ გრიმასებს თუ დააკვირდებით, მიხვდებით, რომ მას აწუხებს ჩამოყალიბებული ნევროზი და არასრულფასოვნების კომპლექსი.**

ჭირვეულობაც აქედან მომდინარეობს. მიღებული განცდა მასში უარყოფით იმპულსებს აღვიძებს, რითაც მრისხანებას კვებავს.

გივის გამუდმებით აწუხებს შიში და ეჭვი, ნევროზულია. მისი ფსიქიკის ცენტრალურ შტრიხად კი მაინც აგრესიულობა რჩება. იმდენადაა სავსე უარყოფითი განწყობებით, რომ კონფლიქტი, ჩხუბი, ვინმეზე თავდასხმები ახალი ენერგიით ავსებს, საშიში და დაუნდობელია, მაგრამ გონებრივი უნარების სისუსტით სტრატეგიასა და ტაქტიკაში მარცხდება. მან პოლიტიკაში ჩაბმით და კორუფციაზე დაყრდნობით ქვეყნისა და ერის განადგურების ნანგრევებზე უდიდესი სიმდიდრე დააგროვა. სამოვარზე დაგეშილი უფროა, ვიდრე ფერადი რევოლუციების ექსპორტზე. მას უდიდესი სწრაფვა აქვს, ყველაფერი თავის სასარგებლოდ მოაქციოს.

**— გივი თარგამაძე კიდევ ერთხელ ალაპარაკდა ოპოზიციის რუსულ ფულზე და აგენტების გამომზეურებით დაკავდა. ეს სცენარი მომაბეზრებლად მეორდება მისი მხრიდან. ამას რაიმე ფსიქოლოგიური ახსნა თუ აქვს?**

— მას ღრღნის სხვათა აღზევების შური, ავტორიტეტისა და პოპულარობის მოხვეჭა აღიზიანებს. შური ბადებს მასში „აბსურდად“ მონათლულ ბოდვებს. ეშინია ოპოზიციისა და დესტაბილიზაციის. უკმაყოფილოა და ეს ბოლმა და შური ვინმეზე ან რამეზე უნდა გადმოაფრქვიოს. სხვისი წარმატებით თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. მისი მძვინვარება შეიძლება გაცოფებამდე მივიდეს და შურისძიებით ანთებულმა ირგვლივ ყველა და ყველაფერი გაანადგუროს. ამგვარი ფსიქიკის ადამიანებს ქვეყნის მტერი ხშირად იყენებს. სახელმწიფო სტრუქტურებში მათ დიდ და მნიშვნელოვან პოსტებს აძლევენ, რითაც შინაგანი ბუნების გამოსავლენად ასპარეზს უქმნიან.

ჯერ ერთი ამბავი ატეხეს, რუსებმა აფხაზეთსა და ცხინვალის ბლოკპოსტებზე ახალი სამხედრო ტექნიკა და ძალები შეიყვანესო. ამით თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი და მისი ხელმძღვანელი „მგლის შიშით“ პოლიტიკური პროცესების შეჩერებას ცდილობდა და გვეუბნებოდა, საპროტესტო აქციებით რუსეთის თამაშს თამაშობთო. გონებრივი უნარებით გივი თარგამაძეს ამაზე მეტი არ შეუძლია, რადგან უფრო დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანას განსწავლულობისა და შორსმჭვრეტელობის, თვალსაწიერის სხვაგვარი ამპლუა ესაჭიროება.

თარგამაძის მრავალგზის ბლუკუნმა ოპოზიციაში რუსული ფულის შემოდინებაზე, რომლის „კვალს“ გერმანიაში „მიაგნეს“ და ეს ფაქტი ტელესივრცის ბესტსელერადაც კი აქციეს, ხალხს კიდევ ერთხელ გაახსენა დღევანდელმა ბრალმდებელმა ხელისუფლებამ, როგორ გაყიდა რუსებზე სტრატეგიული ობიექტები და ენგურჰესი ომის შემდეგ. ამ მხრივ

**გივი თარგამაძის ბრალდებები ხალხში აღშფოთების ნაცვლად ირონიულ ღიმილს იწვევს. უნიჭო თარგამაძე საზოგადოების მხრიდან იმგვარ ფსიქოსტრესს იღებს, რომ ბოღმიანსა და დაკომპლექსებულს მთელი ცხოვრება მოუშუშებელ ჭრილობად რჩება.**

აგენტების გამოვლენის მისი ყოველი ცდა ფუჭი ექსპერიმენტია, რითაც ულმობელი სინამდვილე მის უსაზღვრო პატივმოყვარეობას თელავს. მიზანსწრაფულობითა და ხასიათის სტრუქტურით რაღაც სიმაღლეს კი მიაღწია, მაგრამ იმიჯი ვერ შეიქმნა. მისი ფსიქიკა ქვენა გრძნობებს ვერ მალავს. საეჭვოა, ოდესმე შეძლოს სიტუაციებზე ადეკვატური და შესაბამისი რეაგირება ან მისი სრულყოფილი ანალიზი. დაკავებული პოსტისთვის მას არასაკმარისი გონებრივი და სულიერი უნარები აქვს, თანაც არ გააჩნია ფსიქოლოგიური მზაობა, ელემენტარულად, არ შეუძლია ინფორმაციის სრულყოფილად გადმოცემა.

თარგამაძემ ოპოზიცია ასეთი გამოსვლებით ისე გააღიზიანა, რომ ბიძინა გუჯაბიძე დაჰპირდა საერთაშორისო გამოძიების ჩატარებას იმის გამოსამზეურებლად, რომ გივი თარგამაძე უშუალოდ თავად თანამშრომლობს რუსულ სპეცსამსახურებთან.

ფსიქოპორტრეტის შემაჯამებელი დასკვნა კი ასეთია: „კოკასა შიგან რაცა დგას“...

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჩაფრენილი ობამა, აფრენილი მიშა და გაქცეული პრომეთე

ბარაკ ობამა მოსკოვში ჩაფრინდა. პირობა დადო, საქართველოს, უკრაინისა და პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ რუსეთის ინტერესებს აუცილებლად გავითვალისწინებო. სააკაშვილიც დაფრინავს. იმ დღეს სახურავზე იჯდა. მერე — ვილნიუსში. ოპოზიცია ჯო ბაიდენს ელოდება. და მიშას წასვლას. მიშას წასვლას, უკვე დიდი ხანია, ელოდებიან. მიტინგები გრძელდება, მცირეხნიანი და „მცირეტირაჟიანი“...

●

ცირკის ტერიტორიაზე სანაპიროდან ამოსვლისას პრომეთეს ქანდაკება გვხვდებოდა ხიდის თავში... აღარ არის. ერთმა თქვა — „გაქცეულაო“. „მიშას პრომეთეც გაექცაო“, — ხითხითებდნენ.

პრომეთესი გაუკვირდათ. ნახევარი საქართველო რომ უცხოეთშია გახიზნული, აღარ ახსოვთ. „ჩამოდითო“, — მიშა ეხვეწებოდა წლების წინათ. ჩამოვიდნენ. და ბევრი სიღატაკით კვდება დღეს. „მიშა მაგარია!..“

ისე, მართლა მაგარია მიშა.
როცა უნდა, მემანქანეა,
როცა უნდა — მეწაღე...
ახლა კარლსონიც გახდა!

●

„ბერლინური შეხვედრის“ შემდეგ ნინო ბურჯანაძე პინჩუკს შეხვდაო, — ერთი ამბავი ატეხეს. მერე რა? მიშა რომ დოქტორ დოტს შეხვდა, სუშიც რომ აჭამა და ჩვენ რომ სულშიც ჩაგვაფურთხა, ეგ აღარაფერი? რისთვის შეხვდა „გრეჩიხა“ თარგამაძეს, ხოლო ბურჯანაძე — პინჩუკს? ამბობენ, ფული სთხოვესო. არ არის სარწმუნო. ალბათ, ოპოზიციაც მიხვდა, რომ იმ კაბინეტის გასაღები, რომელში შეჭრაც აგრერიგ სურს ბევრს, მოსკოვშიც უნდა ეძებონ. კავშირები აღარ არის, კრემლი არც მიშასთან აღარ ლაპარაკობს და, როგორც ჩანს, არც ოპოზიციასთან აპირებს. ასეთ დროს კი პინჩუკივით და „ნა ხუდოი კანეც“ თარგამაძესავით შუამავალსაც ოქროს ფასი აქვს... შეხვედრები აწი უნდა ვნახოთ, ფარულ ჩანაწერებს კიდევ ბევრს ვიხილავთ სააკაშვილსა და მის თანაგუნდელებზე. თანაგუნდელებზე მაშინ, როდესაც ისინი მიშიკოს ნავიდან ერთი მეორის მიყოლებით მოკურცხლავენ... სააკაშვილზე კი მას შემდეგ, რაც „გადატვირთვა“ ძალაში შევა და ნაცების რეჟიმი „დაrestartდება“...

●

სხვათაშორის, სააკაშვილს ობამასთვის შეუთვლია: მედვედევთან ვიზიტისას ჩვენზე კარგი რაღაცები ილაპარაკეო.

არ გაგეცინოთ. ეს სასაცილო კი არა, სატირალია.

სატირალია ისიც, რაც წინა კვირაში ვნახეთ.

მახსოვს, საკრებულოს რომ თავმჯდომარეობდა სააკაშვილი, ხშირად უწევდა სახლების სახურავებზე ყოფნა-ძრომიალი და მაშინ თამაზ წივწივაძემ „ლიტერატურულ საქართველოში“ აზიზ ნესინის „სახურავზე გიჟია“ დაბეჭდა. თავისი კომენტარით. მაშინ მართლა ვიცინოდი.

იმ დღეს ბევრი გიჟი და ბევრიც იძულებით გაგიჟებული მიშას დაკვეთით სახურავზე აძვრა. ბათუმში... „ლეპტოპებით“ ავიდნენ და „იმარიაჟეს“. ქვეყნის „გადარჩენის“ ახალი გეგმები დასახეს. მიშამ „ჯაყოს ხიზნები“ გაიხსენა და მარგოდქცეულ საქართველოს კვლავ დაჰპირდა... აღარ მკითხოთ — რას!

თამაზ წივწივაძემ როცა იყვირა, „სახურავზე გიჟიაო“, თავბედი აწყევლინეს, არც მოუსმინეს და ზის ახლა სახლში. აღარც „ლიტერატურული საქართველო“ გამოდის. დღეს მე ვყვირი: „სახურავზე გიჟები არიან“-მეთქი. არც მე მომისმენენ. გიჟებისაა ეს ქვეყანა! და ნულოვანი ტოლერანტობის გამო დახოცილი უდანაშაულო ადამიანების...

ვინც მოასწრო, გაასწრო...

●

ობამა მოსკოვში ჩაფრინდა და მედვედევსა და პუტინს შეხვდა. სააკაშვილიც დაფრინავს. კარლსონს მურაბაც უყვარდა. მიშას ფრენა უყვარს და ზღაპრები (მოსმენა კი არა, მოყოლა ზღაპრების)... ჯერ სახურავზე აფრინდა, ზღაპრები მოგვიყვა, მერე ზღაპრების მოსაყოლად ვილნიუსში გაფრინდა და დარჩათ გაფრენილებს საქართველოცა და მსოფლიოც!

წინა ნომრის სვეტში ვწერდი: „ჩიტობა მინდა, გავფრინდები“-მეთქი...

დამასწრეს...

**გიორგი მამაცაშვილი**

# «ნაბუქოს» მზე ჩაესვენა

**ნავთობ და გაზსადენი მილები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის და რომლებიც ხელისუფლებაში მოსულ „რეფორმატორებს“ თავიდან სასაცილოდ ჰქონდათ აგდებული, მას შემდეგ, რაც ზურაბ ჟვანიას ამერიკაში აუხსნეს, რას ნიშნავს აშშ-სთვის ენერგომატარებლები, როგორც იქნა, დადუმდნენ. ახლა კი „ნაბუქოს“ კერპთაყვანისმცემლები გახდნენ.**




ეს მძლავრი ენერგომდინარება წელიწადში 30 მილიარდ კუბურ მეტრ გაზზეა გათვლილი და მის შემავსებლებად ირანი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი მოიაზრება.

მოაზრებით კი მოიაზრება, მაგრამ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით თუ ვიმსჯელებთ, მის რეალიზაციამდე ძალიან დიდი დრო გავა, თუ განხორციელდა საერთოდ.

„ნაბუქოს“ მზის ამოსვლას, უწინარეს ყოვლისა, აბრკოლებს ის გარემოება, რომ თურქმენეთმა და აზერბაიჯანმა უფრო მომგებიანი საკუთარი თამაში დაიწყეს.

პირველი თურქმენეთი გამოეცალა. „**РИА Новости**“-ს ცნობით, მიმდინარე წლის ბოლოსთვის თურქმენეთი გაზის 40 მილიარდამდე კუბური მეტრის სიმძლავრის ნაკადს ჩინეთისკენ გაუშვებს. ხელშეკრულება ჩინეთთან 30-წლიან მიწოდებაზე 24 ივნისს გაფორმდა. 40 მილიარდს კი ადრე აღებული ვალდებულებით თურქმენეთი „გაზპრომს“ მიაწვდის. ორივე ამ მიწოდების ჯამურ მოცულობას თურქეთში დღეისთვის მოპოვებული მოცულობა — 70 მილიარდი კუბური მეტრი ვერ გასწვდება. „ნაბუქოსთვის“ რა რჩება? არაფერი.

ეს — თურქმენეთი. ახლა — აზერბაიჯანი. გაზეთ **„კომერსანტის“** ცნობით, 29 ივლისს რუსეთმა აზერბაიჯანს იმდენად მომგებიანი პროექტი შესთავაზა, რომ მან „ნაბუქოს ქათამს“ Газпром-ის წიწილა არჩია და კიდეც შეუთანხმდა ათასი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზის საბაზრო ღირებულებაზე (350 დოლარი) უფრო ძვირად მიყიდვის თაობაზე.

ვინ სულელი იტყოდა ამაზე უარს? ის დრო კი, როცა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ასეთ მომგებიან წინადადებებზე უარს ამბობდა საქართველოს სასარგებლოდ, წარსულს ჩაბარდა.

აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი გაზის გადაქაჩვას რუსეთი მომავალ წელს დაიწყებს, „ნაბუქო“ კი, რომლის ამოქმედების ვადა მუდმივად გადაიდება ხოლმე, 2013 წელზე ადრე ვერ ჩადგება მწყობრში. აზერბაიჯანელი ექსპერტი ილხამ შაბანი გაზეთ „შარგში“ („აღმოსავლეთი“) აცხადებს, რომ „ნაბუქო მითია და არასოდეს იქნება რეალიზებული“.

აი, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის პოზიცია კი არც ასეთი წყალგადაწურულია. მისი აზრით: „თუ აიგება გაზსადენი „ნაბუქო“ და კარგ კომერციულ პირობებს შემოგვთავაზებენ, ჩვენ ამას უპირობოდ გამოვიყენებთ, მაგრამ მის არც ინიცირებას, არც დაფინანსებას არ ვაპირებთ“.

ბრძნული პოზიციაა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი და ჩვენი ხელისუფლების პირველი პირისთვის ჭკუისსასწავლებელია ის პოლიტიკური საფუძველი, რომელიც ამ განცხადებას განსაზღვრავს: **„აზერბაიჯანის მაგალითზე, ვფიქრობ, შეიძლება დარწმუნდეთ, რომ სავსებით შესაძლებელია კარგი ურთიერთობების დამყარება ქვეყნებთან, რომლებიც ერთმანეთთან, რბილად რომ ვთქვათ, არ მეგობრობენ... თუ ჩვენს პარტნიორებსა და მეგობრებს ერთმანეთში პრობლემები აქვთ, ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ აზერბაიჯანი არ უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ისინი თავიანთ ურთიერთობებს გაარკვევენ“.**

ამას ამბობს მდიდარი ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც ძალაც შესწევს ქადილისა, მაგრამ სხვათა პრობლემებს თავის ქვეყანას არ ანაცვალებს.

რაღა ჩვენ შეგვეყარა შემოდგომის აზნაურების კუდაბზიკობა?

იმიტომაც მიგვდის კარგად საქმე.

ესეც — აზერბაიჯანი.

ახლახან რუსეთმა თურქეთის ხელისუფლებას შესთავაზა, მონაწილეობა მიიღოს პროექტში „სამხრეთის ნაკადი“, რომელიც შავი ზღვის ფსკერზე გაიდება ბულგარეთამდე, შემდეგ განიშტოება იტალიისა და ავსტრიისაკენ, და „ნაბუქოს“ კონკურენციას გაუწევს.

„სამხრეთის ნაკადი“, ბუნებრივია, საქართველოს გვერდს აუვლის. მის 63-მილიარდიან სიმძლავრეს შეავსებს არა მარტო რუსეთის, არამედ სამხრეთ აზიის გაზი. მაშასადამე, იგი ან ჩამოაცილებს „ნაბუქოს“ ბუნებრივი აირის პოტენციურ მიმწოდებლებს, ან გააძვირებს შუააზიურ გაზს. ეს კი ევროპულ გაზსადენს ნაკლებად რენტაბელურს გახდის.

თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თანერ ილდიზმა 2 ივლისს განაცხადა, რომ **„ნაბუქოს“ პროექტი ცოცხალი უნდა იყოს. ჩვენ კი დასავლეთელი კოლეგების მხრიდან ვერ ვხედავთ ისეთ აქტიურობას, როგორიც იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-არზრუმის პროექტების რეალიზაციის დროს“**, — იტყობინება The First News.

იმ „აქტიურობის დასანახად“ მუშაობაა საჭირო, პროფესიული, დიპლომატიური ურთიერთობების მიზანმიმართულობა, მუდმივი, სისტემატური.

„ნაბუქო“ ის მზე არ არის, თავისით ამოვიდეს და გაათბოს ჩვენი ქვეყნის დამზრალი მომავალი.

# ჩინეთს დოლარი ყურებით უჭირავს

**საკმარისი იყო, გავრცელებულიყო ხმები, რომ ჩინეთი G8-ის (დიდი რვიანის) სამიტს შესთავაზებს ახალი სარეზერვო ვალუტის საკითხის განხილვას, რომ დოლარის კურსი დაეცა.**

მაგრამ, აი, გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხე იაფეი და განაცხადა, რომ ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება და ჩინეთი არ აპირებს „დიდი რვიანის“ შეხვედრაზე იტალიაში ახალი სარეზერვო ვალუტის საკითხის ინიცირებას, და დოლარის კურსმა კვლავ აიწია.

სპეციალისტების დაკვირვებით, ჩინეთის ხელისუფალთა განცხადებები სულ უფრო მეტად ზემოქმედებს არა მხოლოდ ვალუტის კურსზე, არამედ ყველა ბაზრის მდგომარეობაზე — ნედლეულიდან დაწყებული, საფონდოთი დამთავრებული. უწინ ასეთივე გულისფანცქალით ჰქონდათ ყურები მიპყრობილი შეერთებული შტატებისკენ. როგორც ჩანს, **მიმდინარეობს გენერალური ნიუსმეიკერის შეცვლის პროცესი.**

ჩინეთი არ ჩქარობს. აქაურ ხელისუფალთა განცხადებით, დოლარი არის და რჩება მსოფლიოს მთავარი სარეზერვო ვალუტა. ამიტომ ჩინეთი, როგორც შტატების ძირითადი უცხოელი კრედიტორი, დაინტერესებულია დოლარის სტაბილურობით, ლამის ამერიკაზე უფრო მეტად.

მაგრამ არც იმის დავიწყება ეგების, რომ სწორედ პეკინის პოზიციამ რეალური გახადა საუბრები ახალი სარეზერვო ვალუტის შესახებ. ჩინეთს მხარი აუბა მოსკოვმა. ორი სახელმწიფო, რომლებმაც დოლარის უზარმაზარი მარაგი დააგროვა, ერთიანი ფრონტით გამოდის.

იდეა ახალი ვალუტის შექმნის შესახებ თანდათან ხორცს ისხამს. გასულ კვირაში მსოფლიო სავალუტო ფონდმა თავისი ობლიგაციების განთავსების პირობები გამოაცხადა. ეს კი ნიშნავს, რომ გადაიდგა პირველი ნაბიჯი ახალი ვალუტისკენ. ცოტა ხნის წინათ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

ამ მიმართულებით მუშაობს მოსკოვიც. SFX.RLL 3 ივლისს იტყობინებოდა, რომ მსოფლიო ფინანსური წესრიგის გაუმჯობესებული არქიტექტურა დამუშავებული იქნება „დიდი ოცეულის“ სამიტამდე, რომელიც სექტემბერში ამერიკაში, პიტსბურგში გაიმართება.

ამ სამიტამდე რუსეთი აპირებს, გადადგას პირველი ნაბიჯები განახლებული ფინანსური სისტემის მოდელის შესაქმნელად. ამასთან, „საფუძველს არ შეურყევს იმ ყველაფერს, რაც დღეს ფუნქციონირებს“. ეს მოდელი გამდიდრებული იქნება ახალი კომპონენტებით, რომლებიც დამატებით სარეზერვო ვალუტასაც ითვალისწინებს.

„დიდი ოცეულის“ ლონდონის სამიტზე, რომელიც აპრილში გაიმართა, განვითარებადი ქვეყნების ლიდერებმა რამდენჯერმე დააყენეს საკითხი ახალი სარეზერვო ვალუტების შექმნის შესახებ, მაგრამ მიღებულ კომუნიკეში დაკმაყოფილდნენ განცხადებით, რომ აღნიშნულ საკითხს — ზეეროვნული ვალუტის საკითხს — კვლავ დაუბრუნდებიან. ასე რომ, რუსეთის განზრახვა ახალი საფინანსო მოდელის თაობაზე თვითინიციატივა კი არ არის, არამედ — სამიტის კომუნიკეს გადაწყვეტილების რეალიზაცია.

ფინანსისტები ამტკიცებენ, რომ დოლარის შეცვლა სხვა ვალუტით ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ მისი კურსის შეცვლას წინ არაფერი უდგას.

რუსეთის მაღალი რანგის ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ მათ გეგმებში არ შედის ახალ სარეზერვო ვალუტაზე დაუყოვნებლივ გადასვლა და რუსეთი ენდობა დოლარს, რომელიც „კარგ ფორმაშია“, რომ ჯერჯერობით ნაადრევია დოლარის ალტერნატივაზე ლაპარაკი.

**ახალი სარეზერვო ვალუტისკენ მიმავალი გზა გრძელია და ეკლიანი, მაგრამ მსოფლიო უკვე დგას ამ გზის დასაწყისში.**

## ნატო ჰორიზონტიდან თანდათან ქრება

**საქართველოს გადასახედიდან თითქმის გაქრა. უცხოეთის პრესაში სანთლით საძებარია ინფორმაცია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენი ქვეყნის გაწევრების პერსპექტივაზე. თუ გამოჩნდება, მხოლოდ — როგორც დამატება უკრაინის ნატოში მიღებაზე მსჯელობისას.**

„Росбалт“ იტყობინება, რომ აშშ პრეზიდენტის სპეციალურმა თანაშემწემ რუსეთის საკითხებში ბარაკ ობამას მოსკოვში ვიზიტის წინ განაცხადა, რომ **ნატოს კარი ღიაა სხვადასხვა ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინისთვის.**

ესაა და ეს.

მართალია, შემდეგ მან ილაპარაკა იმაზე, რომ აშშ ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ვიზიტი კიევსა და თბილისში არის ნიშანი იმისა, რომ რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვა“ არ ნიშნავს ამ ქვეყნების დემოკრატიების დახმარებაზე უარის თქმას“, მაგრამ ნატოში საქართველოს მიღების პერსპექტივაზე სიტყვა არ დასცდენია.

მიმოიხილა **არმაზ სანებლიძემ**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net





# მიშას კიკიმაროები



**თეა! ხათუნა! ეკა! წარმოთქვამ ამ სახელებს და ჟრუანტელი დაგივლის. ან შეგაჟრჟოლებს. შეიძლება დაგბურძგლოს კიდეც. ვიღაცას, იქნებ, ძალიანაც ხიბლავს მათი ტკბილხმოვანება, ვიღაცაში კი ალერგიულ შეტევებს იწვევს მათი დანახვა. მე ისინი არც მიყვარს და არც მძულს. თეა თუთბერიძე, ხათუნა ოჩიაური და ეკა ხერხეულიძე მიშას კიკიმაროები არიან.**

**კიკიმორა — ბოროტი სული, ხშირად ქალია. სახლში ღუმელის უკან ცხოვრობს, ვნებს შინაურ ცხოველებს, ამტვრევს ჭურჭელს, ხევს ქსოვილს, ხლართავს ძაფებს და მისი თავიდან მოშორება თითქმის შეუძლებელია.**

## მიშას თეა

„კმარას" დედა თეა თუთბერიძე ერთობ ცნობილი და, თვითონ რომ ჰგონია, იმაზე სულ ცოტათი ნაკლებგავლენიანი ქალბატონია (ქალბატონი პირობითად!)

თეას ჰგონია, რომ „მძიმე არტილერიაა", სინამდვილეში კი ერთი ჩვეულებრივი „აბრეზია", რომელსაც მხოლოდ კრიმინალური მიზნებით იყენებენ. იგი აღიარებს, რომ 2003 წელს „კმარას" საპროტესტო აქციები **„სცდებოდა კანონის ფარგლებს, მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლება სუსტი იყო და ვერ შეძლო მისი აღკვეთა".**

იურისტი თეა აცხადებს: „როცა ახალგაზრდები რუსთაველის გამზირზე გავწექით, ვიცოდით, რომ ეს კანონდარღვევა იყო. სწორედ იმიტომ ვითხოვდით იმჟამინდელი ხელისუფლების შეცვლას, რომ სუსტი იყო და ვერც კანონის დაცვას ახერხებდა. იმისთვის ნამდვილად არ მიბრძოლია, რომ დღევანდელი ხელისუფლება, დღევანდელი პოლიციაც ასე მოიქცეს. ვფიქრობ, დღეს ისინი გაცილებით ძლიერები არიან".

თეა გაწვა გამზირზე. და მოზომა. ხომ გახსოვთ წაქცეულ კაცზე ხუმრობით ნათქვამი — მოზომაო. თეამაც მოზომა და ე.წ. „ვარდების რევოლუციამ" ეს მოზომილი „კანონიერების ფარგლებში მოაქცია". უნდა ახლა თეას კონფისკაცია და მიტაცებული ძალაუფლების დაკარგვა? არ უნდა!

თეამ არ იცის, რომ ძლიერი არ ნიშნავს სამართლიანს. არ იცის? გეგონოთ! იცის, მაგრამ წინათ სამართლიანობას სუსტისგან ითხოვდა, ახლა კი თვითონ ძლიერის მხარეს დგას და მისთვის სამართლიანობის საზომი ამ ძლიერის ნება-სურვილია.

## მიშას ხათუნა

თეასგან მკვეთრად განსხვავდება ხათუნა ოჩიაური. იგი განსაკუთრებული „ასობაა", თუმცა მუხთალმა წუთისოფელმა ისიც მიშას კიკიმაროდ გადააქცია.

ძალიან რომ გაუჭირდა, სააკაშვილმა მაშინ გამოაჩინა ყირმიზი ხათუნა: სწორედ მაშინ, ნაციონალურ მარგალიტის კრიალოსანს მაია ნადირაძე რომ გასძვრა. ისიც მიშას კიკიმარო იყო, მაგრამ ვირტუოზულად უკრავდა გაღიზიანებული ხალხის ნერვებზე.

ხათუნა ოჩიაურმა მთლად ვერ იმაიავა, თუმცა ტოლს არ უდებს კოლეგა მამაკაცებს... მიშას დაცვაში. ხევსურთა მოდგმის ქალს რა რჯის, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რომ იგდებს თავს, მართალი გითხრათ, მიკვირს.

ხათუნა ოჩიაური თეა თუთბერიძეს ტოლს არ უდებს: **„ვარდების რევოლუციის" დროს პოლიციელთა მიერ მომიტინგეებს ამგვარად რომ მოხვედროდათ** (6 მაისის „ბათქს" გულისხმობს, — ბ. მ.), **ესეც კანონის დაცვა იქნებოდაო"...** ამ სიტყვების გაგონებაზე მაშინდელმა შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა, რომელსაც ოჩიაურის ნათქვამის შეფასება სთხოვეს, გაიკვირვა: **„გულწრფელად მითხარით, ამას კომენტარი სჭირდება?!"**

ნამდვილად არ სჭირდება. ჩვენც უკომენტაროდ დავტოვოთ.

## მიშას ეკა

კიკიმარო ეკა ხერხეულიძეს ეკუთვნის ისტორიული სიტყვები, რომლებიც მის ბაგეს შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ მოსწყდა: **„საქართველო არასოდეს ასე ახლოს არ ყოფილა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან".** მე მგონი, ვიღაცის წყევლამ გვიწია...

ასეთი გაქანების დეპუტატი გყავდეს და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მოაცდინო, ცოდვა არ არის? თანაც, რა მისი საქმეა ვინმეს უფლების დაცვა?

ამასწინათ პოლიციის სამმართველოსთან (სამმართველოშიც!) უმოწყალოდ ნაცემი ახალგაზრდები იზოლატორში მოინახულეს დეპუტატებმა. მათ შორის იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან კერვალიშვილი და ეკა ხერხეულიძე.

ეკა ამბობს, რომ პატიმრები კმაყოფილები არიან, დაჩი ცაგურია **„ჩვეულებრივ პირობებში იმყოფება, რაც ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს, არც ანტისანიტარიის პრობლემა აქვს".**

თვითონ დაჩი ცაგურია იზოლატორიდან გამოგზავნილ წერილში წერს, რომ **„დროებითი მოთავსების იზოლატორში არის არაადამიანური და ღირსების შემლახავი პირობები... არ მაქვს პირადი ჰიგიენის ნივთები. საკანში არიან ვირთხები..."**

ვის დავუჯეროთ? ცოტა კი დავეჭვდი, რა იცის ეკა ხერხეულიძემ ევროპული სტანდარტებისა-მეთქი, მაგრამ... მხსნელად მომევლინა ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი. მისმა ინტერვიუმ გაფანტა ეჭვი და იზოლატორის სიმართლე გამოამზიურა: **„სუსტად არის** (დაჩი ცაგურია), **მაგრამ ღრმად მსჯელობს... ჯორჯ ორუელის წიგნი მაჩუქა — „ცხოველების ფერმა". ჩემი აზრით, ასეთი ფორმით გამოხატა პროტესტი... სამწუხაროდ, საპატიმროში არ არის ვენტილაცია, არც სათანადო პირობებია და ძალიან დამადარდიანა ამან".**

შეკითხვას გავიმეორებ: ვის დავუჯეროთ? პასუხის მოსაძებნად შორს წასვლა არ დაგჭირდებათ — იხილეთ წინა აბზაცი.

„ცხოველების ფერმა" ეკასთვის უნდა ეჩუქებინა დაჩი ცაგურიას, მაგრამ, ეტყობა, მის დანახვაზე ელდა ეცა და ველარ მოიფიქრა. ანდა, რომც ეჩუქებინა, რაში სჭირდებოდა — ეკას ლამის ყოველდღიურად აქვს საპარლამენტო უმრავლესობის ხილვის ბედნიერება.

ეტყობა კიდეც...

**ლაშა გიორგიძე**

**P.S. მიშას კიკიმაროებზე წერილის წერისას ერთ ისეთ ციტატას წავაწყდი, მინდა, თქვენც გაგაცნოთ. ნინა წკრიალაშვილი ამბობს: „შეყვარებული როცა ვარ, ვხდები კრეტინი". ნინა კიკიმაროებამდე ვერ ქაჩავს — ჯერჯერობით კიკინინას კატეგორიაშია, მაგრამ მისმა სიტყვებმა ნაციონალურად შეყვარებული ადამიანებისთვის „დიაგნოზის დასმა" გამიადვილა. ნინა წკრიალაშვილი, მისსავე ინტერვიუებს თუ დავუჯერებთ, ხშირად არის შეყვარებული. არა, ისე არ გამიგოთ, თითქოს წკრიალაშვილის ბოსტანში ქვებს ვისროდე, მას ძალიან უყვარს საქართველოს „ნაცმოძრაობული" ხელისუფლება, უფასდება კიდევაც ეს სიყვარული, ხან — ორდენით, ხან — თანამდებობით. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ წკრიალაშვილი სულ შეყვარებულია სააკაშვილის ხელისუფლებაში, ხოლო როცა ის შეყვარებულია, „ხდება"... დაკონკრეტებას სჯობს, თქვენც აგიშალოთ ფიქრის საღერღელი და შეკითხვა დავსვა — აბა, მითხარით, როგორები ხდებიან ხელისუფლების პირველ პირებზე შეყვარებული ადამიანები?**

**პასუხი ნინამ იცის, წკრიალაშვილმა.**

# პრეზიდენტის იმპიჩმენტი 7 აგვისტოს დაიწყება!

**იმერეთის ყოფილი გუბერნატორი, პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის ემზადება. ჩვენთან საუბარში მან განაცხადა, რომ ტელეპროექტ „იმპიჩმენტის" პროცედურა 7 აგვისტოს, წაგებული ომის წლისთავზე დაიწყება:**

— პრეზიდენტის იმპიჩმენტის ტელეპროექტი, რომლის სათავეშიც თავისუფლად მოაზროვნეთა ასოციაცია იდგა და მეც ვმონაწილეობდი პიროვნულად, სახელოვან ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა შეიმუშავა. მათ სურთ, ამ პროექტს სათავეში ჩაუდგეს საერთაშორისო მასშტაბის იურისტი...

— **ვინ გყავთ მხედველობაში?**

— ბატონი მინდია უგრეხელიძე... თუ დაგვთანხმდება და უარს არ იტყვის, ჩინებული კანდიდატურაა. ამ კაცმა პინოჩეტი გაასამართლა და ევროპაში უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია. ტელეიმპიჩმენტის პროცედურა 7 აგვისტოს, წაგებული ომის წლისთავზე დაიწყება.

— **სად გაიმართება „სასამართლო პროცესი"?**

— ალბათ, „მაესტროს" ტელესტუდიაში. არ მგონია, შეშინდნენ, მაგრამ თუ უარს მივიღებთ, ინტერნეტტელევიზიით ვისარგებლებთ.

— **რა სახის ბრალდებებს წაუყენებთ პრეზიდენტს?**

— მარტო სააკაშვილს კი არა, მთელ სისტემას გავასამართლებთ... შეკითხვებს მეცნიერები დასვამენ დარგების მიხედვით. ბრალდებულებს თავის დაცვის საშუალებაც ექნებათ.

— **რა დარგის მეცნიერები მონაწილეობენ პროექტში?**

— ხელისუფლებას თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლები წაუყენებენ ბრალდებებს.

გვაინტერესებს, რატომ ღირს ბენზინი ჩვენთან ხუთჯერ ძვირი, როცა ამერიკაში 30 თეთრი ჯდება? თუ ამერიკიდან 1 დოლარად შემიძლია, მთელი საათი ვისაუბრო, საქართველოში 100-ჯერ მეტი უნდა გადავიხადო. ნახეთ, როგორ ცხოვრობენ, თუნდაც, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და ბელარუსში. მობილური ტელეფონით სარგებლობის გადასახადი ყველგან გაიაფდა, კაპიკები ჯდება, ჩვენთან ისევ ის ფასია, რაც პირველად დაფიქსირდა. ამერიკა იმიტომ არის ძლიერი ქვეყანა, რომ დარგები, რომლებიც ბიზნესს ემსახურება, ნაკლებად იბეგრება, კერძოდ, საწვავი, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, ტელეფონი, რომელთა გარეშეც ბიზნესის წარმოება შეუძლებელია. საქართველოს ბიუჯეტი მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფულით ივსება, ხოლო ამერიკის — ეკონომიკიდან.

— **რის ხარჯზე გაიზარდა 10-ჯერ საქართველოს ბიუჯეტი?**

— დაითვალეთ, რამდენს იხდიდით 10 წლის წინათ და რამდენს იხდით დღეს. გადასახადებიც 10-ჯერ გაიზარდა და საქართველოდან საზღვარგარეთ წასულთა რიცხვიც. ამაზე არ უნდა აგოს პასუხი ხელისუფლებამ? მსოფლიოში ინტელექტით გამორჩეული ერი ვართ, განათლების დონითა და ბუნებრივი რესურსებით შვიდეულში შევდივართ, ენერგეტიკული რესურსებით პირველ ადგილზე ვიმყოფებით...

რატომ არის ყოფილ საბჭოთა სივრცეში ყველაზე ძვირი ცხოვრება ჩვენთან, ყველაზე მძიმე გადასახადები, ყველაზე დაბალი ხელფასები და პენსიები?..

ხელისუფლებას ბრალდებას წავუყენებთ არა მარტო ეკონომიკაში, არამედ განათლებისა და ჯანდაცვის სფეროშიც... უბრალო ოპერაცია 1000-1500 ლარი ღირს, ხალხი შიშით ექიმთან ველარ მიდის, ავადმყოფების ქეჩოდან ამოღებული ფულით ავსებენ ბიუჯეტს. ნიჭიერი ახალგაზრდები განათლებას ვერ იღებენ უსახსრობის გამო...

ობამამ თავად ატეხა განგაში, ამერიკის განათლების სისტემა გააკრიტიკა, ჩვენი სტუდენტი მსოფლიოში 25-ე ადგილზეაო... გასამართლება მოხდება სხვადასხვა დარგში არსებული დარღვევების მიხედვით. არ შეიძლება მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებოდნენ და ღარიბები ლატაკდებოდნენ. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სასაფლაოს გზას გაუყენეს. საქართველოს გასოროსებული მხედრიონელები და რაიკომის პირველი მდივნების შვილები მართავენ. სოროსი თანამედროვეობის ლენინია, ჩვენ სწორედ სოროსიზმს გავასამართლებთ.

სოფელი საკონცენტრაციო ბანაკს დაამსგავსეს. თურქეთთან კავშირმა შეიწირა ჩვენი მსუბუქი და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. არ უნდა გამოვიძიოთ, ვინ გადაწყვიტა, ნულოვან აუქციონზე გაყიდულიყო საქართველოს სიმდიდრე, ვინ აწია ხელი, რომ ყველაფერი კაპიკებში გასხვისებულიყო? ვინ გაიტანა ხე-ტყე, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?..

— **ახალქალაქიდან ყარსში რკინიგზის გაყვანას როგორ აფასებთ?**

— ასლან აბაშიძემ ეს აზრი რომ გამოთქვა, ღალატად ჩაუთვალეს 10 წლის წინათ, ახლა წარმატებულ პროექტად ითვლება. სომხეთში ბევრ ისეთ რამეს მოაწერეს ხელი, რაც ქართულ ინტერესებში არ შედის...

მეგობრობა შენი ინტერესების დათმობას არ ნიშნავს, მაგრამ დაჩოქებულ პრეზიდენტს შინ თუ გარეთ ყველა იმას აკეთებინებს, რაც სურს.

მიკვირს, რატომ არ იღებს ხმას ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე?.. 10 წლის წინათ იგი ჯვარს აცვეს შავი ზღვის თურქული უნივერსიტეტის გამო, მაგრამ როცა საქმეს პრეზიდენტის დედა ჩაუდგა სათავეში, ხოლო რექტორს კარგი ურთიერთობა აქვს პირველ ლედისთან, უნივერსიტეტის გახსნას წინ არაფერი გადაეღობა. საერთოდ, არადემოკრატიული ქვეყნის ბიზნესს, არაბეთი მაქვს მხედველობაში, არსად უშვებენ, საქართველოს გარდა.

1992 წლიდან ხელისუფლებაში ერთი პოლიტიკური ძალაა! ახლაც სურთ, ისევ „ვარდოსანმა" შეცვალოს „ვარდოსანი". ამ ხელისუფლების ხელში არჩევნების ჩატარება როგორ შეიძლებაო, — განაცხადა ამას წინათ ნინო ბურჯანაძემ — „ვარდების რევოლუციის" ლიდერმა. ამას ამბობს ქალი, რომელიც ორჯერ ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას და ორჯერ ჩაატარა საპრეზიდენტო არჩევნები, ქვეყნის პირველი პირი იყო...

ეს არ უნდა გასამართლდეს?

ახლა მაინც ხომ ვხვდებით, რა მოგვიტანა ხავერდოვანმა გადატრიალებამ. გადაწყვეტილი გვაქვს, შევქმნათ პოლიტიკურ პარტიათა ასამბლეა.

— **რა მიზნით?**

— ასამბლეამ უნდა შექმნას ეროვნული თანხმობის ხელისუფლება, ანუ ნდობის საბჭო იმ სახელოვანი ქართველებისგან, ვის ბეჭებზეც ამ ქვეყნის ღირსება დევს. ორხელისუფლებიანობაც რომ გახდეს საჭირო, მაინც ამ გზით უნდა წავიდეთ.

— **მართლა აპირებთ სოხუმსა და ცხინვალში ჩასვლას?**

— დიახ, ვაპირებ! ხელისუფლებამ რუსეთის ლანძღვითა და ამერიკის ქებით ხალხს ორივე შეაძულა. თავად ამერიკელები გვეუბნებიან, პირდაპირ დაელაპარაკეთ რუსებს, აფხაზებსა და ოსებსო. ვაფასებ მათ გულწრფელობას.

ამერიკა ვერ აიძულებს, ვერ დაავალებს რუსეთს, ტერიტორიები დაგვიბრუნოს. სუპერსახელმწიფოები ჩვენ გამო ერთმანეთს არ გადაემტერებიან, სააკაშვილი უნდა გადადგეს და სხვებს მისცეს ქვეყნის გადარჩენის შანსი.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# გია არსენიშვილი — «არც - საქმე, არც - ლაპარაკი!»



**ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ყველა ქვეყანაში, უპირველესად, კონსტიტუცია და კანონმდებლობა იცავს. თავის მხრივ, ადამიანები ვალდებულნი არიან, დაიცვან კონსტიტუცია და კანონმდებლობა. საზოგადოებრივი განვითარების აუცილებლობაა ისიც, რომ განხორციელდეს ამ პროცესის მონიტორინგი. ამ მიზნით უამრავი ორგანიზაცია და სტრუქტურა იქმნება.**

საქართველოშიც, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში, არსებობს კონსტიტუცია, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული ადამიანის უფლებები. მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად მოქმედებს სახალხო დამცველის ინსტიტუტი და პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტი. ყურადღება უნდა გამახვილდეს ნახსენები სტრუქტურების, უფრო სწორად, მათ ხელმძღვანელთა საქმიანობაზე. ქართული პოლიტიკის ანომალიაა ისიც, რომ პერსონებზე ვართ დამოკიდებული და არა კონსტიტუციასა და კანონებზე. ამ პერსონების საქმიანობა კი, ჩვენდა სამწუხაროდ, აისახება ჩვენი ცხოვრების სტაბილურობასა და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელზე. ჩვენი უფლებების დაცვა სახელმწიფომ სოზარ სუბარსა და გია არსენიშვილს მიანდო. ბატონი სუბარი მრავალგვერდიანი ანგარიშით ყოველწლიურად წარდგება ხოლმე პარლამენტის წინაშე. ის არც მედიასთან ურთიერთობას გაურბის, სიტყვაწყლიანი არ არის, მაგრამ დინჯად, აუღელვებლად უმალ ახდენს სიტყვიერ რეაგირებას ამა თუ იმ ადამიანის უფლებისშემლახველ ფაქტზე. სიტყვიერი რეაგირება საკმარისი არ არის, თუმცა მისი საქმიანობის უშედეგობის ბრალეულობას „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე ხელისუფლების ქმედებებში ხედავს.

**„სოზარ სუბარის მუშაობა, შედეგობრივი თვალსაზრისით, არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ ეს არ არის განპირობებული თავად სუბარის მოქმედებებით. ეს ისევ და ისევ ხელისუფლების ბრალია. დღეს ბატონი სუბარის საქმიანობას შევადარებდი ერთ ქართულ ანდაზას — „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის".**

ადამიანთა უფლებების დამცველ საპარლამენტო წარმომადგენლობაში კი უფრო რთულად არის საქმე. ბევრმა არც იცის, რომ ამ ფლანგზე ჩვენი უფლებებისთვის გია არსენიშვილი მოღვაწეობს. ის, რომ არსენიშვილი პოლიტიკაში მინდვრიდან მოვიდა, თავად აღიარა. ეს მაშინ, როცა შევარდნაძემ მინისტრის პორტფელი ჩააბარა. ამ საკითხზე გაკეთებული პირველი კომენტარი ის იყო, რომ მინდორში სამუშაოდ მყოფმა მიიღო სატელეფონო შეტყობინება მაშინდელი ხელისუფლების მესვეურთაგან. როგორც ამბობდნენ, მაშინ რეკომენდაცია მედიკო მეზვრიშვილმა გაუწია. ვისი რეკომენდაციით ან რა დამსახურებით მოხვდა სააკაშვილის პარტიულ რიგებში, ეს, ისევე, როგორც ბევრი რამ ჩვენს ქვეყანაში, გაურკვეველია. გარკვეულია ის, რომ, წინამორბედისგან განსხვავებით, არსენიშვილი საკმაოდ პასიური ფიგურაა ქართულ პოლიტიკაში. ზოგადად, დეპუტატს ევალება, ერთი მხრივ, კანონშემოქმედებითი საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მეორე მხრივ, დეპუტატის ფუნქციაა, აკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება, ის სტრუქტურები, რომლებიც ლეგიტიმაციას იღებს პარლამენტის გადაწყვეტილებებით.

დეპუტატის ლეგიტიმური უფლებაა ისიც, რომ შესაძლებლობისა და კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში რეაგირება მოახდინოს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე. როცა სახელმწიფოში პოლიტიკური აქტივობა მაღალია, მიმდინარეობს საპროტესტო აქციები, იქ მეტ-ნაკლებად ილახება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის უფლებები. სხვა თუ არაფერი, არსენიშვილს სიტყვიერი შეშფოთება მაინც უნდა გამოეხატა როგორც ოპოზიციის აქტივისტთა დაკავებაზე, ასევე, იმ მოსახლეობის თუ ტაქსის მძღოლთა პროტესტზე, რომელთაც მომიტინგეებმა გზების პიკეტირებით პრობლემები შეუქმნეს. საპასუხოდ არსენიშვილმა პირში წყალი ჩაიგუბა. ეს უფრო თვალში საცემია იმ ფონზე, როცა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებზე კომენტარებს აკეთებდნენ ისინი, ვისი უპირველესი მოვალეობაც სოციალურ განვითარებაზე ზრუნვა და ამავე სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებაა. ერთი რამ უნდა ვაღიაროთ: მისი წინამორბედი ელენე თევდორაძე ამ შემთხვევაში სხვაგვარად მოიქცეოდა. ამ უკანასკნელმა, შესაძლოა, გაკეთებულ საქმეებზე მეტად საზოგადოებას თავი დამტვრეული ქართულით უფრო დაამახსოვრა, მაგრამ პატიმრებისთვის თავისებურად იღვწოდა. ხუმრობდნენ კიდეც, თევდორაძეს ციხეებში გამართული შეხვედრებით ერთი „სროკი" მოხდილი აქვსო. მერაბიშვილის შესაძლებლობები რომ ჰქონოდა ქალბატონ ელენეს, ალბათ, იმ სკანდალურ ჩანაწერსაც ვიხილავდით, რომელსაც, კრიმინალ ხანგოშვილთან ერთად, როგორც ამბობენ, გიორგი სანაიას სიცოცხლეც შეეწირა. პოლიტიკურ პენსიაზე გასვლას ქალბატონი ელენე არ ჩქარობს, არადა, იქნებ მემუარებში მაინც დაწეროს ოდესმე, რა იყო იმ ფირზე ასახული, რომელიც მას, როგორც მაშინ ამბობდა, ნანახი ჰქონდა და, უბრალოდ, არ შეეძლო ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი.

„ქალბატონი ელენე თევდორაძის საქმიანობა, მისი მემკვიდრისგან განსხვავებით, წლების განმავლობაში იყო პიარით გაჯერებული და საზოგადოებისთვის კარგად დადგმული სანახაობა. თითქოს ეს ადამიანი იცავდა პატიმრების უფლებებს. შედეგების თვალსაზრისით კი, ორივე ერთია. მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტამდე მათ არავინ მიუშვებს, რადგან ამჟამად სხვა იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. პოლიტიკური მუსიკის შემკვეთი ხელისუფლებაში სულ სხვაა. არსენიშვილმა კი პიარსაც თავი დაანება, აღარაფერს ვამბობ კონკრეტული საქმის კეთებაზე," — აცხადებს მამუკა კაციტაძე „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბრისას.

როგორც ჩანს, არსენიშვილმა „ნაციონალების" ლოზუნგი „საქმე ლაპარაკის ნაცვლად" ნაწილობრივ აითვისა და პრაქტიკულად ასე განახორციელა: „არც — საქმე, არც — ლაპარაკი!"

**ნანა ლაღაძიშვილი**

პუბლიკაციის კვალდაკვალ

# ცოდვით შეპყრობილი ერი ადვილად სამართავია

**სხვა საქართველო სად არის? თუკი ტრადიციულ, ეროვნულ სახელმწიფოს ვგულისხმობთ, ასეთი საქართველო, შეიძლება ითქვას, უკვე არ არსებობს. ქართველი ერი ბერდება, მცირდება, ამ პროცესს დემოგრაფები ერის კვდომას ეძახიან. სხვა სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებთან ერთად, რაც ერის კვდომას განაპირობებს, ზნეობრივმა დეგრადაციამაც დაგვრია ხელი, სოდომური ცოდვა შემოგვეჩვია და, თუ ასე გაგრძელდა, ისტორიაში ჩვენც ისე მოგვიხსენიებენ, როგორც გადაგვარებულ და გადაჯიშებულ სახელმწიფოს, რომელმაც ვერ გაუძლო XXI საუკუნის გამოწვევებს და არსებობა შეწყვიტა. ქართულ ფასეულობათა სისტემა ვერ გუობს სექსუალურ უმცირესობებს, შესაბამისად, ვერც ქართული საზოგადოება აღიქვამს მათ სრულფასოვან და თავის თანასწორ ნაწილად, რაც წესითა და რიგით გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, მაგრამ... „ქართველები გოიმები და ბანძები არიან, ჩვენისთანებისთვის მსოფლიოსკენ გზა ხსნილია და თქვენ ამას ვერ ხვდებითო!" — ასე ხსნიან თავად სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლები ჩვენი საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას.**


ლიბერალური დემოკრატია ჩემთვის იქ მთავრდება, სადაც პედერასტების უფლებები ჩემსას უთანაბრდება

„საქართველო და მსოფლიო" წინა ნომერში უკვე წერდა მამათმავლებისა და ლესბოსელების საიტის თაობაზე, იმაზე რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდა ღიად ხდება და რომ ამ საიტებზე შესვლა თავისუფალია ასაკობრივი შეზღუდვის გარეშეც.

აქვე გეტყვით, რომ გამოდის ჟურნალი „მე", რომელსაც ჰოლანდიის ეროვნული „ლგბტ" ასოციაცია აფინანსებს. უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული ეს ძვირადღირებული ჟურნალი უფასოდ რიგდება და საზღვარგარეთ არსებულ ქართულ დიასპორებსაც მიეწოდება.

**სოდომიის პროპაგანდის კატეგორიული წინააღმდეგია ჩვენი სარწმუნოება, მართლმადიდებელი ეკლესია. ამის თაობაზე გვესაუბრება ცამეტი ასურელი მამის ეკლესიის მოძღვარი მამა ელგუჯა:**

— ლესბოსელობა, მამათმავლობა და სხვა სახის სოდომია არამარტო ქრისტიანული მორალიდან გამომდინარეა უმძიმესი დანაშაული, არამედ მთელი კაცობრიობის, ერის შეურაცხყოფაცაა. ეს ადამიანები არღვევენ 10 მცნებას. ვინც ამ ცოდვას ჩაიდენს, ის ადამიანი ფიზიკურად დეგრადირდება და სულიერად იხრწნება. ზოგი ამბობს, რომ XXI საუკუნეა, დემოკრატიაა, პიროვნების თავისუფლებაა და სოდომია ცოდვად არ უნდა ჩაითვალოსო — ეს არასწორია. ის ადამიანი, რომელიც ცდილობს, ცოდვა დააკანონოს ერის ცხოვრებაში, ის ღმერთს უცხადებს ომს. მამათმავლობის, სოდომიის ცოდვის მატარებელი ადამიანი ვერასდროს იქნება ბედნიერი; რაც შეეხება ცოდვით შეპყრობილ ერს, ის ადვილად სამართავია. ადამიანმა თავისი საკუთარი ნება არ უნდა დაუკავშიროს ეშმაკს, რომელიც სოდომ-გომორული ცხოვრებისკენ გიბიძგებს, არამედ — ღმერთს, რომელიც გასწავლის სიყვარულსა და მორჩილებას.. ტელევიზიით, რადიოთი, პრესით, ინტერნეტით ზოგჯერ ხილულად, ზოგჯერ ფარულადაც ხშირად ჩააგონებენ საზოგადოებას, რომ მორჩილება მონობაა, მაგრამ ეს ასე არ არის, მორჩილება არ ნიშნავს მონობას.

გერმანიაში ხშირია შემთხვევები, როდესაც იძულებით, ძალით იღებენ ბავშვებს პორნოფილმებში, ამ საქმეში ექიმებიც არიან ჩართულნი. ასეთი გარყვნილი ხასიათის ბეჭდვით- თუ კინოპროდუქციას არ უნდა უკეთდებოდეს რეკლამა, ეს დამღუპველია საზოგადოებისთვის. დავით მეფის ფსალმუნებში წერია, რომ „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა-ყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ", ანუ აღვირახსნილი ცხოვრება პირუტყვის, ცხოველის დონეზე დაიყვანს ადამიანს. ევროპისა და ამერიკის რიგ ქვეყნებში დაშვებულია მამათმავლების ქორწინება, რაც კანონის ძალითაა გამყარებული. ჩვენი სარწმუნოება, ეკლესია კატეგორიულად კრძალავს ამ ქმედებას, თუმცა არსებობენ ძალები, რომელთაც სურთ ერის გახრწნა-გარყვნა, ამოფარებული არიან ისეთ სიტყვებს, როგორიცაა დემოკრატია, ევროპული ცხოვრება და ფარულად ლობირებენ მანკიერებათა დამკვიდრებას. თუ მაინცდამაინც დასავლური გამოცდილების გაზიარებაზე მიდგება საქმე, იქნებ, ჯობდეს, რაც კარგია, ის გადმოვიტანოთ. მოსახლეობის დასაქმებაში, ხალხის ეკონომიურად გაძლიერებაში, ჯანსაღი ცხოვრების წესზე ზრუნვაში მივბაძოთ დასავლეთის ქვეყნებს.

საქართველოში არავინ იცავს იმ მართლმადიდებლის უფლებებს, რომელსაც არ სურს ასეთ სიბინძურეში ჩარევა, მამათმავლებთან და სხვა ტვინარეულ ხალხთან ურთიერთობა, მათი ცხოვრების წესის პროპაგანდის ღია წყაროებიდან მოსმენა.

თუ სხვადასხვა უფლებადაცვითი ორგანიზაციები იცავენ იმათ უფლებებს და იხსნება სტრიპტიზკლუბები, გეიბარები, პროპაგანდისტული ინტერნეტსაიტები და ჟურნალები, სკოლებში შეაქვთ სექსოლოგიის სწავლება, იგივე უფლებადაცვითი ორგანიზაციები რატომ უგულვებელყოფენ იმ მართლმადიდებლების უფლებებს, ვისაც არ სურთ, რომ ასეთი რამ ღიად, ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის ხელმისაწვდომი ფორმებით ხდებოდეს?! როდესაც იღებენ მულტფილმებს, სადაც პრინცები მამათმავლები არიან, რატომ არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ასეთი შინაარსის და მორალის მქონე მულტფილმი საზიანო იქნება მოზარდისათვის?!

ნორმალურ ქვეყანაში ამ ყველაფერზე პასუხს ხელისუფლება უნდა აგებდეს. ხაზგასმით ვამბობ, სოდომიის ღია პროპაგანდა ძალადობაა, პირად ცხოვრებაში ჩარევა, ერის გენოციდისათვის ხელისშეწყობა. არავინ იბადება მრუშად, მამათმავლად ან ნარკომანად. ადამიანი ასეთი ხდება გარემოს, აღზრდისა და სხვა დესტრუქციული ფაქტორების გამო. თუ მოზარდ თაობას შევუქმნით ისეთ ინფორმაციულ გარემოს, რომელშიც სოდომია და სხვა გარყვნილობები იქნება მისაღები, უფრო მეტიც — მოსაწონი და მათ ცოდვად არავინ ჩათვლის, მივიღებთ კატასტროფულ სურათს. აქვე ჩნდება ერთი ლოგიკური კითხვა — თუკი სოდომიის მიმდევრებს თავად არ მიაჩნიათ ცოდვად და სირცხვილად, რასაც ჩადიან, მაშინ რატომ არ ჩანან თამამად ქართულ საზოგადოებაში და თუ ეს ცოდვაა, მაშინ საზოგადოება უფრო აქტიურად რატომ არ ებრძვის მანკიერების ამ გამოვლინებას? ეს ანარქიაა. უფლის წინააღმდეგ განწყობილი ყველა ადამიანი ეშმაკისეულია.

ესაუბრა
**ნანა დიხამინჯია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როგორ მოუგო დე გოლმა «ოქროს ომი» ამერიკას



**1965 წლის გაზაფხულზე ნიუ-იორკის ნავსადგურში შევიდა ფრანგული ხომალდი. ასე დაიწყო ომი. გემი სამხედრო-საზღვაო ძალებს არ ეკუთვნოდა, მაგრამ მის ტრიუმებში იდო ისეთი იარაღი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ ძლიერებას გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა, იმდენად ძლიერი, რომ მის შედეგებს ამერიკა დღესაც გრძნობს. ხომალდმა საფრანგეთიდან 750 მილიონი დოლარის კუპიურა ჩაიტანა. პრეზიდენტმა შარლ ანდრე ჟოზეფ მარი დე გოლმა ამერიკელ კოლეგას ლინდონ ჯონსონს კუპიურების ოქროთი განაღდება მოსთხოვა. ეს იყო მხოლოდ პირველი ტრანში, რომელიც აშშ ფედერალურ სარეზერვო სისტემას წარედგინა.**

## CASUS BELLI

საფრანგეთის პრეზიდენტი სულაც არ აპირებდა ოქროს სტანდარტის წინააღმდეგ გალაშქრებას, რომელიც მსოფლიო ფინანსური სისტემის მდგრადობას უზრუნველყოფს. პირიქით — მას სურდა, სწორედ ოქროსთვის და არა დოლარისთვის მიენიჭებინა საყოველთაო ეკვივალენტის მნიშვნელობა.

**ეს იყო პირველი შეტევა დოლარზე**. ყველაფერი კი 1965 წლის 4 თებერვალს დაიწყო, როცა დე გოლმა თავის ტრადიციულ ბრიფინგზე (ელისეს სასახლის ჟურნალისტებით სავსე დარბაზში იმართებოდა) განაცხადა: „ძნელია იმის წარმოდგენა, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა სტანდარტი, ოქროს გარდა... **საერთაშორისო გაცვლით ურთიერთობაში უმაღლესი კანონი, ოქროს წესი, რომელიც უნდა აღდგეს, არის სხვადასხვა სავალუტო ზონის საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის უზრუნველყოფა ოქროს რეალური შემოტანისა და ხარჯვის გზით“.**

ამის თქმა ნიშნავდა, რომ მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტმა ომი გამოუცხადა დოლარს. დე გოლი მოითხოვდა, უარი ეთქვათ ფინანსური მსოფლიოს ომისშემდგომ გადანაწილებაზე დოლარის, როგორც მთავარი ვალუტის სასარგებლოდ, რაც დოლარს, პრაქტიკულად, ოქროს უთანაბრებდა. მან წამოაყენა იდეა, რომ მსოფლიო ქვეყნები საერთაშორისო ანგარიშსწორებაში დაბრუნებოდნენ სისტემას, რომელიც მსოფლიო ომებამდე არსებობდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაებრუნებინათ კლასიკური **ოქროს სტანდარტი**, როცა ნებისმიერ ვალუტას მხოლოდ მაშინ აქვს რეალური ღირებულება, ანუ ოქროდ ფასობს, როცა ოქროთია გამაგრებული.

„მოხუცებული საბოლოოდ გაგიჟდა“, — წამოუძახებია ლინდონ ჯონსონს, რომელსაც დე გოლის პრესკონფერენციის ანგარიში წაუკითხავს. მაინც იმედი ჰქონიათ, რომ საფრანგეთის, როგორც ლიდერის ანტიდოლარული რიტორიკა სიტყვებადვე დარჩებოდა. აკი ამბობდა თვით დე გოლი, რომ **„პოლიტიკოსს იმდენად არ სჯერა თავისივე სიტყვების, რომ ყოველთვის უკვირს, როცა სხვები ზედმიწევნით აღიქვამენ მის ნათქვამს“.**

მაგრამ ამჯერად საქმე პირიქით იყო.


შარლ დე გოლი


ჯონ კენედი


ლინდონ ჯონსონი

## ოქროს ციებცხელება

ვაშინგტონის ნება, ერთპიროვნულად გაეკონტროლებინა მსოფლიო სავალუტო ბაზარი, ქვეყნებს მეორე მსოფლიო ომის დროს თავს მოახვიეს. ინგლისისა და ამერიკის ექსპერტებმა 1943 წლის აპრილში დაიწყეს გლობალური სავალუტო სისტემის დამუშავება, მაშინ, როცა ომი მძვინვარებდა. მსოფლიო სასაკლაოს ეკონომიკური მხარე ოქროს ნაკადამდე კონკრეტდებოდა, რომელიც ლენდ-ლიზის პროგრამით ამერიკის საცავებში მიედინებოდა. იარაღის, მანქანების, ლითონისა და კვების პროდუქტების შესაძენად დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი და ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა მონაწილენი ამერიკის შეერთებულ შტატებს ოქროს უხდიდნენ, რადგან ომის პირობებში ჩვეულებრივი კუპიურების ფასი კაპიკია.

რამდენიმე ციფრი. **1938 წელს შეერთებული შტატების ოქროს მარაგი 13000 ტონა იყო; 1945 წელს — 17700 ტონა, ხოლო 1949 წელს — 21800 ტონა**, რაც აბსოლუტური რეკორდი — იმ დროის ოქროს მთელი მარაგის 70 პროცენტია! აქედან გამომდინარე, სწორედ დოლარი გახდა ძვირფასი ლითონის ეკვივალენტი.

1944 წლისთვის ინგლისელებმა და ავსტრალიელებმა მთლიანად ამოწურეს თავიანთი ოქროს მარაგი. მხოლოდ სტალინი იხდიდა პატიოსნად ლენდ-ლიზის ვალს... ისიც უთუოდ საინტერესოა, რომ სტალინმა სწორედ ომის პერიოდში დაავალა თავის ფინანსთა მინისტრ ზაიბაკოვს, მოემზადებინა ფულის რეფორმა, რომელიც საბჭოთა კავშირში ომის შემდეგ განხორციელდა.

დე გოლი, რომელიც უდიდესი პატივისცემით იყო გამსჭვალული სტალინისადმი, მისთვის რომ ესიამოვნებინა, სათავეში ჩაუდგა ქართული ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნების საქმეს. ეს — ცნობისთვის.

## ბანკნოტებით სავსე ტრიუმი

„გენერალს ფრიად თავისებური „მეგობრობა“ აკავშირებდა ამერიკის პრეზიდენტებთან, — იხსენებდა დე გოლის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი, ერთ დროს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი პიერ მესმერი, — ეიზენჰაუერს ვერ აპატია, რომ იგი საფრანგეთის სამხედრო გუბერნატორობას ეპირებოდა. ამერიკაში დაბეჭდილი სპეციალური ფული თავის აღალაში დაჰქონდა... უკეთესი ურთიერთობა არც კენედისთან ჰქონდა. დე გოლს იგი მამიკოს შვილად მიაჩნდა. მის ერთადერთ ღირსებად კი — ჟაკლინი — ფრანგი ცოლი“.

კენედის „უფროსკლასელს“ ეძახდა, ჯონსონს — „ყასაბს“. გენერალმა იცოდა, რომ აღიზიანებდა შტატების ისტებლიშმენტს, განსაკუთრებით კი, მას შემდეგ, რაც საფრანგეთი თავისი ბირთვული პროგრამის ფორსირებულ განვითარებას შეუდგა. არაფერი რომ არ ვთქვათ „მრავალმხრივი ბირთვული ძალების“ უარყოფაზე, რომლის საფრანგეთისთვის თავს მოხვევას პენტაგონი ენერგიულად ცდილობდა, დე გოლმა საფრანგეთის ატლანტიკური ფლოტი ნატოს სარდლობის დაქვემდებარებიდან გამოიყვანა. იმ პერიოდისთვის ამერიკელების სარდლობას ემორჩილებოდა მხოლოდ ორი ფრანგული დივიზია, ნაცვლად თოთხმეტისა, როგორც ადრე იყო შეთანხმებული.

1965 წელს დე გოლმა ლინდონ ჯონსონს ოფიციალურად მოსთხოვა საფრანგეთის სახელმწიფო რეზერვში არსებული მილიარდნახევარი დოლარის ოქროზე გაცვლა.

ვაშინგტონმა მიანიშნა, რომ ასეთი აქცია შტატებს არამეგობრულ ქმედებად შეიძლებოდა შეეფასებინა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. „პოლიტიკა ძალიან სერიოზული საქმეა, პოლიტიკოსებს რომ ვანდოთ“, — უპასუხა გენერალმა და გამოაცხადა, რომ საფრანგეთი გამოვიდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან...

პირველი ფრანგული „ფულის“ ხომალდის ტრიუმებში 750 მილიონი დოლარი იდო. ერთ დოლარში 1,1 გრამი ოქროს გაცვლითი კურსით საფრანგეთმა 825 ტონა ძვირფასი ლითონი მიიღო. ამერიკისკენ კი მეორე გემი მიემართებოდა დოლარის ამდენივე ოდენობით ტრიუმებში...

საფრანგეთის სავალუტო ინტერვენციამ ამერიკისთვის საშიში პრეცედენტი შექმნა. ფრანგებს ყაირათიანი გერმანელები მიჰყვნენ, მაგრამ ისინი გაცილებით ეშმაკურად მოიქცნენ: პირში შესციცინებდნენ ამერიკელებს — ჩვენ ხომ მეგობრები ვართ და დაგვეხმარეთო. გერმანელების ჩატანილი დოლარები ფრანგების მილიარდნახევარზე გაცილებით მეტი იყო. ამერიკელები გადარია ასეთმა თავხედობამ, მაგრამ იძულებულები გახდნენ, შეესრულებინათ მოთხოვნა.

რიგში ჩადგა კანადა, იაპონია...

აშშ ოქროს მარაგი იმდენად შემცირდა (10 მილიარდ დოლარამდე), რომ 1971 წლის 15 აგვისტოს აშშ პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი იძულებული გახდა, გამოეცხადებინა დოლარის ოქროთი შეცვლის შეწყვეტა. ამ „ოქროს შოკის“ შედეგებს აშშ დღესაც გრძნობს. მართალია, იგი მსოფლიოში ყველაზე დიდ ოქროს მარაგს ფლობს, მაგრამ მისი რაოდენობა 2003 წლისთვის 8.2 ათასი ტონა იყო, რაც ვერ შეედრება „ოქროს პერიოდის“ ოდენობას, თუმცა ისიცაა, რომ ოქრო საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან გაქრა, დოლარი კი დარჩა.

ასპარეზზე გამოვიდა ევრო, რომელიც მსოფლიოს მთავარი ვალუტის როლზე აცხადებს პრეტენზიას.

**დოლარის რეზერვები, ძირითადად, სამ ქვეყანაში იყრის თავს — ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთსა და იაპონიაში. ამ ფულით პრაქტიკულად არაფრის ყიდვა არ შეიძლება, საამისოდ მსოფლიოს ოქროს მარაგი არასაკმარისი იქნება.**

**სახეზეა ტენდენცია, როცა ამერიკის მზარდი ვალი აუფასურებს სხვა ქვეყნების სავალუტო რეზერვებს და აიძულებს მათ, დააფინანსონ ამერიკის დეფიციტი.**

დოლარი ჯერ კიდევ რჩება ღირებულების ერთიან პირობით საზომად, ამავე დროს, აშშ ეროვნულ ვალუტად.

მსოფლიოში სერიოზული პროცესები დაიწყო სხვა მსოფლიო ვალუტების დასამკვიდრებლად (მაგალითად, იუანის). **დოლარის ეპოქა მთავრდება. ვარაუდობენ, რომ შეიძლება დავუბრუნდეთ „ოქროს სტანდარტის“ მსგავს განზომილებას ან გამოიგონებენ ახალ უნივერსალურ ფულს, რომლის საფუძველი ენერგიის ერთეული შეიძლება იყოს.**

* * *

**„ამ ადამიანის სახელთან მხოლოდ უსიამოვნებანი ასოცირდება“, — უთქვამს ლინდონ ჯონსონს შარლ დე გოლზე. იცოდა ჯონსონმა, რასაც ამბობდა: ჯონ კენედი მოკლეს 22 ნოემბერს — შარლ დე გოლის დაბადების დღეს.**

**კონსტანტინე პრივალოვი**

**(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)**

# ვორონინმა სომხები შეურაცხყო

**„დღევანდელ მოლდოვაში ქსენოფობიის „მოდის კანონმდებელი“ მემარჯვენე ოპოზიციაზე მეტად მოქმედი ხელისუფლებაა, პირველ რიგში, კომუნისტური პარტიის ლიდერის ვლადიმერ ვორონინის სახით“, — განაცხადა ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში პოლიტოლოგმა ალექსანდრე ანგელიმ.**

მისი თქმით, „კომუნისტური ხელისუფლების წლებში საზოგადოება იმდენად მიეჩვია ეთნიკური წინააღმდეგობების მუდმივ ზრდას, რომ აღარ შეუძლია სათანადო რეაქციის გამოხატვა აშკარად ქსენოფობიურ განცხადებებზე, რომელთა უფლებასაც თავს აძლევს თვით ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებაც კი.“

„თითქმის ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მოლდოვას კომუნისტური პარტიის ლიდერმა და, ამავე დროს, ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმერ ვორონინმა, მსუბუქად რომ ვთქვათ, სომხების მიმართ უკიდურესად სახიფათო გამოთქმების უფლება მისცა თავს. შეგახსენებთ, ოპოზიციის, კერძოდ კი, ალიანს „ჩვენი მოლდოვას“ სომხური წარმომავლობის ლიდერის სერაფიმ ურეკიანის საქციელის კომენტირებისას ვორონინმა გამოთქვა საკუთარი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებენ სომხები აბანოში. შევიდა რა აზარტში, კომუნისტების ლიდერი გულახდილად აფრქვევდა ათას საზიზღრობას „სომხურ აბანოსთან“ და „იატაკზე დაგდებულ საპონთან“ დაკავშირებით. თურმე, ამ საპნის „აღებისა შეეშინდა“ სერაფიმ ურეკიანს. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში პოლიტიკური ლიდერი, რომელიც თავს ამგვარი განცხადებების გაკეთების უფლებას მისცემდა, ამ „საპონზე“ თავადვე დაცურდებოდა, მაგრამ მოლდოვაში ასეთ ფრაზებს უკვე აღარავინ უგდებს ყურს, არანაირი რეაქცია არ ყოფილა“, — განაცხადა პოლიტოლოგმა. „როგორც ჩანს, მოლდოვას საზოგადოება ქსენოფობიით გაჯერების სტადიაშია და ეროვნულ თემებზე ამგვარი გამონათქვამების მიმართაც გულგრილი დამოკიდებულება აქვს. ადრეც შეუმჩნეველი დარჩა ვორონინის გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ იმპერიალიზმი და ნაციონალიზმი „რუმინელი ხალხის გენეტიკურ კოდშია ჩაწერილი“, რომ „გაგაუზებს უნდა სცემო, რომ შეგიყვარონ...

ალარაფერს ვამბობ კომუნისტების მოკავშირე ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის ლიდერის იური როშკინის რუსოფობიით გაჯერებულ განცხადებებზე. თუკი ასეთი მტკივნეული ეროვნული საკითხებისადმი ესოდენ „მსუბუქი“ დამოკიდებულების უფლებას აძლევს თავს მოქმედი ხელისუფლება, რა ეროვნებათშორის ტოლერანტობას უნდა ველოდეთ მთელი საზოგადოებისაგან“? — განაგრძობს პოლიტოლოგი.

შეგახსენებთ, კომუნისტური პარტიის ლიდერმა ვლადიმერ ვორონინმა პრეზიდენტობის კანდიდატის შესახებ ოპოზიციის ლიდერებთან მოლაპარაკებისას განაცხადა: „მე შევთავაზე ფართო კოალიცია პარლამენტში, მაგრამ მათ რაღაც სომხური აბანოს მსგავსი რამ დაემართათ — ვინ აიღებს იატაკიდან საპონს პირველი. ყველა ფიქრობდა, რომ ამას ურეკიანი გააკეთებდა, ვილაც ფიქრობდა, რომ ეს ფილატი იქნებოდა, მაგრამ საბოლოოდ საპნის აღება ვერავინ გარისკა“.

**REGNUM.ru**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

**არნო ხიდირბეგიშვილი**

# ჰონ**დურა**სები...



**თბილისი — ტეგუსიგალპა, მიხეილ სააკაშვილი — მანუელ სელაია: საინტერესო მსგავსებაა, არა?! თუმცა, როგორც უკვე ვიკიპედიიდან ამონარიდის კითხვისას შენიშნეთ, ამით მსგავსება არ ამოიწურება...**

**«Гондурас, Гондурас, в сердце каждого из нас!»** — ნუთუ ამ რუსულ საესტრადო სიმღერაში ჩვენზე — ქართველებზე მღერიან?! ყველაზე, რა თქმა უნდა, არა, არამედ ზოგიერთებზე, რომელთა წყალობითაც კავკასიის უძველესი სახელმწიფო **საქართველო**, რომელიც პირველად ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუახანებში მოიხსენიება, **შორეულ ჰონდურასს** — ლათინური ამერიკის სახელმწიფოს დაემსგავსა, თავისი დაარსების დღიდან **მეზობელ ქვეყნებთან მუდმივ სამხედრო კონფლიქტებში რომაა ჩართული და შიდა სამოქალაქო ომებით, სამხედრო გადატრიალებებითა და კონტრგადატრიალებებით იხლიჩება?!**

განა ბევრი (ბოლო 20 წლის განმავლობაში ვერა და ვერ დაშოშმინდნენ!) **ქართველი პოლიტიკოსი, ავანტიურისტი და გამყიდველი ჟურნალისტი, „სამეფო კარის“ პროქტოპოლიტოლოგი და „სამხრეებიანი“ დამოუკიდებელი ექსპერტი, ბანდიტი, ბიზნესმენი, ქურდი, მომღერალი, პოეტი, რეჟისორი** სულით არ ენათესავება **ჰონდურასელებს — სამხედრო პუტჩისტებს, ესპანელ კოლონიზატორებსა და კარიბის ზღვის მეკობრეებს**, არაერთგზის რომ შეესივნენ ჰონდურასს?! მიტომაც ვუწოდებ მათ **არა ქართველებს, არამედ ჰონ*ДУРА*სებს!**

**მათი პოლიტიკური კრედოა „ყოველთვის!“ ისინი ვაჭრობენ „ოპიუმით ხალხისათვის“** (უკვდავი ილფი და პეტროვი!), **მათი მიზანი პირადი გამდიდრებაა, და რაკიღა საქართველოში ყველაზე მომგებიანი ბიზნესი პოლიტიკაა, ამ მიზნის მისაღწევად ძალაუფლება სჭირდებათ, რომლისკენაც ყველა შესაძლო მეთოდით ისწრაფვიან და სულაც არ ანაღვლებთ მრავალტანჯული სამშობლოსა და მისი მიმნდობი ხალხის მომავალი!** ღრმად დარწმუნებულებმა იმაში, რომ **გამარჯვებულებს არ ასამართლებენ**, ჩაგვინერგეს, რომ **სამოქალაქო ომების მოწყობა საკუთარ ტერიტორიაზე და ხელისუფლების დამხობის მიზნით მოწყობილი სამხედრო გადატრიალებები ჩვეულებრივი ამბავია; რომ ქართველები პირველი ევროპელები არიან და, ამასთან, — განსაკუთრებული, რომელთათვისაც კანონი არაფრად ფასობს; რომ საქართველო აზია კი არა, ევროპაა; რომ ჩვენი უანგარო მეგობარი და თანაბარუფლებიანი პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატებია, ხოლო №1 მტერი — რუსეთი...**

ოღონდ მათ, ძვირფასებმა, არ გაითვალისწინეს, რომ „შუბი ხალთაში არ იმალება“: მალე ქართველი ხალხი, რომელსაც სულაც არ სჭირს ამნეზია, მათ „ისტორიის სანაგვეზე“ მოისვრის, ხოლო თუ ვინმე გამორჩება, შეახსენებს... ვინ?! ქართული მიწის ჭეშმარიტი პატრიოტები, როლებსაც **არც სურვილი აქვთ და არც შესაძლებლობა, ახლო ან შორეულ უცხოეთში გადასახლდნენ**; რომელთათვისაც ჩვენი ეკლესიების კედლებში ჩაშენებული თითოეული ქვა დასავლური ცივილიზაციის ყველა სიკეთეზე ძვირფასია; ისინი, ვინც **შვილებს საქართველოში და საქართველოსთვის ზრდის**; ვინც თავისი წინაპრების საფლავებს პატივს მიაგებს.

**სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: საქართველოს დღევანდელი პოლიტისტებლიშმენტის 99 პროცენტს – ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც – მომავალი არ აქვს პოლიტიკაში! არც რუსეთი, არც აშშ და არც დასავლეთი მათ სერიოზულად არ აღიქვამს — მათი „მატარებელი წავიდა“ და ამაში დამნაშავე თავად არიან.**

**„გამოსავალს ვერ ვხედავ!“** — განაცხადა ამასწინათ ოპოზიციის ერთ-ერთმა მთავარმა ლიდერმა — მომღერალმა **„უცნობმა“ (გიორგი გაჩეჩილაძე)** თავის პოლიტიკურ თოქშოუ **„საკანი №5“**-ში, და ამას ყველას გასაგონად ამბობს ლიდერი, რომელსაც 2007 წლიდან დღემდე ასობით ათასი მოქალაქე გაჰყვა... ისინი, ვინც არაერთგზის დაარბიეს ცრემლსადენი გაზით, წყლის ჭავლით, ხელკეტებითა და პლასტიკატის ტყვიებით... მოქალაქეები, რომლებიც მისი იმედით სიცივესა და წვიმაში სამი თვე ქუჩაში — საკნების სიმბოლოდ ქცეულ, პოლიეთილენით შემორაგულ არმატურის კონსტრუქციებში ცხოვრობდნენ... ვინც უკეთესი მომავლის იმედით 26 მაისს მისი მოწოდებით გაავსო თბილისის ეროვნული სტადიონი. სწორედ ამის შემდეგ იშვა ქართველი საზოგადოების აქტივობის ახალი პოლიტიკური ერთეული **„1 (ერთი) სტადიონი“** (ანუ 80 000 მოქალაქე)...

**„საქართველოში არ არსებობს რუსულენოვანი პრესა!“** — აცხადებს „უცნობი“ საავტორო თოქშოუში, რის შემდეგაც ხვდები, რომ ერის სამოქალაქო ლიდერის როლის პრეტენდენტი და ოპოზიციის კერპი, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს, რათა **საქართველო და რუსეთი შეარიგოს და აფხაზეთი და სამაჩაბლო დააბრუნოს, ცხოვრებაში არ გაჰკარებია საგაზეთო ჯიხურს და არ შეუძენია გაზეთი, არ „მეგობრობს“ კომპიუტერთან, ინტერნეტსა და რუსულ ენასთან,** ნამდვილი **ჰონ*ДУРА*სია,** მოკლედ...

სამაგიეროდ, მას კვერს უკრავს მოსაუბრე შოუში — **ლეგენდარული „ექსპერტი კავკასიის საკითხებში“ მამუკა არეშიძე**, რომელმაც თბილისიდან ცხვირის გაუყოფლად ყოველთვის უმცირეს დეტალებამდე იცის (გვარ-სახელების, საიდუმლო ბინა-პაროლების, დროისა და ადგილის მითითებით), რა მოხდა, რა ხდება ან მოხდება აფხაზეთში, ოსეთში, ჩეჩნეთსა თუ ინგუშეთში... **მისი „წარმოუდგენელი“ გათვითცნობიერებულობა დიდი ხანია, „შავი შურის“ საგნად ქცეულა აგენტურის შენახვაზე ასტრონომიულ თანხადანახარჯებ „ცე-რე-უს“, „ფე-ეს-ბეს“, „მი-6“-ისა და საქართველოს შს მინისტრ ვანო მერაბიშვილისთვის, რომელსაც ინფორმაციის წყაროს შესახებ პირდაპირი კითხვის დასმა არეშიძისთვის, ალბათ, „ერიდება“...**

მახსენდება საქართველოს საინფორმაციო სააგენტო „პირველისთვის“ 2009 წლის 4 მარტს **არეშიძის** მიერ მიცემული ინტერვიუ, სადაც ის აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის **შამბას** ინტერვიუს კომენტირებისას აცხადებს: ***„ხაფანგში, რომელიც რომელიღაც მესამე ძალამ დააგო, არა მხოლოდ საქართველო, არამედ რუსეთიც მოხვდა...“***

შთაბეჭდილება მექმნება, რომ საქართველო-აფხაზეთის დიალოგში, რუსეთის გარდა, მუდამ ჩართული იყო **ვიღაც სხვა**, რადგან ორივე მხარისგან მომავალ ყველა სამშვიდობო და სასიკეთო ინიციატივას **ვიღაც** მუდმივად ხელს უშლიდა. დაზუსტება გამიჭირდება, მაგრამ შესაძლოა, ეს **„ვიღაც სხვა“ დასავლეთი იყო...**

საერთოდ, მიმაჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი არ ყოფილა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ომი, მასში ჩართული იყვნენ **სხვა ძალებიც,** ისინი, ვისაც ხელს აძლევდა ეს კონფლიქტი... აგვისტოს მოვლენებამდე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ ძალების მიზანი **ომი** იქნებოდა... გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებაშიც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ აპრილ-მაისში აგულიანებდნენ პრეზიდენტს, **სიტუაცია დაეძაბა** და ამგვარად დაეყენებინა დასავლეთი ფაქტის წინაშე. ასევე, ვიცი, რომ მაისში პრეზიდენტს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ წარმომადგენელთან საკმაოდ მკაცრი საუბარი ჰქონდა, რათა **ისინი შეეჩერებინა...**

**სხვა ძალები დაინტერესებული იყვნენ ამ ფორმატით ომის წარმართვასა და მის დასრულებაში იმით, რითაც დასრულდა.**

ვინ არის ეს **„მავანი“**, როგორც უკვე ვთქვი, დაზუსტება არ შემიძლია, თუმცა შემიძლია ვივარაუდო, რომ **ზოგიერთი დასავლური წრის წარმომადგენლები არიან“.**

„ექსპერტიც“ ასეთი უნდა და გათვითცნობიერებულობაც! **ესე იგი, 2008 წლის ომში დამნაშავენი არიან არა რუსეთი და საქართველო, არამედ „ვერაგი“ დასავლეთი, რომლის მზესაც ფიცულობენ საქართველოში?!** საინტერესოა, **„ვერაგი“ დასავლეთის** წარმომადგენელი — შვეიცარიელი დიპლომატი **ჰაიდი ტალიავინი** (აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის ხელმძღვანელი, რომელმაც მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს თავისი დასკვნა უნდა წარმოადგინოს) **არეშიძეს** ესაუბრა, თუ ისიც **„ჰონ*ДУРА*სობს“**?!

**არ გავკილავ ამ ხანდაზმულ ჰონდურასებს — თავის დრომოჭმულ პროქტოპოლიტოლოგებს (ცინცაძე, რონდელი, კლიმიაშვილი, საყვარელიძე & კომპანია), რუსეთის დაღუპვას რომ წინასწარმეტყველებდნენ დაბალხარისხიანი ჭაჭისა და ბელარუსულ შპროტზე ემბარგოს გამო (!);** ასევე არ გავკილავ მათი საქმის ღირსეულ გამგრძელებლებს — ახალგაზრდა **ბარ(ა)ნოვს**: ასაკს პატივი უნდა სცე, ნორჩები კი მუქთა რეკლამას არ უნდა მიაჩვიო! მით უფრო, რომ მათ ყველა იცნობს — არანაკლებ, ვიდრე ოპოზიციის მთავარ ლიდერს **„გრეჩიხას“ (ლევან გაჩეჩილაძე**, ზემონახსენები მომღერლის, „საკანი №5“-ის ბინადარი „უცნობის“ ძმაა) და მის ამხანაგს „რევოლუციურ ბრძოლაში“ — **„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერს დავით გამყრელიძეს**.

ამ ორმა წინა კვირას თავი იმითაც „ისახელა“, რომ **ნინო ბურჯანაძის** ლოგიკური უარის შემდეგ (მომავალშიც დაეფინანსებინა საპროტესტო აქციები) გადაწყვიტა, გამოეყენებინა ნაცადი ფორმულა: დაურეკეს „რუსული ჩამოსხმის“ მდიდარ ქართველებს და „მამულიშვილური ვალი“ შეახსენეს: ***აქაოდა, სამშობლო განსაცდელშია და თქვენ, როგორც ქართველები, ვალდებული ხართ, ჭკუა კი არ დაგვარიგოთ, არამედ მატერიალურად დაგვეხმაროთო! ჩვენ აქ საერთო ნათელი მომავლისთვის ვიბრძვით, თქვენ კი მანდ — მოსკოვსა და პიტერში — ფუფუნებაში ნებივრობთო... ხვალ-ზეგ კი, როცა ხელისუფლებაში მოვალთ და თქვენ საქართველოში ბიზნესის „გაჩაღებას“ მოისურვებთ, ჩვენ რევოლუციის გამარჯვებისთვის გაწეულ ამ წვლილს არ დაგივიწყებთო!“*** ამაზე რუსი „ახალი ქართველებისგან“ ლაკონიური, მაგრამ ამომწურავი პასუხი მიიღეს: ***„წადით, თქვე ჰონ*ДУРА*სებო!...“***

მერე **ჰონ*ДУРА*სები მართლაც წავიდნენ ბერლინამდე, „რკინის კაცამდეც“ კი ჩააღწიეს** — არა, განა რკინის შეშისმჭრელამდე „ზურმუხტქალაქის ჯადოქრიდან,“ არამედ **საქართველოს შს ექს-მინისტრ კახა თარგამაძემდე**, რომელიც ვოლკოვის ზღაპრის გმირი რკინის შეშისმჭრელის დარად, გვარიანად „დაიჟანგა“ იმ 9 წლის განმავლობაში, რაც საქართველო დატოვა და მოსკოვში დასახლდა... **„გრეჩიხა“ და გამყრელიძე მას „ნამდვილ ცოცხალ გულს“ შეჰპირდნენ** (ანუ მზიურ თბილისში ღირსეულად დაბრუნებას!), მან კი სანაცვლოდ უგულო ქართველ ბიზნესმენებზე — **ხუბუტიასა და ებრალიძეზე „საშინელი საიდუმლო“ გაანდო: თითქოსდა, კრემლს მათთვის სასტიკად აეკრძალოს ჰონ*ДУ*-*РА*სების დაფინანსება, ხოლო მათ (ოი, საშინელებავ!) ფარული კავშირი ჰქონდეთ... სააკაშვილთან** (ეტყობა, „გრეჩიხას“ გარდა, ყველას ეკრძალება სააკაშვილთან ურთიერთობა, თუმცა დარწმუნებული ვარ, ქართული ოპოზიციის ყველა ლიდერი ძალიან ძვირს გადაიხდიდა, კრემლთან ურთიერთობა რომ ჰქონებოდა...)**!!!**

რაც შეეხება **მიხეილ ხუბუტიას, სწორედაც რომ გასაკვირი იქნებოდა, ქართული დიასპორის ლიდერს ურთიერთობა არ ჰქონოდა როგორც საქართველოს პრეზიდენტთან, ისე რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან! ებრალიძე** კი სახელგანთქმული **კაპიტან კიდის** ალიკვალია, რომელიც ნაძარცვ განძეულს **ჰონდურასის** კუნძულებზე მალავდა: აბა, მეკობრეს რა მოეკითხება?!

**P.S. «Гондурас, Гондурас, в сердце каждого из нас,
Гондурас, Парагвай, кого хочешь выбирай!»**
**ჰოდა, აირჩიეთ, ძვირფასო თანამემამულენო, თუმცა გაფრთხილდით — ასარჩევიც ხომ დიდი არაფერია: გარშემო ჰონ*ДУРА*სების გნიასია!..**







*ჰონდურასი* (ესპ. Honduras) სახელმწიფოა ცენტრალურ ამერიკაში. მისი დედაქალაქია **ტეგუსიგალპა.** სამხრეთით ის **ნიკარაგუას** ემიჯნება, დასავლეთით — **გვატემალას,** ხოლო სამხრეთ დასავლეთით — **სალვადორს**; ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში **ჰონდურასის სრუტე** ჩამოუდის. 1502 წელს ინდიელებით დასახლებული ჰონდურასი ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა, ხოლო 1524 წელს კონკისტადორების რაზმმა, რომელიც მექსიკის დამპყრობელმა კორტესმა ოქრო-ვერცხლის საძებნელად გაგზავნა, ჰონდურასში ესპანეთის მეფის ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა.

**ჰონდურასი** უნიტარული **საპრეზიდენტო რესპუბლიკაა.** 1932-1949 წლებში ქვეყანას **დიქტატორი** — გენერალი ტიბურსიო კარიას ანდინო მართავდა. 1963 წელს აქ **სამხედრო გადატრიალება** მოხდა, რასაც **სამხედრო ხუნტების მმართველობის** ხანა მოჰყვა. 1981 წლიდან ჰონდურასი სამოქალაქო მმართველობას დაუბრუნდა, თუმცა სამხედროების ძლიერი გავლენა ქვეყნის პოლიტიკაზე შენარჩუნდა. **სამხედრო პუტჩის შედეგად 2009 წლის 27 ივნისიდან დაამხეს და დააპატიმრეს ქვეყნის პრეზიდენტი მანუელ სელაია.**

**ტერიტორიის დიდი ნაწილი მთებს უკავია. აგრარული, ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყანა უცხოურ კაპიტალზეა დამოკიდებული, ხოლო ბოლო წლებში — გარე ეკონომიკურ დახმარებაზეც. აქვს დიდი საგარეო ვალი, ჭიანურდება პრივატიზაცია. არ ტარდება მიწის რეფორმა. დიდია უმუშევრობაც. არ არის განვითარებული მრეწველობა, თითქმის მთლიანად დამოკიდებული არიან ჰიდროენერგიაზე. მთავარი სასაქონლო კულტურა ბანანია. მე-19 საუკუნის ბოლოს ჰონდურასში უცხოური ინვესტიციების შედინება დაიწყო: ამერიკულმა კომპანიებმა აქ ბანანის დიდი პლანტაციები შექმნეს, დაიწყეს რკინიგზისა და სამანქანო გზების გაყვანა, საზღვაო პორტების გაფართოება.**

**(მასალა ვიკიპედიიდან – თავისუფალი ენციკლოპედიიდან)**

ზოია გამზარდია:

# თურქი უფროსი მიზეზს ეძებდა, სახლიდან ანაზღაურების გარეშე გავეგდე

**დიდი გერმანელი ფილოსოფოსის იმანუილ კანტის თქმით, კავკასიაში თურქთა ომების წარმოების ერთ-ერთი მიზეზი საკუთარი ჯიშის გასქრლება იყო, რაც ლაზიკას მიტაცებით კიდეც მოახერხეს. სტამბულის მონათა ბაზარში ქართველები განსაკუთრებით ძვირად ფასობდნენ. დღეს კი ქართველი ქალი ყველაზე იაფი მონაა თურქეთის ბაზარზე, მზადაა, ნებისმიერ სამუშაოზე ნებისმიერი ანაზღაურების სანაცვლოდ ემსახუროს მათ. ყოველივე ამაზე გვესაუბრება პროფესიით ისტორიკოსი, თბილისელი ქალბატონი ზოია გამზარდია.**



— **ქალბატონო ზოია, სულ ორიოდე დღის წინ შევიტყვე, რომ თურქეთიდან დაბრუნდით, რატომ და რა მიზნით წახვედით სტამბულში?**

— ამ შეკითხვაზე მწარედ მეცინება... თურქეთში შრომითი მოწყობის სააგენტოსთან სამთვიანი ხელშეკრულება დამიმთავრდა და რამდენიმე დღით ჩამოვედი. ერთ კვირაში კვლავ უკან დაბრუნებას ვაპირებ, რათა ოჯახის არსებობისთვის მინიმალური თანხა გამოვიმუშაო, სანამ თურქეთში მოთხოვნილებაა სეზონურ მუშახელზე. აქ სამუშაო ვერ ვიშოვე, რადგან პროფესიით პარტისტორიის სპეციალისტი ვარ და ეს საგანი აღარსად ისწავლება. ჩვენთან ისეთ სამუშაოს ვერ ვიშოვი, თვეში 500 დოლარი რომ გადამიხადონ. პრაქტიკულად ადვილია სეზონურად სამუშაოს საძებნელად თურქეთში წასვლა, სხვა ქვეყნებში გამგზავრებაზე შედარებით იაფიცაა, 60 დოლარის ფარგლებში შეიძლება საზღვარზე გადასვლა. იქ არსებული სააგენტო კი გვასაქმებს, თუმცა შუამავლობისთვის ერთი თვის გასამრჯელოს თვითონ იტოვებს. ასე უამრავი ქართველი ქალი მუშაობს წარსულში მტერ ქვეყანა თურქეთში.

— **რა სახის სამუშაოს გთავაზობთ სააგენტო და თავად სად და რა პირობებში გიწევდათ მუშაობა?**

— ქართველი ქალები მუშაობენ სასტუმროებსა და რესტორნებში დამლაგებლად, სათამაშო კლუბებსა და კაფეებში ჭურჭლის მრეცხავებად, ხანდაზმულთა და ავადმყოფთა მომვლელებად, მდიდრულ სახლებში მოსამსახურეებად, არც თუ ხშირად — ბავშვების ძიძებად, იშვიათად — საზოგადოებრივი ტუალეტების მრეცხავებად.

**ქართველებს თურქები უპირატესობას ანიჭებენ რუს, უკრაინელ და უზბეკ ქალებთან შედარებით, რადგან თავისუფალი და ლაღი ბუნების ქალები ხშირად ოჯახის უფროს მამაკაცებთან რომანს აბამენ და ოჯახებს ანგრევენ ან ამწარებენ. ქართველები კი ამ მხრივ საიმედონი ვართ.**

მე, პირადად, ერთი მდიდარი მოხელის სამსართულიან ვილაში ვმუშაობდი დამლაგებლად. უამრავი საქმე მქონდა. უნდა მომეწესრიგებინა ოჯახის პატრონის სამუშაო ოთახი, საძინებელი და აბაზანა-ტუალეტი, მისი ნივთები და ტანსაცმელ-ფეხსაცმელი... დამელაგებინა უზარმაზარი მისაღები, მტვრისაგან მეწმინდა დარბაზის ხალიჩები, ავეჯი, ფანჯრები და ჭაღები, შემდეგ მიმეხედა ოჯახის წევრთა საძინებლებისთვის, სასადილო ოთახისთვის, საშხაპეებისთვის, გულმოდგინედ გამეწმინდა კიბის ფიანდაზი და რიკულები.

ოჯახში რამდენიმე ქალი ცხოვრობდა. მკაცრად დაცული სუბორდინაციით მათ შორის სრული წესრიგი სუფევდა. ოჯახის მთავარი დიასახლისი ჩემს საქმიანობას პირადად კურირებდა. მომთხოვნი, ჭირვეული და ეჭვიანი უნდობლობით მეკიდებოდა. ჩემს ნახელავს ყურადღებით ამოწმებდა, შენიშვნებსა და მითითებებსაც არ იშურებდა.

საოჯახო ტექნიკა საქმეს მიმსუბუქებდა, მაგრამ მაინც ძალიან ვიღლებოდი, გასავათებული ლოგინამდე ძლივს ვაღწევდი.

შურით შევცქეროდი სასადილო ოთახში თავშეყრილ აღმოსავლურ ყაიდაზე მორთულ ქალებს, რომლებიც უზრუნველი მხიარულებით შეექცეოდნენ ლამაზად გაწყობილ ხილსა და ნაყინს სურნელოვანი ქაფქაფა ყავით. მათ უსაქმურობით გასათუთებულ სანიმუშოდ მოვლილ ხელებს უამრავი სამკაული ამშვენებდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ძვირადღირებულ სამკაულს (ბიჟუტერია არ უყვართ) ძილის წინ დაუდევრად ყრიდნენ სარკესთან მდგარ მოზარნიშებულ ზარდახშებში უამრავ ნელსაცხებლისა და სუნამოს ფლაკონს შორის.

ერთხელ, ოთახის დალაგებისას, ცდუნებამ მძლია და უფროსი ქალის ულამაზესი ბეჭედი ქალური კეკლუცობით თითზე წამოვიცვი.

მოთვალთვალე ქალმა (თვალთვალი აღმოსავლელ ქალთა მახასიათებელია) შემნიშნა და შავი დღე მაყარა. ცრემლებით ძლივს დავარწმუნე, რომ მოპარვის მცდელობა არ მქონდა. ხეხვისგან გაუხეშებულ ხელებზე ამპარტავნული ზიზღით დამხედა იმ უწიგნურმა დედაკაცმა. მიზეზს ეძებდა, რაიმე ბრალდებით სახლიდან ანაზღაურების გარეშე გავეგდე...

ამგვარი შემთხვევები თურქთა მხრიდან ხშირია, გაუტანლები არიან.

საღამოს ოჯახის უფროსი მამაკაცი გამომექომაგა, რამაც ადგილი შემინარჩუნა, მაგრამ იქ ყოფნა გამიმწარდა.

უფროსი დიასახლისის მორჩილი ახალგაზრდა ქალები შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ არ დავემცირებინე. ენის უცოდინარობა ხელს არ მიშლიდა, მათი დამცინავი ზიზღი მეგრძნო.

ჩემი შვილების სიყვარულით და მოლოდინით, რომ დედა მათ ფულსა და საჩუქრებს ჩაუტანდა, ყოველივეს ვუმკლავდებოდი, თანაც, რამდენიმე კვირაში ხელშეკრულების ვადაც იწურებოდა.

— **თუ გქონდათ ქალაქში გასვლის საშუალება, როგორია მსოფლიოს უმშვენიერესი და უძველესი სტამბული, თანამემამულეებს თუ ხვდებოდით?**

— კვირა დღე თავისუფალი მქონდა. ვხვდებოდი ნაცნობებს. ჩემს მეგობარ ლელას, ვისთან ერთადაც წავედი, ხშირად ვნახულობდი. სასტუმროში მუშაობდა დამლაგებლად და თვეში 800 დოლარს იღებდა. ლელა მეუბნებოდა: „ზოია, ეს ცოდვის ქვეყანაა, თურქები თვალთმაქცები არიან. შენ არ იცი, რა ხდება აქაურ სასტუმროებში. თავზარი დაგეცემა. ჩამოსული ქალები, მათ შორის, ქართველებიც, თავიანთი სხეულით თურქ მამაკაცებს ფცქვნიან“.

ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ლელა ანტალიაში გაემგზავრა. ზღვაზე დასვენების სეზონი დაიწყო და სასტუმროების დამლაგებლებს კარგ გასამრჯელოს აძლევენ. მეც ამჯერად იქით ვაპირებ წასვლას.

გამომგზავრების დრო ახლოვდებოდა და ქალაქის აზიურ ნაწილში — ესქუდარში წავედი, რათა ჩემი გოგონებისთვის საჩუქრები მეყიდა.

ხელოსნებს წინ გაშლილ დახლებზე უხვად უწყვიათ საოცარი სიფაქიზით ნაკეთები, ფერთა მშვენიერი გამით მორთული შედარებით იაფი სუვენირები. ინტერესით დავიწყე გამოფენილი საქონლის თვალიერება.

უცებ ერთი ქურთი აყვირდა, პოლიციას უხმობდა. ჩოჩქოლი ატყდა.

დავიბენი, უცხო მამაკაცმა ხელი მტაცა და შემთხვევის ადგილს ძალით გამაშორა. ვცდილობდი, მომეცილებინა, მაგრამ ამაოდ... სამშვიდობოზე გასულმა კაცმა ხელი გამიშვა და ეშხიანად შემომცინა. „ლაზი ვარ, გოგო, ლაზი, მივხვდი, აქაური რომ არ იყავი ქართველს მიგამსგავსე“, — თურქული ინტონაციითა და ენის ბორძიკით მელაპარაკებოდა.

ასე გავიცანი ლაზი მუსტაფა. კოორდინატებიც კი ჩამაწერინა.

მოგვიანებით ამიხსნა, რატომაც მომაშორა იქაურობას: ასეთ სიტუაციაში დანაშაულს უცხოელს აჰკიდებენ ხოლმე და თურქეთის ციხეებს ახეხვინებენო. მუსტაფა საჩუქრის არჩევასა და იაფად შეძენაშიც დამეხმარა.

**უცხო მიწაზე ჩასულებს უამრავი მახე გვაქვს დაგებული. იძულებული ვართ, თურქებს მონურად და ქედმოდრეკით ვემსახუროთ, ყველანაირი შეურაცხყოფა გადავყლაპოთ.**

— **როგორ ფიქრობთ, ვინ ან რა არის დამნაშავე ჩვენს ამგვარ ყოფაში?**

— მე ისტორიკოსი ვარ და გულახდილად გეტყვით... ის, რომ ჩვენ, ქართველებს, ერთი ათათურქი არ გამოგვიჩნდა.

საქართველოში ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს — პოზიციაც და ოპოზიციაც. ქართველი ხალხი კი დუმს, თითქოს ქვეყნის გაწირვის დეკლარაციას მოაწერა ხელი და არა სახელმწიფო დამოუკიდებლობას.

მე, პირადად, აღფრთოვანებული ვარ ათათურქის პიროვნული ღირსებებითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით, რაც არც შევარდნაძეს აღმოაჩნდა და არც მის გაზრდილსა და მემკვიდრე სააკაშვილს. ათათურქმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მთლიანად შეცვალა თურქეთის სახელმწიფო სისტემა და ეს ბნელში ჩაძირული ერი უამრავი რეფორმით დიდ ცივილიზაციას აზიარა. ჩვენ კი, უკვე ოცი წელია, პრეზიდენტთა ძალადობრივ ცვლასა და მათი „კარუსელებით“ ვმოძრაობთ. თურქებს უკვირთ საქართველოს დაკნინება, ქართველ ქალთა მონური სამსახური.

ისინი ამაყობენ, რომ 1920 წელს ათათურქის ინიციატივით დამყარდა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. არ ივიწყებენ, რომ დიდმა რუსეთმა მათ უანგარო დახმარება გაუწია განმათავისუფლებელ ბრძოლასა და ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. უკვირთ რუსეთთან ომის დაწყება და მათთან ქართველთა აგრესიული დამოკიდებულება.

**ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკისა და უვიც ხელმძღვანელთა გამო, რომელთაც ქვეყნის მართვისა და მომავლის ჭვრეტის უნარი არ აქვთ, მუდმივ ძიებასა და დუხჭირ ცხოვრებაში უნდა ამოგვხდეს სული.**

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

## ნინო ბურჯანაძე ერთ ლარად შეძენილ ქონებას რამდენიმე ათეულ მილიონად ყიდის

**საპარლამენტო უმრავლესობა ნინო ბურჯანაძეს აგარაკის გაყიდვამდე მისი გადასახადების გადახდას ურჩევს.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ერთ ლარად ნაყიდი ქონების გაყიდვამდე ურჩევს, ამავე ქონების გადასახადები გადაიხადოს.

როგორც კუბლაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მან გასულ კვირას შეიტყო, რომ ნინო ბურჯანაძე თავისი ცნობილი აგარაკის გაყიდვასა და მიღებული თანხის თავისი პარტიული ორგანიზაციისათვის „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსათვის“ — დახარჯვას აპირებს.

„როდესაც ნინო ბურჯანაძე ერთ ლარად მიღებულ ქონებას რამდენიმე ათეულ მილიონად გაყიდის, ვურჩევ, ჯერ გადასახადები გადაიხადოს და საკუთარი პარტიის დაფინანსებაზე შემდეგ იზრუნოს“, — აღნიშნა პავლე კუბლაშვილმა. როგორც ცნობილია, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს თავის დროზე ერთ ლარად მიღებულ ქონებაზე ფინანსთა სამინისტრომ მილიონ ნახევარი ლარის გადასახადის გადახდა დააკისრა.

## თურქეთში საქართველოს 11 მოქალაქე დააკავეს

თურქული საინფორმაციო სააგენტო „ჩიჰანის“ ინფორმაციით, თურქეთის ქალაქ მუშში პროსტიტუციისა და სუტენიორობის ბრალდებით დააკავეს საქართველოს 11 მოქალაქე, აზერბაიჯანის — 11 და თურქეთის 2 მოქალაქე.

„ჩიჰანის“ ინფორმაციით, დაკავებულებმა ჩვენებები მისცეს. მათ წინააღმდეგ გამოძიება უკვე მიმდინარეობს.



## მიხეილ მაჭავარიანი რადიკალური ოპოზიციის ნაწილის პოზიციას მიესალმება

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი მიესალმება რადიკალური ოპოზიციის ნაწილის სურვილს, რომელიც საარჩევნო კოდექსისა და კონსტიტუციის პროექტებზე მომუშავე ჯგუფების საქმიანობაში მათ მონაწილეობას ითვალისწინებს.**

როგორც მაჭავარიანმა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განაცხადა, გასულ კვირაში ამ საკითხზე კონკრეტული საუბრები იყო. უკვე მეხუთე თვეა, ხელისუფლება რადიკალურ ოპოზიციას აღნიშნულ რეფორმებში მონაწილეობისაკენ მოუწოდებს. არსებობს საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფისა და საკონსტიტუციო რეფორმის კომისია. შესაბამისად, თუ რომელიმე პოლიტიკოსს აღნიშნულ საკითხებზე მუშაობის სურვილი აქვს, საუბრიდან საქმეზე გადავიდეს, რადგან ერთად მუშაობას ალტერნატივა არ აქვს.

მიხეილ მაჭავარიანის განცხადებითვე, ხელისუფლების სურვილია, იყოს არა მხოლოდ საუბარი ან იმეილებით ურთიერთობა, არამედ გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები.

„დროა, ყველას ეყოს პოლიტიკური გამბედაობა, რომ ერთ პოლიტიკურ ჯგუფში გავერთიანდეთ, რადგან ყველანი ერთი ქვეყნის შვილები ვართ. ეს საშუალებას მოგვცემს, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მისაღები გადაწყვეტილებები უფრო მოკლე პერიოდში მივიღოთ“, — აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გუბაზ სანიკიძე: ლიდერი მე ვარ და ჩემზე უკეთ ლევანმა არ იცის, რა უნდა გავაკეთო!

**გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ოპოზიციის ლიდერთა თავგამოდებული მტკიცებისა — მზად ვართ ხელისუფლების შესაცვლელადო — მათკენ მზერამიპყრობილ ათასობით ადამიანს იმედი გაუცრუვდა. ხელისუფლებასთან დაპირისპირებულთა შორის ყოველთვის უხვად იყვნენ ლიდერობის მსურველები და ალბათ სწორედ ამით შეგულიანებული სააკაშვილიც სრულ იგნორირებას უწევდა ოპოზიციის მიერ გაშლილ კარვებს. „საქართველო და მსოფლიო“ „ეროვნული ფორუმის“ ლიდერს გუბაზ სანიკიძეს ესაუბრა.**



**— რამდენად მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს საკითხი მედვედევ-ობამას შეხვედრის დროს და რას უნდა ველოდოთ ორი მეგა სახელმწიფოს ლიდერთა შეხვედრის შემდეგ, თუნდაც, დღეს აქ არსებული პოლიტიკური ვითარების კუთხით?**

— უპირველესად, მინდა, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ქართულ მედიასივრცეში გამოჩენა მივულოცო! მეორე, დიდი მადლობა მინდა, გითხრათ იმისთვის, რომ ჩემი ხედვებითაც დაინტერესდით. კეთილი იყოს ჩემი ფეხი თქვენს გაზეთში. გისურვებთ წარმატებებს და ყოველივე კარგს!

ახლა რაც შეეხება მედვედევ-ობამას შეხვედრას: არის საკითხები, რომლებზეც რუსები და ამერიკელები შეთანხმდებიან, ასეთია ავღანეთის მომარაგება, მაგრამ საქართველოს შესახებ ვერ შეთანხმდებიან, ასევე იქნება ირანის შემთხვევაშიც, რადგანაც ამ ორ ქვეყანას შორის დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებებია, თუნდაც, ირანში ჩატარებული არჩევნების გამო. როგორც ცნობილია, რუსეთმა კანონიერად აღიარა არჩევნების შედეგები, ხოლო დასავლეთი ამ მიმართულებით არ ჩქარობს — ეს არის ფაქტი! ფაქტია ისიც, რომ რუსეთს ირანში სხვა უამრავი ინტერესი აქვს და, სავარაუდოდ, ამერიკა ამ კუთხითაც განსხვავებულ პოზიციას დაიკავებს!

ყველა სახელმწიფოს მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების წინ საკუთარი ინტერესები აქვს წამოწეული წინა პლანზე, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენზე, ანუ საქართველოზე!

შესაძლოა, ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ ამიტომაც ახსენა თავის გამოსვლაში საქართველო ასეთ უარყოფით კონტექსტში, რაც შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ირანი ზოგიერთებს ვიღაც საქართველო არ ეგონოს, არ ეგონოთ, რომ ირანელები ქართველებივით არიან და ა.შ.!“ თავი დავანებოთ პოლიტიკურ კორექტულობას, მაგრამ ის, რაც ჰომენეიმ თქვა, ჩვენც ხომ კარგად ვიცით, რომ სიმართლეა? ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს საქართველო არის ობიექტი, რომლის ბედზეც ყველგან მიდის სჯა-ბაასი, გარდა თბილისისა! ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენ თვითონ ერთმანეთში ვერ გავრკვეულვართ, რა გვინდა!

არ არსებობს არც ერთი პანქართული საკითხი, რომელშიც ოპოზიცია, ხელისუფლება და საზოგადოება შეთანხმებული იყოს! *მეტსაც გეტყვით: ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც, რატომ ვართ სახელმწიფო — არ ვიცით! უფრო მეტიც: ჩვენ არა გვაქვს დაზუსტებული არაფერი, დაწყებული ეროვნული სიმბოლიკიდან, დამთავრებული სახელმწიფოსათვის აუცილებელი სხვა უამრავი საკითხით!*

*იქნებ ვინმემ მითხრას, გვაქვს კი ჩვენ ჩამოყალიბებული, რას ვთავაზობთ აფხაზებს, ოსებს, ჩვენს მეზობლებს: რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, თურქეთს... ან თუ რაიმეს ვთავაზობთ, რატომ?*

## იმდენი ვილაპარაკეთ, რომ საქართველო დერეფანია, მართლაც გავხდით დერეფანი, რომელსაც არსად, არც ერთი მხრიდან კარი არ აქვს და მუდმივად გრიგალისებრი ორპირი ქარი ქრის!

რატომღაც ვიღაცებს ჰგონიათ და ამაყობენ იმით, რომ „დერეფნობა“ კარგია, მაგრამ დერეფანი შეიძლება იყოს კარგიც და ძალიან ცუდიც იმიტომ, რომ დერეფანს სხვადასხვა ფუნქცია და დანიშნულება აქვს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე კი, ჩვენ არა ვართ ერი, რომელიც ორიენტირებულია მომავალზე და რომელსაც მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ორიენტირები!

სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ერის კატეგორიამდე ვერ ავედით, რაშიც დამნაშავე მარტო ეს ხელისუფლება არ არის, *მან, უბრალოდ, გააღრმავა ყოველივე და, ჩემი ღრმა რწმენით, ეს შეუგნებლად ან უცოდინარობით კი არ გააკეთა, არამედ — შეგნებულად და ქვეყანა ამ ჩიხამდე მოღალატეობრივი ქმედებებით მიიყვანა!*

*არც იმის თქმა მომერიდება, რომ მათ ღალატი, ქვეყნის ინტერესების მიჩქმალვა და ყველაფერი ის, რასაც სჩადიან, დიდი ხნის წინათ კარგად აქვთ ნასწავლი და არაფერ შუაშია აქ სიტყვები: „ვაცადოთ“, „გამოუცდელობით მოსდით“, „გამოასწორებენ შეცდომებს“ და ა.შ.*

**— ანუ, იმის თქმა გინდათ, რომ ეს ხელისუფლება კარგად გაწვრთნილი ჯგუფია, რომელიც სხვა შეთქმულებთან ერთად, შეგნებულად გვინგრევს სამშობლოს?**

— *დიახ, ეს არის საშინაო და საგარეო მტრების სერიოზული შეთქმულება, რომლებიც, სხვათა შორის, ძალზე სინქრონულად მოქმედებენ და რომელთა მიზანს საქართველოს მცოცავი დაშლა წარმოადგენს!!!*

*იმასაც მოგახსენებთ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის სახით საქართველოს დაშლა კი არ დამთავრებულა, არამედ დაიწყო და ჩვენ, როგორც ნაციას, არ გვაქვს რესურსი, ეს პროცესი შევაჩეროთ! უპირველესად კი, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ქვეყანას ჰყავს მოღალატე, უზნეო და კრიმინალი ხელისუფლება!!!*

**— ბატონო გუბაზ, ისეთ სურათს ხატავთ, თითქოს გამოსავალი არ არის, მაგრამ ხომ ცნობილია თეზა — გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს... ნუთუ არ არსებობს, თუნდაც, მცირე შანსი იმისა, რომ ეს ყველაფერი შევაჩეროთ?**

— ქართველების მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ავსა და კარგს ერთმანეთისგან ვეღარ ვარჩევთ. *ჩვენთან პატრიოტი მოღალატედ ითვლება, მოღალატე — ყველაზე დიდ პატრიოტად, წიგნიერი — უწიგნურად, ჭკვიანი — გიჟად, გიჟი — ჭკვიანად და, აქედან გამომდინარე, ღირებულებებიც ზუსტად ასევე გვაქვს აღრეული, როგორი აღრეული და ჭრელიც აზროვნება ჩამოგვიყალიბდა! ეს არის ქართველი საზოგადოების ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელიც დღეს კი არ იღებს სათავეს, არამედ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ ეპოქიდან, თუმცა მაშინ გაცილებით უფრო უკეთესი პირობები გვქონდა: გვყავდა ძლიერი ელიტა, გვყავდა ბურჟუაზია, ბოლოს და ბოლოს, გვყავდა ილია ჭავჭავაძე და ადამიანები, ვისაც გაცნობიერებული ჰქონდა, რა უნდა გაკეთებულიყო ქვეყანაში!*

დღეს საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ჯერ დაადგენს, რა არის ეროვნული ინტერესები, შემდეგ დაიცავს მას, შემდეგ აუხსნის საზოგადოებას და, ბოლოს, განახორციელებს!

**— „ეროვნულ ფორუმს“ ეს ყველაფერი გაწერილი და ჩამოყალიბებული აქვს?**

— რა თქმა უნდა! ჯერ ჩამოვყალიბდით, რა გვინდა, ხოლო შემდეგ — როგორ უნდა გავაკეთოთ ეს!

**— „რა გვინდა“ რა სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს გამოკვეთს?**

— პირველი პრობლემა — ტერიტორიული მთლიანობა, მეორე — უსაფრთხოება და მესამე — ხანგრძლივი ეკონომიკური აყვავება...

**— ამ პრობლემების მოგვარებას ასეთ რთულ და მტრულ ვითარებაში როგორ აპირებთ?**

— უსაფრთხოება პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული რუსეთთან ურთიერთობაზე, მაგრამ არა მარტო რუსეთთან. ჩვენ გვყავს ხუთი მეზობელი, აქედან სამი — დიდი ქვეყანა: რუსეთი, თურქეთი, ირანი, და ორი — მცირე: სომხეთი და აზერბაიჯანი.

ვიღაცებს, რატომღაც, გადაავიწყდათ ირანი. ეს არის აბსოლუტურად თვითკმარი ქვეყანა, ოდითგანვე ძველი კულტურისა და ცივილიზაციის აკვანი! *კრეტინი, მოღალატე და ცანცარა სააკაშვილის ხელში, განსაკუთრებით, აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს მეზობლები რაზეც კი ვერ იოცნებებდნენ, იმას უკვე ახორციელებენ. ეს კი იმის ბრალია, რომ ჩვენ — ოპოზიციამ შარშან, იანვარში ეს ხელისუფლება არ გავუშვით!*

*მეტსაც გეტყვით: ეს ოპოზიციის უნიათობა კი არა, დანაშაული იყო და ამ პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა, მათ შორის, მეც!*

**— საზოგადოებამ კარგად უწყის, ვისთან გარიგების შემდეგ შეგვრჩა სააკაშვილი და სხვის დანაშაულს თქვენს თავზე რატომ იღებთ?**

— *იმ დროს მეც ოპოზიციაში ვიყავი და ვინაწილებ იმ დანაშაულს, ვაღიარებ, მაგრამ ვიღაცას თუ ჰგონია, რომ მე ვიბრალებ ყველაფერს და სხვები სუფთები გამოვლენ ამ საქმიდან, ძალიანაც ცდება, რადგან სხვისი დანაშაული უფრო დიდია, ვიდრე ჩემი — გუბაზ სანიკიძის და კარგად შეიგნონ ეს!*

*ძალზე სამწუხაროა ისიც, რომ ამჯერადაც ასე მოხდა და ჩვენი „ფორუმის“ მოსაზრებები 9 აპრილამდე და შემდეგაც არც ერთმა ოპოზიციურმა ძალამ არ გაიზიარა.*

**მკითხველს შევახსენებ: ჩვენ თვეების განმავლობაში ვაფრთხილებდით ოპოზიციურ პარტიებს იმის შესახებ, რომ მზაობა ხელისუფლების შესაცვლელად მათ არ გააჩნდათ.**

საერთოდ, პოლიტიკაში სხვადასხვა მიზნითა და მოწოდებით მოდიან ადამიანები. ზოგს უნდა, ქვეყანას მიხედოს და ზოგსაც უნდა, რომ საკუთარმა ცოლ-შვილმა დაინახოს ტელევიზორში!

როცა გვეკითხებიან — რატომ ყველა არ ვერთიანდებით, ვერ ვაგებინებ, რომ ჩემი ამოცანა არის სხვა და მათი ამოცანა — სხვა! ჩემი ამბიცია არის ამ ქვეყნის მოწყობა და ვიღაცის ამბიცია — ვინ იქნება მომავალ მთავრობაში, მინისტრი თუ მინისტრის მოადგილე... მეტიც, *ზოგისთვის პოლიტიკა ბიზნესად გადაიქცა, რადგან, ეტყობა, აქ უფრო იოლად იშოვება ფული, თუკი, რა თქმა უნდა, სინდისნამუსზე აიღებ ხელს... ახლა ვინც ამას თავის თავზე მიიღებს, მაცივარი გამოაღოს და ცივი წყალი მიირთვას. ჩემი რჩევა იქნება!*

**— ლევან გაჩეჩილაძემ რომელიღაც გაზეთთან ინტერვიუში თქვა: „გუბაზა ჯიგარია და მასთან ერთად მეც უნდა ვიარო რაიონებშიო“. მაინტერესებს, კაცი, რომელმაც სააკაშვილთან ერთი ერთზე შეხვედრა არავისთან შეათანხმა და კაცი, რომელიც ქვეყნის მართვას ერთადერთი სიტყვით — „ჯიგრულად“ აპირებს, თქვენი როგორი პოლიტიკური პარტნიორი იქნება, და მეორეც: იმ კუთხეებში, მაგალითად, სამეგრელოში, ლევანთან ერთად როგორ წარმოგიდგენიათ ჩასვლა, სადაც ცოტა ხნის წინათ მას ოცი კაციც კი არ მოუვიდა აქციაზე... და ერთიც: როგორ ფიქრობთ, ბოლო საპროტესტო ტალღის დროს გაჩეჩილაძე ყველაზე გამოკვეთილ ლიდერად გამოჩნდა ყველა ელჩთან და ყველა შეხვედრაზე პირველი მიდის... და ეს იმის ფონზე, როცა ყველაზე დიდ და მასშტაბურ „ფორუმს“ და „ლეიბორისტებს“ არსად იხმობენ?**

— ვინმეს ჩემთან ერთად სადმე წამოსვლა თუ უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ მე რასაც ვაკეთებ, იქ ლიდერი მე ვარ და ჩემზე უკეთ ლევანმა არ იცის, რა უნდა გავაკეთო! ჩემი უფროსი საქართველოს პატრიარქისა და ჩემი მოძღვარის გარდა არავინაა დედამიწის ზურგზე! მე სხვა ამბიციები მაქვს, როგორც დასაწყისში გითხარით და ეს ამბიცია არის ქვეყნის ამ ჭაობიდან ამოყვანა!

**— როგორც ვატყობ, „ეროვნულ ფორუმს“ ხელისუფლებაში მოსვლის მართლაც დიდი ამბიცია აქვს, მაგრამ, ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლასაც და დარჩენასაც სხვა პარტიებიც გეგმავენ. რით განსხვავდებით თქვენ მათგან და რატომ უნდა გენდოთ საზოგადოება მაინცდამაინც თქვენ?**

— იმიტომ, რომ ჩვენ ზუსტად ვიცით, როგორ უნდა დავაყენოთ ფეხზე ეს ქვეყანა. თუ ეროვნულად განწყობილი და ჭკვიანი ხელისუფლება მოვა, საქართველო ძალიან მალე პერსპექტიული ქვეყანა იქნება და ძალიან მალე დადგება ფეხზე, ხოლო

## თუ ხელისუფლებაში ისევ არასერიოზული და მოღალატე ხალხი მოვა, მაშინ საქართველო არის დასაკლავად გამზადებული ქვეყანა და ამ პროცესს წლები კი არა, სულ რამდენიმე თვეღა გვაშორებს, სულ რამდენიმე თვე!

პოლიტიკაში არის ასეთი ტერმინი: *არშემდგარი სახელმწიფო! ასეთი სახელმწიფო დღეს მსოფლიოს რუკაზე არსებობს, კერძოდ, აფრიკაში და მისი სახელი დასავლეთ საჰარაა! ეს ქვეყანა ესპანე-*

# ზოგისთვის პოლიტიკა ბიზნესად გადაიქცა, რადგან, ეტყობა, აქ უფრო იოლად იშოვება ფული, თუკი, რა თქმა უნდა, სინდის-ნამუსზე აიღებ ხელს. ახლა ვინც ამას თავის თავზე მიიღებს, მაცივარი გამოაღოს და ცივი წყალი მიირთვას. ჩემი რჩევა იქნება!..

*თის ყოფილი კოლონიაა, რომელშიც ვითარება დიდი ხნის განმავლობაში ვერ დალაგდა და ბოლოს გაერომ მის მეზობლებს — მაროკოს და მავრიტანიას შესთავაზა — გაიყავით ეს ქვეყანა და თქვენი შეხედულებისამებრ მართეთო! დღეს ამ გაყოფილი ქვეყნის სამხრეთ ნაწილს მავრიტანია აკონტროლებს, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილს — მაროკო! აი, ეს ემუქრება ჩვენს ძვირფას და ლამაზ საქართველოს, რომელსაც დღემდე უამრავ ლექსს ვუძღვნით!*

*დღეს ქართველი საზოგადოება ორი დილემის წინაშეა: რა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს — „ვეფხისტყაოსნის“ ფასეულობები თუ თავისუფლების ინსტიტუტის ფასეულობები? „ვეფხისტყაოსნით“ თუ აღვზრდით, მაშინ მოგვიტრიალდება მოგვიანებით ის ჩვენი შვილი და გვეტყვის: მამა, შენ რომ მასწავლიდი, პატიოსანი იყავი, მეგობრობა, უფროს-უმცროსი იცოდე, სხვისას ხელი არაფერს მოჰკიდო, სამშობლო გიყვარდეს, სამშობლო, ღირსება და ოჯახისშვილობა დაიცავი და ა.შ. რას მერჩოდი, შიმშილით სიკვდილისთვის გამწირეო? გვეტყვის იმასაც: რატომ არ მასწავლე უსინდისობა, ქვედამხედვარობა, ღალატი, მამაძაღლობა, შეძრომა, ორპირობა, ორგულობა, ანუ ყველაფერი ის, რითაც დღეს ამ ქვეყანაში წარმატებას აღწევენო?*

*ვიდრე აფხაზეთსა და ცხინვალს დავიბრუნებთ, ეს უნდა გავარკვიოთ, რა გვინდა — უზნეო ცხოვრების წესი, არაქრისტიანული, წარმართი წესი თუ „ვეფხისტყაოსნის“ ფასეულობები?*

*მთელ საქართველოს ვუსვამ ასეთ შეკითხვას: ჩვენ რომ აფხაზეთის დაბრუნება გვინდა, ვიცით, რა უნდა აფხაზს?*

ისინი ჩვენზე ორმოცჯერ ნაკლებნი არიან და მათთვის, როგორც მიკროერისათვის, ორი ძირითადი საკითხია უმთავრესი: შეინარჩუნონ თავისი ეთნიკურობა და ფიზიკური იდენტურობა!

*ვაძლევთ კი დღეს ჩვენ აფხაზებს იმის გარანტიას, რომ ფიზიკურადაც და ეთნიკურადაც გადარჩებიან? ანდა, ვთქვათ, მე, გუბაზ სანიკიძე, არა ვარ ქართველი, ვარ აფხაზი და გეკითხებით თქვენ, ქართველებს: ძმებო და ძვირფასო ქართველებო, ამიხსენით, რატომ უნდა ვიცხოვრო ქართულ სახელმწიფოში, რა ხიბლი გაქვთ ასეთი? კანონი თქვენთან არ კანონობს, სამართალი არ არსებობს, ბიზნესი დატერორებული გაქვთ, პოლიცია ხალხს ქუჩაში ხოცავს, დემოკრატია არ გაქვთ, არანორმალური ხელისუფლება გყავთ, თქვენი ფასეულობები დაკარგეთ, გეგმავთ პედერასტების აღლუმებს, თქვენს შვილებს გაუკუღმართებული ფასეულობებით ზრდით და ჩემსას დაიცავთ, რომ მოვიდე?*

*აი, სანამ ამ შეკითხვებზე პასუხს არ გავცემთ, ანდა უფრო უარესებზეც, არც აფხაზი და არც ოსი ჩვენთან დამბრუნებელი არ არის, არა და შევიგნოთ ეს!!!*

## თქვენ როგორ გგონიათ, როგორ შეუძლია იმ ერს, რომელსაც ვანო მერაბიშვილისა და მის მიერ გამოგზავნილი უბნის ინსპექტორის ეშინია, თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღადგენა, თავისი ღირსების დაბრუნება?

მეტსაც გეტყვით: როგორ შეიძლება სკოლის მასწავლებელმა გაზარდოს ქვეყნის დამცველი ჯარისკაცი, თუკი სკოლის პროგრამიდან ამოღებულია ცოტნე დადიანი, სამასი არაგველი და ა.შ.? *ერთხელ ოტო ბისმარკს 1870 წელს, როცა გერმანიამ დაამარცხა საფრანგეთი და აიღეს პარიზი, ჰკითხეს: ვინ მოიგო ეს ომი? ბისმარკმა უპასუხა: გერმანელმა მასწავლებლებმა, ასეთი ჯარისკაცები რომ გაზარდესო!*

*შენ თუ გინდა, ქართველი ჯარისკაცი ბრძოლიდან არ გაგექცეს, სკოლიდანვე უნდა ასწავლო გიორგი პირველი, გიორგი მესამე, დიდგორის ბრძოლა, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, ილია ჭავჭავაძე, შოთა რუსთაველი, ქეთევან წამებული და სხვა უამრავი მაგალითი, რომელთა მეშვეობითაც ეს ქვეყანა დღემდე მოვიდა! ამ ყველაფერს თუ არ ასწავლი, მაშინ გამოიქცევა კი არა, სომხეთის საზღვარს ისე გადაირბენს, უკან არ მოიხედავს...*

*თუ დაადებილებ ახალგაზრდობას, წარსულს დაავიწყებ, გააქალაჩუნებ მამრობით სქესს და პედერასტების აღლუმებს ჩაატარებინებ, ირანელიც დაგცინებს, აფხაზიც, სომეხიც, ოსიც, რუსიც და მერე აღარ უნდა გაგიკვირდეს, აღარ უნდა გეწყინოს, ასეთად რომ მოგიხსენიებენ. რამდენიც უნდა ჩავრგოთ სილაში თავი, ამ დინამიკით მივდივართ და თუ დროზე არ ვუშველეთ თავს, უფრო უარესიც გველოდება!* გუშინ, აიათოლა ჰამენეიმ დაგვცინა, ხვალ სხვა დაგვცინებს და რა ვქნათ ახლა, ვიყოთ ასე?.. არადა, იმ აიათოლამ ძალიან კარგად იცის, რომ მისი ქვეყნის ისტორიაში ქართველების წილი ძალიან დიდია, მაგრამ დღეს ისიც კარგად იცის, რომ სააკაშვილის გურჯისტანი არის ნული! აიათოლა ჰამენეის მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის ბრძოლებზეც სმენია, ალბათ, როცა შაჰ-აბასის 120000-იანი არმიიდან 60 ათასი აქ ჩაწვა მიწაში და შემდეგ საქართველოში შემოჭრის მადა რომ დაკარგეს, მაგრამ დღეს სხვა ვითარებაა, ირანი კი არა, ვისაც გაეხარდება, ის შემოირბენს ქვეყანაში, გადაგივლ-გადმოგივლის!..

**— ეს მხოლოდ სააკაშვილის ბრალი არ უნდა იყოს, ზოგადად, ჩვენი შეცვლილი მენტალობის ბრალი მგონია...**

— დიახ, ასეა. ჩვენს კულტურაში ქართველის ორი ფსიქოტიპია: ავთანდილი და ნაცარქექია! ორივე ჭკვიანია, ეშმაკი (სხვათა შორის, ავთანდილიც ამბობს ხოლმე ტყუილებს), მაგრამ მათ შორის ორი უმთავრესი განსხვავება: ავთანდილი იბრძვის მაღალი იდეალებისთვის — მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის, დიდი მიზნის მიღწევისთვის, თავისი მოყვასის ბედნიერებისთვის და აქვს ღირსების გრძნობა... მიდი და გაუბედე რამე ავთანდილს! ახლა ავიღოთ ნაცარქექია. იმისთვის იბრძვის, რომ ბოლოს ისევ ნაცარი ქექოს?

*როცა მივადექით იმ გზაჯვარედინს, მარჯვნივ — ავთანდილობა და მარცხნივ — ნაცარქექიობა, ოთხმა მილიონმა კაცმა ერთად გადავუხვიეთ მარცხნივ — ნაცარქექიაობისკენ, ანუ ზნეობრივი გმირის გზიდან ჩვენი ნებით გადავუხვიეთ და ვართ ნაცარქექიები!*

*თანაც, ის დევი უკვე გაეშმაკებულია, კისერზე კი აღარ გვისვამს, გაგდებული ვყავართ წიხლქვეშ და გვიბრაგუნებს, როცა გაეხარდება!*

*ახლა ისევ არჩევანის წინაშე ვდგავართ. ისევ უნდა ავირჩიოთ, რა გვინდა — ავთანდილობა თუ ღირსების არმქონე ნაცარქექიაობა. ვიფიქროთ ამაზე, ხომ შეგვიძლია?*



ესაუბრა
**ირინა გოგოსაშვილი**

# რუსეთის ეკლესია ცნობს საქართველოს ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციას კონფლიქტურ რეგიონებში

**6 ივნისს, დილაადრიან, თბილისში დაბრუნდა საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად მოსკოვში იმყოფებოდა. „საქართველო და მსოფლიომ“ ინტერვიუ ჩამოართვა დელეგაციის წევრს, საქართველოს ყოფილ ელჩს რუსეთში ზურაბ აბაშიძეს.**



— ეს ვიზიტი გაგრძელებაა იმ ნაბიჯებისა, რომლებიც ხორციელდება ჩვენი ორი მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობის ფარგლებში. ამ თანამშრომლობამ, როგორც თქვენი გაზეთის მკითხველებს მოეხსენება, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ. ეს ურთიერთობა ომის დროსაც არ გაწყვეტილა და დღეს ხომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ორიენტირების თვალსაზრისით, არამედ იმ როლის გამო, რომელიც ეკლესიამ არსებულ ვითარებაში იტვირთა.

რუსეთის პატრიარქთან შეხვედრა დიდად მნიშვნელოვანი იყო, საინტერესო და გულახდილი. საგნობრივი საუბარი გაიმართა, უწინარეს ყოვლისა, იმ პრობლემებსა და სირთულეებზე, რომლებიც ორივე მხარეს აწუხებს.

## მისმა უწმინდესობამ კირილმა განაცხადა, რომ ეს ურთიერთობები, რომლებიც მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას ეყრდნობა, არ უნდა გახდეს პოლიტიკური კონიუნქტურის მძევალი. პოლიტიკური კოლიზიები ისე უნდა გავიაროთ, რომ არ დავაზიანოთ მკვიდრად ჩამოყალიბებული ტრადიციები.

**— ცხინვალისა და აფხაზეთის პრობლემებზე თუ ისაუბრეთ?**

— ამ პრობლემებისთვის გვერდი არ აუვლიათ, ისევე, როგორც სხვა მწვავე საკითხებისთვის. შეთანხმდნენ გარკვეულ კონკრეტულ ნაბიჯებზე, რომლებიც ძალიან ფრთხილად და მოზომილად უნდა გადაიდგას თანამშრომლობის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად.

**— მათ შორის, სრულიად რუსეთის პატრიარქის საქართველოში ჩამოსვლაც ხომ არ იგულისხმებოდა?**

— უახლოეს მომავალში ეს ნამდვილად არ არის გათვალისწინებული, მაგრამ თანამშრომლობის ყველა ფორმა განიხილება. კონკრეტულ დეტალებზე ვერ ვსაუბრობ, რადგან ამის თაობაზეც ითქვა იქ: რომ არ დავაზიანოთ ზოგიერთი ისეთი მომენტი, რომლებიც ფაქიზ მიდგომას საჭიროებს, თავს ვიკავებთ დეტალების საჯაროდ გამოტანისგან.

ვიმეორებ, ვიზიტი უახლოეს მომავალში გათვალისწინებული არ არის, მაგრამ პერსპექტივაში დღის წესრიგში აუცილებლად რჩება.

**— იმ სხვადასხვა ღონისძიებათა შორის, რომლებზეც იყო საუბარი, არის თუ არა ისეთი რამ, რამაც შეიძლება დადებითად იმოქმედოს საქართველო-რუსეთის სახელმწიფოებრივ ურთიერთობაზე, რაც დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს?**

— დღეს ისეთი ვითარებაა, რომ ნებისმიერი კონტაქტი, ერთმანეთის შესახვედრად გადადგმული ნაბიჯი, გინდა-არგინდა, პოლიტიკასთანაა დაკავშირებული, ესე იგი, ეკლესიების კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ვითარების შეძლებისდაგვარად გაჯანსაღებას. არავის არ აქვს ილუზია, რომ ეს იოლი იქნება და უცბად მოხდება. მაგრამ აქეთკენ უნდა ვიაროთ.

**— ცხინვალის და აფხაზეთის ეპარქიების პრობლემაზე თუ ისაუბრეს?**

— ეს თემა, პრინციპში, უმნიშვნელოვანესია — რუსეთის ეკლესია აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციას, მათ შორის, აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ეს პრინციპი რომ არა, სიტუაცია აბსოლუტურად განსხვავებული იქნებოდა; მაგრამ რახან არის, სწორედ იგი იძლევა საშუალებას, განვითარდეს თანამშრომლობა ორ ეკლესიას შორის.

ისიც უნდა გითხრათ, რომ ნებისმიერი საუბარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მითითებით იწყებოდა იმით, რომ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობაზე ვერავინ იტყვის უარს, როგორი ხელისუფლებაც გინდა იყოს საქართველოში.

**— ეკლესიის მამანი როგორ რეაგირებდნენ?**

— რუსეთის ეკლესია დგას თავის პოზიციაზე, რომელიც ადრეც ჰქონდა და რომელიც აგვისტოს მოვლენების დროსაც დაადასტურა: ცნობს საქართველოს ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციას საქართველოს ორივე კონფლიქტურ რეგიონში.

**— მაგრამ არაფერი უთქვამთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე?**

— პოლიტიკაში გაჭრილად არ ერევიან. მაგრამ თავის სათქმელს ამბობენ და თავიანთ პოზიციას ადასტურებენ. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია.

**— ადამიანური ურთიერთობების მხრივ რაიმეთი თუ იყო გამორჩეული მოსკოვური შეხვედრები?**

— შეხვედრები ოფიციალური იყო.

## ორი პატრიარქი ერთმანეთს დიდ პატივს სცემს, კარგი ურთიერთობა აქვთ. რუსეთის პატრიარქმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ღრმა პატივისცემა საქართველოს პატრიარქის მიმართ, ეს ხაზგასმით გამოხატა.

გვქონდა სხვა შეხვედრებიც. კორექტულ ჩარჩოებში ველაპარაკეთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს — კარასინს.

მოსკოვის საპატრიარქოში კონსტრუქციული განწყობა იყო. გაიმართა გულახდილი საუბარი ყველა მწვავე თემაზე. კრიტიკაც და მხარდაჭერაც მნიშვნელოვან საკითხებზე დაუფარავად იყო გამოხატული.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სისხლიანი გარჩევა გლდანში

## „გავიგონე, რომ თქვეს, გელამ ბიჭი „დაბრიდაო“. რას წარმოვიდგენდი, ის თუ ჩემი შვილი იქნებოდა!“

**თბილისის №177 სკოლის ეზოში 25 წლის მიხეილ ქიმუცაძის მკვლელობაში ბრალდებულ 21 წლის გელა გელაშვილისათვის სასამართლო პროცესზე პროკურორმა გიორგი ჩივიაშვილმა სასჯელად 20 წელი, ცხრა თვე და 7 ათასი ლარი ჯარიმა მოითხოვა; მოსამართლე შორენა გუნცაძის გადაწყვეტილებით მკვლელს სასჯელის ზომად 18 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და 6 500-ლარიანი ჯარიმა შეეფარდა.**

**„ჩემი ყურით მოვისმინე, მანქანაში მჯდომი პიროვნება რომ ამბობდა, როგორ „დაბრიდა“ გელა გელაშვილმა ბიჭი. ის ჩემი შვილის მკვლელია და მისი მკაცრად დასჯა მსურდა“,** — განაცხადა მოკლულის დედამ — ლია ქიმუცაძემ. იგი განაჩენით უკმაყოფილო იყო.

შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებული მკვლელობა 2007 წლის 4 ივნისს მოხდა. მკვლელობაში ბრალდებული გელა გელაშვილი კი 2008 წლის 13 მაისს ხაშურში დააკავეს. მას პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუმცა სასამართლო პროცესზე პროკურორ გიორგი ჩივიაშვილის მიერ წაკითხულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ მიიჩნია.

პროკურორმა პროცესზე მკვლელობის მოტივად ქორწილში მომხდარი შელაპარაკება დაასახელა:

**„გელაშვილს მისი მეგობარი ლაშა მესხი დაუკავშირდა, რომელმაც აცნობა, რომ იგი ერთ-ერთ რესტორანში მეგობრის ქორწილში იმყოფებოდა. მესხს ამავე სუფრაზე მყოფ რომან შამოიანთან შეკამათება მოსვლია გოგონასთვის შეურაცხყოფის მიყენების გამო.**

**2007 წლის 4 ივნისს ხსენებული ინციდენტის გასარკვევად მესხი და შამოიანი №177 სკოლის ეზოში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს; მესხმა გელაშვილს გაყოლა სთხოვა. დათქმულ დროს, დაახლოებით საღამოს რვის ნახევარზე, შამოიანი და მესხი ერთმანეთს შეხვდნენ და კვლავ შეკამათდნენ, რაც ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს სკოლის მახლობლად მცხოვრები მიხეილ ქიმუცაძეც გამოვიდა და მოჩხუბრებს მკაცრად მოსთხოვა, დაწყნარებულიყვნენ. ამ დროს გელაშვილმა ქიმუცაძეს შეაგინა, რაზეც ქიმუცაძემ დასარტყმელად გაიწია. გელაშვილმა ქიმუცაძის მოკვლა განიზრახა, შარვლის საქამრედან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო, ორჯერ ჰაერში გაისროლა, ერთხელ კი — ქიმუცაძის მიმართულებით. ქიმუცაძე მუცლის არეში დაიჭრა, სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. გელაშვილი კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა“,** — განაცხადა პროცესზე პროკურორმა გიორგი ჩივიაშვილმა.

მოკლულის დედა ლია ქიმუცაძე აცხადებს, მისი შვილი სრულიად უმიზეზოდ გაიმეტეს:

**„იმ საზარელ დღეს სამზარეულოში ვიყავით. სუფრა გავშალე, მიშიკოც სახლში იყო. ხმაური მოგვესმა და რომ გავიხედეთ, სკოლის ეზოსკენ ძალიან ბევრი ახალგაზრდა მირბოდა. იმ დროს ჩემი შვილიშვილი ეზოში იყო ჩასული და მიშიკო ბავშვის ამოსაყვანად გავიდა. ჩხუბთან ჩემს შვილს არანაირი შეხება არ ჰქონია. ეზოში მყოფნი იგინებოდნენ. მიშიკოს უთქვამს, ნუ იგინებითო, რაზეც გელაშვილს უპასუხია — შენ ვინ გეკითხებაო და შეუგინებია. მიშიკოს „ფანტას“ ბოთლი ეჭირა ხელში და უჩვენებია — ამას ხედავო. ამის თქმაზე გელაშვილს იარაღი უსვრია.**

**5-6 გასროლა გავიგონე და გავიქეცი. გავიგონე, სკოლის ეზოსთან მანქანაში მჯდომმა ჩხუბის ერთ-ერთმა მონაწილემ როგორ თქვა, გელამ ბიჭი „დაბრიდაო“. რა ვიცოდი, თუ ეს ჩემი შვილი იქნებოდა. ეს იყო საქმის გარჩევა გოგონას გამო გლდანის მე-3 და მე-5 მიკრორაიონელებს შორის, რომელსაც ჩემი შვილი ემსხვერპლა. შამოიანი მეხუთედანაა, გელაშვილი და მესხი — მესამედან“,** — იხსენებს ლია ქიმუცაძე.



ბრალდებულ გელაშვილსა და გარდაცვლილის დედას შორის პროცესზე რამდენჯერმე შელაპარაკება მოხდა. გელაშვილი ლია ქიმუცაძეს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და თან არწმუნებდა, რომ მას მიხეილ ქიმუცაძის მოსაკლავად არანაირი მოტივი არ გააჩნდა.

გელაშვილის ადვოკატი მარინა ჩიმალაძე სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს უკანონოსა და დაუსაბუთებელს უწოდებს:

**„განაჩენი დაუსაბუთებელია და უკანონო, რადგან არ არსებობს მტკიცებულებები და მოწმე, რომელმაც გელა გელაშვილს სასამართლოზე ხელი დაადო. მოწმე ანზორ სურმავა, რომელმაც გამოძიებას ზეწოლის ქვეშ მისცა ჩვენება, სასამართლოზე არ გამოცხადდა. ის ძალიან ნერვიულობდა, რომ უდანაშაულო ადამიანს დაადო ხელი და გადაწყვიტა, პროკურატურაში მისულიყო ჩვენების შესაცვლელად, მაგრამ პროკურატურაში უთხრეს, ამისათვის დაგაპატიმრებთო. ადვოკატი რომ მოითხოვა, უთხრეს, ამხელა ბიჭი ხარ, ადვოკატი რად გინდაო. ამ მიზეზით იგი საქართველოდან წავიდა და სასამართლოს წერილი დაუტოვა, რომელშიც სწერს, რომ მას უდანაშაულო ადამიანზე დაადებინეს ხელი. სასაცილოა, ასევე, მოწმე მელაძის ჩვენება, რომელმაც დაინახა, იარაღიანი პიროვნება 50 მეტრის მოშორებით როგორ მირბოდა და მოახერხა მისი სახის დამახსოვრება“.**

სურმავას წერილთან დაკავშირებით პროკურორმა ჩივიაშვილმა პროცესზე განმარტა, **„მიუხედავად იმისა, რომ წერილი ანზორ სურმავას დედამ წარმოადგინა, არ ვიცით, ეს წერილი ნამდვილად სურმავას დაწერილია თუ არა. შესაბამისად, ჩვენ მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას ვეყრდნობით“.**

გელაშვილის ადვოკატი ამბობს, რომ დაცვა მთლიანად უარყოფს გელაშვილის დანაშაულს და განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს პრესცენტრმა სურვილი გამოთქვა, გაზეთისათვის განმარტება მიეცა: **„განაჩენის გამოტანისას სასამართლო დაეყრდნო მოწმე სურმავას მიერ წინასწარ გამოძიებაში ორჯერ მიცემულ ჩვენებას. სურმავას მიერ პირველი ჩვენების მიცემის შემდეგ ჩატარდა ამოცნობა. სურმავამ გელაშვილი ამოიცნო სურათზეც და შემდეგ პირადადაც. მან თვითონ მოითხოვა ხელახალი დაკითხვა, რა დროსაც განაცხადა, რომ გელაშვილმა ჯერ ჰაერში ისროლა, მერე კი დამიზნებით ესროლა მიშიკო ქიმუცაძეს. ჩვენების მიცემას ესწრებოდა სურმავას ადვოკატი, რომელმაც სასამართლო გამოძიებისას განაცხადა, რომ სურმავამ გამოძიებას ნებაყოფლობით მისცა ჩვენება და მასზე რაიმე სახის ზეწოლას ადგილი არ ჰქონია.**

**სასამართლო, ასევე, დაეყრდნო სურმავას დედის ჩვენებას, რომელმაც წინასწარი გამოძიების ეტაპზე და შემდეგ სასამართლო გამოძიებისას დაადასტურა, რომ შვილმა უამბო, თუ როგორ მოკლა გელაშვილმა მიხეილ ქიმუცაძე. მოწმე მელაძემ სასამართლო გამოძიებისას დაადასტურა, რომ დაინახა შემთხვევის ადგილიდან გამოქცეული გელაშვილი, რომელსაც ხელში იარაღი ეჭირა. დაზარალებულის უფლებამონაცვლემ, ქიმუცაძის დედამ, სასამართლოს მისცა ჩვენება, რომ მისი შვილის დაკრძალვის შემდეგ მასთან სახლში მივიდა გიორგი ზაქარიაძე, რომელმაც უთხრა, რომ მისი შვილი გელაშვილის მოკლულია. ამ ჩვენებას ადასტურებს გელაშვილის დაც.**

**რაც შეეხება სასამართლოს მხრიდან სურმავას ახსნა-განმარტების არგაზიარებას, სასამართლო სხდომაზე სურმავას დედამ წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომელიც, მისი თქმით, ეკუთვნის მის შვილს და რომლითაც სურმავა უარყოფს გელაშვილის მიერ ქიმუცაძის მკვლელობის ფაქტს. თუმცა იქვე დაადასტურა მის მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება, სადაც ამბობს, რომ მისმა შვილმა უამბო, როგორ მოკლა გელაშვილმა ქიმუცაძე. აღნიშნული ახსნა-განმარტება არ წარმოადგენს მტკიცებულებას და იგი არ არის დადასტურებული ნოტარიუსის წესით, შესაბამისად, არ დასტურდება ის ფაქტიც, რომ ეს განმარტება დაწერილია ნამდვილად სურმავას ხელით“.**

**მაკა ქობალია**

# შვილის ნათლიის მკვლელობისთვის 10 წელი მიუსაჯეს

**დაახლოებით ორი წლის წინათ შანავების ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. მოკლული და მსჯავრდებული ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. ეს ორი ოჯახი მეგობრობდა. ურთიერთობის გასამყარებლად ერთმანეთთან დამოყვრება გადაწყვიტეს და ერთ-ერთი მათგანი მეგობრის შვილის ნათლია გახდა, თუმცა, როგორც ჩანს, ტკბილად ყოფნას დიდი დრო არ ეწერა და სიმთვრალეში წამოსროლილ ფრაზას საბოლოოდ ერთ-ერთის მკვლელობა მოჰყვა. მოკლული გოგა ლანჩავა ბადრი შანავას ქალიშვილის ნათლია იყო (გვარ-სახელები გარკვეულ მოსაზრებათა გამო შეცვლილია).**

მკვლელობა 2007 წლის სექტემბერში მოხდა. იმ დღეს, დაახლოებით ღამის 11 საათზე, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ბადრი შანავა და გოგა ლანჩავა სხვებთან ერთად არაყს სვამდნენ, საიდანაც შანავამ და ლანჩავამ შანავას ბინაში გადაინაცვლეს. გადამთვრალ მეგობრებს მათ ოჯახებს შორის წარსულში მომხდარი უთანხმოების გამო ურთიერთშელაპარაკება მოუვიდათ.

ურთიერთშელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. შანავამ სამზარეულოდან დანა გამოიტანა და ლანჩავას გულ-მკერდის არეში ჩაარტყა. მძიმედ დაჭრილი მეზობელი მან მისაღებ ოთახში ბედის ანაბარა მიატოვა და თავქუდმოგლეჯილი კიბეზე დაეშვა. პოლიციამ იგი იმ დროს დააკავა, როდესაც მანქანით გაქცევას ლამობდა.

ბადრი შანავას ცოლი ამბობს, რომ მის ქმარსა და მოკლულს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ: **„იყო შემთხვევები, როცა ჩემი თანდასწრებით ლანჩავამ ჩემს მეუღლეს ხელი გაარტყა. ეს უკანასკნელი ბრაზდებოდა, მაგრამ შეკამათებას ვერ უბედავდა, რადგან გოგა ხშირად აღნიშნავდა, რომ ჩვენი უბნის „მაყურებელი“ იყო, მისი ეშინოდათ და პატივს სცემდნენ. ჩემი მეუღლე და გოგა ერთად ხშირად სვამდნენ. თითქმის ყველა დათრობის შემდეგ გოგა თავისი ბინის აივანზე გამოდიოდა და ჩემს ქმარს აგინებდა. ჩემი მეუღლე მეუბნებოდა ხოლმე, ეს ერთხელ შემომაკვდებაო.**

**იმ ღამით კარზე კაკუნის ხმა გაისმა. კარებთან გოგა და ჩემი ქმარი იდგნენ. ჩემი მეუღლე მთვრალი იყო, გოგა — ნასვამი. მან მითხრა, შენი ლოთი ქმარი მოვიყვანეო. შემოვიდნენ. მერე სიგარეტისთვის ისევ გავიდნენ და დაახლოებით ათ წუთში დაბრუნდნენ, თან არაყი და ლუდი მოიტანეს.**

**…უკვე გადამთვრალები იყვნენ, ველარ აცნობიერებდნენ, რას ამბობდნენ, როცა ჩემმა მეუღლემ პერანგის ჯიბიდან მომწვანო ფერის მძაფრი სუნის, გაზეთში შეხვეული გამხმარი მცენარეული მასა ამოიღო და მაგიდაზე დადო. გოგამ მითხრა, ნახე, პლანი აქვსო. ჩემს მეუღლეს კი უთხრა, მოდი, მოვწიოთო, რაზეც ჩემი მეუღლე დათანხმდა. ორივემ თითო ღერი მოწია. ამ დროს ჩემმა მეუღლემ გოგას უთხრა, დღეს ნანას სათვალე გავუკეთეთო. გოგამ უპასუხა, სათვალის გამო ბავშვს შეიძლება სკოლაში დასცინონო, რაც ჩემს მეუღლეს ეწყინა და გოგას შენიშვნა მისცა, ამას ნუ მეუბნებიო. ამის გამო ისინი შეკამათდნენ. გოგამ ჩემს მეუღლეს ყელში ხელი წაუჭირა, ერთმანეთს აგინებდნენ და ურტყამდნენ. ამ დროს ჩემი მეუღლე სამზარეულოში გავიდა, საიდანაც დანა გამოიტანა, გოგას ხელი ჰკრა, სავარძელზე გადააგდო, თავზე დაადგა და გულ-მკერდის არეში დანა ერთხელ დაარტყა. გოგამ „ვაი, დედაო“ დაიძახა და სავარძლიდან გადავარდა, ჭრილობიდან სისხლი წამოუვიდა. ჩემმა მეუღლემ დანა დააგდო და სახლიდან გავიდა“,** — ამბობს შანავას ცოლი.

თავად ბადრი შანავამ მომხდართან დაკავშირებით შემდეგი განაცხადა:

**„მე და გოგას დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებდა. 2002 წელს დავნათესავდით. მას მერე ურთიერთობები აირია. მიზეზი, ალბათ, შური და პათოლოგიური სიმთვრალე იყო. „თანამშრომელი“ რომ ვიყავი — ნაძაღლარი ხარო, მეუბნებოდა. მასთან ერთად დალევას ვერიდებოდი. როცა დათვრებოდა, კარზე მიბრახუნებდა. ვამბობდი, ველარ მოვითმენ და, ალბათ, ცუდი რაღაც მოხდება-მეთქი.“**

მისივე თქმით, მკვლელობის დღეს მას ერთ-ერთი შვილი (შანავას სამი შვილი ჰყავს) თვალის ექიმთან ჰყავდა წაყვანილი. იქიდან მობრუნებული კი ეზოში მყოფ მეზობლებს შეუერთდა, რომლებიც არაყს სვამდნენ.

**„ცოტა ნასვამი ვიყავი. სახლში წავედი. არც ვიცოდი, თუ ის უკან მომყვებოდა. კიბეზე დამეწია და კარებზე ჩემს მაგივრად დააკაკუნა. სახლში შევედით. ჩემს მეუღლეს უსაყვედურა, ჩემს ცოლს რატომ არ ელაპარაკებიო. ცოლებმა ადრე რაღაცაზე იჩხუბეს. ვუთხარი, თვითონ გაარკვიონ თავიანთი ურთიერთობა-მეთქი,** — ამბობს შანავა, რომელიც ირწმუნება, რომ შვილის ნათლიის მოკვლა განზრახული არ ჰქონია, — **მისი შეშინება მინდოდა და დანა ავიღე. სამზარეულოს შესასვლელ კარებში შემხვდა, მოვუქნიე და თვითონ ინერციით წამოეგო დანაზე, კარების გვერდით დაეცა; მეუღლეს ვუთხარი, სასწრაფოში დაერეკა. მე კი სასწრაფოს დასახვედრად გარეთ გავედი და მანქანაში ჩავჯექი, გაქცევას არ ვაპირებდი. ამ დროს დამიჭირეს,“** — ამბობს შანავა, რომელმაც წინასწარ გამოძიებას განსხვავებული ჩვენება მისცა:

**„სამზარეულოს დანა ავიღე. იმ მომენტში, როცა ზემოდან მოვექეცი იატაკზე მწოლიარეს, დანა ერთხელ დავარტყი. როდესაც ჭრილობა დავინახე, სისხლის შესაკავებლად მარცხენა ხელი დავადე. ვფიქრობდი, სასწრაფო დახმარება მოუსწრებს-მეთქი და ეზოში ჩავედი“.**

განსხვავებულ ჩვენებებთან დაკავშირებით მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ დაკითხვის დროს ნასვამი იყო და არ ახსოვს, სწორია თუ არა გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება.

გამოძიებამ განზრახ მკვლელობის გარდა, დაკავებულს ნარკოტიკების მოხმარებაშიც დასდო ბრალი. მეორე ბრალდებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ნარკოტიკი არასდროს მიუღია.

პროკურორის შეკითხვაზე, თუ რით ხსნის მეუღლის ჩვენებას, რომ პლანი მოწიეს, ლანჩავამ განაცხადა: **„არ ვიცი. ალბათ, ეგონა, რომ მოვწიე. ამ დროს სიგარეტს ვეწეოდი. იმ დღეს გოგამ მოწია, მე — არა. შეიძლება თვითონ მას ჰქონდა. მე არ ვიცი“.**

საბოლოოდ, შანავა ნარკოტიკების ბრალდებაში არასაკმარისი მტკიცებულებების გამო სასამართლომ გაამართლა, ხოლო მკვლელობისთვის 10 წელი მიუსაჯა. სასჯელით უკმაყოფილო ოჯახმა განაჩენი გაასაჩივრა. დაზარალებულები სასჯელის უმაღლეს ზომას მოითხოვდნენ.

**სალომე გოგოხია**

# ვაჰაბიტები პანკისში

**„ვაჰაბი“ ან „ვაჰაბიზმი“ არის სუნა-ისლამის ულტრაკონსერვატიული ფორმა, რომელიც მე-18 საუკუნეში „იქადაგა“ მუჰამედ იბნ აბდ-ალ-ვაჰაბმა დღევანდელი საუდის არაბეთის ტერიტორიაზე. ვაჰაბიზმი მიზნად ისახავს ისლამის განწმენდას ყოველგვარი სიახლისაგან, ანუ შირკისგან, რომელიც გულისხმობს ისლამში პოლითეიზმის ცოდვას, ანუ სხვა ღმერთების ალაჰთან გაიგივებას. ზოგადად, შირკი მიტევებადი ცოდვაა, თუკი მოკვდავი მას სიცოცხლეშივე მოინანიებს, მაგრამ ისლამის წერილებით, თურმე, ადამიანი, რომელიც ამ ცოდვით დამძიმებული გარდაიცვლება, ვერასოდეს მიაღწევს სასუფეველს. ზოგადად, შირკის მცნება არის თავჰიდის (მონოთეიზმის), ანუ ერთი ღმერთის აღიარების საპირისპირო მცნება. ვაჰაბიზმის იდეოლოგია, ძირითადად, გავრცელებულია საუდის არაბეთში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ვაჰაბიტია.**



ზოგადად, ისლამის ეს „განშტოება“ სექტად არის მიჩნეული, თუმცა მისი მხარდამჭერები და ოპონენტების ნაწილი უარყოფენ ვაჰაბიზმის ასეთ განსაზღვრებას. ვაჰაბიზმმა XIX-XX საუკუნეებში დიდი მხარდაჭერა პოვა სპარსეთის ყურის იმ ნაწილში, სადაც ნავთობის უხვი მარაგია. ვაჰაბიზმი, ძირითადად, პატარა ქვეყნებში ვრცელდება, სადაც ტოტალური გაჭირვებაა და თითქოსდა მიზნად ისახავს მუსლიმანთა „მობრუნებას“ ჭეშმარიტი ისლამისაკენ. 1801-1802 წლებში საუდის არაბეთის ვაჰაბიტებმა შეუტიეს და დაიპყრეს ერაყის შიიტური ნაწილის წმ. ქალაქები — კარბალა და ნაჯაფი, მოახდინეს შიიტური მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, დაარბიეს შიიტების წმინდანის ჰუსეინ იბნ-ალის (მუჰამედის შვილიშვილი) საფლავი. ამ წლებში საუდის არაბეთის ვაჰაბიტებმა დაიპყრეს წმინდა ქალაქები — მექა და მედინა, გაანადგურეს უამრავი ისტორიული წმინდა მონუმენტი, მათ შორის, მუჰამედის ქალიშვილის ფატიმას სამარხი. უფრო მეტიც, მიზნად ისახავდნენ თავად მუჰამედის საფლავის დარბევასაც...

ვაჰაბიზმი მთელ მსოფლიოში გაიგივებულია ტერორიზმთან და ისეთ ფიგურებთან, როგორიც არის ოსამა ბინ ლადენი. ვაჰაბიზმი განსაკუთრებით გაძლიერდა 70-იან წლებში, როცა უეცრად ავარდა ნავთობის ფასი მთელ მსოფლიოში! საუდის არაბეთის მოსახლეობის მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულია მსოფლიოს უმდიდრესი ნავთობსაბადოები, რომელთა შემოსავლები (მილიარდობით დოლარი) მსოფლიოში ვაჰაბიზმის განვითარებას ხმარდება!

ზოგადად, ვაჰაბიტები ადამიანის უფლებების დამრღვევთა, კრიმინალურ დაჯგუფებათა და ტერორიზმის გავრცელების „ტოპათეულში“ შედიან და მსოფლიო საზოგადოებისთვის მეტად საშიშ, სასტიკ ძალად მოიაზრებიან. მათ აქვთ ფული, გავლენა და, რაც მთავარია, „იდეა“ — გაათავისუფლონ მსოფლიო „მცდარი“ ღირებულებებისაგან!

**ამ ყველაფრის ფონზე, გასაკვირია, რა დასაყრდენი შეიძლება ჰქონდეს ვაჰაბიზმს საქართველოში? ჩვენთან ხომ, ძირითადად, მართლმადიდებლები, გეორგიანელები და ტრადიციული ისლამის მიმდევრები სახლობენ? მაგრამ, როგორც ირკვევა, ნავთობის დერეფნად აღიარებულ საქართველოში სწორედაც რომ „დროულია“ ისლამის „მკურნალთა“ გამოჩენა და აქ საკუთარი „სახლის“ აშენებისთვის თადარიგის დაჭერა!**

გასაკვირია ისიც, რომ ჩვენი ახლო მეზობლები — ჩეჩნები, თურქები, აზერბაიჯანელები და ირანელები ვაჰაბიზმს გამალებული ებრძვიან, მაგრამ საქართველო ამ მხრივაც „გამორჩეულთა“ შორისაა და ისლამის ამ სისასტიკით ცნობილ მიმდინარეობას არათუ ებრძვის, პირიქით — სხვადასხვა გზით ახალისებს და ხელს უწყობს მის მოძლიერებას!

ვაჰაბიტები საქართველოში პირველად პანკისის ხეობაში რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს გამოჩნდნენ. იქაური მოსახლეობა ყოველდღე ხედავდა არაბ, იორდანიელ, აფრიკელ ვაჰაბიტებს, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ ომი დამთავრდებოდა და ისინიც მოშორდებოდნენ იქაურობას! თუმცა, როგორც დღეს ამბობენ, მოშორების ნაცვლად დარჩნენ, მოძლიერდნენ და საკუთარი მეჩეთიც ააგეს შუაგულ დუისში!

როგორც პანკისელები ამბობენ, ისინი ადგილობრივი (კახეთის) ხელმძღვანელობის ხელშეწყობით ფინანსურად მოძლიერდნენ, ეხმარებიან ვაჰაბიზმს „ზიარებულ“ თვისტომს, ასაქმებენ მათ საკუთრებაში არსებულ „მცირე საწარმოებში“ და, რაც მთავარია, ტრადიციული ისლამის მიმდევარ ჯერ კიდევ ვერგადაბირებულ ქისტებს შორიდან აყურებინებენ იმ „სიამეებით ტკბობას“, რაც ვაჰაბიზმის უარყოფას მოსდევს! უკიდურეს სიღატაკეში მცხოვრები ქისტები გაკვირვებას ვერ მალავენ იმის გამოც, რომ ვაჰაბიტები მათ ხეობაში ხელშეუხებლები არიან, ადგილობრივი ხელმძღვანელები მათთან საქმიან გარიგებებსაც არ ერიდებიან, ხშირად სტუმრობენ და თბილი ურთიერთობებიც აქვთ! უმუშევარი ახალგაზრდობა კი, ოღონდაც სარჩო-საბადებელი იშოვოს, მამა-პაპათა რელიგიაზე უარს ამბობს. შედეგად, პანკისის ხეობაში ვაჰაბიტების რაოდენობა დღითი დღე იზრდება!

რამდენიმე ხნის წინათ პანკისიდან თბილისში უხუცესთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ქისტი მახმად მარგოშვილი შემხვდა, რომელსაც ვაჰაბიზმთან დაკავშირებული საკითხების გამო საქართველოში მუსლიმანთა სულიერი ლიდერის მონახულება ჰქონდა გადაწყვეტილი. ბატონი მახმადი სხვა უამრავ პრობლემაზეც მესაუბრა, მაგრამ განსაკუთრებული გულისტკივილი გამოთქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით: „საქართველოს ასეთი ძნელბედობის ჟამს ვაჰაბიზმიღა აკლია?..“ მომიყვა ისიც, რომ მუსლიმანთა დიდი მარხვის — რამადანის დამთავრების შემდეგ ვაჰაბიტებმა დუისის მეჩეთში ლოცვის მერე 60 ძროხა დაკლეს და ხორცი მხოლოდ მათზე გადაანაწილეს, ვინც ვაჰაბისტად მოინათლა!

**„შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ქისტები საქართველოში თავადი ჩოლოყაშვილის ბრძანებით იმ ძნელბედობის ჟამს ჩამოასახლეს, საქართველოში „დიდი ლეკიანობის“ სახელით რომაა ცნობილი. რადგან ოდითგანვე მებრძოლი ერი ვართ, ქართველებთან ერთად მათი განდევნით ვიყავით ცნობილი. მშვიდობიანობის დროს ვხნავდით, ვთესავდით, პირუტყვს და ფრინველს ვზრდიდით და გაგვქონდა თავი. ჩვენი ახალგაზრდები როგორც საქართველოს მოქალაქეები, სამხედრო სავალდებულო სამსახურს დღესაც ქართულ ჯარში გადიან და როცა საქართველოს დასჭირდა, ადრეც — აფხაზეთის ომში და შარშან აგვისტოშიც, თავდაუზოგავად იბრძოდნენ! გაუსაძლის პირობებში გვიწევს ცხოვრება, სამუშაო არსად არის, ადიდებული ალაზანი წალეკვით გვემუქრება. შარშანწინ ნაპირსამაგრი სამუშაოები კი ჩაატარეს ომალოში, „რუსთავი 2“-იც ამოიყვანეს გასაშუქებლად, მაგრამ ეს მცირე ნაწილში მოხდა და გაუმაგრებელი ადგილები ყოველღამ საშიშროების წინაშე გვაყენებს. გამგებელმა კობა მაისურაძემ ისიც გვითხრა, მოსახლეობის პირველი რიგის სამუშაოების ჩამონათვალში სათავე-ნაგებობების აშენება და ჯებირები არ გიწერიათ და მე როგორ უნდა მივხვდე, რა გჭირდებათო... დიდი და გაუსაძლისი პრობლემაა ელექტროენერგიაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ახლად აგებული „ხადორჰესია“, საიდანაც მთელი კახეთის მომარაგება ხორციელდება. ეს ჰესი ჩინელებმა ააშენეს, მაგრამ მოგვიანებით პატრონი სხვა გამოუჩნდა. პატარა ნიავი რომ დაუბერავს, დენს გვითიშავენ და ელქსელების უფროსის — მაისურაძის მარჯვენა ხელი, უვარგისი და თაღლითი ლექსო ბასიაშვილი, დენი გვაქვს თუ არ გვაქვს, იმდენს გვახდევინებს, როგორც თვითონ მოეპრიანება! კაპიკ-კაპიკ ვიხდით ყველაფერს, მაგრამ შუქი მაინც არ გვაქვს და სიბნელეში ვართ“,** — გვიამბობს უხუცესთა საბჭოს მოქმედი თავმჯდომარე ელდარ ხანგოშვილი. იგი პირად საუბარში შეშფოთებას ვერ მალავს იმ ფაქტის გამო, რომ პანკისის ხეობას სახელი მთელ მსოფლიოში გაუტყდა და ხმამაღლა აცხადებს, რომ ქისტების წვლილი ამ ყველაფერში დღესაც და მაშინაც ნულის ტოლფასია, ის ნაძალადევი კრიზისი ქართველ და რუს არასამართალდამცველთა მიერ ხელოვნურად იყო გამოწვეული! სურვილის შემთხვევაში, შეიძლებოდა, 24 საათში მათი გარჯა წარმატებით დამთავრებულიყო და ვერც ერთი კრიმინალი, ვერცერთი ვაჰაბიტი და ვერც უცხო ქვეყნის ტერორისტი იქ ველარ გაიჭაჭანებდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს სპექტაკლები საჭირო იყო და ჩვენც, პანკისელებს, ისღა დაგვრჩენოდა, ატირებული მაყურებლის როლში საკუთარი შვილები მიწაში ჩაგვეწვინა!

— შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ ხეობაში 11 ახალგაზრდა იყო მოკლული და ყველას ისეთი სასიკვდილო ჭრილობები ჰქონდა მიყენებული, სიკვდილის წინ ერთი სიტყვის თქმაც რომ ვერ შეძლეს! რა თქმა უნდა, ამ ბიჭების ნაწილი ორივე მხარისგან იღებდა ფულს და მათ საქმიანობაშიც კარგად იყვნენ ჩახედულები, მაგრამ დახვრეტა რა უბედურებაა? რატომ კლავ — მოწმე არ გჭირდება? 5 ახალგაზრდა მანქანებში ჩაცხრილეს, მიზეზი კი დღემდე ვერავინ დაგვიკონკრეტა.

**— ბატონო ელდარ, დღეს პანკისის ხეობაში ვაჰაბიტები ბევრნი არიან?**

— ბევრნი არიან, ბევრნი... ისე ნუ გამიგებთ, რომ ვინმეს რამეს უშავებენ, არა, არიან თავისთვის, ლოცულობენ თავიანთ მეჩეთში, აქვთ სახერხები და ჩვენ არაფერს გვერჩიან... მაგრამ ძალიან მაინტერესებს, მთელ მსოფლიოში რომ ეჭვის თვალით უყურებენ ვაჰაბიზმს, საქართველოში რა ხდება?

**— რამდენად შესაძლებელია, ამდენი ვაჰაბიტის არსებობის გამო, პანკისი ისევ ცხელ წერტილად იქცეს?**

— ცხელი წერტილი რომ გახდა, დადგმული სპექტაკლი იყო... თვითონ მთავრობამ შემოუშვა ეგენი ჩვენთან... თუ კიდევ დასჭირდებათ, ხელს ვინ შეუშლის?

**— ბრძანეთ, „სახერხები ვაჰაბიტებისააო“, ამ ბიზნესს ისინი მარტო წარმართავენ თუ ქართველებიც არიან?**

— ქართველები ამოდიან ხოლმე თელავიდან, ნომრავენ ხეებს და მერე იჭრება! რა ვიცი, ამბობენ, ლიცენზია გვაქვს, ყველაფერი კანონიერად ხდებაო და ჩვენ ვინ რას შეგვეკითხება? მერე ამ მოჭრილ მორებს ჩვენთანვე ხერხავენ და მიაქვთ სადღაც, აბა, ხომ არ დაალპობენ? ხალხის დასაქმება მართლა რომ უნდოდეთ, განა კარგი არ იქნებოდა, ამ მოჭრილი ხე-ტყის ბოლომდე დამუშავება ადგილზე მომხდარიყო, აშენებულიყო რაიმე კომბინატი, თუნდაც, ხილის გადამამუშავებელი ქარხანა, რითაც სახელმწიფოც მოიგებდა, ხალხიც დასაქმდებოდა და პროდუქციაც იწარმოებდა? მარტო ვაჰაბიტებს რომ ამუშავებენ და სხვები შორიდან შესცქერიან, სირცხვილი არ არის? მიწას ვერ ვხნავთ — გაზაფხულზე წყალდიდობებს გავურბივართ, ზაფხულში კი გვალვა გვახრჩობს.

დუისში 920 კომლი ვცხოვრობთ და 1 ტრაქტორი აჩუქა მთავრობამ, ისევ თავის კაცს! დანარჩენები ჩვენით ვჯახირობთ რაღაცას და გაგვაქვს თავი. ჩვენი დეპუტატია პეტრე ცისკარიშვილი, რომლის დახმარებითაც ძალიან კარგი გზა გაკეთდა ახმეტამდე, მაგრამ შეპირებული ორი ავტობუსის საქმე ისევ ჰაერშია, არადა, კერძო ტრანსპორტმა გაგვყიდა, ყოველდღე უმატებენ ფასს და იმიტომ!

ახლა ამ ამბებს რომ ვყვები, მეუხერხულება, იმიტომ, რომ საქართველოს უჩვენოდაც დიდი გაჭირვება უდგას, ქართველები სულს ღაფავენ გაჭირვებაში და ქისტებისთვის მოიცლის ვინმე?

ეეეხ, გენაცვალე, ადრე არეულობა რომ იყო, ღობეებზე გვიწერდნენ: „გაეთრიეთ, ოსებო, გაემზადეთ, ქისტებო!“ არადა, ჩვენ არასოდეს მოგვითხოვია ერთი გოჯი მიწაც, არ გვითქვამს კი არა, არც კი გაგვიფიქრებია, როგორც მსოფლიოში ყველაზე მცირე ეთნოსს, განსაკუთრებული პატივით მოგვპყრობოდნენ! საქართველოში და საქართველოდან ყველა ერი უპრობლემოდ გადის და შემოდის ჩვენ გარდა!

აი, სულ ახლახან მიცვალებული მიგვაბრუნებინეს საზღვრიდან. ასეთი შემთხვევა ადრეც ბევრი იყო!

დამეთანხმებითთ, რომ ეს არანორმალური ვითარებაა და ამ ვითარებიდან გამოსავალსაც რომ ვერ ვპოულობთ, აღარ ვიცით, რა გზას დავადგეთ...

**ირინა გოგოლაშვილი**

## „თალიბანი“ ბავშვებს ყიდულობს და შაჰიდებად ზრდის

**პაკისტანში თალიბების ლიდერი ბაითულა მეჰსუდი ბავშვებს ყიდულობს და შემდეგ მათ პაკისტანის ხელისუფლების, ავღანური და ამერიკული ჯარის წინააღმდეგ შაჰიდებად იყენებს. ამის შესახებ „The Washington Times“ აშშ თავდაცვის სამინისტროსა და პაკისტანის ხელისუფლების წარმომადგენელი ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით წერს.**



როგორც პაკისტანის ხელისუფლების ანონიმი მაღალჩინოსანი იუწყება, ბავშვების ღირებულება 7-დან 14 ათას დოლარამდე მერყეობს, ქვეყანაში რიგითი მოქალაქის საშუალო წლიური შემოსავალი კი 2 600 დოლარია. „(მეჰსუდმა) შაჰიდების ტერაქტები წარმოების ციკლად აქცია“, — განაცხადა აშშ თავდაცვის სამინისტროს ასევე ანონიმურმა წარმომადგენელმა. მეჰსუდის განადგურების ბოლო მცდელობა უშედეგოდ დასრულდა — დაიბომბა დაკრძალვის ცერემონიალი, სადაც ტერორისტიც იმყოფებოდა. შედეგად 80 ადამიანი დაიღუპა, თავად მეჰსუდმა კი გაქცევა მოახერხა.

ახლახან პაკისტანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ცოცხალი ან მკვდარი მეჰსუდის კვალის მისაგნებად გამოსადეგ ნებისმიერ ინფორმაციაში 615 300 დოლარს გადაიხდის. ამ თანხას აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა 5 მილიონი დოლარი დაუმატა. სავარაუდოდ, ამჟამად ტერორისტი ავღანეთის საზღვართან მიმდებარე რთულად მისაწვდომ ადგილებს აფარებს თავს.

როგორც გაზეთი იუწყება, ავღანეთისათვის არცთუ ისე უჩვეულო მოვლენაა ომში ბავშვების გამოყენება. ქვეყანაში საბჭოთა ჯარის ყოფნისას უამრავი არასრულწლოვანი ბიჭი „მუჯაჰედინად“ იქცა. „საქმე თავად ბრძოლა არაა, — ამბობს შერი, რომელმაც 13 წლის ასაკში აიღო იარაღი ხელში, — უცნაური ისაა, რომ ამ ახალგაზრდა მებრძოლებს შაჰიდებად ზრდიან. ეს ავღანეთში არასდროს ყოფილა გავრცელებული, არც — წარსულში. ამ ბავშვებს ტვინებს ურეცხავენ, რომ სჯეროდეთ იმის, რაც არ არსებობს. ეს ღმერთის წინაშე დანაშაულია“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ყველა ზონდერის საყურადღებოდ!

## ვიქტორ ხარას მკვლელის ვინაობა ცნობილია

**ჩილეს არასამთავრობო ორგანიზაცია „ფუნას“ დაუღალავი შრომის შედეგად გამოვლინდა ცნობილი ჩილელი მომღერლის — ბარდისა და ფოლკლორისტის — ვიქტორ ხარას მკვლელი. მისი სახელია ედვინ დიმტერ ბიანჩი. ეს ჯალათი ჩილეს შრომის სამინისტროს კერძო საპენსიო ფონდების ასოციაციის ფინანსური განყოფილების თავმჯდომარედ მუშაობს.**



თითქმის 33 წლის წინათ, ალიენდეს კანონიერი ხელისუფლების დამხობის დღეს, დიმტერი ციხიდან გაათავისუფლეს. იგი საპყრობილეში 1973 წლის 29 ივნისს მომხდარი პუტჩის მცდელობისთვის იჯდა. ახალმა სამხედრო ხელისუფლებამ დიმტერი სანტიაგოს ფრენბურთის სტადიონზე მიავლინა, სადაც ათასობით ჩილელი ჰყავდათ დატყვევებული (ეს სტადიონი 2003 წლიდან ვიქტორ ხარას სახელობისაა).

იმავე სტადიონზე მეორე დღეს მეზობლად მდებარე ტექნიკური ინსტიტუტის ასობით მასწავლებელთან და სტუდენტთან ერთად მიიყვანეს ცნობილი მომღერალი, კომპოზიტორი და თეატრის რეჟისორი ვიქტორ ხარა. სტადიონზე დიმტერი ცნობილი გახდა მეტსახელით „პრინცი“ და მოითხოვდა, სწორედ ასე მიემართათ მისთვის, ვინაიდან, მისი განცხადებით, „პრინცის ხმა ჰქონდა“. მაღალი, ფერმკრთალი, ცისფერთვალება, სწორნაკვთებიანი სახისა და მბრძანებლური ხმის მქონე ახალგაზრდა ოფიცერი პირადად ხელმძღვანელობდა დაკავებულთა წამებას. სწორედ მან სცემა მომღერალი თავისი მეგობრების თვალწინ და თავის თანაშემწეებსაც აიძულებდა ეგზეკუციაში მონაწილეობის მიღებას. მომღერალი ბოლოს მაშინ დაინახეს ცოცხალი, როცა დასისხლიანებულსა და ხელებდამტვრეულს დიმტერის ბრძანებით სტადიონის გასახდელში მიათრევდნენ. მეორე დღეს, 16 სექტემბერს, ტყვიებით დაცხრილული ვიქტორ ხარას ცხედარი სხვა მოკლულებთან ერთად სანტიაგოს ერთ-ერთ გარეუბანში იპოვეს. ერთადერთი ოფიციალური დასკვნა იუწყებოდა, რომ „ცნობილი ფოლკლორისტი ვიქტორ ხარა სამხედრო პატრულთან შეტაკებისას დაიღუპა“.

ყოფილი ტუსაღები პრინცს იხსენებენ, როგორც ფსიქიკურად გაუწონასწორებელ სუბიექტს, რომელიც დაუფარავი სიამოვნებით ადევნედა თვალყურს მიმდინარე მოვლენებს და სიცილით ურტყამდა კონდახს მუცელსა და სახეში უმწეო ტყვეებს.

ადვოკატი ბორის ნავია, რომელიც იმ დროს ტყვეებს შორის იმყოფებოდა, იხსენებს: „პრინცი მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხელქვეითებს შორის, მაშინვე ყველა უნდა გაჩუმებულიყო და ფეხზე წამომდგარიყო. ერთხელ ტრიბუნაზე გამოვიდა და გამოაცხადა, რომ მას არ სჭირდებოდა ამ მარქსისტი ნაბიჭვრების წინაშე თავისი სახის დამალვა და მოიხსნა სათვალე და ჩაფხუტი. პროჟექტორების კაშკაშა სინათლეზე ცხადად გავარჩიეთ მისი ღია ფერის თვალები და თმა, მრგვალი სახე და კარგი ოჯახიდან გამოსული ბიჭის თხელი სახის ნაკვთები“.

### ვინ არის პრინცი ედვინ დიმტერი?

დაიბადა ჩილეს სამხრეთში, ქალაქ ვალდივიაში, გერმანელი ემიგრანტის ოჯახში. იგი ნათესავია ჩილეს ამჟამინდელი ელჩისა აშშ-ში — ანდრეს ბიანჩი ლარესი და, ასევე, ცნობილი მუსიკოს-ფოლკლორისტის — ვისენტე ბიანჩისი. მისი გაუწონასწორებელი ხასიათის გამო ამხანაგები მას სამხედრო აკადემიაში „ცოფიან დიმტერს“ ეძახდნენ. 1970 წელს 100 უმცროსი ოფიცრისგან შემდგარ ჯგუფთან ერთად მომზადება გაიარა CIA-ს ხელმძღვანელობით ავადსახსენებელ „ამერიკის სკოლაში“ — პუტჩისტებისა და სამხედრო დამნაშავეების მოსამზადებელ მთავარ სასწავლო ცენტრში. 1973 წელს, პინოჩეტის გადატრიალებამდე 3 თვით ადრე, მონაწილეობდა ალიენდეს წინააღმდეგ მოწყობილ ჩაფლავებულ პუტჩში, რის გამოც გაასამართლეს და სასჯელსაც იხდიდა; ხელისუფლებაში სამხედროების მოსვლის შემდეგ მშვენიერი სამხედრო კარიერა გაიკეთა, მაგრამ 1976 წელს უცნობი მიზეზების გამო შეიარაღებული ძალებიდან წავიდა და დღემდე სამოქალაქო სამსახურში იმყოფება; დაეუფლა სამოქალაქო სპეციალობას „მოანგარიშე-აუდიტორი“; ყოფილ თანამშრომლებთან ურთიერთობა არ აქვს. ჩილეში დემოკრატიის დაბრუნების შემდეგ მან მიაკითხა ოფიციალურ ორგანოებს, როგორც „სამხედრო რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლმა“, არმიიდან წამოსვლა მისი პოლიტიკური დევნით ახსნა და, როგორც „დიქტატურისგან დაზარალებული“, დღემდე ფულად კომპენსაციას იღებს.

ოფისი, სადაც ის მუშაობს, ჩილეს შრომის სამინისტროში, მე-14 სართულზე მდებარეობს, რომელიც სანტიაგოს ცენტრში, პრეზიდენტის სასახლის, ლა-მონედას სიახლოვესაა. თანამშრომლები დიმტერს აღწერენ, როგორც ჩაკეტილსა და უცნაურ ადამიანს. მის სამუშაო მაგიდაზე არც ნათესავის სურათი იდო და არც სამახსოვრო ნივთები. ყავას იგი ყოველთვის თვითონ იმზადებდა და არასდროს იღებდა მონაწილეობას თანამშრომლებთან არაფორმალურ შეხვედრებში. ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ ამ ადამიანის უცნაურობანი მისთვის წარსულის აჩრდილებისგან დამალვის საშუალება იქნებოდა.

25 მაისს 300-მდე ადამიანი, მათ შორის, „ფუნას“ ორგანიზაციის წევრები, ადამიანის უფლებათა დამცველები, ხარას მეგობრები და თაყვანისმცემლები, მისი ქალიშვილი ამანდა და ხელოვნების სამყაროს წარმომადგენლები დიმტერის სამუშაო ოფისში მივიდნენ, რათა მისი კოლეგებისთვის დიმტერის წარსულის შესახებ ეცნობებინათ. პატარა ჯგუფმა მის ოფისამდეც მიაღწია. მათ შესახვედრად გამოვარდნილმა დიმტერმა სცადა, კამერებს დამალვოდა და ვიქტორ ხარას პლაკატის უკან დაიმალა, ამავდროულად ერთ-ერთ აქციის მონაწილეს დაარტყა. მცირე შეხლა-შემოხლის შემდეგ ყოფილი პრინცი ოფისიდან კიბეზე დაეშვა და გაიქცა.

ადგილობრივი იუსტიციის უკიდურესად ნელა მოქმედების მიუხედავად, იმედი გვაქვს, რომ მართლმსაჯულება იზეიმებს, თუნდაც იმ ფორმით, რომ მას ამის შემდეგ მოსვენება დაეკარგება.

**ხარას ჯალათის კოორდინატებია:**
**სრული სახელი:** ედვინ არმანდო როხერდიმტერ ბიანჩი
**პირადობის მოწმობის №** 7.096.266-7
**სახლის მისამართი:** Martin de Zamora 4237, Charles Hamilton 13863 y Apoquindo 7470
**სამსახურის მისამართი:** Huerfanos 1273, p. 14
**ტელეფონის ნომრები:** 7530400-7530401
**ელექტრონული ფოსტა:** edimte@safp.cl

**სარედაქციო ფოსტა**

# სოხუმიდან დევნილი ოჯახი საშველს ეძებს

ხელისუფლების აგდებული დამოკიდებულება თავიანთი სახლებიდან იძულებით აყრილ-გამოძევებული ადამიანების მიმართ აღარავის უკვირს. დასტურად ისიც გამოდგება, საჩვენებელი გეტოები რომ აუშენეს შარშანდელი აგვისტოს ომის დროს დევნილ შიდაქართლელებს. მთავრობის გაუაზრებელმა პოლიტიკამ უარყოფითი შედეგები მალევე გამოიღო. სააკაშვილმა ლტოლვილებისთვის ელემენტარული თავშესაფრის მიცემით გააღიზიანა ე.წ. შევარდნაძის ლტოლვილები — ამ თექვსმეტი წლის წინათ ფუძიდან აყრილი ჩვენი თანამემამულეები, ვინც აფხაზეთში მხოლოდ შავ-თეთრ სიზმრებში ბრუნდება და ვისაც მშობლიური კერა ენატრება.

წერილი, რომელსაც გთავაზობთ, ერთი უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის წუხილს გამოხატავს, თუმცა ხელისუფლების მხრიდან იმედგადაწურულმა დევნილმა ოჯახმა გაუსაძლისი მდგომარეობიდან გამოსავალი თვითონ მოძებნა და ქვეყნის პრეზიდენტს მიმართა. მისმა კანცელარიამ კი ისე, რომ პრეზიდენტს არც წაუკითხავს, დევნილი ოჯახის წერილი ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს — კობა სუბელიანს გადაუგზავნა. სამი თვეა, სუბელიანის პასუხს ელიან, მაგრამ ხელისუფლებას მათთვის არ სცალია. ახლა უფრო მნიშვნელოვანია დეზერტირი რუსი ჯარისკაცების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა. საკუთარი მოქალაქეები კი... თუმცა, სჯობს წერილს გაეცნოთ.

## საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

### აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, ამჟამად ქ. ზუგდიდში უმისამართოდ მცხოვრები ნინო მოროხია-ჩარგეიშვილის

## განცხადება

მოგახსენებთ, რომ დევნილობის შემდეგ გავთხოვდი ქ. სოხუმში, ლაკობას ქუჩის №21-ში მცხოვრებ, ამჟამად იძულებით გადაადგილებულ მალხაზ ჩარგეიშვილზე. იგი არის აფხაზეთის ომის ვეტერანი, მე-2 ჯგუფის ინვალიდი. 1993 წელს ორჯერ იყო მოთავსებული გულრიფშის ჰოსპიტალში ჭრილობების სამკურნალოდ. მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები. პროფესიით კვების მრეწველობის ტექნოლოგი ამჟამად უმუშევარია.

ჩვენი ერთად ცხოვრების პერიოდში შეგვეძინა სამი ქალიშვილი: გვანცა ჩარგეიშვილი, დაბადებული 2001 წლის 26 ნოემბერს, ანასტასია ჩარგეიშვილი, დაბადებული 2002 წლის 13 დეკემბერს და სალომე ჩარგეიშვილი, დაბადებული 2005 წლის 9 მაისს.

მე პროფესიით ვარ არქიტექტორი და მეორე კატეგორიის ქიმიის პედაგოგი, ამჟამად უმუშევარი. ჩვენ არ გაგვაჩნია საცხოვრებელი ბინა. ჩვენი ოჯახი შედგება ხუთი სულისგან. დღეის მდგომარეობით სამადლოდ ვართ შეკედლებული ხან ერთ ნათესავთან, ხან — მეორესთან. მაგრამ ასე გაგრძელება შეუძლებელია. ვისთანაც ვცხოვრობთ, თვითონაც ვერ ეტევიან სახლში, თუმცა ამას აშკარად არ გვეუბნებიან, მაგრამ ჩვენ ვხვდებით, რომ ჩვენი ხუთსულიანი ოჯახი იქ შემდგომ არსებობას ვერ შეძლებს, არადა ამოწურული გვაქვს ყველანაირი შესაძლებლობა, რომ ქირით გადავიდეთ სადმე საცხოვრებლად.

ჩვენი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო არაერთხელ მივმართეთ განცხადებით ადგილობრივ და ზემდგომ ორგანოებს ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ უშედეგოდ. ზოგიერთ შემთხვევაში პასუხიც არ გვაღირსეს. ამჟამად იძულებული ვართ, თხოვნით მოგმართოთ თქვენ. მე ბიუჯეტიდან არაფერს ვითხოვ, ვითხოვ მხოლოდ დონორების მიერ შემოწირულობებიდან შემდეგს:

გრანტის სახით, სახლ-კარის შესაძენად და მცირე ბიზნესის დასაწყებად 100 ათას აშშ დოლარს, აქედან 50 ათას აშშ დოლარს სახლ-კარის შესაძენად და 50 ათას აშშ დოლარს მცირე ბიზნესის დასაწყებად. თუკი პირველი თხოვნა მიუღებელია, მაშინ ვითხოვ:

სესხის სახით მომცეთ იგივე თანხა 10 წლის ვადით, 5,5 წელიწადში შეღავათით და 4,5 წელიწადი დაფარვით. 0,5 პროცენტის საურავით, თუ არა და იმ შემთხვევაში ვითხოვ სახელმწიფოსაგან 100000 აშშ დოლარის ეკვივალენტ თანხას, რომელიც ანაზრის სახით აქვს სახელმწიფოზე მიცემული მამაჩემს და რომლის სათანადო საბუთებს წარმოგიდგენთ საჭიროების შემთხვევაში.

მომეცით კოტეჯის ასაშენებელი თანხა, რომელიც გათვალისწინებულია 1992-93 წლებში აფხაზეთიდან დევნილებზე დონორებისგან შემოწირულობებიდან.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მთელი ჩვენი ოჯახის ტრაგედიად იქცა. კერძოდ, გალის რაიონის სოფელ რეფი-შეშელეთში მქონდა სახლ-კარი, კაპიტალური ერთსართულიანი შენობა ხუთი ოთახით და დამხმარე ნაგებობებით, საკარმიდამო ნაკვეთით 1,25 ჰა და 12 ჰა მიწის ნაკვეთით მუდმივ სარგებლობაში. ყველაფერი ეს იყო ჩემი ძმის რაულ ვანოს ძე მოროხიას სახელზე გაფორმებული. ის და ჩემი მეორე ძმა ჩვენთვის დაუდგენელმა პირებმა დახოცეს. ჩემი კუთვნილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების ჩემს სახელზე დასარეგისტრირებლად დეკლარაციისთვის სათანადო საბუთები წარვადგინე დევნილთა კომიტეტში, მაგრამ უარი მითხრეს იმ მოტივით, რომ მიწის ამხელა ფართის კუთვნილებაში გადაცემა არ შეიძლებოდა, ეს უკანონობა და ჩემი კონსტიტუციური უფლების დარღვევაა. თუ ვერ დაკმაყოფილდება ჩემი განცხადება, იძულებული ვიქნები, მოვითხოვო ფიზიკური და მორალური ზიანის კომპენსაციის სახით 1 მილიონი აშშ დოლარი და დამატებით ზემოთ დასახელებული თანხა.

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ ჩვენი სატკივარი და დაავალოთ კომპეტენტურ ორგანოებს ჩვენ მიერ დაყენებული საკითხების დადებითად გადაწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები, მივმართო საერთაშორისო ორგანიზაციებს.

განცხადების პასუხი გთხოვთ, გვაცნობოთ 10 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. №195/4.

განმცხადებელი
**ნ. მოროხია-ჩარგეიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შიმშილის ჟამიანობა ამერიკაში

**ამ წერილის პირველ ნაწილში, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს“ მე-19 ნომერში გამოქვეყნდა, ლაპარაკი გვქონდა ამერიკის 1932-33 წლების „დიდ დეპრესიაზე“. გარკვეული პარალელებიც გავავლეთ (ვინაიდან თვალში საცემი იყო) ჩვენს დღევანდელ ყოფასთან. დღეს ამ თემის გაგრძელებას გთავაზობთ.**

გურიის მთავარ შარაგზაზე, დასახლებული პუნქტების ცენტრსა თუ განაპირას იმდენი დიდი ჯვარია აღმართული, რომ ერთ დროს აყვავებული საქართველოს ეს მდიდარი მხარე ცოცხალთა სასაფლაოს დამგვანებია.

ხალხს ღმერთის იმედიღა აქვს.

გასული საუკუნის დასაწყისში მეგრელი გლეხისთვის რომ გეკითხათ, სად მიდიხარო, გიპასუხებდათ: „ფოთიშა მეურქ, ეგება ჟირიოდე ფარა ივშვა“.

სკოლაში ნასწავლი ლიტერატურიდან ეს მაინც ხომ გახსოვთ?

ფოთის იმედი მტერს ჰქონდეს!

გაყიდულია!

ქარხნები, ფერმები, ფაბრიკები, რომლებიც პროვინციების მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო და საშუალება იყო, დღეს სტალინგრადის ნანგრევებივით დგას. ოცდაათიანი წლების ამერიკული ქალაქები-აჩრდილები ამათთან შედარებით სპარსეთის შაჰის სასახლეების კომპლექსია, ან — ლუი XIV-ის ვერსალი.

წელში მოიკაკვა, ხელგაწვდილი საქართველო...

საქართველოსი გაგკვირვებიათ, 30-იანი წლების ქვეყნის უმდიდრეს ქალაქს შიმშილმა დარია ხელი: მასობრივად იხოცებოდა შიმშილით მისუსტებული მოსახლეობა. ქალაქის ხელისუფლება იძულებული გახდა, გაეხსნა უფასო სასადილოები.

უფასო სასადილოები — ნიშანი სილატაკის, ჩვენთან სილატაკის დაძლევის სიმბოლოდ და საშუალებად წარუდგინეს ხალხს. ერთ-ორ უფასო სასადილოში კიდეც მივიდნენ ლოყებჩაპუტკუნებული ხელმძღვანელები და ჩახვრიპეს უფასო სუფი, უგემრიელესი კერძი.

იმ წლების ამერიკელი ბავშვი იხსენებს: „ჩვენი ჩვეულებრივი გემრიელი კერძები ხელმისაწვდომი საკვებით ჩავანაცვლეთ... კომბოსტოს ნაცვლად ბუჩქების ფოთლებს ვხარშავდით... ვჭამდით ბაყაყებს... ერთ თვეში დედა გარდამეცვალა, შემდეგ — და...“ (Lack Friffin).

ბევრ შტატს უფასო სუფის გაცემის სახსარიც არ გააჩნდა.

შიმშილს ყოველთვის ერთი სახე ჰქონდა და დარჩა კიდეც: გრძელი რიგები 30-იანი წლების შტატებში საველე სამზარეულოებთან; ასეთივე რიგები დამხობილი ბერლინის ქუჩებში ასევე საველე სამზარეულოებთან, როცა „საბჭოთა ოკუპანტები“ უფასო სადილის ულუფას ურიგებდნენ უკვე ყოფილი ფაშისტთა ბუნაგის მოსახლეობას და ჩაფშვნილპურიანი სუფის მათლაფასთან მჯდარი ადამიანის მადლობის სიტყვები საქართველოს მზრუნველი ხელისუფლების მისამართით თქმული.

ხელგაწვდილი ხალხი და კმაყოფილი ხელისუფლება, რომლის მიზეზითაც შიმშილობენ მისი ქვეშევრდომები.

## ყველაზე უბედურ ქვეყანათაგან „ერთ-ერთი“

ჯონ პერკინსი, ამერიკელი ეკონომისტი, თავის წიგნში „ეკონომიკური მკვლელი“, რომელიც გამორჩეულად კრიტიკული განწყობილებით უდგება ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარ ასპექტებს, გულგატეხილად წერს: **„ვერ ვიჯერებდი, რომ ჩვენი მამები-დამფუძნებლები სიცოცხლის თავისუფლებისა და ბედნიერების უფლებას ითვალისწინებდნენ მხოლოდ ამერიკის მოქალაქეებისთვის“** (გვ. 85).









„დიდი დეპრესიის დოკუმენტური კადრები“

ამერიკის „დიდი დეპრესია“ გვიჩვენებს, რომ ამერიკის ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე ამერიკელები მაინცდამაინც ბედნიერები არ ყოფილან.

იგივე პერკინსი იქვე წერს: „ძალადობის, დეპრესიის, ნარკომანიის, განქორწინების, დანაშაულებათა სტატისტიკური მაჩვენებლები გვიდასტურებს, რომ, მართალია, ჩვენი საზოგადოება ისტორიაში უმდიდრესია, იგი, შესაძლოა, **ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ ბედნიერია. რატომღა გვინდა, რომ სხვებმა ჩვენ მოგვბაძონ?!“** (გვ. 85).

ეს შეკითხვა საკუთარ თავს უნდა დავუსვათ და პატიოსნად გავცეთ პასუხი, მაგრამ ეს სხვა თემაა, ცალკე განსასჯელი.

დღეს ამერიკაზე ვლაპარაკობთ, კერძოდ, ვაგრძელებთ საუბარს შიმშილის დიდ ჟამიანობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენი მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ პარტახის უდიდესი ტრაგედია მილიონობით ადამიანის გაწყვეტა იყო. და მაინც, ამ დემოგრაფიული კატასტროფის განსაკუთრებით მტკივნეულ მომენტად უთუოდ ბავშვთა სიკვდილიანობა უნდა მივიჩნიოთ. ეს საკითხი ამერიკის სტატისტიკაში ისე შელამაზებულად არის წარმოდგენილი, თითქოს არც არსებულა.

არ აღურიცხავთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არსებობდა საპასპორტო სისტემა და აღრიცხვიანობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დემოგრაფების მტკიცებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა სიკვდილიანობის საკითხი დღესაც კი პრობლემად რჩება (უარესია, ვიდრე, მაგალითად, კუბაში). ყველაზე მეტად „აყვავებულ“ **1960 წელსაც კი ყოველი 1000 ახალშობილიდან 26 იღუპებოდა. ფერადკანიანებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო: 60 და მეტი, ყოველ ათას ახალშობილზე.** ეს ხდებოდა ყველაზე უფრო მშვიდობიან და ბედნიერ პერიოდში.

**ოფიციალური ამერიკული სტატისტიკა კი 1932-33 წლებში სიკვდილიანობის კლებას გვიჩვენებს. ამას აკეთებს იმ ფონზე, როცა ქვეყნიდან 5 მილიონზე მეტი ლტოლვილია აღნუსხული, 2,5 მილიონმა დაკარგა საცხოვრებელი, 17 მილიონმა კი — სამუშაო ადგილი** და არსებობის ყოველგვარი საშუალება!

ფალსიფიკატორებმა ისეთი მონდომებით დავარცხნეს ისტორია, რომ **ყველაზე კრიზისულ 1932-33 წლებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი უფრო დაბალი გამოიყვანეს, ვიდრე 1928 წელს, როცა ქვეყანა მშვიდობიანად ვითარდებოდა.**

სპეციალისტების დაკვირვებით, სტატისტიკის მართალ-ტყუილის შეჯიბრში სიცრუის ჩემპიონი სამხრეთ კალიფორნია გახდა: 1929 წლიდან 1932 წლამდე, თუ აქაურ სტატანგარიშებს ვენდობით, სიკვდილიანობა 14,1-დან 11,1-მდე შემცირდა.

ამ ანგარიშების მიხედვით, მთლიანად ქვეყანაში განუხრელად მცირდება ბავშვთა სიკვდილიანობა.

ახლა კი მოემზადეთ სენსაციისთვის: **1932 და 1933 წლების სტატისტიკის მიხედვით, ბავშვთა სიკვდილიანობა 1880 წლიდან 1934 წლამდე, ანუ ამერიკის შეერთებულ შტატებში სტატისტიკური აღრიცხვის მთელი ისტორიის მანძილზე, ყველაზე დაბალი ყოფილა** (?!).

საინტერესოა, თვითონ თუ სჯერათ?

## სად ვეძებოთ 5 მილიონ 573 ათასი სული?

გვიანდელ ამერიკულ სტატისტიკაში მოცემულია 1940 წლამდე მიღწეულ ბავშვთა ასაკობრივი განაწილების მაჩვენებელი. თუ 1940 წელს 20-იან წლებში დაბადებულთა რაოდენობა 24 მილიონ 80 ათასს შეადგენს, ამ დემოგრაფიული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში 30-იან წლებში უნდა დაბადებულიყო არანაკლებ 26 მილიონ 800 ათასი ბავშვი, მაგრამ 30-იან წლებში დაბადებულ თაობას აშკარად აკლია 5 მილიონ 573 ათასი! არც — მეტი, არც — ნაკლები.

ეგებ, ამდენად შემცირდა შობადობა?

მაგრამ ორმოციან წლებშიც კი, მეორე მსოფლიო ომის დროს, უდიდესი დანაკარგებისა და ომში გაწვეული მილიონობით მამაკაცის მიუხედავად, მშობიარობა თითქმის ადრინდელ დონემდე აღდგა. 30-იანი წლების უდიდესი დემოგრაფიული დანაკარგების ახსნა შეუძლებელია შობადობის შემცირებით. ეს იყო შედეგი უზარმაზარი ოდენობის „დამატებითი“ სიკვდილიანობით. ეს არის ბავშვთა მილიონობით დაკარგული სიცოცხლის ტრაგიკული შედეგი, ამერიკაში შიმშილის დიდი ჟამიანობის შედეგი.

ამ ციფრებიდან გამომდინარე, სპეციალისტები ანგარიშობენ შიმშილისგან დაღუპული მოზრდილი მოსახლეობის საერთო რაოდენობას. ასკვნიან, რომ **დაიხოცა 10 წელზე მეტი ასაკის, სულ ცოტა, 2 მილიონი მოქალაქე და 5,5-მილიონიანი ბავშვთა დემოგრაფიული დანაკარგების დაახლოებით ნახევარი,** რაც შეადგინა ბავშვთა სიკვდილიანობამ და შობადობის ბუნებრივმა კლებამ.

თუ მეცნიერთა მსჯელობასა და დასკვნებს ვენდობით, შეიძლება ვირწმუნოთ, რომ 1932-33 წლების შტატების დიდი შიმშილობის პერიოდში ამ მიზეზით ამერიკაში 5 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა.

სიკვდილიანობის წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა ეროვნულ უმცირესობებზე მოდის. **ის, რაც „დიდი დეპრესიის“ დროს მოხდა, გენოციდის ზღვარზე დგას.** თუ ძირძველი მოსახლეობის გენოციდის შემდეგ, რომელიც თითქმის XX საუკუნის დადგომამდე გაგრძელდა, 20-იანი წლების განმავლობაში მკვიდრი ხალხებისა და ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა 40 პროცენტამდე გაიზარდა, 1930-დან 1940 წლამდე არათუ გაიზარდა, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს კი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: **30-იანი წლების განმავლობაში ეროვნულ უმცირესობათა დიასპორებმა ერთდროულად დაკარგეს საერთო რაოდენობის რამდენიმე ათეული პროცენტი.**

ეს თუ არ არის გენოციდი, მაშინ რა ითვლება გენოციდად?!

კვლავ ჯონ პერკინსი: „იმპერიული ექსპანსია იყო და რჩება უმეტესი ომების, გარემოს დაბინძურების, შიმშილის, სახეობათა ამოწყვეტის, გენოციდის მიზეზი. მსოფლიო ბატონობისკენ ამ მისწრაფებას იმპერიის მოქალაქენი თავიანთ სინდისსა და ჯანმრთელობას ანაცვალებენ. შედეგად, ჩამოგვიყალიბდა ავადმყოფი საზოგადოება, კაცობრიობის ისტორიაში უმდიდრესი, მაგრამ, ამასთან, ისეთი, რომელიც თვითმკვლელობის, ნარკოტიკული დამოკიდებულებისა და ძალადობის აქტების რაოდენობის უმაღლესი მაჩვენებლებით გამოირჩევა“.

**არმაზ სანებლიძე**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

**P.S. „დიდი დეპრესია“, ოღონდ ახალი სახელწოდებით — მსოფლიო ფინანსური კრიზისი და ეკონომიკის რეცესია კვლავ გვიტევს „დასავლეთის ფრონტიდან“. ისინი კი, ვისაც ამ უბედურების სახელმწიფოებისთვის აცილება ევალება, ხელების ქნევის საეჭვო მეთოდით ცდილობენ პრობლემის მოგვარებას: აქშა, აქშაო! — თითქოს აბეზარი ბუზები თავს ეხვევიან. კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა ოთხდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა გამოაცხადა: აღარ არის სამუშაო!**

**შეერთებული შტატების მეგაპოლისების მოსახლეობა ჩაინათაუნებს მიაწყდა — ჩინელებით დასახლებულ კვარტლებს: ცნობილი ბრენდები აქ ორჯერ უფრო იაფი ღირს, ვიდრე ქალაქის სუპერმარკეტებში. ობივატელი სიამოვნებით ყიდულობს „ფუნთუშებს ჩინური აქცენტით“, რადგან ეს სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მარტივი და გემრიელი საშუალებაა.**

**ისრაელში 1 ივლისიდან გაძვირდა კვების ყველა პროდუქტი, რადგან კრიზისით გამოწვეული პრობლემების სიმძაფრის შესანელებლად რომელიღაც გადასახადი გაუზარდეს მცირე მეწარმეებს. რუსეთის დიდ ქალაქებში აკრძალეს სამორინეები: სათამაშო ბიზნესს ჩრდილოეთისკენ, მაგალითად, კალინინგრადის ოლქში უკრეს თავი.**

**ასეთი უჩვეულო ღონისძიებებით ცდილობენ დეპრესიის შეჩერებას, რომელმაც უკვე შემოაღო კარი და ზღურბლსაც გადმოაბიჯა.**

**როგორც ყოველთვის, ზარალდება ხალხი, „პუტკუნა ბიჭებს“ არაფერი შეაწუხებს.**

**ა.ს.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# იუშჩენკომ სპეცსამსახურებს სტალინზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა უბრძანა

**უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ქვეყნის გენერალურ პროკურორს ალექსანდრე მედვედკოსა და უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს ვალენტინ ნალივაიჩენკოს უცნაური დავალება მისცა. მათ 1944 წელს ყირიმის ტერიტორიიდან იქ მცხოვრები თათრებისა და სხვა ხალხების უკანონო გასახლების შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი უნდა განიხილონ.**



„ქვეყნის პირველი პირი თვლის, რომ 1944 წელს ყირიმიდან თათრების უკანონო და ძალადობრივი გასახლების ფაქტი უდავოა. ასევე, დადგენილია ყირიმის ტერიტორიიდან სხვა ხალხების, კერძოდ, სომხების, ბერძნების, ბულგარელების და სხვათა დეპორტაციის ფაქტებიც", — განაცხადა პრეზიდენტის პრესმდივანმა ირინა ვანიკოვამ სპეციალურ პრესკონფერენციაზე. მისივე სიტყვებით, იუშჩენკო დარწმუნებულია, რომ ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის მაშინდელი ხელმძღვანელებისა და მათი მეთაურის იოსებ სტალინის ამ ქმედებაში გენოციდის ნიშნები ჩანს. გენერალური პროკურატურა და უკრაინის უსაფრთხოების სამსახური საქმესთან დაკავშირებით მრავალმხრივ და ობიექტურ ძიებას ჩაატარებენ. იუშჩენკო დარწმუნებულია, რომ ამ ძიების შედეგების მიხედვით შესაძლებელი გახდება ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის თანამდებობის პირთა მაშინდელი ქმედებების სამართლიანი შეფასება.

**რეგნუმ.რუ**

# ერაყის ომი დანაშაული იყო

**პოლიტიკოსებს ფაქტების დამალვა სურთ, მაგრამ ბრიტანეთში უნდა ჩატარდეს სისხლისღვრის გარემოებების ღია გამოძიება, რომლის დაწყებასაც იგი წინ უსწრებდა.**
**არცაა გასაკვირი, რომ ატლანტიკის ორივე მხარეს ხალხი, რომლის კისერზეც ჰუმანიტარული და სოციალური კატასტროფაა, რაც ერაყში შეჭრასა და ოკუპაციას მოჰყვა, ისტორიის გადაწერასა და შეიარაღებული ძალების რეპუტაციის გადარჩენას ცდილობს. იმ დროს, როცა ბრიტანეთის ძალები ტოვებენ ერაყს, პროპაგანდისტული შეტევა თითქმის კულმინაციას აღწევს.**



ამ დღეებში გორდონ ბრაუნმა სისხლისგან დაცლილი ერაყის დაღუპვას „წარმატების ისტორია" უწოდა. თავდაცვის მინისტრი ჯონ ჰატონი ირწმუნებოდა, რომ ბრიტანეთმა უნდა იამაყოს სამხრეთ ერაყის დანგრეულ ქალაქებში დატოვებული „მემკვიდრეობით". ბუნებრივი რესურსების მინისტრი ჰილარი ბენი „ბი-ბი-სის" გადაცემაში ამაყობდა, რომ არსებითად მხარდაჭერა აღმოუჩინა აგრესიულ აქტს. მან განაცხადა, „ჩვენ ერაყს საუკეთესო მდგომარეობაში ვტოვებთ".

პოლიტიკოსების სწრაფვა ფაქტების დამალვისაკენ არ შეიძლება მიზეზი გახდეს იმისა, რომ ასეთი უხეში პაროდია სიმართლედ იქნეს მიჩნეული. ომი ერაყში ჯოჯოხეთური დანაშაული იყო. იგი ყალბი საბაბით დაიწყო და შედეგად ათობით ათასი სიცოცხლე იმსხვერპლა, უსახლკაროდ დატოვა 4 მილიონზე მეტი ადამიანი, თან მოიყოლა მრავალრიცხოვანი ეთნიკური წმენდა და საბოლოოდ დაანგრია ქვეყნის ინფრასტრუქტურა, რომელიც ისედაც სულს ღაფავდა წინა ომისა და 12-წლიანი სანქციის შედეგად.

2003 წელს, შეჭრის წინ, ტონი ბლერმა გააფრთხილა პარლამენტი, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი იქნებოდა. სადამ ჰუსეინის სინდისზე „ბევრად მეტი სიკვდილი მოვიდოდა ერთი წლის განმავლობაში, ვიდრე ნებისმიერ კონფლიქტში ჩვენი მონაწილეობით". „ემნისტი ინტერნეიშენელის" მონაცემებით, ერაყში რეპრესიულ ღონისძიებათა მსხვერპლი იმ დროისთვის რამდენიმე ასეულს არ აჭარბებდა. ერაყის მთავრობის მონაცემებით, ბოლო 6 წლის განმავლობაში მსხვერპლი მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობაში 150 000-დან მილიონამდე მერყეობს.

ერაყში დაღუპული 179 ბრიტანელი ჯარისკაცისთვის პატივის მიგებისას მინისტრებმა ვერ სძლიეს საკუთარ თავს და პატივი არ მიაგეს სისხლისღვრის მსხვერპლთ, იმ სისხლისღვრისა, თავად რომ დაიწყეს. აღარაფერს ვამბობ ათასობით დატყვევებულზე, სასამართლოს გარეშე დაკავებულებზე, წამებასა და მკვლელობებზე, სწორედ იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც დაიწყო ომი.

დღემდე მხოლოდ ერთი ბრიტანელი ჯარისკაცი — დონალდ პეინი იქნა გასამართლებული ერაყში ტყვეების სადმი სასტიკი მოპყრობის გამო. არცაა გასაკვირი, რომ ერაყელების უმეტესობა უცხოელთა ჯარების გაყვანის მომხრეა. ერაყელები სერიოზულად ვერ აღიქვამენ „დემოკრატიის აყვავების", „წარმატებული მისიისა" და „რეკონსტრუქციის" შესახებ ზღაპრებს. ბასრადან ბაკუბამდე ტერიტორია მოკლებულია კომუნალურ მომსახურებას, ელექტროენერგიას, სუფთა წყალს და მხოლოდ ამერიკული ხიშტები უნარჩუნებს სიცოცხლეს სისტემას, რომლის მიხედვითაც ინტერვენტებს დაქვემდებარებული რელიგიური დაჯგუფებები ინაწილებენ ერაყის ტერიტორიას.

სწორედ ამიტომ განაცხადა ბასრაში განთავსებული ერაყის მშრომელ მენავთობეთა ფედერაციის ცნობილმა პრეზიდენტმა, რომ ინტერვენციული ჯარების გაყვანა მათთვის ზეიმის მიზეზი გახდება.

ერაყში სიტუაციის სტაბილიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება ოკუპაციის პერიოდი და ყველა წარმომადგენლობითი პოლიტიკური ძალა მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდება. ბრიტანეთს კვლავ მოუწევს ერაყისთვის მიყენებული ზარალის დათვლა, რისთვისაც აუცილებელია აბსოლუტურად მიუკერძოებელი და ღია ოფიციალური გამოძიება.

გამოძიება ძალზე მნიშვნელოვანია ბრიტანეთის ჟანგიანი პოლიტიკური სისტემისთვის, მაგრამ გაცილებით დიდ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ ერაყის კამპანიისას დაშვებული შეცდომები კვლავ მეორდება ამერიკის შეერთებული შტატების ახალ კონფლიქტებში პაკისტანთან და ავღანეთთან.

**theguardian**

# ყოველი მეორე ბრიტანელი სამხედრო გადადგომაზე ფიქრობს

**ეს სწრაფ და მსუბუქ ოპერაციას ჰგავდა. მოვიდა ინფორმაცია, რომ თალიბების მეთაური ჰელმენდის ჩრდილო პროვინციაში Naw Zad-თან ახლოს მთის ერთ-ერთ კიშლაკში იყო ბლოკირებული. 100-მდე პარაშუტისტი და გურკხი ერთადერთი მიზნით გაიგზავნა — მეთაური უნდა შეეპყროთ. გეგმა მარტივი იყო: საპატრულო შენაერთებსა და გურკხებს სხვადასხვა მხრიდან უნდა შემოევლოთ, გამაგრებულიყვნენ და მჭიდროდ ეკონტროლებინათ პერიმეტრი. შემდეგ A ჯგუფი ვერტმფრენებიდან დაეშვებოდა, ბუნკერებს გაწმენდდა, ტერორისტებს შეიპყრობდა და სწრაფად დატოვებდა ტერიტორიას.**



საჰაერო ოპერაციის მეთაურობა დაევალა ლეიტენანტს — პოლკოვნიკ სტიუარტ ტუტალს.

— მეგონა, ყველაფერი საათივით აეწყობოდა: მივფრინდებოდით, გავიმარჯვებდით და გავფრინდებოდით უპრობლემოდ, მაგრამ პრობლემები მხოლოდ იწყებოდა. გურკხები სამხრეთისაკენ მიმავალ გზაზე უდაბნოში მახეში გაებნენ, იმავე დროს საპატრულო შენაერთი ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზაზე დაიცხრილა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

„გეგმამ ჭირი მოგვჭამა, გვეგონა, თიხის ბუნკერში ერთი-ორი თალიბი დაგვხვდებოდა, იქ კი 70-მდე იყო. სამი მხრიდან გვიტევდნენ".

უბრალო ოპერაცია 6-საათიან ბრძოლად იქცა. „მესმოდა, როგორ წიოდნენ ტყვიები ჩემი ვერტმფრენის ირგვლივ. მხოლოდ ორი არჩევანი მქონდა: მიწაზე დაშვება და თავდასხმის გაძლება ან ბაზაზე დაბრუნება დახმარებისათვის".

ამ მძიმე წუთებში მფრინავმა გამახარა და მითხრა, რომ სულ ხუთი წუთიღა უნდა გვეფრინა.

ინტუიცია კი მკარნახობდა, რომ მიწაზე დავშვებულიყავით.

იმ საღამოს დიდი დახმარება გაგვიწიეს ამერიკულმა „A-10"-ებმა, რომლებმაც 20-მდე თალიბი გაისტუმრეს საიქიოს. მადლობა ღმერთს, დანაკარგები არ გვქონია.

იმ ამბიდან 4 თვის შემდეგ 15 ადამიანი მოკლეს და 46 დაჭრეს, ეს მაშინ, როდესაც ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ირწმუნებოდა, რომ ავღანეთში ერთხელაც არ გაისროდნენ ომში გაგზავნამდე. რეალურად ჩემმა ხალხმა 6 თვის განმავლობაში 479,236 სროლა განახორციელა, ამ რიცხვში არ შედის რაკეტები, საბრძოლო ჭურვები და ავიაბომბები.

ვერტმფრენების ნაკლებობა პრობლემად გვემატებოდა. 1200 ადამიანზე სულ 7 „ჩინუკი" გვყავდა. ადვილად დასამიზნებელი მწვანე ვერტმფრენების უდაბნოს ფერში გადაღებვაც კი ვერ მოვასწარით თავდაცვისათვის. მათი დანახვისას თალიბები ბავშვებივით ხარობდნენ.

ვერტმფრენების ნაკლებობა მაიძულებდა, რთული გადაწყვეტილება მიმეღო. მუსა ქალაში მძიმე ბრძოლებისას 6 დღის მანძილზე 7 ევაკუაციის ორგანიზება მომიწევდა. მუსა ქალა ძალზე სახიფათო ადგილი აღმოჩნდა. „ჩინუკები" ხშირად იძულებულნი იყვნენ, დაჭრილები მიეტოვებინათ. დამარცხების საფრთხე იგრძნობოდა.

მუსა ქალას ბასტიონში ექიმს ვეკითხებოდი, რამდენ ხანს გაძლებდა მორიგი დაჭრილი. თუ ეს დრო 4 საათი მაინც იქნებოდა, საჰაერო დაცვის საერთო ოპერაცია უნდა ჩამეტარებინა. სხვაგვარად, უბრალოდ, ვერ მოხერხდებოდა დესანტის გადასხმა.

ყველაზე მეტად ვერტმფრენების დაკარგვისა მეშინოდა. საკითხი მწვავედ იდგა — ან დაჭრილები, ან დანარჩენები. ერთ-ერთი ჩემი მებრძოლი გახეთქილი თავით თითქმის შვიდ საათს იწვა მორიგ ევაკუაციამდე. არჩევანი დაჭრილის სიცოცხლესა და მისი 16 მეგობრის სიცოცხლეს შორის უნდა გამეკეთებინა. ბრიტანული ხელისუფლება „ბოინგისთვის" შეკვეთილი 26 ვერტმფრენიდან მხოლოდ 17-ს გვპირდება. 2001 წელს ნაყიდი 7 ახალი ვერტმფრენი კი ბორტზე პრობლემების გამო ვერ იფრენს.

საშინელება ხდება მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცების სამშობლოში მკურნალობისას. ბირმინჰემის ჰოსპიტალში მისვლისას ვფიქრობდი, რომ ჩემი ჯარისკაცები სპეციალიზებულ სამხედრო ჰოსპიტალში წვანან და არა სამოქალაქოში, 80 წლის მარაზმატიკი მოხუცების გვერდით.

მაიორ-მედესანტეს, რომლის ხელიც ნაკუწებადაა ქცეული, ვეკითხები, თავს როგორ გრძნობს. „საშინლად, სერ", — და მიმანიშნებს გვერდით მწოლიარე სამოქალაქო ავადმყოფზე, რომელსაც ეს მებრძოლი მაიორი ემსახურებოდა სანიტრის ნაცვლად.

საავადმყოფოს მომსახურე პერსონალს არავინ ადარდებდა, არც ზურგში გადამტვრეული მებრძოლი, რომელსაც სკანირება იმის გამო ვერ უტარდებოდა, რომ თავად საამისო აპარატი იყო მწყობრიდან გამოსული. მებრძოლს ამის შესახებაც კი არავინ უთხრა. მეორე მეომარი, რომელსაც ფეხი აქვს ამპუტირებული, აგონიაშია, არც მისთვის სცალია ვინმეს. თავზარი დამეცა. ჩემი ბიჭები ბრძოლის დროს რომ დაჭრილიყვნენ, ამგვარ სიტუაციაში აღმოჩნდებოდნენ.

მიუხედავად ხელფასის 9%-ით მომატებისა, სულაც არაა გასაკვირი, რომ სამხედროების 47% გადადგომაზე ფიქრობს. 16 000 ფუნტი ბევრი არაა. კარგად ნასწავლი და ნავარჯიშები სამხედრო პირი საბრძოლო პირობებში ხელზე 20 000 ფუნტს იღებს. რისთვის უნდა უშვერდეს შუბლს ტყვიას 24 საათის განმავლობაში და რატომ უნდა ეცვას რამდენიმე კვირის გაურეცხავი უნიფორმა? განა არ ჯობს, მძღოლად მუშაობდე, ბენზინს ატარებდე, ხელზე 32 000 ფუნტს იღებდე და ზურგში ტყვიის მოხვედრისა არ გეშინოდეს?..

# გუდ ბაი, დუბაი!



**გასულ კვირას ჩვენი პრეზიდენტისგან მორიგი დაპირება მივიღეთ, რომ ფოთს დუბაის დაამსგავსებდა!**
**მე არ მინდა, რომ ბატონი პრეზიდენტის კეთილ სურვილებში ეჭვი შევიტანო, მაგრამ აშკარაა, რომ მას, მსუბუქად რომ ვთქვათ, ზედმეტად დიდი წარმოდგენა აქვს ქალაქ დუბაიზე!**
**არსებობს კიდევ მეორე ვარიანტი — პრეზიდენტმა იცის, რასაც წარმოადგენს სინამდვილეში დუბაი და გვემუქრება — შეწყვიტეთ მიტინგები, თორემ ფოთს დუბაის დავამსგავსებო!**
**იმის გასარკვევად, თუ რა იგულისხმა პრეზიდენტმა, შევეცდები, თქვენც გაგაგებინოთ, რას წერს უცხოური მედია ქალაქ დუბაის შესახებ.**
**დაახლოებით 30-ოდე წლის წინათ დღევანდელი დუბაის ადგილზე უდაბნო ყოფილა; არსებობდა მხოლოდ ქალაქის ცენტრი, სადაც დღეს შუშისა და ბეტონის შენობებია.**

თავის დროზე ამ ქალაქს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარგალიტის მაძიებელთათვის, რადგან ისინი აქედან გადიოდნენ სპარსეთის ყურეში. შემდეგ იგი ბრიტანეთის იმპერიამ დაიპყრო და 1971 წლამდე მის საკუთრებას წარმოადგენდა. როგორც კი დუბაი გათავისუფლდა, მის გარშემო მცხოვრებ ტომებს შორის კავშირი ჩამოყალიბდა და ასე წარმოიქმნა არაბეთის გაერთიანებული ემირატები.

ბრიტანელების წასვლის შემდეგ აქ ნავთობიც აღმოაჩინეს და დადგა საკითხი — რა უნდა ექნათ ამ ნავთობისა და, შესაბამისად, ფულისთვის. დუბაის შეიხები, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მომთაბარე ბედუინები იყვნენ, რომლებმაც მოულოდნელად ოქროთი სავსე ქოთანი იპოვეს.

მეზობლად მდებარე არაბულ სახელმწიფოებთან შედარებით, მათი ნავთობის მარაგი არც ისე დიდი იყო, ამიტომ შეიხმა მახტუმმა გადაწყვიტა, ფული რაღაც მარადიულსა და მომგებიანში ჩაედო. თუ ისრაელი იმით ამაყობს, რომ უდაბნო წალკოტად გადააქცია, მახტუმმა ქვიშაზე სამშენებლო ბუმი წამოიწყო. მან ქალაქი ტურიზმისა და ფინანსური სერვისების ცენტრად აქცია, რომელიც ფინანსებს მთელი მსოფლიოდან პირდაპირ „იწოვდა“. გარშემომყოფები შეიხმა იმით მოხიბლა, რომ აქ გადასახადების გადახდა საჭირო არ იყო და ინვესტორებმაც იხუვლეს და მიაწყდნენ დუბაის. ისინი მოდიოდნენ მილიონობით, რითაც, თავისთავად, ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროებდნენ. დღეისათვის ადგილობრივი მოსახლეობა აქ მხოლოდ 5%-ს შეადგენს. როცა ქალაქში დადიხარ, ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ ეს ქალაქი კი არ აშენებულა, პირდაპირ ციდან ჩამოვარდა. ასეთია 1001 ღამის ზღაპრის ქალაქი.

2009 წლის 7 აპრილს ჟურნალ „ინდეპენდენტ“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში დაწვრილებითაა აღწერილი დუბაის დღევანდელი რეალური ყოფა-ცხოვრება.

სტატიის ავტორი ესაუბრება ქალს, რომელიც დუბაიში კანადიდან ქმართან ერთად ჩავიდა. როცა ისინი ქალაქში ჩავიდნენ, მილიონერები იყვნენ. მისმა ქმარმა დუბაიში ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო ფირმის ხელმძღვანელის თანამდებობა მიიღო, თვითონ მოდის სამყაროში მუშაობდა. ჩასვლისთანავე 2 ბინა შეიძინეს, უზარმაზარ აპარტამენტებში ცხოვრობდნენ.

„რომ ჩამოვედით, ეს ქალაქი უფროსების დისნეილენდს ჰგავდა, სადაც მთავარი თაგვი შეიხი მოჰამედი იყო. უზარმაზარ აპარტამენტებში ვცხოვრობდით, მოსამსახურეთა მთელი არმია გვყავდა, ხოლო თავისუფალ დროს წვეულებებზე ვატარებდით“, — ჰყვება კარენ ენდრიუსი.

მაგრამ მისმა ქმარმა, პირველად თავის ცხოვრებაში, ფინანსების მართვაში შეცდომების დაშვება დაიწყო. „დიდ ფულზე არ იყო საუბარი, მაგრამ მას მაინც ვერაფერი გაეგო. ეს დანიელს ისე არ ჰგავდა... გაოცებული ვიყავი. ვალებში აღმოვჩნდით.“ ერთი წლის შემდეგ მიზეზი გაირკვა — მის მეუღლეს ტვინის სიმსივნე აღმოაჩნდა. ერთმა ექიმმა პირდაპირ თქვა, რომ მას მხოლოდ ერთი წლის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. მეორე კი დამაიმედებელ პროგნოზს აკეთებდა. ვალები კი იზრდებოდა. „როცა აქ ჩამოვედით, წარმოდგენაც არ მქონდა დუბაის კანონმდებლობაზე“, რომ აქ გაკოტრების პროცედურა განხილული არაა. თუ დიდი ფული გაქვს, აქ არ გაგაკოტრებენ, უბრალოდ, თუ ვალს ვერ გადაიხდი, ციხეში ჩაგსვამენ.

„როცა ეს გავაცნობიერეთ, დანიელი წინ დავისვი და ვუთხარი: აქედან უნდა მოვუსვათ-მეთქი. გადავწყვიტეთ, თავისი ფული გამოეტანა და საქმეს ჩამოშორებოდა.“ ასეც მოიქცა, მაგრამ იმდენად ცოტა ფული გადაუხადეს, რომ ვალები ვეღარ გადაიხადა. დუბაიში ასეთი წესია — როცა სამსახურს ტოვებ, შენი სამსახური ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს თქვენს ბანკს. და თუ თქვენ გაქვთ დაუფარავი ვალები ან კრედიტები, რომლის დაფარვაც თქვენი ამჟამინდელი დანაზოგით შეუძლებელია, ანგარიში გებლოკებათ და დუბაის ტერიტორიის დატოვება გეკრძალებათ. „უეცრად ჩვენმა საკრედიტო ბარათებმა მუშაობა შეწყვიტა, ყველაფერი დავკარგეთ, ჩვენი აპარტამენტებიდანაც გამოგვაძევეს“.

დანიელი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. სასამართლოზე მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პროცესი არაბულ ენაზე მიმდინარეობდა, ამიტომ ბრალდებულს ერთი სიტყვაც არ გაუგია (თარჯიმანიც კი არ ჰყოლიათ).

კარენი ახლა თავის „ლენდროვერში“ ცხოვრობს, რომელიც ავტოსადგომზეა გაჩერებული. მისი „ცხოვრება“ ერთ ბანგლადეშელ ყმაწვილზეა დამოკიდებული, რომელიც ავტოსადგომს დარაჯობს და სიბრალულის გამო არ აგდებს მას იქიდან.

სტატიის მეორე პერსონაჟი 24 წლის ბანგლადეშელი საჰინალ მონირია, რომელიც ბანგლადეშიდან სამშენებლო სამუშაოსთვის ჩამოვიდა. მას დაპირდნენ, რომ თვეში 40 000 ტაკა (400 ფუნტი) ექნებოდა ხელფასი, იმუშავებდა დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე და იცხოვრებდა ნორმალურ პირობებში. საჰინალმა მიწა გაყიდა, ადგილობრივ მევახშეს ფული ესესხა და კონტრაქტის საფასური — 3 200 ევრო გადაიხადა.

ჩამოსვლისთანავე სამშენებლო კომპანიამ საჰინალს პასპორტი ჩამოართვა და აღარც დაუბრუნებია. მას მოკლედ აუხსნეს, რომ 55-გრადუსიან სიცხეში მოუწევდა მე-14 ცვლაში მუშაობა.

ახლა ცხოვრობს დუბაის სიახლოვეს, პატარა ხელოვნურ დასახლებაში, ბეტონის კუბის ფორმის პატარა შენობებში, სადაც არც ვენტილაციაა, არც კანალიზაცია და არც ელემენტარული პირობები. ოთახში მხოლოდ ერთი, 3-სართულიანი საწოლია, რომელზეც საჰინალს თავის 11 მეგობართან ერთად მონაცვლეობით სძინავს.

სტატია მთავრდება გაფრთხილებით, რომ დუბაი სულაც არაა არაბეთის ქვიშაზე მოკიაფე შავი მარგალიტი. შორიდან იგი მართლაც ლამაზი და მიმზიდველია, მაგრამ მის შიგნით კლასიკური შუასაუკუნეობრივი დიქტატურაა.

მგონი, ყველაფერი გასაგებად წარმოგიდგინეთ, და ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოდით, ერთად ვკითხოთ ჩვენს პრეზიდენტს:

— რას გვიპირებთ, ბატონო პრეზიდენტო, მაგალითად?

**გიორგი გიორგიძე**

# ნევადელი მეძავების ეკონომიკური კრიზისი

**ეკონომიკური კრიზისის გამო ნევადაში 25 ოფიციალურ ბორდელს უკვე საგრძნობლად შეუმცირდა შემოსავლები, Donnas Ranch-ის ბიზნესს კი უკვე 20%-იანი კლება აქვს. ამ ბორდელით, ძირითადად, შორ რეისებზე მომუშავე მძღოლები სარგებლობდნენ. საწვავისა და საკვების მაღალი ფასის გამო ახლა გოგოები მოთმინებით ელიან კლიენტს. ბორდელი მოასფალტებული გზის ბოლოსაა, ნევადის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც დაღლილ მოგზაურებსა და ჭაღარა მძღოლებს მხოლოდ ფულის გამო ელიან, თუმცა ამ ბოლო დროს — სულ ამაოდ. მასპინძლებს სულ უფრო ხშირად უხსნიან მუდმივი კლიენტები: რა ვქნა, ძვირფასო, ან ბენზინი უნდა ვიყიდო, ან შენთან ერთად გავატარო ნახევარი საათიო.**



ვერც არალეგალური ბორდელები ასცდნენ კრიზისის კლანჭებს. მაგალითად, Mustang Ranch-ს კლიენტები კი მოუმრავლდა, მაგრამ სამუშაოს მძებნელი ქალების რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ სამუშაო 74 წლის ქალმაც კი ითხოვა. მეორე ბორდელი 300 დოლარის დამხარჯავ კლიენტებს ბენზინის 50-დოლარიანი ტალონებით ასაჩუქრებს, მაგრამ ერთ დროს მუდმივი კლიენტები ახლა ბორდელის წინ ნეონით ლურჯად განათებულ ძელსკამზე სხედან და უფულობას უჩივიან. ბარმენიც შეწუხებულია, დღის ბოლოსთვის ჯიბეში 50 დოლარი მაინც ჰქონდა ხოლმე, ახლა კი მხოლოდ 12 აქვს. რა ქნას, მისი შემოსავალიც მეძავების სარფიანობაზე იყო დამოკიდებული, ახლა კი ძვირადღირებულ მომსახურებას კლიენტები, ძირითადად, თავს არიდებენ.

გოგოები სამუშაოს დროის მიხედვით აფასებდნენ და ამისათვის მარტივ მაღვიძარას იყენებდნენ. 10-15-წუთიანი სექსი, სულ მცირე, 100 დოლარი ღირდა. ვარდისფერ „მენიუზე“ ჩამოთვლილ დამატებით მომსახურებებში კლიენტები ათასებსაც იხდიდნენ, მაგრამ ახლა ცხელ აბაზანასა და სარკეებიან ოთახს თითქმის აღარავინ ითხოვს. Donnas Ranch-ის ასამუშავებლად ვინმე არნოლდმა 12 წლის წინათ მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა, მაშინ ეს შემოსავლიან და იოლად სამართავ საქმედ ითვლებოდა. არნოლდს მსგავსი სერვისი კიდევ რამდენიმე აქვს, ის შტატის ბორდელების ასოციაციის პრეზიდენტია. მისი თქმით, ამ საქმეში მთავარია, გოგონები ბედნიერად გამოიყურებოდნენ, თუ ეს ასეა, კლიენტიც ბედნიერია და მაშინ ბორდელზე უფრო შემოსავლიანი საქმე მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებების მეპატრონეებს თუ ექნებათ.

2006-2007 წლებში შემოსავალმა მილიონ დოლარს მიაღწია, მაგრამ წელს არნოლდი 200 000-ზე მეტს არ ელის. არადა Donnas Ranch არის Boise-ს საფეხბურთო გუნდის ოფიციალური სპონსორი, ერთ დროს სტადიონისთვის განათებაც კი უყიდია. ახლა Donnas Ranch-ს რანჩოდ გადაკეთება ელის — მიმდებარე მიწებზე საქონლის მოშენებას აპირებენ.

ბორდელის ქალები კი მოკლეტალღური რადიოს საშუალებით მძღოლებს ეკურკურებიან და ამ მეთოდით კლიენტების მესამედს იზიდავენ კიდევაც. ერთ დროს გოგოებს დღეში 13 კლიენტი მაინც ჰყავდათ და ორ-სამ კვირაში ყველა ხარჯის გასტუმრების შემდეგ ჯიბეში, სულ მცირე, 6 000 დოლარი სუფთად რჩებოდათ. ის ბედნიერი დრო წარსულს ჩაბარდა. ახლა ტარიფსაც იოლად ამცირებენ, რამდენიც უნდა ჰქონდეს კლიენტს, იძულებული არიან, დათანხმდნენ. სულ არარაობას ხომ ჯობია.



# ლოკალური სეპარატიზმი ჩახშობა

**აბაშის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებლის გურამ გუნავას ძალისხმევით, სოფლების: კეთილარის, კოდორისა და გულეიკარის მიმართულებით საქართველოში ერთ-ერთი უნიკალური, 24 კმ სიგრძის რკინა-ბეტონის გზა იგება — 50-წლიანი გარანტიით.**

**„ეს სოფლები უგზოობის გამო მოწყვეტილი იყო რაიონს. ამ ტერიტორიებზე მდებარეობს ანჯელის მასივი — აბაშის რაიონში ყველაზე საუკეთესო მიწები. შემოვიდა ინვესტორი, მაგრამ უგზოობის გამო პრობლემები შეექმნა. ამიტომაც ინტენსიურად მიმდინარეობს გზის მშენებლობა.**

**იმედია, გზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამ სოფლების მოსახლეობა (1000-მდე ოჯახი) აღარ მოითხოვს მათთან ახლოს მდებარე ლანჩხუთის რაიონთან მიერთებას. არადა, ასეთი მოთხოვნები მართლაც იყო“, — აღნიშნა გურამ გუნავამ.**

**შეიძლება ითქვას, რომ გურამ გუნავას ამგვარმა ქმედებამ აბაშა რამდენიმე სოფლის დაკარგვას გადაარჩინა.**

# წასვლა სჯობს წარმავალისა

**ზუგდიდში განთავსებული დევნილები გაეროსთვის სამშვიდობო მანდატის შეწყვეტას და საქართველოდან მათ გასვლას მტკივნეულად არ აღიქვამენ. „მათი აქ ყოფნის მანძილზე მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებიათ. მხოლოდ აღმრიცხველის როლში გვევლინებოდნენ, რადგან მათ არ ეძლეოდათ გადაწყვეტილებების მიღების უფლება. ამიტომაც გაეროს დამკვირვებლების ყოფნას აზრი არ ჰქონდა. არც გაერო და არც რუსეთი არასოდეს აკეთებდნენ ჩვენს საქმეს. ამიტომაც როგორც გაერომ, ისე რუსეთმა უნდა დატოვოს ჩვენი ტერიტორიები და ქართველები და აფხაზები საერთო ენას გამოვნახავთ“, — აღნიშნა აფხაზეთიდან დევნილმა ნუგზარ შონიამ.**

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნაცისტები ობლებს ბრაზილიის ჯუნგლებში აგზავნიდნენ ახალი ნაცისტური იმპერიის ასაშენებლად

**ალბათ, არც ერთ ომს არ დაუტოვებია იმდენი საიდუმლო და გამოუცნობი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში, რამდენიც მეორე მსოფლიო ომმა დატოვა. მკვლევარები დღემდე იკვლევენ მაშინდელი ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი გენიოსის — ჰიტლერისა და სტალინის მემკვიდრეობას. მათი „ნაფეხურები" მთელ პლანეტაზეა მიმობნეული და თავის აღმომჩენს ელოდება.**
**ამჯერად ორ აღმოჩენაზე მოგითხრობთ, რომელიც ნაცისტური გერმანიის დღემდე უცნობ ისტორიულ ფაქტებს მოიცავს. ეს აღმოჩენები მცირე ხნის წინათ გაკეთდა და ამიტომაც მიიქცია ჩვენი ყურადღება.**






ბრაზილიაში დანგრეული სახლის თითოეული აგური სვასტიკითაა მარკირებული. ეს ფაქტი მკვლევარებს ჰიტლერის გეგმის აღმოჩენაში ეხმარება, რომლის თანახმადაც სამხრეთ ამერიკა ახალ ნაცისტურ იმპერიად უნდა ქცეულიყო.

მათ რამდენიმე მხცოვანი ადამიანიც იპოვეს, რომელნიც ახალგაზრდობაში საკუთარი გერმანელი მდგმურებისა და ნაციონალ-სოციალისტური იდეების მხარდამჭერი ფერმერების ნამდვილი მონები იყვნენ.

ეს მონები ცნობილნი იყვნენ სახელწოდებით „ნუმერმენშენ" (Nummernmenschen) — დანომრილი ადამიანები — დეჰუმანიზაცია დაიწყო საკონცენტრაციო ბანაკებში, შემდეგ კი ეს იდეა უბრალოდ ექსპორტირებულ იქნა...

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაქცეულმა ნაცისტმა დამნაშავეებმა თავშესაფარი სამხრეთ ამერიკის მიყრუებულ ადგილებში იპოვეს, მაგრამ მონების ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო...

1933 წლიდან მოყოლებული, როგორც მამაკაცები, ასევე სრულიად ახალგაზრდა ადამიანები — ძირითადად ობლები, რეგულარულად იგზავნებოდნენ ისეთ დიდ და მიკარგულ ფერმებში, როგორიც იყო თვით კრუზეირო დო სულის (Cruzeiro Do Sul) ჰასიენდე, რომელიც სან პაულუდან 150 მილის მოშორებით ცხოვრობდა.

უკვე ჩვენს დროში, მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ფერმერმა ხოზე მაკიელმა (Jose Maciel) ფერმა შეიძინა, გაოგნებულმა აღმოაჩინა, რომ მისი ფერმის კედლები სვასტიკიანი აგურებით იყო ამოყვანილი. ერთ-ერთ შენობაში აღმოჩნდა ლითონის ცილინდრი, რომელშიც დამალული იყო საბუთები და ფოტოები, რომელზეც თვალნათლივ ჩანდა, როგორი უნდა ყოფილიყო სვასტიკის ფორმის დამღა საქონლის სხეულზე და ფოტოები, რომელზეც გამოსახული იყო ბრაზილიის ტრამალებზე მოფრიალე ნაცისტური დროშა.

დღეისათვის ეს სამი ყოფილი მონა იმ ადგილების დასათვალიერებლად დაბრუნდა, სადაც მათ უმძიმესი სამუშაოს შესრულება უწევდათ. დაბრუნდნენ იმავე აგურების ხელში დასაჭერად, რომლებიც თვითონ დაამზადეს, და იმ ადგილების საჩვენებლად, სადაც მათი ახალგაზრდა მეგობრები იყვნენ დასაფლავებულები, რომლებმაც ცუდი მოპყრობა და უფრო ცუდი კვება ვერ აიტანეს. ალოლსიო სილვა (Alo sio Silva), 85 წლის, ყოფილი №23: „პატრონები ცხენებსა და საქონელს უკეთესად ექცეოდნენ, ვიდრე ჩვენ. მე ნამდვილი მონა და უსახელო ბიჭი ვიყავი."

სილვა სულ რაღაც 9 წლის იყო, როცა იგი — ობოლი ბიჭი — მდიდარ პლანტატორს, ოქტავიო როხა მირანდას (Octavio Rocha Miranda), ჰიტლერის ფანატიკურ მომხრეს მიჰყიდეს.

„ჩვენში პლანტატორები უგრძნობსა და არაადამიან მაწანწალებს ხედავდნენ, რომელთაც მშობლები არ ჰყავდათ... ჩვენ ჯერ კიდევ სამშობლოში მოგვატყუეს, როცა გვითხრეს, რომ ახალი სამუშაო ძნელი არ იქნებოდა, და ძირითადად პატრონის ჰასიენდის შემოვლა მოგვიწევდა ცხენზე ამხედრებულებს".

„ამის ნაცვლად ფერმაში ყველაზე აუტანელ და მძიმე სამუშაოზე გაგვამწესეს, რომლისგანაც არათუ ამოსუთქვისა და დასვენების, წელში გამართვის საშუალებაც არ გვქონდა. მხოლოდ რაღაც კაპიკებს გვიხდიდნენ, რომლითაც ამავე ფერმაში რაღაცის ყიდვა შეიძლებოდა. 16 წლის რომ გავხდი, მხოლოდ მაშინ შევძელი ჩემთვის პირველი წყვილი ფეხსაცმლის ყიდვა."

„ხშირად მაწამებდნენ ყველაზე საშინელი მეთოდით, მაიძულებდნენ მსხვილ სიმინდზე მუხლებით დავმდგარიყავი და ასე დავრჩენილიყავი რამდენიმე საათის განმავლობაში. ბოლოს კი, „დესერტად", გვცემდნენ. გაქცევა შეუძლებელი იყო — 2 უზარმაზარი ძაღლი იცავდა ჩვენს ბარაკებს".

მონა-ბიჭუნები 1940-იანი წლების ბოლომდე ამ მდგომარეობაში რჩებოდნენ, მაშინ, როცა ევროპაში ომი დასასრულს უახლოვდებოდა.

2000 ჩასახლებული გერმანელიდან ზოგიერთი საბოლოოდ ბრაზილიაში გაიხიზნა, სადაც „SS"-ის ოფიცრები ხან ნატურალისტებად, ხანაც თავგადასავლების მაძიებლებად გადაცმულები ხშირად ჩადიოდნენ. ისინი გამოკვლეულ რაიონს „ექსპლუატაციისთვის სრულიად მომწიფებულს ეძახდნენ." ემიგრაციის ასეთივე ტალღები არგენტინამ, ურუგვაიმ და პარაგვაიმაც განიცადეს.

მაგრამ უკვე ჩვენს დროში გადარჩენილი ბრაზილიელი მონები თავიანთი მთავრობისგან სრულიად დასაბუთებულ კომპენსაციას ითხოვენ, არგუმენტად კი მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ხელისუფლება გასული საუკუნის 30-40-იან წლებში მიზანმიმართულად თანამშრომლობდა ნაცისტებთან.

ბატონი სილვა ამბობს: „მე მინდა კომპენსაცია, მინდა, ბოდიში მომიხადონ, მაგრამ ყველაზე მეტად მინდა, ვიცოდე, ვინ იყო დედაჩემი და რამდენიმე ყვავილი მაინც დავაწყო მის საფლავზე".

# ჰიტლერის სტელსი

## რეინკარნაცია

**ცოტა ხნის წინათ „ნორტროპ გრუმანის" (Northrop Grumman) ენთუზიასტების ჯგუფის მიერ აღდგენილ იქნა გერმანული რადიკალური პროექტი „ჰორტენ 2-29" ნატურალურ ზომებში და სიდიდეში. ეს თვითმფრინავი გერმანიაში უკვე ძალიან გვიან, მეორე მსოფლიო ომის ბოლოსკენ, გამოჩნდა და მის მასობრივ წარმოებაში გასაშვებად დრო აღარ იყო.**



თანამედროვე ინჟინრების მიზანი მარტივი იყო — სურდათ, შეემოწმებინათ, შეძლებდა თუ არა მოცემული თვითმფრინავი იმდროინდელ რადარებს შორის წარმატებით გაძრომას. ხანგრძლივი პროცესის მიმდინარეობისას, რესტავრატორების გუნდი ერთ აზრზე ჩამოყალიბდა — ნაცისტი ინჟინრები უკვე ახლოს იყვნენ ეკზემპლარის ოპერატიულ სამუშაოზე გასაშვებად. ეს რომ რეალურად განხორციელებულიყო ომის ბოლო, შესაძლოა, სრულიად სხვანაირი ყოფილიყო. თავდაცვითი კორპორაციის, „ნორტროპ გრუმანის" გუნდი გერმანული ნახაზების ორიგინალებს იყენებდა, ხოლო ნიმუშად სასწაულით გადარჩენილი, სამთავრობო ანგარში მდგარი ერთადერთი „ჰო 2-29" იქნა გამოყენებული...

„ჰო 2-29"-ის (ასეთია ზემოხსენებული ნაცისტური თვითმფრინავის სახელწოდება) ფრთები ძალიან ჰგავს თანამედროვე ამერიკულ „პ-2"-ს, უფრო მეტად კი — ვარკვლავური ომების პერსონაჟს, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის სხვა ნებისმიერ თვითმფრინავს. ძირითადად ხისგან დამზადებულ და იმდროინდელი რეაქტიული ძრავებით აღჭურვილ თვითმფრინავს თავისუფლად შეეძლო 970 კმ/სთ სიჩქარით ფრენა. შეიარაღების მხრივ მანქანა აღჭურვილი იყო ოთხი 30 მმ ტყვიამფრქვევით და ბორტზე ორი 500 კგ-იანი ბომბი გადაჰქონდა.

„ჰო 2-29"-მ თავისი პირველი სრულფასოვანი გაფრენა 1944 წლის შობის დამდეგს განახორციელა. ფრენა წარმატებით დასრულდა, მაგრამ მაშინ დრო უკვე ნაცისტების საწინააღმდეგოდ მუშაობდა. თუმცა მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ უჩვეულო დიზაინის მოფიქრება და იარაღის სხვა გამოცდილი ნიმუშების შექმნა, მისი მასობრივი წარმოებისთვის ძალები აღარ გააჩნდათ.

# ჩვენი დრო



**მათ აინტერესებდათ, შეძლებდა თუ არა მოცემული თვითმფრინავი იმდროინდელი რადარებისთვის წინააღმდეგობის გაწევას. დასაწყისისთვის, ექსპერტებმა სასწაულით გადარჩენილი „ჰო 2-29" დატესტეს მეორე მსოფლიო ომისდროინდელ პორტატულ რადარზე. შემდეგ თვითმფრინავის უკვე ნატურალური ზომის ასლის აწყობას შეუდგნენ „ნორტროპ გრუმანის" ანგარში, რომელიც კალიფორნიაში, მოიავეს (Mojave) უდაბნოშია განთავსებული.**

ამ მოდელს ფრენა არ შეუძლია, მაგრამ აწყობის შემდეგ წარმატებით დაფარფატებდა მცირე ხნის განმავლობაში.

სტელსის ტიპის ნებისმიერი თვითმფრინავი, ძირითადად, თავისი ფორმისა და კონსტრუქციული თავისებურებების იმედზეა, რომელნიც მას საშუალებას აძლევს, რადარის ტალღები რადარის მიმართულებით არ აირეკლოს, ხოლო ტალღების ნარჩენებს განსაკუთრებული კომპოზიტური მასალები წარმატებით შთანთქავენ.

ზოგიერთი ექსპერტი ეფუძნება აზრს, რომ თვითმფრინავის ეს ტიპი სპეციალურად რადარების მოსატყუებლად დააპროექტეს. ერთი მათგანი, ბატონი ლი ამბობს: „მე ვფიქრობ, რომ გერმანელების თავდაპირველი მიზანი მაღალი სიჩქარისა და შორსმფრენი თვითმფრინავის აშენება გახლდათ. კონცეპტ-ფრთის იდეა, რომელიც მისმა შემქმნელმა რეიმარ ჰორტენმა (Reimar Horten) წამოაყენა, მათ ბოლომდე ვერ გაიაზრეს. ის ასეთ ფრთისებრ ფორმამდე მხოლოდ აეროდინამიკური მოთხოვნილებების გამო მივიდა — მას რადარზე სიტყვაც არ დაუძრავს, სანამ ომი არ დაიწყო."

„მაგრამ უკვე მაშინ რეიმარი ბევრს ლაპარაკობდა ბურბუშელებსა და კარბონის საფარველზე, რომელთაც რადარის ტალღების არეკვლის რადიკალურად შემცირება შეეძლო. მაგრამ ის ამაზე მხოლოდ ლაპარაკობდა, ხოლო იმ დაშლილ „ჰო 2-29"-ზე, ორიგინალზე, ჩვენ მისი ნააზრევის ნაკვალევიც კი ვერ დავინახეთ."

რჩება მთავარი საკითხი: როგორ შეძლებდა ასეთი თვითმფრინავი მეორე მსოფლიო ომის შედეგებზე ზემოქმედებას, თუ მას მასობრივ წარმოებაში გაუშვებდნენ?

ასეთი დიზაინი კორპუსიდან რადარის ტალღების მთელი 20%-ის არეკვლის საშუალებას იძლეოდა, იმ დროის სხვა ტრადიციულ თვითმფრინავებთან შედარებით.

ახალ ასლზე ჩატარებული ტესტების თანახმად, მეორე მსოფლიო ომისდროინდელ რადარს ლა-მანშის სრუტის თავზე 129 კილომეტრის მანძილიდან ჰორტონის შემჩნევა შეეძლო, რაც ჩვეულებრივი მოიერიშისთვის 160 კმ-ით ნაკლებია.

ამასთანავე, „ჰო 2-29"-ს უჩვეულოდ მაღალი სიჩქარე ჰქონდა, ამიტომ მის შესამჩნევად და კოორდინატების გადასაცემად კატასტროფულად მცირე დრო რჩებოდა. თუ ჩვეულებრივ თვითმფრინავებზე გადაწყვეტილების მისაღებად ბრიტანელებს 19 წუთი ჰქონდათ, მისი განსაკუთრებული სიჩქარის გამო ეს დრო 9 წუთამდე მცირდებოდა.

ასე რომ, ომის იმ მოკლე მონაკვეთში, ეს თვითმფრინავი უკიდურესად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა, სანამ მოწინააღმდეგე შესაბამის კონტრზომებს მიიღებდა...

მოცემული თვითმფრინავის დიზაინი სულაც არ ყოფილა იდეალური...

სხვა დროს და სხვა ადგილას, მომავალი გაუმჯობესებით, იმედისმომცემი „ჰო 2-29" გადამწყვეტ როლს ითამაშებდა, მაგრამ 1945 წლის დასაწყისში საამისოდ, როგორც ავიაციის ისტორიკოსმა ჯორჯ გალიმ თქვა, „გერმანელებს აღარ დარჩათ პილოტები, საწვავი და დრო."

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკელი და რუსი პოლიტტექნოლოგები უკრაინის არჩევნებზე

**უკრაინაში საპრეზიდენტო მარათონის მთავარი მონაწილეების ვინაობა გაირკვა, მაგრამ ტექნოლოგიურად ვინ უზრუნველყოფს ამა თუ იმ კანდიდატის წინსვლას? განსაკუთრებულ ინტერესს უცხოელი პოლიტტექნოლოგები იწვევენ ხოლმე, ვინაიდან ხშირად სწორედ ისინი წარმოადგენენ თავად კანდიდატსა და საგარეო გავლენიან ჯგუფებს შორის დამაკავშირებელ რგოლს. მათი ვინაობისა და მუშაობის შესახებ ინფორმაცია ისევე დაცულია, როგორც საარჩევნო შტაბების სტრატეგია. დასავლეთიდან ამ ტიპის სპეციალისტების მოწვევის თაობაზე რატომღაც გახსნილად განაცხადა იანუკოვიჩის საარჩევნო შტაბმა.**





მათი თქმით, პიარზე კვლავაც იმუშავებს პოლ მანაფორტი, რომელთანაც პარტია 2005 წლიდან თანამშრომლობს. როგორც 2006-2007 წლების პრესა იუწყებოდა, მანაფორტის მთავარი ამოცანა იანუკოვიჩის რეიტინგის აწევა იყო, პარტიის სპიკერებს ასწავლიდნენ, როგორ დაეჭირათ თავი ხალხის წინაშე, რომელი თეზისები გაეხმიანებინათ და ასე შემდეგ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული წინასაარჩევნო კამპანიებისათვის დამახასიათებელი იდეების დიდი ნაწილი უკრაინაში მანაფორტს არ გამოადგა. თავად მანაფორტი „მძიმე“ კლიენტებთან — დიქტატორებთან, საერთაშორისო იზოლაციის ზღვარზე მყოფი ქვეყნების ლიდერებთან მუშაობითაა ცნობილი. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მას რესპუბლიკური პარტიის ლობისტად უფრო იცნობენ, ვიდრე პოლიტტექნოლოგად. უკრაინულ არჩევნებზე კი ის, როგორც ჩანს, პირველ რიგში, რესპუბლიკელებთან ამერიკის დამაკავშირებლის ფუნქციას შეასრულებს და მოწინააღმდეგეთა მხრიდან იანუკოვიჩის საარჩევნო შედეგების გაპროტესტების შემთხვევაში მის გარეპოლიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. სხვა კანდიდატების მიერ უცხოელი პოლიტტექნოლოგების გამოყენება ნაკლებად ერთმნიშვნელოვანია.

**1. ვიქტორ იუშჩენკო**

2007 წელს „ჩვენი უკრაინა — სახალხო თავდაცვა“ ცნობილი და ავტორიტეტული ამერიკელი პოლიტტექნოლოგის ჯეიმს კარვილის მომსახურებით სარგებლობდა. თავის დროზე ის ტონი ბლერის, ნელსონ მანდელას, გერჰარდ შრიოდერის, ეჰუდ ბარაკის მთავარი კონსულტანტი იყო, განსაკუთრებით ცნობილი კი მას შემდეგ გახდა, რაც 1992 წელს პრეზიდენტ ბილ კლინტონის კამპანიაში მთავარი სტრატეგის ფუნქცია დიდი წარმატებით შეასრულა.

უკრაინაში კი ამ ჯგუფმა დიდად ვერ გაამართლა, ვინაიდან იუშჩენკოს იმიჯზე უფრო მეტს მუშაობდნენ, ვიდრე სტრატეგიის შემუშავებაზე, თუმცა მაშინვე ეჭვობდნენ, რომ ამერიკელი სპეციალისტების მთავარი სამიზნე სწორედ 2009 წელი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ამერიკელი პოლიტტექნოლოგების მოწვევაში დიდი როლი შეასრულა უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტის მეუღლემ ეკატერინე ჩუმაჩენკომ, რომელსაც ამერიკაში ფართო კონტაქტები აქვს. თავის დროზე ვაშინგტონელი მეგობრების დახმარებით მან ქმართან საავადმყოფოში მიიწვია ანალიტიკურ მკვლევართა ჯგუფი, რომელმაც იუშჩენკოს დიოქსინით მოწამვლის ვერსია წამოაყენა.

**2. იულია ტიმოშენკო**

როგორც ჩანს, ტიმოშენკო დასავლეთელ პოლიტტექნოლოგებს აქტიურად არ დაიხმარს. ამ ქალბატონის მთავარი ამოცანა შედეგის მიღწევა კი არა, მისი შენარჩუნებაა. ამ ფრონტზე მისი კონსულტანტები ჯორჯ სოროსსა და მის ფონდებს უშუალოდ უკავშირდებიან. ტიმოშენკოს გუნდში საზოგადოებრივ საწყისებზე თანამშრომლობს ამერიკელი სპეციალისტი კენეტ მერფი, რომელიც პრემიერისაგან განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს. სხვა უცხოელი პოლიტტექნოლოგებისაგან ტიმოშენკოს კონსულტანტთა შორის მხოლოდ რუსი ა. სიტნიკოვის გვარი გაჟღერდა, თუმცა მთავარ როლებს გამოცდილი უკრაინელი პოლიტტექნოლოგები ო. მედვედევი, ნ. ბაგრაევი და ტ. ბერეზოვეცი შეასრულებენ.

**3. სერგეი ტიგიპკო**

მისივე განცხადებით, ტიგიპკოსთან პოლიტტექნოლოგთა ის ჯგუფი დაკავდება, რომელიც 2004 წელსაც მუშაობდა მის წინასაარჩევნო კამპანიაზე. კონკრეტულად ვინ იგულისხმება, გაურკვეველია, რადგან იმ ჯგუფის სპეციალისტთა უმრავლესობა ან პიარშტაბებში დარჩა, ან „ნარინჯისფერებთან“ გადაბარგდა. რაც შეეხება უცხოელ პოლიტტექნოლოგებს, ტიგიპკოსთან 2004 წელს მომუშავეთა უმრავლესობა ამჯერად იაცენუკთან მუშაობს.

**4. არსენ იაცენუკი**

როგორც ჩანს, ამ კანდიდატს ყველაზე საინტერესო წინასაარჩევნო კამპანია ექნება. კამპანიის საერთო ნაწილს ხელმძღვანელობს გრანოვსკი, რომელმაც რუსეთიდან თავისი კოლეგებიც წამოიყოლა. სწორედ ისინი აქტიურობდნენ 2004 წელს იანუკოვიჩის შტაბში. ამავე გუნდის კვალდაკვალ მუშაობს უკრაინელი პოლიტტექნოლოგი რ. პავლენკო, რომელიც 2005-2009 წლებში უკრაინის პრეზიდენტის სამდივნოში ანალიტიკურ სამსახურს ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, რუსები ამ გუნდში მხოლოდ საარჩევნო კამპანიას კი არ აწარმოებენ, არამედ საზოგადოებაზე მანიპულაციურ ზემოქმედებასაც ახდენენ. იაცენუკთან მათი მუშაობა იმ პუბლიკაციების პასუხია, რომლებიც ამ კანდიდატის ანტირუსულ ორიენტაციაზე მიუთითებდა. ამასთან, იაცენუკი აშკარად დაახლოებულია ვაშინგტონთან, მაგრამ ამერიკელი პოლიტტექნოლოგები მის საარჩევნო კამპანიაში ღიად არ ერევიან. იაცენუკის კამპანიის ერთ-ერთი თავისებურება ინტერნეტის აქტიური გამოყენებაა, ეს კი ობამას არცთუ დიდი ხნის წინანდელ კამპანიას ძალიან წააგავს. შესაძლებელია, ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ადმინისტრაციამ ფსონი უკრაინის ახალ პრეზიდენტ იაცენუკზე გააკეთა, მით უფრო, რომ იუშჩენკო, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერაფრით ახერხებს ობამასთან შეხვედრას. არ უნდა დაგვავიწყდეს ვ. პინჩუკი თავისი ფონდითურთ, რომელიც ბოლო დროს იაცენუკის საგარეო პოლიტიკაში პოზიციონირებას უზრუნველყოფს. „ვ. პინჩუკის ფონდს“ დასავლეთში მნიშვნელოვანი კონტაქტები აქვს და ფონდში მომუშავე სპეციალისტების გარკვეული ნაწილი, ცხადია, წინასაარჩევნო კამპანიაშიც დასაქმდება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად პინჩუკი იუშჩენკოს, უფრო სწორად კი, მისი მეუღლის ახლო მეგობარია, ცხადი გახდება კავშირი იაცენუკსა და უკრაინის ახლანდელ პრეზიდენტს შორის. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა იუშჩენკოს საარჩევნო შტაბის მეთაურის ი. ტარასიუკისა და იაცენუკის ამასწინანდელი შეხვედრა.

ვინაიდან უკრაინის მომავალ არჩევნებში კანდიდატთა შორის გამოკვეთილი ლიდერი არ ჩანს, მთავარი „მებრძოლები“ ხმების დათვლის „საჭირო“ შედეგების პირობებში საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერაზე იქნებიან ორიენტირებულნი.

# ჰიმლერი და მიულერი ჰიტლერს ვერ ეუბნებოდნენ საბჭოთა აგენტის შესახებ

**„SS“ რაიხსფიურერმა ჰენრიხ ჰიმლერმა და გესტაპოს შეფმა ჰენრიხ მიულერმა ვერ გაბედეს, ეპატაკებინათ ჰიტლერისთვის, რომ ნაცისტური გერმანიის საიდუმლო პოლიციაში მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა აგენტი ვილი ლემანი, — განუცხადა „რია ნოვოსტის“ ისტორიკოსმა, მწერალმა და სპეცსამსახურების ისტორიის სპეციალისტმა თეოდორ გლადკოვმა. ამ დღეებში რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურმა გლადკოვს გადასცა გასაიდუმლოებული დოკუმენტები ლემანის — გესტაპოში საბჭოთა დაზვერვის ყველაზე ფასეული აგენტის — შესახებ, რომელიც მუშაობდა ფსევდონიმით „ბრაიტენბახი“.**





„ლემანი არ გაუსამართლებიათ და, საერთოდ, დღემდე არავინ იცის, როგორ დააკავეს იგი, როგორ იქცეოდა დაკითხვებისას და როგორ დაიღუპა. საბჭოთა დაზვერვამ მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გაიგო, რომ ლემანი დახვრიტეს“, — განაცხადა გლადკოვმა.

ისტორიკოსის თქმით, ლემანი 1942 წლის ბოლოს დააპატიმრეს, ამის შემდეგ კი გაქრა. „მის ცოლს უთხრეს, რომ ის მოკვდა და მეტი არაფერი. მისი მეუღლის წინააღმდეგ არანაირი რეპრესიული ზომები არ განუხორციელებიათ. როგორც ჩანს, ფაქტი, რომ 12 წლის განმავლობაში გესტაპოში საბჭოთა აგენტი მუშაობდა, გახდა მიზეზი იმისა, რომ ჰიტლერული სპეცსამსახურების ხელმძღვანელობას შეეშინდა, მთავრობისთვის, მათ შორის, ჰიტლერისთვისაც, შეეტყობინებინა ამის შესახებ“, — გვიამბობს მეცნიერი.

მისი სიტყვებით, ლემანის პიროვნების მასშტაბებზე მეტყველებს ფაქტი, რომ მან ერთადერთმა გადასცა საბჭოთა რეზიდენტურას გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ზუსტი თარიღი და დრო — 1941 წლის 22 ივნისი, დილის 3 საათი.

„ლემანისგან მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა ხასიათის ინფორმაცია მოდიოდა. გერმანული სპეცსამსახურების, მათ შორის, გესტაპოსა და აბვერის თანამშრომლების ბიოგრაფიული მონაცემებით დაწყებული, დამთავრებული იმ ღონისძიებებით, რომელთაც ეს სპეცსამსახურები ახორციელებდნენ“, — თქვა სააგენტოს თანამოსაუბრემ.

ისტორიკოსმა დასძინა, რომ ლემანი თავის დროზე მთელ გერმანულ მრეწველობას კურირებდა და საბჭოთა დაზვერვას შეატყობინა გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის 17 წყალქვეშა ნავის მშენებლობის დაწყების შესახებ. ამას გარდა, ლემანი ესწრებოდა მესამე რაიხის უახლესი სარაკეტო იარაღის გამოცდას და სსრ კავშირს ამ იარაღის შესახებ ცნობებს აწვდიდა. ლემანმა მოსკოვს ომის დასაწყისისთვის გესტაპოს ყაზარმულ რეჟიმზე გადასვლის შესახებაც შეატყობინა, რაც უახლოეს მომავალში ომის დაწყების კიდევ ერთი დადასტურება გახდა.

თავის მხრივ, საგარეო დაზვერვის სამსახურის პრესბიუროს ხელმძღვანელმა სერგეი ივანოვმა „რია-ნოვოსტის“ განუცხადა, რომ ლემანის საქმესთან დაკავშირებით საბუთების მხოლოდ მცირე ნაწილი გამოაშკარავდა. ამ დროისთვის საგარეო დაზვერვის სამსახურის არქივში „ბრაიტონბახის“ საქმესთან დაკავშირებული საბუთების 28 ტომი ინახება.

ლემანი 1884 წელს დაიბადა ლაიფციგთან ახლოს მასწავლებლის ოჯახში. 17 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა ფლოტში და ბევრ შორეულ ნაოსნობაშიც მიიღო მონაწილეობა. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს თვითმხილველი გახდა რუსეთ-იაპონიის შეტაკებისა ცუსიმასთან.

1911 წელს ლემანი ბერლინის პოლიციაში რიგითად მიიღეს, მაგრამ ცოტა ხანში, როგორც წარმატებული თანამშრომელი, ბერლინის პოლიცია-რეზიდიუმში, კონტრდაზვერვის განყოფილებაში გადაიყვანეს. პირველი მსოფლიო ომის დროს ლემანმა თავი გამოიჩინა როგორც წიგნიერმა კონტრმზვერავმა. 1929 წლიდან იდეურ საფუძველზე თანამშრომლობა დაიწყო საბჭოთა საგრეო დაზვერვასთან.

1940 წლის ბოლოს ლემანთან მუშაობა დაავალეს ბერლინში ახლად ჩასულ რეზიდენტურის ახალგაზრდა თანამშრომელს ბორის ჟურავლიოვს. 1941 წლის 19 ივნისს ჟურავლიოვთან შეხვედრისას ლემანმა მას შეატყობინა, რომ 22 ივნისს, დილის სამ საათზე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების ბრძანებაა მიღებული. ინფორმაცია იმავე საღამოს გადაიცა მოსკოვში.

1942 წლის დეკემბერში ლემანი გესტაპოში დახვრიტეს. ზუსტი თარიღი უცნობია. საგარეო დაზვერვის სამსახურში ამბობენ, რომ ლემანი უმაღლესი კლასის აგენტი იყო. მას გამოვლილი ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის საშინელება, აღარ სურდა რუსეთთან ომის განმეორება და ბოლო წუთამდე იმედოვნებდა, რომ ეს არ მოხდებოდა.

**რია-ნოვოსტი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოვიდა ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის გიორგი მაისურაძის დეტექტივი. ნაწარმოების გაცნობამ მიგვახვედრა, რომ საქმე გვაქვს პროფესიონალ მწერალთან, რომელიც ფსევდონიმს ამოეფარა.
იმედია, დეტექტივის გამოქვეყნების დასრულებამდე რედაქციაც და გაზეთის მკითხველიც შევიტყობთ ავტორის ნამდვილ ვინაობას.
მკითხველი ნაწარმოებში ბევრ მსგავსებას იპოვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან, შესაძლოა, კონკრეტული პირებიც ამოიცნოს.
თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ ყველა შესაძლო პარალელი მხოლოდ დამთხვევაა.

გიორგი მაისურაძე

# სალამი საქართველოდან!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11-19

თბილისს როცა მიუახლოვდნენ, სიდნეი როჯერსმა ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს — ჯეფრი ჯელტრის დაურეკა. ელჩის მობილური გამორთული იყო. როჯერსმა მდივნის ნომერი აკრიფა.

— ელჩი პრეზიდენტთანაა აუდიენციაზე, მისტერ როჯერს, — იყო პასუხი.

— ჯონ ობრაიენს ვერ დამაკავშირებთ? — სთხოვა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა.

— სიამოვნებით, ახლავე...

ჯონ ობრაიენი საელჩოს ალაყაფთან დახვდათ. აშკარად არ ესიამოვნა, როცა საჭესთან ახალგაზრდა ქართველი იხილა. უხმოდ გამოართვა გასაღები. ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს ამ რამდენიმე საათის მანძილზე არჩილ კამარაულს საელჩოს „ჯიპი“ კი არა, ამერიკის შეერთებული შტატები ემართა.

სიდნეი როჯერსი და არჩილ კამარაული „ოპელ-ასტრაში“ გადასხდნენ.

— დეტალურად გადაეცი კონსტიტუციური უსაფრთხოების ხალხს ჩემი და მწყემსების შეხვედრა, არჩი, — უთხრა სიდნეი როჯერსმა, სასტუმროსთან როცა მივიდნენ.

— უღელტეხილზე რომ გავჩერდით? — იკითხა კამარაულმა.

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ გკითხეს ამის შესახებ. იცი რა, არჩი, გარდა იმისა, რომ შენ მოგანდეს ჩემი თვალთვალი, არაა გამორიცხული, რომ სხვაც გვითვალთვალებდეს და თუ უღელტეხილზე გაჩერების შესახებ თვითონ იკითხავენ რამეს, ესე იგი, ორივეს გვითვალთვალებენ.

— გასაგებია. დღეს სხვა არაფერია, მისტერ როჯერს?

— არა, დღეს თავისუფალი ხარ. ხვალ დილით დაგირეკავ.

სასტუმროს ვესტიბიულში იყო, როცა ჯეფრი ჯელტრიმ დაურეკა. სიდნეი როჯერსმა სასწრაფო შეხვედრა ითხოვა, უთხრა, სადაც იმყოფებოდა. ზემოთ, ნომერში არ ასულა, იქვე, ჰოლში მაგიდასთან ჩამოჯდა და თურქული ყავა შეუკვეთა, ლეპტოპი გახსნა, ეკრანზე არჩილ კამარაულისა და კუდის თანამშრომლების საუბარი მიმდინარეობდა.

საუბარი ისე დასრულდა, რომ უღელტეხილზე გაჩერებაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა. არც კუდის თანამშრომელს დაუსვამს შეკითხვა ამ საკითხზე.

„ესე იგი, სხვა არავინ გვითვალთვალებს ჯერ“, — კმაყოფილებით აღნიშნა გუნებაში სიდნეი როჯერსმა და დაინახა კიდეც, როგორ შემოაბიჯა სასტუმროს ვესტიბიულში ძალაყინგადაყლაპულმა ჯონ ობრაიენმა.

* * *

— შეძლებთ ანალიზის ჩატარებას? — სიდნეი როჯერსმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ჯეფრი ჯელტრის სამუშაო მაგიდაზე თუნუქის ქილა დადო, სახურავზე დამაგრებულ რგოლში საჩვენებელი თითი გაუყარა, ამოსწია და ახადა. ქილა თეთრი ფხვნილით იყო სავსე.

ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში შიდა ტელეფონს დასწვდა:

— ჩაკ ბერსტაინი დამაკავშირეთ! — გასცა ბრძანება...

— სად ხარ, ჩაკ? — ჩაეკითხა ყურმილში ცოტა ხნის შემდეგ, — რაღაც ნივთიერებაა ფხვნილის სახით. შეგიძლია, ანალიზი ჩაატარო სასწრაფოდ?.. კეთილი, ახლავე მოვალ, — ჯეფრი ჯელტრიმ ყურმილი დაკიდა და ქილიდან ცოტაოდენი ფხვნილი ქაღალდზე გადმოყარა.

— დასკვნას თხუთმეტ წუთში მოგცემ, — მიუბრუნდა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს, — ჯობს, შენ აქ დარჩე.

ჯეფრი ჯელტრი ოციოდ წუთში მობრუნდა.

— მომილოცავს, სიდ, სუფთა ჰეროინია. ვატყობ, შენი მისია აქ გაგრძელდება. ეს ქილა კი სასწრაფოდ უნდა გავგზავნოთ ლენგლიში. სპეციალური კონტეინერით წავა, სპეცკურიერით, — მიუბრუნდა როჯერსს.

მერე ბარ-მაცივართან მივიდა, „ბურბონის“ ბოთლი გამოიღო, ჭიქებიც გამოაყოლა, ორივეში თითო ნაჭერი ყინული ჩააგდო. თითო ყლუპი მოსვეს.

— რას აპირებთ, სიდ, განაგრძობთ უოლტერ რაილის დაღუპვის გამოძიებას?

— არ ვიცი, მისტერ ჯელტრი. ამ ქილამ ყველაფერი შეცვალა. უოლტერ რაილის დაღუპვის ადგილი მისხალ-მისხალ უნდა დავათვალიერო. კლდეზე საცოცი ალპინისტური მოწყობილობა დამჭირდება და ორმოცდაათმეტრიანი რულეტი. შევძლებთ შოვნას?

— საელჩოში ყველაფერი გვაქვს, — ელჩის ხმაში ფარულმა სიამაყემ გაიჟღერა, —

დამხმარე დაგჭირდებათ ან მანქანა?

— გმადლობთ, მისტერ ჯელტრი. ჩემი თარჯიმანი წამიყვანს. რაც შეეხება დამხმარეს, ნამდვილად არ მჭირდება. აშშ ალპინისტთა საუკეთესო ათეულში დღესაც ვირიცხები.

— კარგი, სიდ. მაინც ფრთხილად იყავით...

სასტუმროში მიბრუნებულმა როჯერსმა მთელი განვლილი დღის დაწვრილებითი ანგარიში აკრიფა ლეპტოპზე და რიჩარდ ჰოფნერს გადაუგზავნა.

დიდხანს იდგა ცივი შხაპის ქვეშ და დაღლილობასთან ერთად შთაბეჭდილებებისგან თავისუფლდებოდა. სააბაზანოდან გამოსვლისას მობილური ტელეფონის უწყვეტი ზარი მოესმა. პრეზიდენტის პრესმდივანი ლიზი გასვიანი იყო: „დღეს თერთმეტ საათზე პრეზიდენტი გელოდებათ!“ — აცნობა.



* * *

საქართველოს პრეზიდენტი „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს ხელებგაშლილი შეხვდა. მხარზე ხელი მოხვია და სამუშაო კაბინეტიდან დასასვენებელ ოთახში გაიყვანა. ნაირ-ნაირი საჭმლით, ხილითა და სასმელით სავსე დაბალ მაგიდასთან ორი სავარძელი იდგა. პრეზიდენტი მოწყვეტით ჩაეშვა ერთ-ერთში და მეორეზე ხელით მიანიშნა სიდნეი როჯერსს. პრეზიდენტი მაშინვე საჭმელს ეცა:

— არ გაგიკვირდეთ, სიდ, — უთხრა ლუკმის გადაყლაპვის შემდეგ, — მთელი დღის მშიერი ვარ. სამი რაიონი შემოვიარე დღეს და ოთხი თათბირი ჩავატარე.

სიდნეი როჯერსმა მისთვის ნაცნობი და, რაც მთავარია, იოლი საჭმელი — ხაჭაპურის ნაჭერი აიღო.

პრეზიდენტმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია და თვითონ მეორე ნაჭერს დასწვდა. ღეჭვა არ შეუჩერებია, ისე აიღო „ქრაუნ როიალის“ ბოთლი, საკმაოდ მოზრდილი ორთომელები აავსო, ერთი აიღო და ვისკი საჭმელს მიაყოლა. სიდნეი როჯერსმა ოდნავ მოსვა.

პრეზიდენტი ბანანს დასწვდა, სწრაფად გაფცქვნა და ნახევრამდე ჩაკბიჩა, რამდენიმე წამში მეორე ნახევარიც მიაყოლა, მერე ორთომელში დარჩენილი ვისკიც გამოცალა.

— უფ! — ამოიხვნეშა შვება-კმაყოფილებით, — ახლა შემიძლია ცოტა მოვეშვა და თავი ადამიანად ვიგრძნო, — საათზე დაიხედა პრეზიდენტმა. „კარტიე“ იყო, ბრილიანტებით ინკრუსტრირებული, — პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, მისტერ როჯერს, რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო რთულია მისი პრეზიდენტობა. ყველაფერი შენი გადასაწყვეტია, ყველაფერს შენ გეკითხებიან...

— კი, მაგრამ, ხომ არის მთავრობა, მინისტრები, სახელმწიფო სტრუქტურები?

— საქმეც ეგაა, მისტერ როჯერს, რომ არ არის! ჩემმა წინამორბედმა ყველაფერი გააკეთა საამისოდ, ერთპიროვნული მმართველობის სტილი დანერგა. ახლა თან ვანგრევ მის დანატოვარ მემკვიდრეობას, თან ახალ, თანამედროვე, დემოკრატიულ სახელმწიფო სტრუქტურებს ვქმნი. დამეთანხმებით, იოლი არ არის.

— ქვეყნის მართვის არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია, ბატონო პრეზიდენტო, ამიტომაც მიჭირს ჩემი აზრის გამოთქმა, — „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა „ქრაუნ როიალის“ ყლუპი მოსვა.

— მერაბ სანიშვილმა მითხრა, რომ ჩემი იდეა მისაღებად მიგაჩნიათ, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა პრეზიდენტი, — რა თქმა უნდა, ასეთი ჯგუფის ორგანიზებას შესაბამისი მატერიალური უზრუნველყოფა დასჭირდება. დეტალებზე მერაბ სანიშვილი შეგითანხმდებათ, — ამოწურა თემა, — ახლა ეს მითხარით, სიდ, არ შეიძლება თქვენი ძმების სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში? დასამალი რა მაქვს, სიდ, ჩემს მეგობარ ბუშს ერთ წელიწადში პრეზიდენტობის მეორე ვადა უთავდება და მომავალ არჩევნებზე, ალბათ, თქვენი ძმების პარტია გაიმარჯვებს, ანუ „დემოკრატები“. ჩვენნაირმა პატარა ქვეყანამ კი ყველაფერი უნდა გათვალოს და გაითვალისწინოს. ხომ შეაწევთ ერთ-ორ კეთილ სიტყვას თქვენს ძმებთან ჩემს პატარა ქვეყანას, მისტერ როჯერს?

— ხომ იცით ჩვენი ცხოვრების წესი? ეს მათ უნდა დავეკითხოთ, ექნებათ თუ არა სურვილი საქართველოში ჩამოსვლისა.

— ქართველი ქალიშვილები მოგწონთ, სიდ? — უცებ შეცვალა პრეზიდენტმა თემა.

— ძალიან! — გულწრფელად თქვა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა.

— ოო! ქართველი ქალების სილამაზე ოდითგანვე განთქმულია მსოფლიოში! ყველა დიდი, სპარსეთის შაჰისა და თურქეთის სულთნის ცოლები ქართველი ქალები იყვნენ, ასე რომ, ფრთხილად იყავით, სიდ, ქართველი ქალების სილამაზემ თავი არ დაგაკარგვინოთ, — გადაიხარხარა პრეზიდენტმა.

— ხუთი წელი მაგის შიში არ მაქვს, — სიცილითვე მიუგო „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა, — როჯერსები, როგორც წესი, ორმოცი წლის ასაკში ქორწინდებიან.

პრეზიდენტმა მხარზე ხელი დაჰკრა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს, რაც უდავოდ მიანიშნებდა, რომ აუდიენცია დამთავრდა.

* * *

ჯონ ობრაიენის მიერ მოტანილ ჩანთაში სრული ალპინისტური მოწყობილობა იყო. სიდნეი როჯერსმა ფოლადის გრძელი სოლი აიღო და უოლტერ რაილის ვარდნის ადგილთან, ნაპრალიდან ხუთ მეტრში ჩაარჭო. ჩაქუჩი დაჰკრა, სოლი მასზე დამაგრებული ფოლადისავე რგოლამდე დაიყვანა, რგოლში თოკი ამოუყარა და საზღვაო მარყუჟით შეკრა. მერე იმავე რგოლში რულეტის ზონარი გაატარა და განასკვა. ნაპრალთან მივიდა და რულეტი ქვემოთ ჩაუშვა.

— გაუძლებს, მისტერ როჯერს? — ჰკითხა არჩილ კამარაულმა. მიწაში ჩარჭობილ სოლს დასცქეროდა, — მანქანისთვის ხომ არ გამომება თოკი?

— არა, — გაეცინა როჯერსს, — ფიქრი ნუ გაქვთ, არჩი, ამ სოლს ახლა აფეთქებით თუ ამოიღებ.

სიდნეი როჯერსმა ჟილეტი ჩაიცვა, უსაფრთხოების ქამარი შემოირტყა, პლასტმასის წითელ-ყვითელი მუზარადი დაიხურა თავზე, მოკლეტარიანი წერაქვი ქამარზე დაიმაგრა, სოლზე გამობმული თოკი მხარზე გადაიგდო, იღლიაში გაიტარა და ნაპრალთან მივიდა.

— აბა, წავედი. არ მოიწყინო უჩემოდ, — უთხრა არჩილ კამარაულს და წამში გაუჩინარდა. რგოლზე გამობმული თოკი დაიჭიმა.

რულეტი უოლტერ რაილის ვარდნის ადგილზე, შვეული კედლიდან აივანივით გამოშვერილ ლავგარდანზე იდო. სიდნეი როჯერსმა რულეტის ზონარი დაჭიმა. ზემოდან ლავგარდანის ზედაპირამდე ორმოცდახუთი მეტრი იყო, აქედან ხუთი მეტრი — სოლამდე. ასე რომ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური აგენტის უოლტერ რაილის ვარდნის სიმაღლე ორმოც მეტრს შეადგენდა.

* * *

მწვანე „ოპელ ასტრა“ თბილისისკენ მიუყვებოდა საქართველოს სამხედრო გზას. მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული ფაქტისა, რომ სიდნეი როჯერსს უნარი შესწევდა, მოკლე ხანში დამეგობრებოდა ნებისმიერი ასაკის, ეროვნებისა და სოციალური ფენის წარმომადგენელს, არჩილ კამარაულთან ეს არ ხერხდებოდა.

— საათნახევარი ხომ გვინდა თბილისამდე, არჩი? — სიჩუმე დაარღვია სიდნეი როჯერსმა, — წინააღმდეგი ხომ არ ხარ, ეს დრო შინაარსიანად და სასარგებლოდ გამოვიყენოთ? შენ იცი, რა გაზეთია „ნიუ-იორკ თაიმსი“, რომელსაც მე წარმოვადგენ?

— რა თქმა უნდა, მისტერ როჯერს. „ნიუ-იორკ თაიმსი“ საყოველთაოდაა ცნობილი.

— ეგრეა, მაგრამ, ამავე დროს, „ნიუ-იორკ თაიმსში“ პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების, მილიონერების, კინოსა და სპორტის ვარსკვლავების, ერთი სიტყვით, ძლიერთა ამა ქვეყნისათა ინტერვიუებს იხილავ მხოლოდ. მინდა, ეს სნობიზმი გავარღვიო და უბრალო ადამიანთან აღებული ინტერვიუ შევთავაზო მკითხველს. აი, თუნდაც, თქვენთან, არჩილ კამარაულთან — თბილისელ ახალგაზრდა ქართველ კაცთან. რას იტყვით, თანახმა ხართ? — „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა ლეპტოპი ამოიღო, გახსნა და ერთ-ერთ ღილაკს თითი დააჭირა, — ჩაწერის რეჟიმშია. დავიწყოთ?

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ არჩილ კამარაულმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— რამე პროფესიული განათლება გაქვთ? — ჰკითხა სიდნეი როჯერსმა.

— ვის სჭირდება ამ ქვეყანაში პროფესიული განათლება? ჩვენში სულ შვიდი პროფესიაა, მისტერ როჯერს: თარჯიმანი, პოლიციელი, პირადი მცველი, მძღოლი, ოფიციანტი, ციხის ზედამხედველი და დამლაგებელი. ისე, უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული, ისტორიის ფაკულტეტი, უახლესი ისტორიის განხრით.

ხელისუფლებამ მეცნიერებათა აკადემია და ინსტიტუტები გააუქმა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები მოსპო და მასწავლებლებს, პროფესორებს, აკადემიკოსებს, მეცნიერებს დამლაგებლებად, მზარეულებად, კალატოზებად, სანტექნიკოსებად პროფესიული გადამზადება შესთავაზა!

— ეტყობა, თქვენს მთავრობას მაინცდამაინც დიდ პატივს არ სცემთ?

— ეს მთავრობა არაა ჩვენი, ეს მთავრობა, უპირველესად, თქვენია — ამერიკის შეერთებული შტატებისა!

— რა საფუძველი გაქვთ, ამას რომ ამბობთ?

— განა ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი თქვენ არ დააფრთიანეთ და დემოკრატიის სახელით თავზე არ დაასვით ჩემს ქვეყანას? თქვენმა ხელისუფლებამ ლამის პენტაგონისხელა საელჩო ააშენა თბილისში, თქვენი ქვეყნიდან მოვლენილი ათასნაირი მისიითაა გავსებული აქაურობა და ნუთუ ვერ ხედავენ, რა ხდება აქ? ნუთუ ვერ ხედავენ, რომ საქართველოს ხელისუფლების მესვეურნი ატერორებენ და ძარცვავენ მოსახლეობას, აპარტახებენ ქვეყანას? ნუთუ ვერ ხედავენ გავსებულ საპატიმროებს, პოლიციის მიერ ქუჩაში დღისითმზისით დახოცილ ათობით ახალგაზრდას, ხელისუფლების მიერ ლაგამამოდებულ ტელევიზიებს, საყოველთაო უმუშევრობას?..

ნუთუ არ იცით, რომ ამ ქვეყანაში ყველა სატელეფონო

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საუბარი ისმინება? ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ქვეყანაში სახელმწიფო რეკეტია? რა თქმა უნდა, ხედავთ, მაგრამ ერთადერთი რეაგირება თქვენი პრეზიდენტის მხრიდან ისევ და ისევ პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერაა საქართველოს მთავრობისადმი. თუ ასე განაგრძო თქვენმა პრეზიდენტმა, საქართველოში არავინ დარჩება ამერიკასთან ურთიერთობის მომხრე... ჩემნაირ ადამიანებს ხომ ამ ქვეყანაში მომავალი არ უწერიათ როგორც საზოგადო, ისე პირად ცხოვრებაში.

— პირად ცხოვრებაშიც, არჩი?

— ეჭვი არ მეპარება, ხვდებით, რომ მე და ნინოს ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ როცა ჯეფრი ჯელტრის შეცვლიან, ახალი ელჩი აიყვანს ნინოს სამსახურში? ან მე როდემდე შევძლებ ტაქსისტობას? რით შევქმნათ ოჯახი და რით ვარჩინოთ მომავალი დურგლები და მღებავები? პრეზიდენტის მიერ გახსნილ უფასო სასადილოებში ვიაროთ კვირაში ერთხელ? ნინო ამაზე არ ფიქრობს, ვინაიდან ვუყვარვარ და ქალია, მე კი დღე და ღამე ამაზე ვფიქრობ, ვინაიდან მიყვარს და კაცი ვარ — შეურაცხყოფილი, უმომავლო კაცი!

სიდნეი როჯერსი დუმდა. თბილისის ქუჩებს მიუყვებოდნენ უკვე. „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს მოეჩვენა, რომ ქალაქი სასოწარკვეთილების რუხ წებოვან ბურუსში გახვეულიყო...

* * *

მერაბ სანიშვილი კარებშივე შეხვდა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს, ხელი მაგრად ჩამოართვა და ერთად გაიარეს თითქმის ოცდაათი იარდი მინისტრის სამუშაო მაგიდამდე.

— როგორ მიდის თქვენი ჟურნალისტური გამოძიების საქმე, მისტერ როჯერს?

— ახალი არაფერია, ასე რომ, ჩემი მისია თქვენს ქვეყანაში ამოწურულია.

— საქართველოში, მე მგონი, რეალურად ახლა იწყება თქვენი მისია. პრეზიდენტი დიდ იმედებს ამყარებს საქართველოს მხარდამჭერ ჟურნალისტთა საერთაშორისო ჯგუფის შექმნის იდეაზე, მით უმეტეს, თქვენი თანხმობა გვაქვს. — მოვედით თუ არა ხელისუფლებაში, — განაგრძო მერაბ სანიშვილმა, — ჩვენმა ბიზნესმენებმა ქვეყანაში დემოკრატიული განვითარების ფონდი დააარსეს, რომლის ანგარიშზეც თავიანთი მოგების გარკვეულ ნაწილს რიცხავენ, ხოლო აკუმულირებულ თანხას, პრეზიდენტის დავალებით, ჩვენი სამინისტრო საჭიროებისამებრ განკარგავს. საქართველოს მეგობარი ჟურნალისტური საერთაშორისო ჯგუფიც ამავე ფონდიდან დაფინანსდება... თქვენი პირადი კოდირებული ანგარიშის ნომერი დამჭირდება, მისტერ როჯერს.

— ამერიკის შეერთებული შტატები, ნიუ იორკი, „ჩეიზ მანჰეტენ ბანკი“.

— ერთი მილიონი დოლარი დღესვე გადაირიცხება მაგ ბანკში. ერთ საათში კოდის ნომერი გეცოდინებათ. მინდა, იცოდეთ, მისტერ როჯერს, რომ საქართველოს მეგობარ ჟურნალისტთა საერთაშორისო ჯგუფისთვის გამოყოფილი თანხის ხარჯვასთან დაკავშირებით არავისთან ანგარიშვალდებული არ ხართ. ანგარიშგება ის სტატიები და მასალები იქნება, რომლებიც ამ ჯგუფის მიერ გამოქვეყნდება. თანახმა ხართ?

— იდეალური პირობებია და ეჭვი არ მეპარება, შედეგებიც სახეზე იქნება.

* * *

— მომილოცავს, სიდ! ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბე. — რიჩარდ ჰოფნერის ხმაში მოზეიმე განწყობა იგრძნობოდა. — მივიღეთ შენი ამანათი. სუფთა ჰეროინია და იმის ხილული დადასტურება, რასაც ათი წელი ვეძებდით. შენ ვერ წარმოიდგენ, რამხელა აჟიოტაჟი ატყდა კანტორაში. სასწრაფოდ შეიქმნა სპეციალური ჯგუფი და მიმდინარეობს მასშტაბური ოპერაციის გეგმის შემუშავება კოდური სახელწოდებით „სალამი საქართველოდან!“ ასე რომ, შენი მისია საქართველოში ამოწურულია!

— ერთი დღე მინდა კიდევ, რათა რაილის საქმეს ნათელი მოეფინოს.

— არა, სიდ, შენ საკმარისზე მეტი გააკეთე. ის ფაქტი, რომ „აპაჩის“ ტიპის ვერტმფრენი ფიგურირებს საქმეში, იმაზე მიანიშნებს, რომ მთელ ამ საქმეში სამხედროებიც არიან ჩართულები. ჩვენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გადავეცით ეგ ვერტმფრენები — ათი ერთეული და ამდენივე მფრინავი ინსტრუქტორიც მივაყოლეთ. ასე რომ, გამორიცხული არაა ამ საქმეში ჩვენების მონაწილეობაც და ერთი კაცი, თუნდაც, შენ, ვერაფერს გააწყობს. ხვალვე წამოდი! ეს ბრძანებაა! — რიჩარდ ჰოფნერმა კავშირი შეწყვიტა.

სიდნეი როჯერსმა არჩილ კამარაულს დაურეკა და სასტუმროსთან დაიბარა.

— საელჩოში! — უთხრა, მანქანაში როცა ჩაჯდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა საქართველოში სეიფის კარი დაკეტა, მაგიდასთან მივიდა და დოლარების დასტა დადო.

— ესეც თქვენი ხუთი ათასი დოლარი, სიდ, თვითმფრინავი ნაშუადღევის ოთხზე გადის აქედან. მოასწრებთ?

— დილით ადრე გავალ. საათნახევარი იქით, ამდენივე — აქეთ და იქ, ადგილზე, დიდი-დიდი, ერთი საათი.

— ისეთივე ფერის „ტოიოტას“ გაძლევთ, მისტერ როჯერს, ოღონდ დაჯავშნულს. იარაღი და ჯავშანჟილეტი უკანა სავარძლის ქვეშაა. ყველაფერი შემოწმებულია და საბრძოლო მდგომარეობაშია... — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი წამოდგა და ხელი გაუწოდა, — ფრთხილად იყავით, სიდ...

* * *

ჯონ ობრაიენი საელჩოს გარაჟში ელოდებოდა. ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ ერთმანეთს და ობრაიენმა მანქანის გასაღები გაუწოდა.

„ნეტა იცის, რომ მანქანაში იარაღის მთელი არსენალია?“ — გაიფიქრა სიდნეი როჯერსმა და საჭეს მიუჯდა. ნელი სვლით გავიდა საელჩოს ეზოდან. ლეპტოპი ამოიღო, გახსნა და ღილაკს თითი დააჭირა. ზუსტად დათქმულ დროს ლეპტოპის ეკრანზე არჩილ კამარაულისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლის სატელეფონო საუბარი ამოიბეჭდა. არჩილ კამარაულმა სიტყვა-სიტყვით გადასცა, რომ „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თეთრი ფერის „ტოიოტას“ მარკის „ჯიპით“ მარტოდმარტო ეს წუთია, საელჩოდან გავიდა და ჯვრის უღელტეხილისკენ გაემგზავრა.

ნახევარი საათის შემდეგ, როცა „ტოიოტა“ საქართველოს სამხედრო გზის აღმართს შეუყვა, სიდნეი როჯერსმა ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და არჩილ კამარაულს დაურეკა.

— არჩი, მისმინეთ, თქვენს მანქანაში წინა სავარძლის ქვეშ კონვერტი დევს. იგი თქვენი და ნინოსია. ხუთი ათასი დოლარია კონვერტში. ვიცოდი, არ გამომართმევდით და ამიტომაც ვამჯობინე, ასე მოვქცეულიყავი, — სიდნეი როჯერსმა მობილური ტელეფონი გამორთო.

მანქანა ქვის სამტეხლოში ჩასასვლელი გზის პირას დააყენა. უკანა სავარძელი ამოწია. შავი ფერის ჯავშანჟილეტი ჩაიცვა, „კოლტი“ და „ბერეტა“ აიღო, შეაყენა და ჟილეტის საიდუმლო ბუდეებში მოათავსა. ოპტიკურსამიზნიანი ავტომატური შაშხანა „მ-16“ აიღო, მაყუჩი მოარგო და საცალფეხო მოკლე ბილიკით ჩავიდა ქვის სამტეხლოში. აქედან კარგად ჩანდა „ფორდ ტრანზიტის“ გამომწვარი ჩონჩხი, ჩამოსასვლელი ბილიკი და სამტეხლოში ჩამომავალი სამანქანე გზა მთლიანად. საათს დახედა. თუკი მისი ვარაუდი სწორი იყო, თხუთმეტი-ოცი წუთი კიდევ ჰქონდა. ჯიბიდან ამერიკული სიხშირის მობილური ტელეფონი ამოიღო:

— მისტერ ჰოფნერ, სპეციალური აგენტი როჯერსი ითხოვს სპეცევაკუაციას. ევაკუაციის დრო — განცხადებიდან ორი-სამი საათი.

„სპეციალური ევაკუაცია“ ლენგლის ენაზე სამოქმედო ქვეყნიდან სპეციალური აგენტის ნებისმიერი საშუალებით დაუყოვნებლივ გამოყვანას ნიშნავდა.

— კარგი, როჯერს, — მოკლედ მოჭრა ჰოფნერმა, — გაითვალისწინეთ: უახლოესი საევაკუაციო ბაზა საქართველოდან საათნახევარი საათის საფრენ მანძილზეა... რა ჯანდაბაში გაეხვიე მანდ, სიდ? — იფეთქა უცებ ჰოფნერმა.

სიდნეი როჯერსმა მობილური გამორთო და დროულადაც, მკაფიოდ გაიგონა, როგორ აშრიალდა საბურავები ქვის სამტეხლოსკენ მომავალ გრუნტის გზაზე. გამოქვაბულის სიღრმეში შეიწია და „მ-16“ მომართა.

ორნი იყვნენ, „უდაბნოს ქარიშხლის“ დროინდელი კამუფლირებული ფორმებით და თავზე შავი ფერის თალფაქი ქუდ-ნიღბებით, ხელში „აკსუ-74“ მოდელის მოკლელულიანი ავტომატური შაშხანებით. ერთი საცალფეხო ბილიკს დაუყვა ფრთხილი ნაბიჯებით, მეორე — გრუნტის გზას.

სიდნეი როჯერსმა შაშხანა ქვის შვერილზე ჩამოსდო და ოპტიკური სამიზნით ქვის სამტეხლოში ჩამომსვლელები მოძებნა. სანამ შაშხანას მიაბრუნებდა, ოპტიკური სამიზნით დაინახა გასროლის შედეგი — შავი ნიღბიდან ამოვარდნილი სისხლის შხეფები.

მეორე ნიღბოსანი ბილიკზე არ ჩანდა. ერთადერთი ადგილი, სადაც მას შეეძლო თავი შეეფარებინა, გადამწვარი მანქანის ჩონჩხი იყო.

„უნდა გამოვიტყუო რამენაირად სამალავიდან“, — გადაწყვიტა როჯერსმა და სინათლის ზოლი გადაკვეთა. იმავე წამს მის ფეხებთან მტვრის ბუღი ავარდა, რომელსაც მყის გასროლის ხმაც მოჰყვა. სპეციალური აგენტი გამოქვაბულის სიბნელეში გაუჩინარდა და მიხვდა, რომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა პოზიციის შერჩევისას. ნაპრალის კიდიდან ისროლეს, ანუ მესამე მოწინააღმდეგე ზემოდან აკონტროლებდა ვითარებას. ასე რომ, ხაფანგში გამომწყვდეული სიდნეი როჯერსი ორი მოწინააღმდეგის სამიზნეს წარმოადგენდა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალურმა აგენტმა ქვის ნატეხი აიღო და გამოქვაბულის შესასვლელისკენ მოისროლა. ქვის ვარდნას იმავე წამს მოჰყვა ავტომატის ჯერი და სიდნეი როჯერსმა ერთეული გასროლის ხმაც დააფიქსირა სმენით. სპეციალური აგენტი მიხვდა, რომ მოწინააღმდეგე, რომელიც ბილიკზე ჩამოდიოდა, გადამწვარი „ფორდ ტრანზიტის“ უკან იმალებოდა და მისი ტყვიები სიდნეი როჯერსს ვერაფერს დააკლებდა, თუმცა გამოქვაბულიდან გამოსვლის საშუალებასაც არ მისცემდა; რომც მოეხერხებინა მანქანის უკან დამალული მოწინააღმდეგის ლიკვიდირება, ზემოთ მყოფ მსროლელს მაინც ვერაფერს მოუხერხებდა. სიდნეი როჯერსმა ოპტიკურ სამიზნეში მანქანის ჩონჩხი მოაქცია და სამტყვიიანი ჯერი მიუშვა. იმავე წამს გავარდა ზემოდანაც. სპეციალურმა აგენტმა კიდევ სამი ტყვია ესროლა „ფორდ ტრანზიტს“, ხუთ წამში — კიდევ სამი. ზემოდან ისევ ისროლეს. კიდევ ხუთი წამი გადაითვალა როჯერსმა, სამი ტყვიაც გაისროლა მანქანის მიმართულებით და ზემოდან პასუხს დაელოდა, მაგრამ ჩამოწოლილ სიჩუმეში სულ სხვა ხმა გაისმა — რაღაც საგნის როყიო ხმა იყო ნაპრალის ძირზე.

— მისტერ როჯერს! — მოესმა უცებ ზემოდან.

სპეციალურმა აგენტმა ხმა იმავე წამს იცნო და გაკვირვებაც ვერ მოასწრო, რომ „ფორდ ტრანზიტის“ ჩონჩხიდან წყვეტილი ნაკადი ამოვარდა.

— დანექი, არჩი! — იყვირა სიდნეი როჯერსმა, წამში გამოცვალა მჭიდი, შაშხანამომარჯვებული გამოქვაბულიდან გამოვარდა და მოკლე ჯერი „ფორდ ტრანზიტის“ უკან დამხობილ ნიღბიანს მიუშვა. რამდენიმე ნახტომით აირბინა აღმართი. ნაპრალის კიდესთან პირდაღმა იწვა კამუფლირებულფორმიანი და ნიღბიანი კაცი, გვერდზე ბეისბოლის ხელჯოხი ეგდო. არჩილ კამარაული იქვე იწვა გულაღმა, მარცხენა ხელით მარჯვენა ბეჭს ჩასჭიდებოდა, თითებს შორის სისხლი ჟონავდა.

— არჩი! — მივარდა სიდნეი როჯერსი, თან თვალი კამუფლირებულისკენ ეჭირა.

— ფული ამოგიტანეთ, მისტერ როჯერს! — ცას გაუღიმა არჩილ კამარაულმა. სიდნეი როჯერსი დაიხარა და ახლაღა დაინახა, რომ მეორე ტყვია თავში ირიბად მოხვედროდა ახალგაზრდა კაცს და ქაოტური ტრაექტორიის გამო, თავის ქალიდან ასხლეტილიყო, რამაც უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა.

— მივხვდი, თქვენ გესროდათ, — ძლივს ამოილაპარაკა არჩილ კამარაულმა, — მივეპარე და თავში კეტი ჩავარტყი.

სიდნეი როჯერსმა ჯავშანჟილეტის შიდა ჯიბიდან პლასტმასის კოლოფი ამოიღო, გახსნა, ერთჯერადი შპრიცით ტკივილის შოკის მოსახსნელად არჩილ კამარაულს მორფინი გაუკეთა. მერე ნიღბიანს მიუბრუნდა, გადმოაბრუნა, ნიღაბი გადააძრო და წამიერად დააკვირდა მაიორ მირიან სავანელის სახეს....

სიდნეი როჯერსმა გათიშული მირიან სავანელი მანქანის საბარგო ნაწილში მოათავსა, არჩილ კამარაული უკანა სავარძელზე დააწვინა და გეზი თბილისისკენ აიღო, შემდეგ ამერიკული სიხშირის მობილური ჩართო.

— სპეციალური აგენტი სიდნეი როჯერსი ითხოვს სპეციალურ ევაკუაციას! — თქვა მშვიდად.

— სად ხართ, სიდ? — ჯეფრი ჯელტრის ხმაში ფარული ექსტაზი გამოსჭვიოდა.

— ჯვრის უღელტეხილიდან ვეშვები.

— კარგი. თვითმფრინავი უკვე გამოფრინდა ჩვენი სამხედრო ბაზიდან, საათსა და ოცდათხუთმეტ წუთში თბილისში, ვაზიანის აეროდრომზე დაეშვება. ახლა ლეპტოპი ჩართეთ და ჩვენი შეხვედრის ადგილის სქემას გადმოგცემთ...

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სადესანტო-სატრანსპორტო თვითმფრინავი „ბოინგ ს-17ა გლოუბმასტერი“ მსუბუქად მოსწყდა ვაზიანის საწვრთნელი ბაზის აეროდრომის ბეტონის საფარს და გეზი თურქეთისკენ აიღო.

ტრანკვილიზატორებისგან გათიშულ მირიან სავანელს ღრმად ეძინა სავარძელში. სამხედრო ექიმთა ბრიგადა საოპერაციო მაგიდასთან არჩილ კამარაულს დასტრიალებდა თავს.

„გლოუბმასტერი“ მძლავრად, შეუპოვრად მიაპობდა ამერიკის შეერთებული შტატების მეგობარი ქვეყნის — საქართველოს საჰაერო სივრცეს.

* * *

სიდნეი როჯერსი სამი დღე ინტენსიური რეაბილიტაციის ცენტრში ამყოფეს, სპეციალურ აგენტს უამრავი ფსიქოლოგიური ტესტი და აღდგენითი თერაპიის კურსი ჩაუტარეს. ამავე ცენტრში იმყოფებოდა არჩილ კამარაულიც, რომლის სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, ვინაიდან, ნებსით თუ უნებლიეთ, იგი ორმაგი მკვლელობისა და ადამიანის გატაცების თანამონაწილე იყო, რასაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაც ემატებოდა. ყველაზე მთავარი კი ლენგლის მესვეურთათვის ის ფაქტი იყო, რომ არჩილ კამარაული ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ სხვა ქვეყანაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის თვითმხილველი და მონაწილე გახლდათ, და ვინაიდან ეს სპეცოპერაცია არ იყო შეთანხმებული და განხორციელებული ადგილობრივ სამართალდამცავებთან ერთად, ეს უკვე უცხო ქვეყნის — თუნდაც მეგობარი ქვეყნის — სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევას წარმოადგენდა, რისი გახმაურებაც დაუშვებელი იყო. სიდნეი როჯერსის აზრით, ახალგაზრდა კაცისთვის და, საერთოდ, ყველასთვის, ერთადერთი გამოსავალი არსებობდა — არჩილ კამარაულისთვის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის სტატუსის მინიჭება და მის მიმართ ბრალდების მოწმის დაცვის ფედერალური პროგრამის განხორციელება, რაც არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა ლენგლისთვის. არჩილ კამარაული თვალებგაფართოებული უსმენდა.

— ყველაფერი კარგად იქნება, არჩი! — თქვა საუბრის ბოლოს სიდნეი როჯერსმა, — დამიჯერე!

— ნინო? — იკითხა არჩილ კამარაულმა და ეს იყო ერთადერთი კითხვა, რაც სიდნეი როჯერსის მთელ ამ ახსნა-განმარტებას მოჰყვა.

* * *

სიდნეი როჯერსი და რიჩარდ ჰოფნერი ნიუ-იორკში, ბროდვეიზე, მეხუთე ავენიუზე იმყოფებოდნენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში.

— შენთვის რომ შემეტყობინებინა, რასაც ვაპირებდი, ნამდვილად არ მომცემდი უფლებას, დიკ, — სიდნეი როჯერსმა თავის მეგობარს და უფროსს, რიჩარდ ჰოფნერს მზერა გაუსწორა.

— ჰო, მასეა, მაგრამ რატომ იყავი ასე დარწმუნებული შენი ვარაუდებისა და დასკვნების სისწორეში?

— ფაქტები და ანალიზი, დიკ, რაც შენგან ვისწავლე.

— ნუ მეპირფერები! — გაეღიმა რიჩარდ ჰოფნერს, — დაწვრილებით მომიყევი ყველაფერი, სიდ, სულერთია, მაინც მოგიწევს დაწვრილებითი ანგარიშის დაწერა და, იქნებ, მანამდე მიამბო ყველაფერი.

— სიამოვნებით, — გაეღიმა როჯერსს, — ჩემთვის ძნელად დასაჯერებელი იყო უოლტერ რაილის უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპვა, ვინაიდან იმ საქმეში, რომელსაც რაილი ემსახურებოდა და რისთვისაც საქართველოში გახლდათ მივლენილი, ნამდვილად უბედური შემთხვევით გამოწვეული სიკვდილის კოეფიციენტი ნულის ტოლია, ხოლო უბედური შემთხვევის ინსცენირება სამოცდაათ-ოთხმოც პროცენტს შეადგენს. ეჭვი, რომ ეს უბედური შემთხვევა არ იყო, კიდევ უფრო გამიძლიერა უოლტერ რაილის დაღუპვის ადგილის დათვალიერებამ, ვინაიდან ადგილი, საიდანაც სპეციალური აგენტი გადავარდა ნაპრალის კიდის ჩაშლის შედეგად, ბაზალტის ქანებისგან შედგება და მისი ჩამოშლა კაცის სიმძიმის შედეგად, პრაქტიკულად, შეუძლებელია.



**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბოდავის ხევი

## თიანეთი

ის ქრისტიანული ტაძრები, რომელთა გარშემო უნდა ვიმოგზაუროთ წარსულსა და აწმყოში, ფშავის არაგვის ხეობის ქვედა და ივრის ხეობის ზედა მონაკვეთებში დგანან. ტერიტორიულად ეს ეთნარქ კახოსის წილხვედრი მიწების დასავლეთი რეგიონია და ყოველთვის კახეთის სამთავროს ან სამეფოს ნაწილი იყო. ამ ლოკალური მიკროქვეყნის სახელწოდება — თიანეთი შედარებით გვიან გამოჩნდა.
წინასწარ იმასაც გეტყვით, რომ მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი ლაიტმოტივი იქნება V და XIII საუკუნეთა ამბები, რომლებიც, ზოგიერთ ტაძართან მიმართებაში, ერთმანეთს დაუკავშირდება კიდეც.



ჩინთის ციხე






ჩინთის კოშკი



ბოდავის (ფუძნარის) ეკლესია

თბილისიდან გასულები ჟინვალის წყალსაცავამდე არაგვის მარცხენა სანაპიროზე გადავდივართ და სოფელ ჩინთში ვჩერდებით. სოფლის სამხრეთ უბანში, ზედ მდინარის ნაპირზე, კლდეზე, შემორჩენილია ტყუპი კოშკების ნაშთები, რომლებიც ოთხსართულიანი ყოფილა. ოთხკუთხა კოშკებს სამი კედელი რიყისა და კლდის ფლეთილი ქვით აქვს ამოყვანილი, მეოთხე კედლის მაგივრობას კი კლდე ასრულებს. უფრო აქეთ, განმარტოვებით, დგას კიდევ ერთი, მაგრამ ფრიად ორიგინალური, 5-სართულიანი კოშკი, რომელიც უვნებლადაა შემორჩენილი. ასეთ ნაგებობას საქართველოში სხვაგან ვერ შევხვდებით. მისი ქვედა ნაწილი ცილინდრულია, ზედა — კვადრატული. ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლა აფრების მსგავსად გამოთლილი ლოდებით ხდება. შესასვლელიც სწორედ ამ ნიშნულზე, მიწის პირიდან 4 მეტრის სიმაღლეზეა გაჭრილი. კოშკი ზევით არ ვიწროვდება და სართულთა შორის კამარული გადახურვა ჰქონია. სართულების მიხედვით მატულობს სათოფურთა რიცხვიც, სულ ზევით კი ნისკარტა სალოდეებია. კოშკში ვხვდებით ბუხარსაც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი არა მარტო საბრძოლო, არამედ საყარაულოც იყო. პატარა სოფლის ასეთი გამაგრება მის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს — იგი ფშავის არაგვისა და ივრის ხეობებში შემავალ გზებს იცავდა. მას ადრე წობენი ერქვა. სწორედ აქ **„მოვიდეს და დადგეს წმიდა ნინო, და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახითა მათ კაცთა ჭართლელთა, ფხოველთა, წილკნელთა და გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი,... ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება...“**

სოფელ ჩინთში მიაჩნიათ, რომ ჩრდილოეთ უბანში ამოწვერილ კლდეზე მდგარა და სწორედ აქედან ქადაგებდა მოციქულთასწორი ქალი. აქაურები ამ პატარა კლდეს „წმიდა ნინოს ქვას“ უწოდებენ და ზედ დიდი ჯვარიც აქვთ აღმართული. კლდის ძირში სასანთლე ნიშია.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვეუბნება, რომ წობენიდან წმიდა ნინო **„გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს დაბასა ედემს, და ნათელსცა ერწუ-თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გადაკრბეს თოშეთა“.** ყვარელთა შესახებ სხვა თავში ვისაუბროთ, ახლა კი ის დავადგინოთ, თუ რა გზით გადავიდა წმიდა ნინო წობენიდან ერწოში, სადაც დღემდეა შემორჩენილი გორგასლის მიერ აგებული საეპისკოპოსო-საკათედრო ტაძრის ნაშთებზე აგებული გვიანდელი ტაძარი (სოფელ ჭიოტაანთკარის აღმოსავლეთით). ვიდრე კახეთის ამ ყველაზე ძველ ცენტრს (ჟალეთი იგივე ჩელთი უნდა იყოს, სავარაუდოდ) მიაღწევდა, წმიდა ნინო ბოდავის ხევს აივლიდა, სადაც, ასევე, უძველესი დაბა უნდა ყოფილიყო.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ-ერთ თავში სიდონია ამბობს, რომ ჰეროდეს მეფობის ჟამს, ვითომდა, სპარსთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის გამო, იქაურ მღვდელმთავარს **„გლოვის წიგნი მოეწერა ყოველთა ჰურიათა მომართ ქართლისათა: მცხეთელთა მკვიდრთა, ბოდელთა მღდელთა, კოდის-წყაროველთა მწიგნობართა და სობის-კანანელთა თარგმანთა“.** ეს „ბოდელი მღდელნი“ ისტორიული მიკრო-ქვეყნის, ურიათაგან დასახლებული ხერკის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრნი არიან. ზემოთ მოყვანილი ამბავი ქრისტეს შობის დროს მოხდა.

დღეს იმ ბოდედან მხოლოდ ტოპონიმია შემორჩენილი. სანაცვლოდ გვაქვს გაცილებით ახალი, ორკომლიანი სოფელი ბოდავი და განვითარებული შუასაუკუნეების ორი ძეგლი — ბოდავის ციხე და გუმბათიანი ეკლესია, იგივე ფუძნარის ღვთისმშობელი. იგი ჟინვალიდან თიანეთში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს დგას და სავალალო მდგომარეობაშია. მაგრამ, ვიდრე ტაძრის აღწერას დავიწყებდეთ, მანამდე ისევ სახელწოდება „ბოდავს“ უნდა მივუბრუნდეთ, რადგან იგი ერთ მეტად საინტერესო საკითხს უკავშირდება.

* * *

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ისეთი ეჭვიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებში ნახსენები ბოდა (ბოდინი-ბოდისი), სადაც წმიდა ნინოა დაკრძალული, ვითომც სწორედ ეს ბოდავია და არა სიღნაღის სიახლოვეს მდებარე ბოდბე („ბოდი“, საერთოდ, კლდეს ნიშნავს). ამ ეჭვმა ერთხანს ჩვენც გაგვიელვა, მაგრამ წმინდა ნინოს მისიონერული მოგზაურობის მარშრუტი რომ აღვადგინეთ, საორჭოფო ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ამიტომაცაა, რომ ვახუშტი ქიზიყის აღწერისას მყარად ამბობს: **„ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბისხევი, პირველწოდებული ბოდა... ამ ხევსა ზედა არს ბოდბეს ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, მშვენიერი“. აქ მიიცვალა წმინდა ნინო და დეფლა აქვე...“**

ქიზიყის ბოდბე ზუსტად ჯდება წმინდა ნინოს მარშრუტის ბოლო რგოლში: წობენი — ბოდავი — ჟალეთი — კაწარეთი — ქცელი დაბა — კახეთი — კუხეთის ბოდა (ბოდბე). წმინდა ნინო აქედან რანში აპირებდა გადასვლას, მაგრამ ვერ შეძლო და არც მცხეთაში ისურვა დაბრუნება.

სულ სხვა საქმეა ჯვრის აღმართვისა და ერთ-ერთი მანიშნებელი ვარსკლვავის ბოდბეს თავზე შეჩერების საკითხი. აქ უკვე ძალზე სერიოზული ეჭვი ჩნდება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური ხელნაწერიც და ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“-ც თითქმის, ერთნაირად გვიამბობენ სამი ჯვრის აღმართვის ისტორიას. მცხეთის თავზე გამოჩენილი სამი ვარსკვლავიდან ერთი, თითქმის, იქვე გადაიხარა და მთის თხემზე შეჩერდა, მეორე დასავლეთით წავიდა და თხოთის მთაზე დადგა, ხოლო მესამე აღმოსავლეთით გაცურდა და ბოდის თავზე გაინაბა.

თითქოს, აქ ყველაფერი ნათელია: მცხეთიდან აღმოსავლეთით სწორედ სიღნაღიდან არსებული ბოდაა (ბოდბე) და არა თიანეთის ბოდა (ბოდავი), რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობს.

მაგრამ:

არსებობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ყველაზე ძველი, შატბერდული რედაქცია, რომელიც გრიგოლ დიაკონის VI საუკუნის დაკარგულ მატიანეს იმოწმებს: **„სამ გუამად ექმნეს ხისა მის ტანისაგან სამნი ჯუარნი და აღმართნეს მცხეთას, ვითარცა სწერია მცირესა მას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლის მოქცევისასა გრიგოლ დიაკონის მიერ აღწერილისა. და ერთი ჯუარი აღმართა მირიან მეფემან მთასა ზედა მალნარისასა, რომელ ჰრქვიან თხოთისა და ერთი იგი მახლობლად პატიოსნისა ჯვარსავე“.** ე.ი. გრიგოლ დიაკვნის თქმით, მესამე ჯვარი მცხეთის ჯვრის სიახლოვეს აღუმართავთ და არა მისგან აღმოსავლეთით მდებარე შორეულ ბოდბეში (მცხეთის ჯვართან გაცილებით ახლოს თიანეთის ბოდავია). სიტყვა „ბოდი“ საერთოდ, არც არის ნახსენები. გამოდის, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ოდნავ გვიანდელი ჭელიშური რედაქციის ავტორს, ვარსკვლავთა მეშვეობით, საკრალური ნიშნებით შეუმკია წმინდა ნინოს გარდაცვალების ფაქტი, რისთვისაც მას ახალი აღთქმიდან ქრისტეს ხორციელი შობის დროს ვარსკვლავების მოძრაობის იდეა გამოუყენებია და მისი მსგავსი ამბავი შეუთხზავს. უფრო მეტიც — ეს ისტორია უფრო დამაჯერებელი რომ გაეხადა, მან ამისათვის მირიან მეფეს კაცებიც კი დააყენებინა მთებზე ვარსკვლავთა მოძრაობის სათვალთვალოდ. ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ ჭელიშურ ვარიანტშიც და მროველის თხზულებაშიც წმ. ნინომ ბოდბეში აღსამართი ჯვარი უჯარმაში აღამართვინა. თუ მირიან მეფე ბიბლიური მოგვებივით მოიქცა და ვარსკლავების მოძრაობას დაენდო, მაშინ, ბოდბეს შემთხვევაში, რატომ არ დამორჩილდა ამ მინიშნებას? განა ასე არ მოიქცა იგი დანარჩენ ორ შემთხვევაში? ის, რომ წმინდა ნინომ და მირიანმა სალომე უჯარმელს გაუწიეს ხათრი, ლოგიკაში ნაკლებად ჯდება.

თუ მხატვრულ-საკრალურ სამკაულებს ჩამოვაშორებთ ისტორიულ რეალობას, მაშინ ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ჯვრები აღიმართა მირნიან მეფის მიერ ყოველგვარი ვარსკვლავთმრიცხაობის გარეშე, მერე კი ერთ-ერთი ჯვარი, რომელიც მცხეთასთან ახლოს, თუნდაც თიანეთის ბოდაში (ბოდავში) იდგა, წმ. ნინოს თანხმობით, მეფის უფროსი ძის — რევის და მისი ცოლის — სალომეს რეზიდენციაში — უჯარმაში გადაუტანიათ. მცხეთის ჯვარი ცენტრალური იყო, თხოთისა ქართლს ემსახურებოდა, უჯარმისა კი კახეთ-კუხეთს.

ერთი სიტყვით, წმინდა ნინოს ბოდბეში დაკრძალვა მართლაც უტყუარია, მაგრამ ვარსკვლავის იქ შეჩერება გამოგონილ ამბავს გავს და ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მართლაც ბოდავთან (თიანეთის ბოდასთან) გვქონდეს საქმე.

* * *

დავუბრუნდეთ ბოდავის ეკლესიას. იგი ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით და შირიმის კვადრებით. სარკმლის საპირეებში და გუმბათის ყელში, იქ, სადაც სამკაულებია ჩართული, გამოყენებულია ქვიშაქვაც. ეს ეკლესია XIII საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია და თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ ცდილობს შემოჭრას კახურ ხუროთმოძღვრებაში ქართლის ხუროთმოძღვრული სტილი, როგორ ეჭიდება ერთმანეთს მკაცრი სისადავე და ჩუქურთმათა სიკეკლუცე. სამწუხაროა, რომ ტაძრის გუმბათის ყელიდან ორი-სამი მალაა გადარჩენილი, ხოლო კამარებსა და კედლებს რღვევა აქვს დაწყებული.

ბოდავის (იგივე ფუძნარის) საყდარს დასავლეთ ფასადზე აქვს ერთი მეტად საინტერესო ასომთავრული წარწერა, რომელიც, მგონი, ლაშა-გიორგისა და მისი მეუღლის თავგადასავალს გვახსენებს. ამის შესახებ მეორე თავში ვისაუბროთ.

**ბელა ქოქიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქერჩის ქალაქის თავი

## ზაქარია სიმონის ძე ხერხეულიძე

**რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების თანახმად ქერჩი და ციხე-სიმაგრე ენი-კალე რუსეთს გადაეცა. 1783 ქელს ქერჩი თავრიზის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. ქალაქის მოსახლეობა შედგებოდა ბერძნების, თათრების, რუსების, უკრაინელების, იტალიელებისა და სომხებისაგან. 1821 წელს ქერჩი და ენი-კალე ერთ ადმინისტრაციულ ცენტრად ჩამოყალიბდა და შეიქმნა ქერჩ-ენიკალის საქალაქო სამსახური. ამ დროიდან იწყება ქალაქის აყვავება, მიმდინარეობს მისი კეთილმოწყობის სამუშაოები: გაიყვანეს გზები, მთავარი ქუჩები უზრუნველყოფილი იქნა განათებით, გაიხსნა სიძველეთა მუზეუმი და სამაზრო სასწავლებელი... 1830 წლისთვის ქერჩში ფუნქციონირებდა პორტი და მუშაობდა ათობით თევზის სარეწი საამქრო. არა ერთმა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ შეიტანა წვლილი ყირიმის განვითარებაში და წარუშლელი კვალი დატოვა ამ მხარის ცხოვრებაზე. ერთ-ერთი მათგანია თავადი ზაქარია სიმონის ძე ხერხეულიძე, ქერჩ-ენიკალის ქალაქის თავთა შორის ყველაზე გამორჩეული ფიგურა.**


ზაქარია ხერხეულიძე

1822 წლიდან 1917 წლამდე ქერჩში ერთმანეთზე მიყოლებით 17 ქალაქის თავი შეიცვალა. უმეტესობამ ამ თანამდებობაზე მხოლოდ რამდენიმე წელი დაჰყო, მხოლოდ ოთხი მათგანი ხელმძღვანელობდა ქალაქს 10 წელზე მეტ ხანს, მათ შორის ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ოლქში ამ თანამდებობაზე ყველაზე დიდხანს — 17 წელი — ზ. ხერხეულიძემ დაჰყო. მან წარუშლელი კვალი დატოვა ქალაქის ისტორიაში, კვალი ქართველი კაცისა, რომელსაც უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად ჰქონდა „ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც — თავისას". სწორედ ამიტომ უწოდებენ მისი ხელმძღვანელობის პერიოდს „ხერხეულიძის ეპოქას".

ქართველი თავადი ზ. ს. ხერხეულიძე 1797(8) წელს დაიბადა. როგორც ყველა თავადიშვილი, ისიც შესაბამისი განათლების მიღების შემდეგ სამხედრო სამსახურში ჩადგა. სამწუხაროდ, მისი კარიერა თავიდანვე წარმატებული არ შეიქნა. პრეობრაჟენსკის პოლკის ლეიბ-გვარდიაში ყოფნის დროს იგი მზად იყო, სამხედრო სამსახურისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ მ. ს. ვორონცოვმა იცოდა, თუ რა კეთილშობილი პიროვნებაც იყო ხერხეულიძე და თავისი ადიუტანტობა შესთავაზა. 1823 წელს შტაბს-კაპიტანი ხერხეულიძე „უმაღლესი ბრძანებით" ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორის და ბესარაბიის მხარის მეფისნაცვლის, გენერალ-ლეიტენანტ ვორონცოვის ადიუტანტად დაინიშნა ოდესაში. ცნობილია, რომ ვორონცოვს ხელქვეითებთან დამოკიდებულების განსაკუთრებული მეთოდი ჰქონდა. მას ერჩივნა ემართა ისინი, ვინც მის შეხედულებებს იზიარებდა, საწინააღმდეგო აზრს მხოლოდ უახლოესი ადამიანებისაგან ისმენდა. სწორედ ამიტომ ოდესაში მის გარშემო თავისებური „ამალა" შეიკრიბა, რომელთა წევრები, თანამედროვეთა აზრით, გამორჩეული პიროვნებები იყვნენ და განსაკუთრებული პატივისცემით განწყობილნი თავიანთი უფროსის მიმართ.

ზ. ხერხეულიძე მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში. 1828 წლის აგვისტოში ვარნასთან ბრძოლებში გვარდიის კაპიტანმა ხერხეულიძემ ხუთი კვირის განმავლობაში სამჯერ გამოიჩინა თავი: პირველად, როცა მოხალისედ მონაწილეობდა მოწინააღმდეგის ზურგში შესაღწევ ოპერაციაში; მეორედ — თურქული ბანაკის აღებისას, როცა მოხერხდა ორი რედუტის, ქვემეხის და სამი ბაირაღის ხელში ჩაგდება და მესამეც — თვითონ ციხე-სიმაგრის შტურმის დროს. ამ დროს იგი (25 სექტემბერს) ტყვიით დაიჭრა მარცხენა ფეხის თითში და იძულებით გამოეთიშა საომარ მოქმედებებს. ღირსეული მეომარი დაჯილდოვდა ჯერ წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენითა და ოქროს დაშნით წარწერით „მამაცობისთვის", ხოლო შემდეგ — წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენით, ბაფთით. მისი საბრძოლო წარმატებები, ასევე, სამხედრო წოდების მომატებით აღინიშნა. 1828 წლის 8 ნოემბერს ხერხეულიძე გახდა პოლკოვნიკი და ჩაირიცხა პირველ ეგერთა პოლკში, ხოლო 1829 წლის 11 თებერვალს იგი დაინიშნა ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორთან. ამიერიდან მას განსაკუთრებული დავალებების შესრულება უხდებოდა. ორი წლის მანძილზე მცირე ხნის შესვენებით ის დაკავებული იყო სევასტოპოლის საკარანტინე საქმიანობით, ხოლო შემდეგ — ჩრდილოეთ თავრიზში ეპიდემიურ დაავადებებთან ბრძოლით. 1831 წელს „გულითადი სამსახურისთვის" ჯერ უფროსობის მადლობა, ხოლო შემდეგ 1829-30 წლებში, შავი ჭირის დროს, სევასტოპოლში საკარანტინო ღონისძიებათა ორგანიზებისათვის მისცეს მნიშვნელოვანი ფულად ჯილდო — 12 წლის განმავლობაში 800 მანეთი (ვერცხლით) ყოველწლიურად.

1833 წლის იანვარში ვორონცოვის წინადადებით ზაქარია სიმონის ძე ქერჩის ქალაქის თავად დაინიშნა. მან ამ თანამდებობაზე 1850 წლამდე დაჰყო. მისი მმართველობის პერიოდი იქცა საკმაოდ გრძელ და ამასთან, რაც მთავარია, ნაყოფიერ „ხერხეულიძის ეპოქად". 1830-40-იან წლებში ხერხეულიძის წყალობით ქალაქში არქიტექტორ დიგბის საუცხოო ჩანაფიქრების რეალიზაცია მოხდა: აშენდა მთელი რიგი ბრწყინვალე შენობები. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დიდი მითრიდატის კიბე, სამებისა და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიების სამრეკლოები და სხვა.

ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქალაქის ცენტრალური ნაწილი, მოედნები, ბაზარი, შადრევნები, გაუმჯობესდა ქალაქის წყლით მომარაგება, მრავალეროვნულ ქალაქში გაჩნდა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები, სინაგოგა და მეჩეთი. ქალაქი სწრაფად და გემოვნებით შენდებოდა, ხოლო არქიტექტურის ბრწყინვალედ მცოდნე თავადი მშენებლობებს თვითონ ადევნებდა თვალს. ხერხეულიძის ერთი მეგობარი ნ.ი. ლორერი, რომელმაც ქალაქი 1838-42 წლებში მოინახულა, აღფრთოვანებული წერდა: „ქერჩი — ეს შემოქმედებაა, თავისი შრომით მან (ხერხეულიძემ. — ავტ.) შექმნა პატარა ოდესა".

ზაქარია სიმონის ძე დიდ ყურადღებას უთმობდა ქალაქის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას; გაიხსნა შაქრის ქარხანა; 1846 წელს რკინის საბადოს ბაზაზე ამუშავდა თუჯის ქარხანა; დაიწყო ცნობილი ქერჩის სელდის დამუშავება...

რამდენადაც ცნობილია, ზაქარია ხერხეულიძემ ლიდია კუშნიკოვაზე იქორწინა; ჰყავდა ოთხი შვილი. დღეს ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელიც მის მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს. საუბარია ტატიანა ალექსანდრეს ასულ ღლონტზე. ზაქარიას უფროსი ქალიშვილის შვილთაშვილზე.

ქერჩის შემდეგ ხერხეულიძე მსახურობდა მინსკის გენერალ-გუბერნატორთან, შემდეგ — სმოლენსკის. 1852 წელს ზაქარია სიმონის ძემ სამსახური დატოვა და პეტერბურგში დასახლდა, 3 წლის შემდეგ კი კვლავ რუსულ არმიაში დაბრუნდა. ეს იყო 1855 წლის მაისში, როცა ცნობილი გახდა მოწინააღმდეგის მიერ ქერჩის აღება. ზაქარია ხერხეულიძისათვის კი ყირიმი, განსაკუთრებით ქერჩი, ძალიან ძვირფასი იყო და იმთავითვე მის დამცველთა რიგებში ჩადგა.

ეჭვი არ ეპარებოდა რა ხერხეულიძის მოუსყიდველ პატიოსნებაში, იმპერატორმა მას მტრისთვის ქერჩის სამარცხვინოდ გადაცემის მიზეზების გამოძიება დაავალა. შემდგომში იგი სიმფეროპოლის სამხედრო ჰოსპიტლების ზედამხედველად დაინიშნა. თავადი ჩვეული კეთილსინდისიერებით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. ის ყოველდღიურად ნახულობდა ავადმყოფებს, თვალ-ყურს ადევნებდა წესრიგს, თეთრეულს, საკვებს და, სამწუხაროდ, ტიფით დაავადდა. სამსახურისათვის თავდადებული ზაქარია სიმონის ძე სამ დღეში გარდაიცვალა 1856 წლის 2 აპრილს. „ქერჩისათვის დაუვიწყარი" — ასეთი წარწერა გააკეთეს მის საფლავზე და ძეგლიც დაუდგეს, რომლის შესახებ ჩვენ კონკრეტული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ცნობილია, რომ იგი რევოლუციის შემდგომ პერიოდში, ისევე, როგორც სხვა ძეგლები, კომუნისტებმა გაანადგურეს.

ახლახან ქ. ქერჩში, აივაზოვსკის ქუჩაზე გაკეთდა მემორიალური დაფა, რომელიც იუწყება, რომ გარკვეული ხნის მანძილზე ეს ქუჩა ხერხეულიძის სახელს ატარებდა. ამასთან, დღეს დაისვა საკითხი, რომ ამ პიროვნებას თავისი დამსახურების შესაბამისად მიეგოს პატივი და მის სახელზე ქალაქში თუნდაც პატარა ძეგლი დაიდგას. საამისოდ უკვე შესანიშნავი ადგილიც შეარჩიეს. დიდი ბაბუის ძეგლის მშენებლობის ფონდში პირველი შენატანი ხერხეულიძის მემკვიდრემ ტ. ა. ღლონტმა გააკეთა.

**მოამზადა**
**დარეჯან ანდრიაძე**

**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**



**სარედაქციო ფოსტა**

## შეძელით, დამდგარიყავით მიკერძოებაზე მაღლა

**ბატონ ირაკლი თოდუას**

თქვენი გაზეთის მკითხველების ერთი დიდი ჯგუფის სახელით მინდა, მადლობა გითხრათ ახალი პერიოდული გამოცემის დაფუძნებისათვის საქართველოში.

თქვენი გაზეთი ყველა დანარჩენი გაზეთისგან სერიოზულობით და განსაკუთრებული ობიექტურობით გამოირჩევა, არ ერიდებით არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას და ამბობთ თქვენს სწორ და მართალ სათქმელს. ამით იმის თქმა მინდა, რომ შეძელით, დამდგარიყავით ყოველგვარ მიკერძოებაზე მაღლა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თქვენთან გამოჩნდნენ ქართული ჟურნალისტიკის ღვაწლმოსილი პროფესიონალები, ამაგდარი ხალხი, რომელთა პუბლიკაციები ერთნაირად მოსწონს ყველა თაობის მკითხველს.

ძალიან კარგია, რომ თქვენს გაზეთში ახალი თემებია, მათ შორის, დიდი სახელმწიფოების ფუნქციონირების კრიტიკული ანალიზი. მივესალმებით წინა ნომერში სტალინის თემის გამოჩენასაც.

იმედი გვაქვს, ეს თემატიკა კიდევ უფრო გაფართოვდება.

გმადლობთ.

**თინა ხოშტარია**

## „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას

**გილოცავთ ახალი გაზეთის დაარსებას.**

ქართული გაზეთების ქუჩური ჟარგონისა და ვიწრო თემების ფონზე განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა თქვენი რედაქციის პროფესიული და კულტურული დონე. აშკარაა, რომ არ გიტაცებთ იაფფასიანი სენსაციები და ყურით მოთრეული სკანდალები, სასიამოვნოა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ქართული გაზეთი, რომელიც აქვეყნებს ანალიტიკურ სტატიებს. ეს მეტყველებს თქვენი და თქვენი კოლექტივის მომზადებასა და განათლების მაღალ დონეზე.

კარგი იქნება, თუ თქვენი გაზეთის გვერდებს დაუთმობთ თანამედროვე ქართულ კულტურასა და სპორტს.

**პატივისცემით, ნ. კილასონია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქალი ავტობუსისკენ არაადამიანური ღრიალით გაიქცა: ქართველებო, მიშველეთ!

**ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ხდება შრომითი ტრეფიკინგის, სექსუალური ექსპლუატაციისა და უკანონო ვაჭრობის მსხვერპლი. ტრეფიკინგი ყველა ქვეყანაში ერთი და იმავე სქემით ვითარდება — მსხვერპლის გადაბირებით, საზღვარზე გადაყვანით, მერე კი მასზე კონტროლითა და ექსპლუატაციით. საზღვარგარეთ წასვლისას გამოიჩინეთ სიფრთხილე, რათა ტრეფიკინგის მსხვერპლი არ გახდეთ, საიდანაც თავის დაღწევა რთულია და ხშირად შეუძლებელიც. ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ გვესაუბრება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კოორდინატორი (პროექტი „ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ“) ხათუნა ჭითანავა.**

**— ქალბატონო ხათუნა, მსხვერპლთა ხელში ჩაგდების მეთოდები მსგავსია, მაგრამ როგორ აღწევენ თავს ერთეულები, როცა უმრავლესობის მცდელობა მარცხით მთავრდება?**

— უმეტესად — გაქცევით, თუმცა ამის მზა რეცეპტი არ არსებობს.

**ზოგი ფანჯრიდან ხტება, რაც ძალზე სახიფათოა და ხშირად სიკვდილით მთავრდება. ეს იცის მსხვერპლმა, მაგრამ შეგნებულად დებს თავს სასწორზე. ზოგი იპარება, ზოგიც ახერხებს, ახლობლებს რაიმე ხერხით ხმა მიაწვდინოს. ხშირად ბედი გაუღიმებთ და პოლიციის რეიდის შედეგად თავისუფლდებიან.**

ტრეფიკინგი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ხორციელდება და თავის დაღწევა საკმაოდ ძნელია, ხშირად სავალალო შედეგები მოსდევს.

ადამიანებს ხშირად მატერიალური ფაქტორი ერეკება ტრეფიკერთა კლანჭებისაკენ.

არ მავიწყდება ერთი ქართველი ქალბატონის გმირობის ტოლფასი თავგადასავალი. 60 წელს მიღწეულმა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა გადაწყვიტა. სამიზნედ თურქეთი გაიხადა, იქ ბევრი მისი ნაცნობი ქალი მუშაობდა. ვერც წარმოიდგენდა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდებოდა. შუამავალი მეგობრის ნათესავი იყო, რომელიც კარგ სამუშაოს, სოლიდურ ანაზღაურებასა და შესანიშნავ საყოფაცხოვრებო პირობებს დაჰპირდა. მან წინასწარ გააფრთხილა, რომ ხელშეკრულებას ადგილზე ჩასვლისას დადებდა. ქალბატონს მის დაპირებაში ეჭვიც არ შეჰპარვია, სიხარულით დათანხმდა.

ღამით როგორლაც უკანონოდ გადაკვეთეს საზღვარი. თურქეთში გადასულებს კიდევ დიდხანს მოუხდათ ტრანსპორტირება. სიბნელისა და დაღლილობის გამო ქალს ჩაეძინა.

უცნობ გარემოში გამოეღვიძა. ქალი აღნიშნავდა, რომ ირგვლივ ყველაფერი ბზინავდა, მაგრამ აუტანელი, მძაფრი სუნი იდგა და საკმაოდ ციოდა. ცხვირსახოცის ასაღებად ხელი ჩანთისკენ წაიღო, მაგრამ პასპორტი და სამგზავრო საბუთები ველარ იპოვა. იფიქრა თავის „კეთილისმყოფელზე“, ალბათ, კონტრაქტის გასაფორმებლად წაიღოო. კარის გაღება სცადა, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა. არ დაიბნა და კარზე ბრახუნი ატეხა. კარს იქიდან არაქართულ ენაზე მამაკაცის მუქარა მოესმა. უცნაური შიში დაეუფლა. ამ ყოფამ საკმაო ხანს გასტანა.

მერე ვიღაც კაცებმა გაუღეს კარი და დამფრთხალი და უკიდურესად მშიერი ოთახიდან გამოათრიეს, შეიყვანეს საკმაოდ კეთილმოწყობილ დიდ სამზარეულოში. უბრძანეს იქ დაგროვილი უამრავი ჭუჭყიანი ჭურჭლის დარეცხვა და იქაურობის დალაგება.

ქალი იძულებული იყო, დავალება შეესრულებინა. თეფშებზე დარჩენილი საჭმელი ნაშიმშილარ ქალზე გამაღიზიანებლად მოქმედებდა და, მისივე აღიარებით რომ გითხრათ, ნარჩენების ჭამა დაიწყო. ამ დროს სიბრაზისაგან ყბამოქცეული კაცი ყვირილით თავს წაადგა, გააფთრებული მივარდა, გინება და ცემა დაუწყო და დასვრილი თეფში სახეში შეალეწა.



გახეთქილი ბაგედან სისხლმა იფეთქა. ეს იყო დაშინებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის მცდელობა, რათა ქალი პატივისშემლახველ პირობებში ჩაეყენებინათ და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლი გაეხადათ.

ასეც მოხდა. უმძიმეს პირობებში მუშაობდა. ქალი მთელი დღე მუხლჩაუხრელად ხეხავდა და რეცხავდა ქვაბებსა და ტაფებს, თასებს, უამრავ ჭურჭელს, სხვადასხვა ინვენტარს. ბოლოს მიხვდა, რომ ქალაქგარეთ მდებარე რესტორანში იმყოფებოდა. კედელში დატანებული ხვრელიდან ხედავდა ეზოში გაჩერებულ მანქანებს, ესმოდა ადამიანთა ხმები.

ის იზოლირებული იყო, არავინ ეკონტაქტებოდა. დროის შეგრძნების უნარიც დაკარგა. გვიან ღამით ფეხებდასიებული, აუტანელი ტკივილით დაბუჟებული ხელებით კვნესით წვებოდა ჭუჭყიან საწოლზე და გაჩენის დღეს წყევლიდა. მომდევნო დღეს მონური მორჩილებით ხვდებოდა.

**— თუ ხვდებოდა, ტრეფიკინგის მსხვერპლი რომ იყო?**

— ხვდებოდა, რა დღეშიც იყო, თავის დაღწევის იმედს კი მაინც არ კარგავდა. ყველაფერს აკვირდებოდა, გარეგნულად კი არაფერს იმჩნევდა. თავდაპირველად გრძნობდა, რომ უთვალთვალებდნენ, მერე ქალის თვინიერებით კმაყოფილებმა კონტროლი მოადუნეს, მაგრამ მაინც ძუნწად კვებავდნენ და მუჯლუგუნებითაც უმასპინძლდებოდნენ, ხშირად დასცინოდნენ, ჰიგიენურ პირობებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ძალიან მოტყდა, გაჭაღარავდა... არ ასვენებდა საკუთარ ქვეყანაზე და ოჯახზე ფიქრი. მდგომარეობისგან თავის დაღწევის შანსი არ ჩანდა და თავიც კი გამოიტირა. განუწყვეტლივ ლოცულობდა. ქრისტიანის ლოცვა მეთვალყურეს აცოფებდა, მის ბუტბუტს ყურს მოჰკრავდა თუ არა, საშინლად უსწორდებოდა. ქალი უსიტყვოდ, გულში ევედრებოდა უფალს შველასა და შემწეობას.

**ტრეფიკინგი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ხორციელდება და თავის დაღწევა საკმაოდ ძნელია, ხშირად სავალალო შედეგები მოსდევს.**

ერთ დღეს მოახერხა და შტორჩამოფარებულ ფანჯარასთან სამზარეულო დანით ღრიჭო ოდნავ გააფართოვა, შედეგად ოთახების განლაგება გათვალა. მარჯვნივ ბარი იყო, მის გვერდით — საბანკეტო დარბაზი, ხოლო მარცხნივ — საწყობი და ტუალეტი. ორივე მწკრივი კორიდორით ეზოში გადიოდა, ალაყაფის კარს იქით გაჭიმულ ტრასაზე ტრანსპორტი მოძრაობდა.

**— რამდენ ხანს იყო იმ ჯოჯოხეთში და როგორ მოახერხა გამოქცევა?**

— თუ არ ვცდები, 2 წელი და 7 თვე.

ზაფხულის საშინელი სიცხე იდგა. ალაყაფთან ავტობუსი გაჩერდა, ცივი მინერალური წყლის საყიდლად მგზავრები გამოიშალნენ. ქალი სათვალთვალო ჭრილს მიუახლოვდა. მგზავრები ქართულად ლაპარაკობდნენ. მღელვარებისგან ლამის გული წაუვიდა, მაგრამ ემოციას სძლია, კორიდორში გიჟივით გავარდა, ეზოზე გადაირბინა და უკვე წასასვლელად ათუხთუხებული ავტობუსისკენ არაადამიანური ღრიალით გაიქცა: — ქართველებო, მიშველეთ!

მძღოლი შეყოვნდა, მგზავრი მამაკაცები ქალს შეეგებნენ და გონმიხდილი ავტობუსში აიყვანეს. შენობიდან გამოცვივდნენ და ავტობუსს დაედევნენ, მაგრამ რამდენიმე ხანში ტრასასთან შეჩერდნენ.

ასე მოახერხა ქალმა ტრეფიკინგის ხაფანგიდან თავის დაღწევა. სულით ძლიერმა ქალბატონმა რეაბილიტაციაც მალე შეძლო, ეგ არის, შიში დასჩემდა, ძლიერი შიში, ოჯახის წევრებზე შური არ ეძიათ. მან ხომ ოჯახის კეთილდღეობისთვის უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო, ამქვეყნიური ჯოჯოხეთი გამოიარა.



**— ალბათ, ყველაზე ნაკლებად ტრეფიკინგში სექსუალურ მსხვერპლთა ამბები ხმაურდება, რათა მომავალი ცხოვრება უწყვეტ კონფლიქტად არ ექცეთ...**

— სამწუხაროდ, ბევრს ჰგონია, ტრეფიკინგში მარტო სექსუალური მომსახურება შედის. ხშირად დაზარალებულთა მიმართ საზოგადოების მხრიდან არაჯანსაღი მიდგომაა, რადგან თვლიან, რომ ქალებმა კარგად იცოდნენ, სად და რისთვის წავიდნენ.

საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა. ყოფილი საბჭოეთიდან თურქეთში გადასვლის მოსურნენი ჩვენში შემოდიან. ადრე, შევარდნაძის მმართველობისას, ყალბი ქართული პასპორტები აქ მზადდებოდა, რადგან საქართველოს მოქალაქეებს საზღვარზე გადასასვლელად ვიზა არ სჭირდებოდათ.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ახალი პასპორტიზაციის კვალდაკვალ ეს პროცესი შეწყდა. თურქებს დეპორტირებულნი იმ ქვეყნის საზღვართან მიჰყავთ, საიდანაც შევიდნენ. ასე მოხვდა საქართველოში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 20 წლის გოგონა.

ხშირად სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთ ნარკოტიკებს ან ისეთ წამლებს უკეთებენ, რომ მერე თავიანთი სურვილისამებრ ამოქმედონ. ასე ექცეოდნენ ამ ახალგაზრდასაც.

**მან მოახერხა, ტრეფიკერისთვის სასმელში ძილის წამალი ჩაეყარა, თვითონ კი დახეული და ერთმანეთზე გადაბმული ზეწრით ფანჯრიდან მიწაზე დაშვებულიყო და სანამ ჩაძინებული ტრეფიკერი გონს მოვიდოდა, პოლიციასაც მიმართა.**

თურქეთის პოლიცია ამგვარ დაზარალებულებს დახმარების ხელს უწვდის და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით გოგონა საქართველოში მოხვდა.

დაბნეულმა, შეშინებულმა დახმარებისთვის პირველსავე შემხვედრ მამაკაცს მიმართა. მან გოგონა სახლში წაიყვანა, ჩაკეტა და აქირავებდა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. ეს გააკეთა ქართველმა კაცმა.



გარშემომყოფებმა ამ ფაქტს მალე ახადეს ფარდა. კაცს ეს არ აპატიეს და საქმეც აღიძრა.

ამ უსაშინელესი დანაშაულისთვის ინდტრეფიკერს გრძელვადიანი პატიმრობა და მსხვერპლისთვის მიყენებული მორალური და ფიზიკური ზიანის ფულადი ანაზღაურებაც დაეკისრა.

ახალგაზრდა ქალი, რომელმაც ორჯერ მოახერხა თავის დაღწევა, იმედია, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სრულყოფილ რეაბილიტაციასაც მიაღწევს და საზოგადოებასთან რეინტეგრაციასაც.

საპყრობილეში მოხვედრილი ტრეფიკერის სასჯელი უმკაცრესია. ზიანის ანაზღაურება სულით ღატაკს მატერიალურადაც გააკოტრებს. ასეთები ციხეში რეინტეგრაციას ვერაფრით ახერხებენ.

ასე რომ, ჩადენილი დანაშაული მთელი ბოროტებითა და სისაძაგლით ბუმერანგის პრინციპით უკანვე უბრუნდებათ.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# რომელი საფოსტო კლიენტი ჯობია?

**მას შემდეგ, რაც ინტერნეტმა მსოფლიო მოიცვა და კომპიუტერმა ყველა ოფისსა თუ დაწესებულებაში ყოვლად აუცილებელი ნივთის ადგილი დაიმკვიდრა, ელექტრონული ფოსტის ფუნქცია ფასდაუდებელ კომფორტად იქცა. თანამედროვე მსოფლიო კარგა ხანია, აქტიურად სარგებლობს ელექტრონული ფოსტის შესაძლებლობებით, კომპიუტერული სამყარო კი ამ სერვისის დახვეწის საშუალებების მუდმივ ძიებაშია. ცხადია, ყველასათვის კარგადაა ცნობილი საიტები, რომლებიც საფოსტო მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს. ამ საიტების საფოსტო ყუთებით სარგებლობისას სპეციალურ საფოსტო სერვერებზე თითოეული მომხმარებლისთვის გამოყოფილია სივრცე, სადაც მისი გაგზავნილი თუ შემოსული წერილები ინახება. ფოსტით სარგებლობისას თქვენ სწორედ ამ სერვერზე განთავსებულ საკუთარ საფოსტო სივრცეს აკითხავთ და იქ შენახულ ინფორმაციას კითხულობთ წერილის სახით.**



საქმიანი ადამიანებისთვის ბევრად უფრო მოხერხებულია საფოსტო კლიენტებით სარგებლობა, ვინაიდან პროგრამული უზრუნველყოფის ეს კატეგორია ფოსტასთან მუშაობას ბევრად უფრო იოლს ხდის. საფოსტო კლიენტი პროგრამული უზრუნველყოფაა, რომელიც მომხმარებლის კომპიუტერზე ყენდება და წერილების მიღების, გაგზავნის, დაწერის, შენახვისა თუ სხვა მრავალ ფუნქციას ასრულებს. ფოსტის კლიენტები უკავშირდებიან საფოსტო სერვერებს და იქ თქვენთვის გამოყოფილ სივრცეში შენახულ ინფორმაციას მთლიანად გადმოქაჩავენ თქვენსავე კომპიუტერზეც, რის შემდეგაც შეგიძლიათ წერილები საფოსტო სერვერზე კი არა, თქვენსავე კომპიუტერში წაიკითხოთ, წაშალოთ, ჩაასწოროთ, უპასუხოთ, კატალოგში მოათავსოთ, დაახარისხოთ ან კიდევ ბევრი სხვა რამ გააკეთოთ.

საფოსტო კლიენტების კონფიგურირება საკმაოდ იოლი საქმეა და მასთან რაიმე გართულებებს არ უნდა ელოდეთ. მთავარია, სწორად მიუთითოთ SMTP (გამგზავნი) და POP3 (მიმღები) სერვერები, რათა ფოსტის წასაკითხად თუ გასაგზავნად თქვენმა საფოსტო კლიენტმა სწორედ თქვენს მიმღებ და გამგზავნ სერვერებს მიაკითხოს. ეს მისამართები კი თქვენი ინტერნეტპროვაიდერისაგან უნდა მიიღოთ. ფოსტის გაგზავნისათვის შესაძლოა დაგჭირდეთ აუტენტიფიკაციის რეჟიმის გააქტიურება, ვინაიდან სადღეისოდ თითქმის ყველა გამგზავნი სერვერი მოითხოვს აუტენტიფიკაციას არასანქცირებული გზავნილების თავიდან აცილების მიზნით.

საფოსტო კლიენტები წერილებს არა თუ კითხულობენ, არამედ ინახავენ, ახარისხებენ, ეძებენ არქივში, ფილტრავენ თქვენთვის სასურველი კრიტერიუმების მიხედვით, ქმნიან მისამართების წიგნებს, ახდენენ ფორმატის კონვერტაციას, თქვენი სურვილისამებრ არეგულირებენ ინტერფეისს, ერგებიან საოფისე პროგრამებს და ასე შემდეგ.

საფოსტო კლიენტების შემთხვევაში დომინირებადი პროდუქტი, ფაქტობრივად, არ არსებობს, სამაგიეროდ, არის ყველაზე პოპულარულთა კატეგორია, რომელთა შესახებაც რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე შევჩერდებით.

## Outlook Express (Microsoft)



ეს საფოსტო კლიენტი Windows-ს მოჰყვება და, ამდენად, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. შემქმნელი კორპორაცია მას Internet Explorer-ის დამატებად განიხილავს და ინტერფეისის მხრივ მართლაც მრავალი საერთო აქვს ინტერნეტბრაუზერთან. საწყის გვერდზე განთავსებულია ყველა ძირითადი მოქმედების მისამართი. ოპერაციულ სისტემასთან მაქსიმალური ინტეგრაციის გამო ის, გასაგზავნი ფაილის მოცულობის მიუხედავად, ძალიან სწრაფად ასრულებს მომხმარებლის ბრძანებებს. მისი შესაძლებლობები, ფაქტობრივად, ამოსავალი წერტილია სხვა საფოსტო კლიენტების შემქმნელთათვის, რომლებსაც, ცხადია, მეტი კლიენტის მიზიდვის სურვილი ამოძრავებთ. ასე რომ, მისი ფუნქციები, გარკვეულწილად, სტანდარტად იქცა საფოსტო კლიენტებისათვის. ფოსტის სორტირება მხოლოდ ფილტრების საშუალებითაა შესაძლებელი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელს მოქმედება მკაცრად დადგენილ პირობებში მოუხდება. სამწუხაროდ, დაცვის თვალსაზრისით, საქმე ძალზე ცუდადაა, როგორც სტატისტიკა ირწმუნება, ვირუსების მთავარი გზამკვლევი თქვენი კომპიუტერისაკენ არის სწორედ Outlook Express.

## Outlook (Microsoft)



ეს საფოსტო კლიენტი Microsoft Office-ზე არანაკლებ ეშმაკურადაა მიბმული. მისი შესწავლის ყველა სირთულეც Microsoft Office-ით სარგებლობის წესების ათვისებას უკავშირდება. სისწრაფე ზუსტად იგივე აქვს, რაც Microsoft Office-ის სხვა პროგრამებს, მაგალითად, Word-ს ან Excel-ს. ტექსტის მომზადების შემდეგ შეგიძლიათ, ის ნებისმიერ იმ ენაზე გადაიყვანოთ, რომელთა ლექსიკონებიც უკვე კომპიუტერში გაქვთ. Outlook-ის ძველი ვერსიები კონკურენტებს ობიექტურად ჩამორჩებოდა ფუნქციების თვალსაზრისით, მაგრამ შემქმნელებმა, როგორც იქნა, იზრუნეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად და პროგრამის ახალ ვერსიებს ტრადიციულად აქტუალური ფუნქციების მთელი ნაკრები შემატეს. ასე რომ, ახლა Outlook-ის მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს ყველა იმ სერვისით, რომელიც სხვა პოპულარულ საფოსტო კლიენტებს ადრეც ჰქონდათ, საკმაოდ გაძლიერებულია სპამთან ბრძოლის მეთოდებიც. მართალია, საუბარია ფილტრების ნაკრებზე, მაგრამ დაცვა მაინც სერიოზულ შედეგებს აღწევს. ვირუსებისაგან დაცვა აქაც უსუსტესია. ერთადერთ იმედად ანტივირუსული პროგრამები რჩება, რომელთა უმრავლესობა, მადლობა ღმერთს, ხედავს Outlook-ს და მუდმივად აკონტროლებს. ძლიერი და მუდმივად განახლებადი ანტივირუსის არარსებობის შემთხვევაში კი კეთილი რჩევაა, უბრალოდ, არ გამოიყენოთ Outlook.

## The Bat! (RITLABS)

The Bat!-ის ინტერფეისი ჯერ კიდე გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაშვებული ტექნოლოგიების ევოლუციური განვითარების შედეგია. ბოლო წლებში ინსტრუმენტების პანელზე ახალი ლამაზი ნახატები გაჩნდა, თავად პანელები კი მთელი სამუშაო არეალის ტერიტორიაზე შეიძლება გადაადგილდეს მომხმარებლის სურვილისამებრ. ვერსიიდან ვერსიამდე უცვლელი რჩება მენიუს ერთგვაროვანი პუნქტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია. ღამურასთან დიდი ხნით მომუშავეთათვის ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ახალბედებისათვის ამგვარი ინტერფეისი შესაძლოა, გვარიან წინაღობად იქცეს. მიუხედავად იმისა, რომ არაა ოპერაციულ სისტემაში ინტეგრირებული, მუშაობის არცთუ ცუდი სისწრაფე აქვს. მრავალნაკადურობის წყალობით, შეუძლია ერთდროულად მიიღოს და გაგზავნოს წერილები, რაც სერვერებთან ურთიერთქმედების სისწრაფეს ამაღლებს. The Bat! ერთადერთი საფოსტო კლიენტია, რომელშიც ტექსტის სიგანეზე გათანაბრების საშუალება გექნებათ. მოქმედებს შაბლონების მოქნილი სისტემაც. The Bat! სერიოზული მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი და მრავალი სერვისული ფუნქციაც მასზეა გათვლილი. გარდა ამისა, ღამურას შეუძლია ლოკალურ ქსელში სერვერის ფუნქციის შესრულება. ფილტრების შექმნა შესაძლებელია არა მხოლოდ წერილების სათანადო ფოლდერებში ჩატვირთვის ფუნქციით, არამედ მხოლოდ საჭირო და მომხმარებლისთვის სასურველი წერილების ჩამოტვირთვის ფუნქციითაც. ღამურა ვირუსისათვის, პრაქტიკულად, შეუღწევადია, თუ, რა თქმა უნდა, ფოსტაზე მიბმულ ვირუსს თავად არ შეუშვებთ საკუთარ კომპიუტერში. The Bat! ამ შემთხვევაშიც კი, რომელსაც პოპულარული ანტივირუსების მეშვეობით ფაილების შემოწმების საშუალებაც კი აქვს, წინასწარ გაგაფრთხილებთ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. გარდა ამისა, მას აქვს Windows Address Book-ისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი მისამართების წიგნი, რაც კიდევ ერთი ბარიერია ვირუსებისათვის. პაროლების დადება შესაძლებელია სათითაო საფოსტო ყუთზე, რაც პირადად მომხმარებლის უსაფრთხოებისა და დაცულობისათვის მნიშვნელოვანი საშუალებაა.



## Mozilla Thunderbird (Mozilla Corporation)



მისი ინტერფეისი, მენიუ და სტრუქტურა ძალიან ჰგავს ბრაუზერ Mozilla Firefox-ისას, ამავე დროს, Mozilla Thunderbird ერთადერთია, სადაც პაროლი ბრაუზერის პრინციპით ყენდება და ახალბედებისათვის შესაძლოა, გარკვეულ პრობლემას ქმნიდეს. სამაგიეროდ, მრავალფეროვნების მოყვარულებს მოწყენილობა არ ემუქრებათ, თემები და ფონები აქ ულევია. მთელ რიგ შემთხვევებში, მაგალითად, Linux-ზე მუშაობისას ან dial-up-ის შემთხვევაში სისწრაფით ვერ დაიკვეხნის. ნელი ინტერნეტის პირობებში დიდი წერილის გაგზავნისას ეს საფოსტო კლიენტი შეცდომის შეტყობინებას გვაძლევს. საქმე ისაა, რომ თუ წერილის გაგზავნის დრომ 600 წამს გადააჭარბა, ის კავშირს გაწყვეტილად თვლის. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამის დარეგულირება შესაძლებელია. Mozilla Thunderbird-ში ყველა დანაკლისს გაფართოებებით შეავსებთ, თუმცაღა მისი შესაძლებლობები საწყის ეტაპზეც ღირსეულად გამოიყურება კონკურენტების ფონზე. აკრეფილი წერილები ავტომატურად ინახება, ასე რომ, მოულოდნელად ელენერგია თუ გაგეთიშათ, ამით თქვენს ნერვულ სისტემას რაიმე საფრთხე არ ელის. Mozilla Thunderbird სპამს დიდი წარმატებით ებრძვის და გარდა ამისა, სპამთან მებრძოლ სხვა პროგრამებთანაც „თანამშრომლობს“. დაცულობის თვალსაზრისით, დასაწუნი არაფერი აქვს, ვინაიდან ანტივირუსების დახმარებით ამოწმებს წერილებზე მიბმულ ფაილებს და საეჭვო ეგზემპლარების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს მომხმარებელს.

## Opera (Opera Software ASA)

ამავე სახელწოდების ბრაუზერთან მომუშავეთათვის უცხო არაფერია, მაგრამ თუ პირდაპირ საფოსტო კლიენტის მეშვეობით აპირებთ, Opera-ს გაეცნოთ, შესაძლოა, გარკვეულ სიძნელეებს წააწყდეთ კიდეც. საქმე ისაა, რომ საფოსტო კლიენტი ინტეგრირებული პაკეტის ნაწილია და რეგულირების უამრავი ფუნქციიდან მხოლოდ რამდენიმე ეხება თავად საფოსტო კლიენტს. ბრაუზერის მსგავსად, სისწრაფე არნახული აქვს, ამას ყველაზე კარგად იგრძნობთ პასუხის ღილაკის დაჭერისას — რედაქტორი მომენტალურად გაჩნდება ეკრანზე. სისწრაფის მხრივ, ბრაუზერ Opera-ს შესაძლოა, კიდევ მოეძებნოს კონკურენტი, მაგრამ საფოსტო კლიენტი Opera კონკურენციის გარეშეა. ის პირველი პროდუქტია, სადაც ვირტუალური საქაღალდეების რეალიზაცია მაღალ დონეზე შესრულდა. მისამართების წიგნი გვერდითაა განთავსებული, ბრაუზერიდან ნებისმიერი ტექსტი შესაძლებელია, დაუყოვნებლივ იქცეს გასაგზავნ წერილად, ყველა ავტორი, რომელმაც ბოლო პერიოდში მოგწერათ წერილი, ავტომატურად ჯდება მიმოწერის ცხელ ხაზზე. ფოსტის ფილტრაციისათვის სტანდარტულ საშუალებებთან ერთად ფლობს რეგულირებად ალგორითმს, რომელსაც შეუძლია თქვენ მიერ სპამად მონიშნული წერილების მსგავსი წერილები შემდგომში ავტომატურად გაამწესოს დანარჩენი სპამის კვალზე. მთავარია, უცნობი ფაილები არ გაუშვათ, თორემ Opera-ს შემთხვევაში შეგიძლიათ, საერთოდ არ იფიქროთ დამატებით ანტივირუსზე. თქვენი კომპიუტერი ისედაც სერიოზულადაა დაცული ნებისმიერი მავნე პროგრამის შეღწევისაგან. გაითვალისწინეთ, ამ საფოსტო კლიენტით სარგებლობა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ ამავე ბრაუზერს იყენებთ, თუმცა ის ბრაუზერის მსგავსად უკიდურესად არასტაბილურია.



# მარადისობის მკვიდრი — უკვდავების ბინადარი

**ესპანეთში, ქალაქ ტოლედოში, სალვადორ დალის სახლ-მუზეუმში, ყური მოვკარი ჩემთვის დაუჯერებელ ნათქვამს, რომ მხატვრის მძიმე ავადმყოფობის დროს მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები მაგნიტოფონზე იწერებოდა, ყოველი სიტყვა, სუნთქვა, მოძრაობა, დახველება და ა.შ. ჩვენთან ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ ბევრად უკეთესი და უფრო საინტერესო მოხდა. ეს ფაქტია.**

გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე თვით ნოდარ დუმბაძის მოწადინებით, გიგა ლორთქიფანიძისა და ვაჟა ჟღენტის მონაწილეობით, შესრულდა სიმღერა: „...ზე მკიდიხარ, სიკვდილოოო...“ ეს სიმღერა ნოდარისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა, რაც შეგნებულად და წინასწარგანზრახვით მოხდა.

სიმღერა ოქროს ფონდში ინახება და კარგა ხანია, საზოგადოებისათვის ცნობილია. ჩემს მეხსიერებაში კი ბევრი ისეთი რამ არის ჩაწერილი, რაც მხოლოდ მე ვიცი და სხვამ არავინ. ჩემი მოგონებები მის შემოქმედებას არც არაფერს შემატებს და არც გამოაკლებს, მხოლოდ მისი ცხოვრების ზოგიერთ დეტალს ცხადლივ დაგვანახებს. ბევრჯერ მითქვამს და დამიწერია — იგი ქართული იუმორის მზე იყო.

60-იანი წლებია. ნოდართან სახლში ვიყავი. დილის საათები იყო, სამზარეულოში ჩაის ვსვამდით, როდესაც ბატონი გიგა ლორთქიფანიძე მოვიდა. ხელში საქაღალდე ეჭირა და კარებიდანვე დაიძახა: „ნოდარ! წავიკითხე, შესანიშნავი ნაწარმოებია, ეს მარჯანიშვილის თეატრში უნდა დავდგა, ოღონდ თანაავტორი მე უნდა ვიყო“.

„დადგი, ძამა, და თუ გინდა, ავტორიც შენ იყავი“, — სიცილ-ხარხარით უპასუხა ნოდარმა.

გავიდა დრო და მარჯანიშვილის თეატრში პრემიერა შედგა: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ზოგ-ზოგმა შეიძლება ტრაბახი დაარქვას ამას, მაგრამ დავეთანხმები, სწორედაც რომ მეტრაბახება და ვტრაბახობ კიდეც.

გამომცემლობა, სადაც მე ვმუშაობდი, მარჯანიშვილის თეატრის მოპირდაპირე მხარეს იყო. შემოვიდა ნოდარი ჩემს კაბინეტში და მეუბნება: „15 ბილეთი მომცეს პრემიერაზე დასასწრებად, ქე ყოფილხარ, ძამა, ამ თხუთმეტ კაცში შენც“, — და მაგიდაზე ორი ბილეთი დადო. მითქვამს და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ: ნოდარზე შემიძლია შეუსვენებლივ ვილაპარაკო, არც დავიღლები და არც სალაპარაკო შემომელევა.

1983 წლის ივნისში ჟურნალ „ნიანგს“ დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა. ამ დროს მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე გახლდათ. მთხოვა, მიდი ნოდართან, რაღაცა დაგვიწეროს, შენ უარს არ გეტყვისო. ღიმილით გადავეცი ზაურის თხოვნა და ღიმილითვე მიპასუხა: „სად იყავით ამდენ





ხანს, ასე უცებ რა დაგიწეროთ“? — „ოღონდ, შენ ხელი მოაწერე და რაც გინდა, ის დაგვიწერე-მეთქი“, — ვუპასუხე. მივიდა საწერ მაგიდასთან, დაწერა და ერთგვერდიანი ფურცელი გადმომცა. მე ხმამაღლა წავიკითხე:

**„ნიანგს“**
**„შენ, ჩემო ჭირისუფალო,**
**ჩემო გამზრდელო ძიძაო,**
**ჩემსავით არვის უყვარხარ,**
**თუ გინდა, — დაგენიძლავო!**
**გილოცავ, თანაც გისურვებ —**
**არ გაგცვეთოდეს კბილიო!**
**იცოცხლე, ვიდრე ამქვეყნად**
**თაღლითი გამოილიოს!**
***შენი ჯვებე დუმბავა. 83 წ.***

საქმეში ნოდარის მეუღლე, ქალბატონი ნანული ჩაერია, — „ეს რა დაგიწერია, უკეთესი ვერაფერი გაიმეტე?“

ნოდარმა გაიღიმა, მე კმაყოფილება გამოვთქვი. ნაწერი ჯიბეში ჩავიდე და ლაპარაკი სხვა თემაზე გადავიტანე.

ძნელია, ისეთ პიროვნებაზე ილაპარაკო და მოგონებანი დაწერო, როგორიც ნოდარ დუმბაძე იყო, იმიტომ, რომ ზღვა მასალაში არჩევანის გაკეთება ჭირს. ერთიმეორეზე უკეთესი მოგონებანი რამდენიმე გვერდში არ ეტევა.

1979 წლის სექტემბერში ნოდარი სოხუმის საავადმყოფოში იწვა. თავიდანვე გავთვალე, რომ საავადმყოფოში შესვლა არც ისე იოლი საქმე იქნებოდა. ამიტომაც ავტოინსპექციის უფროსთან მივედი. გვარი არ მახსოვს, მაგრამ აფხაზი რომ იყო, ნამდვილად ვიცი. გავიცანი და დახმარება ვთხოვე. მაშინვე წამოხტა სავარძლიდან, გადამეხვია და მითხრა: „ნოდარ დუმბაძე, სინ აფხაზსკოვო ნაროდა, მი ოჩენ ლიუბიმი უვაჟაემ ევო“. ჩემი მანქანა იქვე ეზოში დაიტოვეს და ავტოინსპექციის მანქანით გავქანდით ნოდარის სანახავად.

უკანასკნელ წლებში მისი ნახვა ხშირად საავადმყოფოში მიხდებოდა.

შემდგომ თბილისში „ლეჩკომბინატში“ იწვა. ხშირად მივდიოდი მის სანახავად, თითქმის ყოველდღე. ერთხელ ქართლოს კასრაძე მოვიდა ჩემთან და მთხოვა, ნოდარის სანახავად ერთად წავიდეთო. გზაში ფორთოხლის ყიდვა შემომთავაზა, ხელცარიელი ხომ არ მივალთო. მე ვუთხარი, — ფორთოხლის ჭამა რომ მოგინდეს, მიდი ნოდარის სანახავად, რასაც მოერევი, შეჭამე და ცოტას სახლშიც წაიღებ-მეთქი.

მნახველების მიღება კარგა ხნის შეწყვეტილი იყო, პალატის კარი რომ შევაღე. ნოდარი სავარძელში იჯდა, კარგ ხასიათზე იყო. მეკითხება: „ვინ ვარ მე, კაცმა რომ მკითხოს, არ ვიცი!“

იცოდა, ამ კითხვაზე რასაც ვუპასუხებდი და განაგრძო: „დღეს შევარდნაძე მოვიდა ჩემს სანახავად, მომეფერა, კარგა ხანს მესაუბრა და წავიდა. გავიდა ცოტა ხანი და მისი უწმინდესობა შიოლაშვილი მოვიდა, დამლოცა, მომეფერა და წავიდა. გავიდა ცოტა ხანი და „რამკიანი ქურდები“ მოვიდნენ, მომეფერენ, საჩუქრები მომიტანეს და წავიდნენ“...

ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანები ნოდარის მიმართ ერთნი იყვნენ. აი, ვინ იყო ნოდარ დუმბაძე. სიცოცხლეშივე უსაყვარლესი, უპოპულარესი სახალხო მწერალი და საზოგადო მოღვაწე გახდა. ზენიტს მიაღწია და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ხშირად იტყოდა: „იმხელაზე ავედი, ძამა, რომ ვეღარც მტრები მხედავენ და ვეღარც მოყვრებიო“. უნდა ითქვას, რომ მისი მოღვაწეობა საბავშვო ლექსებით დაიწყო. ბავშვები უყვარდა.

ჩემი თაობის ამხანაგებში შვილიშვილი არავის ჰყავდა, მე ველოდებოდი. საბავშვო ლექსების კრებული მაჩუქა წარწერით: „ჟანის მომავალ შვილიშვილს“. ჩემმა შვილმა მერაბ სიხარულიძემ მოკრძალებული ლექსი მიუძღვნა.

**ნოდარ ბიძიას!**
**„შენ დაიბადე, როგორც**
**ყველა, ალბათ, ტირილით,**
**მაგრამ წასვლისას**
**მოინდომე მაინც სიმღერა,**
**იქ კი, როდესაც წარუდექი**
**უფალს პირისპირ,**
**შენი გმირები აიყოლე**
**ციურ სიმებად“.**

ნოდარ დუმბაძის იუმორი და გამონათქვამები ხალხშია მოფანტული, ზოგი დაბეჭდილია, ზოგიც — დაუბეჭდავი.

შეგახსენებთ ერთს: ოპერის თეატრში დაიდგა ცნობილი ბალეტი „ოტელო“ ვახტანგ ჭაბუკიანის შესრულებით.

პრემიერას ნოდარი ესწრებოდა. წარმოდგენა დამთავრდა, აღფრთოვანებული მაყურებელი ტაშს უკრავდა. ამ დროს ვიღაც ეკითხება ნოდარს:

— როგორ მოგეწონათ, ბატონო ნოდარ, ბალეტი?

— ძალიან კარგი იყო, მაგრამ ოტელომ რომ დეზდემონა დაახრჩო, მერე თუ იცეკვებდა, არ მეგონა, — უპასუხა ნოდარმა.

შეუდარებელი იმპროვიზატორი და ექსპრომტის დიდოსტატი იყო. მსმენელს ხიბლავდა მისი საჯარო გამოსვლები, სიცილს აზეიმებდა და ხალხმრავალ დარბაზებსა და აუდიტორიებს აცოცხლებდა.

განუყრელი მეგობრისა და თანამოკალმის, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის ღია წერილის პატარა ნაწყვეტით მინდა, დავამშვენო ნოდარისადმი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით დაწერილი ეს მოგონება.

**„ძმაო, ნოდარ! სათქმელი არაფერი მაქვს, გარდა იმისა, რომ სისულელეებს თავი დაანებე, არაფერი მკვდარი არა ხარ, ქართველ ხალხს ძველებურად უყვარხარ, შენს წიგნებს მაღაზიის თაროზე გაუყიდავებს ვერავინ ხედავს... შენ მანდ არა ხარ — აქა ხარ. კარგი, აღარაფერი მკითხო, მოვალ, მეორე ფეხს შემოვდგამ და იმდენ ამბავს გეტყვი, მეხვეწებოდე, თავი დამანებეო!**

**შენი ძმა**
**ჭაბუა ამირეჯიბი**
***14 ივლისი 2003 წ.***

ნოდარს განსაკუთრებით უყვარდა ჟურნალი „ნიანგი“. როდესაც მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, ჯერ „ნიანგის“ რედაქციაში გამოივლიდა, ყველას მოინახულებდა, მოეფერებოდა და ისე გააგრძელებდა გზას.

ჩვენც გვიყვარდა და გვიყვარს, გვეიმედება და ვეთაყვანებით. მის არც ერთ ხუმრობას, არც ერთ ღიმილიან ფრაზას, არც ერთ მახვილ სიტყვას არ დავკარგავთ, შევკრებთ და შევუნახავთ შთამომავლობას!

იგი მარადისობის მკვიდრი და უკვდავების ბინადარია.

**ჟანი სიხარულიძე**









http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
ბონდო მძინარაშვილი, გიორგი მამაცაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი მაია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net